ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლევან სამსონია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში

ისტორიის სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ოთარ თურმანიძე

განაცხადი ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შინაარსი

შესავალი----------4

წყაროების და ლიტერატური მიმოხილვა----------6

ა) საარქივო მასალა----------6

ბ) ისტორიოგრაფია----------9

თავი1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა და ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება----------14

&.1. საქართველოს გასაბჭოება,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩამოყალიბება და სამართლებრივი სტატუსი----------14

&.2. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება----------40

თავი2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მათი უფლებამოსილება და საქმიანობა XX საუკუნის 30-იან წლებში----------49

&.1. უმაღლესი სკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება,მმართველობის ორგანოები------49

&.2.სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები,აღმასკომის განყოფილებანი, კომისიები, და სამმართველოები----------65

&.3. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები----------80

თავი 3. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში----85

&.1. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია----------85

&.2. პროფესიული კავშირები----------135

&.3. ახალგაზრდობის ორგანიზაციები, საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტები----------148

&.4. წითელი ჯვრისა და თავდაცვა-ავიაქიმიის საზოგადოებები----------162

&.5. სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციების კავშირები----------171

&.6. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია----------179

თავი 4. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრიზისი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში----------191

&.1. რეპრესიების იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძვლები----------191

&.2. 1937-1938 წლებში აჭარაში განხორციელებული რეპრესიები----------203

&.3. რეპრესიების შედეგები----------220

დასკვნა----------225

შემოკლებათა განმარტება----------228

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა----------229

შესავალი

თემის აქტუალურობა- საკვლევი თემის აქტუალურობა გამომდინარეობს შექმნილი ისტორიული ვითარებიდან, რომელიც შექმნილი იყო მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში. ჩვენს მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა მოცემულ პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ობიექტური, გაუყალბებელი ისტორიის დაწერა და გააზრება. აქვე გვინდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ობიექტური, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე აგებული ისტორიის შედგენა ყოველთვის უნდა იყოს სახლმწიფოს ერთ-ერთი მიზანი, ყოველგვარი პოლიტიკური კონიუქტურიდან განცალკევებით. აჭარის რეგიონით ჩვენი ინტერესი განპირობებულია მისი ისტორიული განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე. გასაბჭოების დროიდან აჭარაში პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა, რომელსაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. გასაბჭოებამდე რეგიონში არსებობდა ოსმალეთისა და დემოკრატიული საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგობები. ბუნებრივია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესი იყო ისტორიული კანონზომიერებით განპირობებული და სავსებით ბუნებრივი, ვინაიდან საქმე ეხებოდა ჩვენი სამშობლოს ისტორიული ნაწილის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას. რეგიონში თავისი ინტერესებით შემოიჭრა ბოლშევიკური რუსეთი და მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. საკვლევი პერიოდი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი არ შეიძლება განვიხილოთ განცალკევებით, მანამდე არსებული ვითარების გააზრების გარეშე. ასევე საინტერესოა აჭარის რეგიონში გავრცელებული ერთგვარი პატრიარქალური ურთიერთობები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენდა განსაკუთრებით მიმდინარე საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. **საკვლევი თემის მიზანი-** მდგომარეობს ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ობიექტური რეალობის დადგენაში. XX- საუკუნის ოცდაათიან წლებში რეგიონში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სირთულეებს, რომელთა სათავეც ჯერ კიდევ გასულ ათწლეულში უნდა ვეძებოთ. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს ხულოს მაზრის მარტის 1929 წლის აჯანყება. ეს ვითარება იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ მომდევნო, ოცდაათიან

წლებშიც კი იგრძნობოდა მისი გავლენა აჭარის ყველა რაიონზე. საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რეგიონში შექმნილ ვითარებას და ცდილობდა არ გამოპარვოდა არცერთი უმნიშვნელო დეტალიც კი. საარქივო მონაცემებით დასტურდება თუ როგორ ახორციელებდა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მმართველობას. კვლევის მიზანს ამავდროულად წარმოადგენს რეგიონში განხორციელებული მასობრივი ხასიათის რეპრესიების გაშუქება და ჩვენი მოკრძალებული მოსაზრების დაფიქსირება. თურქეთთან არსებული სიახლოვე გარკვეულ წილად კატალიზატორის როლს ასრულებდა განხორციელებულ მასობრივ რეპრესიებზე. ე.ი. აჭარა როგორც მტრულ ბანაკთან ახლოს მყოფი რეგიონი საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. საკვლევი თემის მიზანს ამავდროულად წარმოადგენს რელიგიის როლის განსაზღვრა მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე. თემის აქტუალურობა გამომდინარეობს იქედანაც, რომ ამ პერიოდის შესახებ თანამედროვე ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ მწირია. მოცემულ კვლევაში მოკლედ მიმოვიხილეთ ბათუმის ოკუპაციისა და ავტონომიის სტატუსის საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია საკვლევ პერიოდთან და ამ პროცესების გააზრების გარეშე ბუნებრივია გართულდება მოვლენათა ობიექტური აღქმა. **მეცნიერული სიახლე**- ნაშრომში გამოყენებულია მთელი რიგი პირველადი წყაროებისა, საერთო ჯამში ათეულზე მეტი ფონდის **89** საქმეზე მეტი. აქედან ჩვენს მიერ მოძიებული პირველადი წყაროების დიდი ნაწილი მეცნიერულ მიმოქცევაში პირველად შემოდის და ამდენად ეს ასპექტიც მიგვაჩნია სიახლედ. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ჩვენეული ხედვა, მოვლენების ერთგვარი კომპლექსური ანალიზი. წარმოდგენილ კვლევაში გაშუქებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპლექტაციისა და უფლებამოსილების განხორციელება ავტონომიურ რესპუბლიკაში და მათი როლი მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. სიახლეს წარმოადგენს ასევე ისი ფაქტიც, რომ განხილული გვაქვს რეგიონში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა და მათ მიმართ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, შესაბამისი ყრილობებისა და კონფერენციების ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში განხილული მოვლენები წარმოდგენილია საბჭოთა კავშირში და შესაბამისად ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სამართლებრივი სისტემის შესწავლის საფუძველზე.

კვლევის მეთოდიკა-ნაშრომი ეყრდნობა პირველადი და მეორეული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხორციელებულ კვლევას. პირველადი წყაროებიდან აღსანიშნავია საარქივო მონაცემები, რომელთა შეპირისპირებაც ვაწარმოვეთ მეორეულ წყაროებთან მიმართებით. ამ კუთხით საინტერესო იყო საარქივო მონაცემებისა და საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზი. თავდაპირველად განვსაზღვრეთ საკვლევი თემის ირგვლივ შესაბამისი წყაროების კლასიფიცირება და მათი სანდოობის დადგენა. კვლევის გარკვეულ ეტაპზე გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდიკაც, რომელიც გამოიხატა როგორც მეორეული წყაროების ანალიზით, ასევე **ტრიანგულაციურ** მიდგომაშიც. **ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული ღირსება** - იმაში გამოიხატება, რომ მას აქვს ისტორიულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში მოცემული დებულებები და დასკვნები დაეხმარება უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს რეგიონის ისტორიის შესწავლაში, ხელს შეუწყობს მათი ცნობიერების ამაღლებას. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ინდივიდუალური ხელწერის მქონე კვლევას. ჩვენი აზრით ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საკითხით დანტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა:

ა) საარქივო მასალა- სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია დოკუმენტები, რომლებიც დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. გამოყენებული მასალები მოიცავს **16-ფონდის 89**-ზე მეტ საქმეს. მათგან აღსანიშნავია **ფონდ პ-1**-ში დაცული მონაცემები, რომლებიც ეხება საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის თვისებრივ-რაოდენობრივ შემადგენლობასა და საქმიანობას. შესწავლილია აღნიშნული **ფონდის N4 აღწერის: N 108; 113; 109; 227; 226 და აღწ.N2-ის N 28 საქმეები.** მოცემული მასალა, გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლის, მუშაობის სტილისა და საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია **N4** და **N109** საქმეებში დაცული მონაცემები ე.წ. კონტრევოლუციონერთა საქიანობაზე. საიდანაც ირკვევა, რომ 1937 წლისათვის მხოლოდ ბათუმიდან პარტიის რიგებიდან გაირიცხა 133 წევრი და 89 კანდიდატი. პარტიიდან გარიცხვა კი საკმაოდ სერიოზული განაჩენი იყო, მითუმეტეს მასობრივი რეპრესიების პერიოდში, რაც სასიკვდილო განაჩენის

ტოლფასი იყო. აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული მონაცემები უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს რეპრესირებულთა ვინაობისა და საერთო მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით. აღნიშნული ფონდის მასალები შეიცავს ასევე საინტერესო ცნობებს პარტიის საქმიანობაზე მთლიანად რეგიონის მაშტაბით. საყურადღებოა **ფონდ პ-12** დაცული მონაცემები, რომლებიც ეხება საკუთრივ ხულოს რაიონის სკპ(ბ) რაიკომის საქმიანობას. მოცემული საარქივო დოკუმენტაციის შესწავლით, რომელიც ეხება რაიონის პარტიული კონფერენციების, ყრილობების და ბიუროების მუშაობას, საკმაოდ დეტალური სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა თუ როგორ ვითარდებოდა მოცემული რაიონი და რა სირთულეები არსებობდა. მოგეხსენებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხულოს რაიონი საკმაოდ სპეციფიკური იყო. რაიონის მოსახლეობაში ფართოდ იყო ფეხმოკიდებული და გავრცელებული პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების წესი და რელიგიური ფანატიზმი. საარქივო მასალები ამ სურათის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ამ ვითარებას ასახავს **ფონდი პ-12-ის აღწ.N 28; 30; 29; 42; 33; 49** და სხვა საქმეები. აღსანიშნავია ამავე ფონდის აღწერის **N 67** საქმე, რომელშიც გადმოცემულია რაიონის პარტიული ორგანიზაციიდან გარიცხულთა შესახებ მასალები. **საქმე N 64** კი ეხება რაიონში რელიგიის მსახურთა შესახებ არსებულ მდგომარეობას.

მოცემული საარქივო დოკუმენტებით ასევე ირკვევა ქალთა უფლებრივი მდგომარეობა. ჩვენს მიერ გამოვლენილ მასალებს შორის საყურადღებოა **ფონდ პ-5 სა და პ-9-ში მოცემული საქმეები N269; 226; 270; 10; 108; 368; 1; 4;** და სხვა. რომლებიც ეხება საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საქმიანობას. მოცემული საქმეების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს კომუნისტური პარტიის ახალგაზრდული ფრთის მუშაობის პრინციპები და დანიშნულება. შეიძლება ითქვას, რომ იგი ემსახურებოდა პარტიისათვის კადრების აღზრდას. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო დეტალი, აჭარის რეგიონში პარტიული საქმიანობა იდეოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულ სირთულეებს აწყდებოდა. საარქივო მონაცემების შესწავლით დგინდება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ ახალგაზრდობის იდეოლოგიურ აღზრდას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მებრძოლ უღმერთოთა კავშირი, როგორც საბჭოთა იდეოლოგიის განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმი. ამ ორგანიზაციის საქმიანობა მოცემულია **ფონდ რ-260 აღწ. N1, 2; 3; 10; 4;** და სხვა საქმეებში. მოცემული საარქივო მასალებით დგინდება ის დამოკიდებულება, რომელიც გააჩნდა საბჭოთა ხელისუფლებას რელიგიის და მათ მსახურთა მიმართ, ასევე მორწმუნე საზოგადოების მიმართ. საბჭოთა ხელისუფლება რელიგიას მის ერთ-ერთ მთავარ იდეურ მოწინააღმდეგედ განიხილავდა. დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება ის მძიმე ვითარება რომელიც არსებობდა რეგიონში მათ შორის ამ მიმართულებითაც. **ფონდი რ-143** დაცული მონაცემები კი ეხება რეგიონში არსებულ უსახლკარო ბავშთა შესახებ მდგომარეობას. რაც ნათელი დადასტურებაა შექმნილი მძიმე სოციალური ვითარებისა. **N4 და N11** საქმეებში-ში დაცული მასალები აშკარად იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. წარმოდგენილ ნაშრომში ასევე განხილულია **ფონდ რ-329-ში** დაცული **აღწ. N 1, საქმე N 28; 33; 37; 40;** არსებული მონაცემები, რომელბიც ეხება რეგიონში მოქმედ წითელი ჯვრისა და შემდგომში წითელი მთვარის ორგანიზაციის საქმიანობას. წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის შედეგად დგინდება ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურ მანქანას ვერც ეს საერთაშორისო სამართლის ეგიდით დაფუძნებული ორგანიზაცია ვერ გადაურჩა და ისიც მკაცრად პოლიტიზირებულ დაწესებულებად გვევლინებოდა, მიუხედავად მისი ჰუმანიტარული პროფილისა. საინტერესოა ასევე ფონდ **რ-283** დაცული მასალები, რომლებიც შეეხება ისეთ ნახევრად გასამხედროებული ტიპის ორგანიზაციას, როგორიც იყო ავიაციისა და ქიმიის ხელშემწყობი საზოგადოება ,,აი", იგივე ,,ოსავიაქიმია". **საქმ. N6; 19** და სხვა, მოცემულია აღნიშნული საზოგადოების მუშაობის პრინციპები და ამოცანები. განხილული გვაქვს ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მსხვილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა როგორიც იყო პროფკავშირები. ფონდი **რ-98-ში დაცული საქმეები აღწ.N 1-ის N 164; 74; 170; 152; 182; 164; და 200** საკმაო წარმოდგენას გვიქმნიან ამ ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპებზე. ასევე მოცემული საარქივო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გავარკვიეთ თუ როგორ ფუნქციონირებდა ეს ორგანიზაცია და რა როლი ჰქონდა მას დაკისრებული მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით. აქვე

უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ აჭარის პროფკავშირებმა რეგიონში გამოავლინა ბავშვთა შრომითი უფლებების არაერთი დარღვევის ფაქტი.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია 1975 წელს გამოცემული დოკუმენტებისა და მასალების კრებული სათაურით: ,,აჭარა საბჭოთა ხელისუფლებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში". მიუხედავად იმისა, რომ წიგნში დაცული დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობა განიცდის კომუნისტურ იდეოლოგიურ მიკერძოებულობას, მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო ვითარების აღდგენის საქმეში. ამავე ხასიათისაა კრებული: ,,აჭარის საბჭოების ყრილობები, დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1937 წწ. ბთ.1971

ბ) ისტორიოგრაფია

საარქივო მონაცემების გარდა ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა პერიოდში გამოცემული ნაშრომები, ასევე ავტორთა კოლექტივების მიერ შექმნილი ისტორიული ხასიათის ნაშრომები.. საკვლევი პერიოდის შესწავლის საქმეში საინტერესო მასალებია მოცემული წიგნში სახელწოდებით: **,,საქართველოს პროფესიული კავშირის ისტორიის ნარკვევები 1905-1970 წწ. თბილისი,1972 გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო"**. მიუხედავად მკაცრად იდეოლოგიზირებული ხასიათისა ძალზედ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით პროფკავშირების საქმიანობის გაშუქების კუთხით. მნიშვნელოვანი ხასიათის კვლევაა მოცემოული წიგნში **,,ბრძოლა ბათუმისთვის 1921წ. 18-20 მარტი.თბ.2011.** მოცემული კვლევის ღირსებად მიგვაჩნია კონიუქტურის გარეშე, მიზეზ-შედეგობრივ ანალიზზე დაფუძნებული მოვლენათა გადმოცემა. საკვლევი პერიოდისათვის ბუნებრივია ვიყენებდით საბჭოთა პერიოდის გამოცემებს, რამდენიმე მათგანზე ზემოთ მოგახსენეთ, ამავე კონტექსტში გვინდა ავღნიშნოთ ასევე ალ.ბაუჟაძის **,,აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისთვის" ბათუმი 1962**. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა". მიუხედავად არაერთი ნაკლისა, მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომლებსაც ვხვდებით აღნიშნულ ნაშრომში კულაკობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ასევე ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საკითხების გაშუქებისას.

საყურადღებოა **მ.გოცირიძის ნაშრომი ,,აჭარის ქალები ახალი ცხოვრების მშენებლები" გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა" ბათუმი 1971**. ჩვენთვის საინტერესოა

ნაშრომში დაცული მონაცემები ქალთა უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. განხილულია რეგიონის ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივ წარმოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომში ასევე განხილულია ქალთა განათლების ევოლუცია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ვიდრე 30-იანი წლების ჩათვლით. ჩვენ შევეხეთ ავტონომიური რესპუბლიკის უფლებრივ მდგომარეობას და სტატუსს, გარდა საარქივო მონაცემებისა ამ კუთხით საინტერესო ინფორმაციის შემცველია ი.გოგილაშვილის **,,ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა" თბ.1960**. გამომცემლობა ,,ცოდნა". აღნიშნული საკითხების გაშუქება მნიშვნელოვანია საკვლევი პერიოდის შესწავლის თვალსაზრისით. სამართლებრივი საკითხების ანალიზისას, რომელიც აუცილებელ გასაშუქებელ საკითხად მიგვაჩნდა ჩვენს კვლევაში, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან ურთიერთქმედების ნაწილში ამ კუთხით საინტერესო იყო **ვ.აბაშმაძის მონოგრაფია ,,საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები" თბილისი 1979.** თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათის შესწავლა წარმოადგენს ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. განსაკუთრებით საინტერესოა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მატარებელ რეგიონებში როგორ იყო გადანაწილებული ხელისუფლებები, როგორ ხდებოდა მათი ფორმირება და სხვადასხვა დონის არჩევნები. მნიშვნელოვანია უფლებამოსილებების არსებული წესის განხილვა და ა.შ. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო კვლევებს წარმოადგენს ჩვენს მიერ გამოყენებული შემდეგი ავტორების ნაშრომები: **მ.ბაღათურიას ,,ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზაცია" თბილისი 1969. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო"** ; **გ.ერემოვის ,,სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები სსრ კავშირში" თბილისი 1955. გამომცემლობა ,,პოლიგრაფკომბინატი კომუნისტი"** საყურადღებოა აგრეთვე **გრ. ერემოვის ნაშრომი ,,ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს დეპუტატი" თბ.1973.** გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო". ამავე კონტექსტში საინტერესო ცნობების შემცველია გრ.ერემოვის მომდევნო პერიოდის ნაშრომი **,,მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან სახალხო დეპუტატის საბჭოებამდე" თბ.1985.გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".** ნაშრომში ვიყენებთ ასევე **ა.**

შუშანაშვილის „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები“ (ნორმატიული აქტების კრებული) თბ.1983. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

რეგიონის ადმინისტრაციულ ტერიტორიული მოწყობის უკეთესად გაგების თვალსაზრისით ჩვენს მიერ გამოყენებულია **ვ.ეზუგბაიას ნაშრომი „საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932წწ) თბ.1973.** აღნიშნული ავტორის მონოგრაფია ჩვენთვის საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს გასხვისებული ტერიტორიების შესახებ მეზობელი სახელმწიფოების სასარგებლოდ ე.წ. „ინტერნაციონალური დახმარების“ კონტექსტში. დემოგრაფიული ვითარების შესწავლის კუთხით საინტერესო მონაცემებს ვეცნობით **კ. ელიზბარაშვილის წიგნში „აჭარის ასსრ მოსახლეობა“ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“თბ.1974**. აღსანიშნავია ასევე ჩვენს მიერ კვლევაში გამოყენებული **კანდიდ ჩარკვიანის** წიგნი **„ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ“ საქ.კპ ცკ-ს გამომცემლობა, თბ.1970.** მოცემულ კვლევაში საინტერესოდაა გადმოცემული საკუთრივ საბჭოთა ეკონომიკური აქტივობების პრინციპები და ამ კონტექსტშიც საყურადღებო ცნობების შემცველია. პარტიის საქმიანობის გაშუქების კუთხით საინტერესო ცნობების შემცველია ასევე ჩვენს მიერ გამოყენებული **ა. სოლოვიოვის წიგნი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები და კონფერენციები“ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.1985**. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივი ვითარების შესწავლის კუთხით საყურადღებო ცნობების შემცველია **ა.მიქელთაძის ნაშრომი „აჭარის ასსრ სოციალური სტრუქტურის საკითხები“ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი 1976.** კვლევაში გამოყენებულ ავტორთა შორისაა **В.Д. Чантуия-ს ნაშრომი „Просвяшение в Аджарии-Батуми“ Госиздат Адж. АССР, 1956 г.** პოლიტიკური ვითარების გაშუქების კუთხით საინტერესო ცნობებს გვაწვდის მკვლევარი **ელენა პრუდნიკოვა ნაშრომში „Берия последний Рицар Сталина- М. 2011г,** „Олма Медиа Групп“. დასავლური ხედვა მოვლენების შეფასებისას საინტერესოდაა გადმოცემული **D.M. Leng-ის ნაშრომში „A MODERN HISTORY OF SOVIET GEORGIA. Grove Press, New York 1962.**

სადისერტაციო ნაშრომში, ზოგადი ლიტერატურის გარდა გამოყენებულია მკვლევართა ნაშრომები, რომლებიც უშუალოდ ეხება საკვლევ პერიოდს. ერთობ

საყურადღებოა ო.თურმანიძის არაერთი კვლევა და სხვადასხვა ნაშრომები, როგორიცაა: **,,საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952) ბსუ გამომცემლობა, ბათუმი 2019.** ასევე აღსანიშნავია ავტორისავე მორიგი წიგნი **,, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940) გამომცემლობა ,,აჭარა" ბათუმი 2012.** საინტერესოა ასევე **ო.თურმანიძის ნაშრომი ,,ერთი სოფლის რეპრესირებულთა ისტორია, ნ.ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ.XII ბსუ გამომცემლობა, ბათუმი 2016.** საკვლევ პერიოდს ეხება მკვლევარ **ი.მანველიძის წიგნი ,,საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში." ბსუ გამომცემლობა, ბათუმი 2006.** აღნიშნულ ნაშრომში მეცნიერული სიზუსტითაა წარმოჩენილი რეგიონში არსებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. ავტონომიის საკითხებზე მსჯელობისას საინტერესოა **უ.ოქროპირიძის წიგნი ,,აჭარის ავტონომიის შექმნა" გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი 2011.** გამოყენებული გვაქვს, **თ.კომახიძის ,,მემედ აბაშიძე" გამომცემლობა ,,აჭარა" ბათუმი 1993, რომელსაც ერთგვარად ავსებს გ.შარაძის წიგნი ,,მემედ აბაშიძე", გამომცემლობა სახალხო წიგნი, თბ-ბთ 1995.** ძალზედ საყურადღებო ცნობებს ვეცნობით **რ.სურმანიძის მონოგრაფიაში ,,ტრაგედია ბათუმში"(1937-1938) გამომცემლობა ,,ივერიონი", თბილისი 2014.** მნიშვნელოვანია ასევე ჩვენს მიერ გამოყენებული **მარკ იუნგეს, ომარ თუშურაშვილის, ბერნდ ბონვეჩის- ავტორობით გამოცემული წიგნი ,,ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში" ტ.2.თბილისი 2015**. ჩვენთვის საინტერესო ცნობებია დაცული **ს.ტაბაღუას რედაქტორობით გამოცემული წიგნში- აჭარის ავტონომია, საარქივო პირველწყაროებსა და მასალებში (1918-1937) გამომცემლობა ,,აჭარა", ბათუმი 2018**. ,,დიდი ტერორის" მსხვერპლს ეხება **ნ.ქიქავას წიგნი ,,საქართველოს დიდი შემომქმედი ჯემალ ქიქავა 1896-1937" გამომცემლობა ,,აჭარა", ბათუმი 2004,** რომელიც ერთგვარად ავსებს რეპრესიების დროს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას. საინტერესო შეფასებებია გადმოცემული მკვლევარ **ო.გოგოლიშვილის ნაშრომში ,,ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში." გამომცემლობა ,,აჭარა", ბათუმი, 2000.** ნაშრომში საინტერესოდაა განხილული ხულოს მაზრის 1929 წლის მარტის აჯანყება, რომელსაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში და რომლის ექოც მომდევნო ათწლეულში გაგრძელდა. ამას ადასტურებს აჯანყებაში მონაწილეების ან აჯანყების

თანამგრძნობთა მიმართ განხორციელებული რეპრესიები. კვლევაში გამოყენებული გვაქვს ასევე **ვ.ზოიძის წიგნი ,,გამართლება“ გამომცემლობა ,,აჭარა“, ბათუმი 1990.** ერთობ საინტერესო კვლევაა **ვ.გურულის ,,სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ მასალები პოლიტიკური პორტრეტისათვის, გამომცემლობა ,,მერიდიანი“ თბ.2000** აქვე დავსძენთ, რომ დასახელებული ავტორის რამდენიმე ნაშრომი გვაქვს გამოყენებული ჩვენს კვლევაში, მათ შორის ელ.ვერიით გადმოცემული. გვერდს ვერ ავუვლიდით **ა. დაუშვილის ნაშრომს ,,აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები“, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი 2009.** ნაშრომში შესაბამის ადგილას დამოწმებული გვაქვს ასევე ერთი საინტერესო კვლევა მეცნიერ **შ. ვადაჭკორიას ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკა“ გამომცემლობა ,,გეორგიკა“, თბილისი 2015.** ტერიტორიული საკითხების გაშუქებისას ძალზედ მნიშვნელოვანი კვლევაა **ს.ვარდოსანიძის და ვ.გურულის წიგნი ,,საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია“ ქართული უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2015.** ძალზედ საინტერესო შეხედულებებია მოცემული **ნ.სონღულაშვილის კვლევაში ,,საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა“ (1921-1991) გამომცემლობა ,,უნივერსალი“ თბ.2018 .**

თავი1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა და ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება

&1 საქართველოს გასაბჭოება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩამოყალიბება, სამართლებრივი სტატუსი

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი მოვლენაა ქვეყნის ძალდატანებითი გასაბჭოება, რომელიც 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა, შედეგად საქართველომ დაკარგა სუვერენიტეტი რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიის ტრაგედიას წარმოადგენს. შესაბამისად ქვეყანას ევრუპული ტიპის სახელმწიფოდ განვითარების გზა დაეხშო. აღნიშნული თემის გაშუქება ისტორიოგრაფიაში დაიწყო გასაბჭოებისთანავე. ცხადია, მოვლენების გაშუქება ხდებოდა ტენდენციურად, აშკარად ამახინჯებდნენ ფაქტებს შეფასებისას, ამისათვის მუშაობდა მთელი სახელმწიფო მანქანა თავისი იძულებითი, ძალადობრივი ინსტრუმენტების გამოყენებით.მარტივად რომ ვთქვათ აყალბებდნენ ისტორიას. ,,…გაყალბებული იყო ისტორია, ტოტალურად მოთვინიერებული მწერლობა...“[**გამსახურდია,2021**]. 1921 წლის თებერვალში განხორციელებული საქართველოს ოკუპაცია ცხადდებოდა როგორც ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლად ბურჟუაზიის ბატონობისაგან. ,,...ცოტა ხნის შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ უხეშად დაარღვია საბჭოთა რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების პირობები,...მან კვლავ დაიწყო სასტიკი რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ...1920 წლის დამლევსა და 1921 წლის დამდეგს საქართველოში სავსებით მომზადდა პირობები შეიარაღებული აჯანყების წარმატებით მოწყობისათვის...“[**თოიძე,1981:21**]. ,,...ეს ნარატივი საბჭოთა კავშირის არსებობის დადასტურებას ემსახურებოდა. ისტორიული ნარატივის მნიშვნელობა სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნების საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა 1970-80-იან წლებში, როცა ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე, სსრკ-მ ცხოვრება მოგონებებით დაიწყო-მეხსიერება დიდებულ წარსულზე, სსრკ-ს არსებობის გაგრძელების გამართლების მთავარ არგუმენტად იქცა...“[**კაპიტანოვი:8**].

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საქართველომ დაიბრუნა ადგილი ცივილიზებული მსოფლიოს თანამეგობრობაში. ბუნებრივია დღის წესრიგში დადგა გაყალბებული ისტორიის გადაფასება. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, ვინაიდან საკვლევი პერიოდის მასალების საკმაოდ დიდი ნაწილი ან რუსეთშია გატანილი ან კიდევ განადგურებულია, მიუხედავად ჩვენი საკვლევი თემის სპეციფიკისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო აჭარაში გასაბჭოების შემდეგ. ასევე რამდენადმე შევეხებით ავტონომიის შექმნის იდეას და სამუსლიმანო საქართველოს როლს ამ საქმეში. ამ საკითხების წარმოჩენის გარეშე, ბუნებრივია, გაძნელდებოდა მომდევნო, ოცდაათიან წლებში მომხდარი ისტორიული პროცესების სრულყოფილი ანალიზი. ასევე ხასგასმით აღსანიშნავია, რომ 1921 წელს რეალურად არსებობდა აჭარის საქართველოდან ჩამოცილების და თურქეთთან მიერთების საბრთხე.

1921 წლის 11 თებერვლიდან საქართველოში არსებული მეხუთე კოლონის ინსპირირებით ეწყობა ე.წ. ,,აჯანყება“ ლორეს ოლქში. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიოგრაფიაში ერთხმადაა მიღებული ის გარემოება, რომ არავითარ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია და იგი არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ინტერესებს, შულავერის მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიც შდიოდნენ: ,,... ფილიპე მახარაძე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი ომარი, გეგეჭკორი ალექსანდრე და კვირკველია, მოქმედებდნენ, როგორც რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები,...“[**სურგულაძე,1991:394-394**] ცნობილია ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა საქართველოს დამოუკიდებლობას არათუ არ ეგუებოდა, არამედ ოფიციალურად მოიხსენიებდა ,,საბჭოთა რესპუბლიკად“. ,, ...პოლიტიკური მოსაზრებით საბჭოთა რუსეთს არ სურდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1921 წლის 12 თებერვალს დაწყებული საომარი მოქმედებები რუსეთ-საქართველოს ომად წარმოჩენილიყო, ამ მიზნით 1921 წლის 16 თებერვალს მოსკოვს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჰყავს მის მიერვე შექმნილი ... საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ [**საქართველოს ისტორია,2003:108**]. რევკომის ხელშეწყობით სომეხი

ეროვნების მოსახლეობა ახერხებს ლორეს დაკავებას, ეს ბუნებრივია რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მხრიდან, შესაბამისად რევკომის ჩანაფიქრიც ეს იყო, ბოლშევიკებმა ეს ფაქტი გამოიყენეს საქართველოში საოკუპაციო ჯარების შემოყვანის საბაბად.

გეგმა წინასწარ იქნა შემუშავებული და ბოლშევიკები ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. თუმცაღა ისინიც ფრთხილობდნენ საქართველოში შემოჭრას. საბჭოთა რუსეთმა წარმატებით გაართვა თავი ოსმალეთთან პოზიციების შეჯერებას. ,,...საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის და საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის თანხმობით მოხდა, დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენა“.[**ვარდოსანიძე,2015:5**] ძნელია არ დაეთანხმო ნ.კირთაძეს, რომელიც სამართლიანად შენიშნავს რენეგატი ქართველების საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ბოლშევიკური ოკუპაციის საქმეში.[**კირთაძე,1996:5-6**]. სრულიად გასაზიარებელი პოზიციაა, მენშევიკური მთავრობა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე და ერთგავრი მიამიტურობითაც კი გამოირჩეოდა. ნოე ჟორდანიას არწმუნებდნენ რუსეთიდან, რომ მათთვის ინტერვენციის შესახებ არაფერი იყო ცნობილი და რომ ეს მოქმედება სომხეთის მიერ არის ინსპირირებული. მაშინ როცა სომხეთის მთავრობის წარმომადგენელლი შავერდოვი მზად იყო მოლაპარაკების გამართვისათვის. ,,... 15 თებერვალს შეიმანმა (რუსეთის წარმომადგენელი თბილისში) ბაქოდან მიიღო დაშიფრული ტელეგრამა: ,,გადაწყდა რუბიკონის გადასვლა, იმოქმედეთ ამ გადაწყვეტილებასთან შეთანხმებით... 16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ მიმართა მოსკოვს, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ლ.კარახინმა უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე...“[კირთაძე,1996:6-7]. ,,...საბჭოთა რუსეთს ახასიათებს კომუნისტური ტოტალიტარიზმი, რომელიც თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება ადამიანის და ერის უფლებათა განხორციელებას, სანამ ეს რეჟიმი არსებობს მოსკოვში ჩვენს განთავისუფლებაზე (და სხვა ერებისაც) ლაპარაკიც ზედმეტია...“[**მებრძოლი საქართველო,1952:1**]. სამწუხაროდ აღნიშნული გვიან იქნა აღქმული დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური კლასის მიერ.

დემოკრატიულ საქართველოს თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში უამრავი გამოწვევა ქონდა. ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ფაქტორი ჩვენი

აზრით, რომელმაც განმსაზღვრელი როლი ითამაშა სუვერენიტეტის დაკარგვაში, მდგომარეობდა არა იმდენად ეროვნული თანხმობის მიუღწევლობაში, არამედ შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც საბოლოო ჯამში, საქართველოს სასარგებლოდ არ განვითარდა. სოციალ დემოკრატები ყველაზე უფრო ახლოს იდგნენ მოსახლეობასთან ვიდრე ნებისმიერი სხვა პოლიტიკური პარტია. ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება სუვერენიტეტის დაკარგვის საქმეში ეროვნული თანხმობის მიუღწევლობა დასახელდეს მთავარ მიზეზად, არ მიგვაჩნია მართებულად. საქართველო იმ არასრული სამწლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე ვითარდებოდა, როგორც ევროპული სახის დემოკრატიული ქვეყანა და პოლიტიკური პარტიებიც, ბოლშევიკების გარდა, აღიარებდნენ და ღებულობდნენ თამაშის იმ წესებს, რომლებიც არსებობდა ევროპაში პარტიებს შორის ურთიერთობისას. ამიტომ პრესის ფურცლებზე განვითარებული პოლემიკა ან საპარლამენტო დებატები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირებად და ეროვნული თანხმობის მიუღწევლობად არ უნდა ჩაითვალოს. თუმცა ამავდროლად მენშევიკები გამომდინარე თავიანთი პარტიის პოლიტიკური ფილოსოფიიდან, რევოლუციურ პრიზმაში განიხილავდნენ მოვლენებს. მათ შორის სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციაზე, როგორიცაა ჯარი. ამ საკითხზე არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. გენერალი გ.კვინიტაძე თავის ნარკვევში, ,,ჩემი პასუხი“ აღნიშნავს, რომ მენშევკური მთავრობა არ იჩენდა სათანადო ყურადღებას ჯარის მიმართ, რადგან ის არ მიაჩნდათ პარტიული და სოციალისტური შეხედულებების მქონე ორგანიზმად. ჯარში კი გენერლები თუ ოფიცრები შორს იდგნენ სოციალიზმისაგან, როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური პლატფორმისაგან, ამიტომაც ნოე ჟორდანიას მთავრობა უნდობლობით უყურებდა არმიის ხელმძღვანელობას. [**კვინიტაძე,1954:9**]. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის ძირითად დასაყრდენ ძალად გვარდია ითვლებოდა. გენერალ გ.კვინიტაძის აზრით გვარდია იყო აბსოლუტურად უვარგისი ბრძოლისათვის, რომელიც განსაკუთრებულად დადასტურდა 1921 წელს ჩვენს უკანასკნელ ომში [კვინიტაძე,1954:13]. დაპირისპირება არმიის გენერალსა და მთავრობის თავჯდომარეს შორის გაგრძელდა პარიზში, ემიგრაციაში ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზეც.

საბჭოთა ინტერვენცია ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთიდან საქართველოს წითელი, მერვე არმია უტევდა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მეთერთმეტე, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისის მიმართულებით მეცხრე არმია ახორციელებდა შეტევით ოპერაციებს. აფხაზეთიდან ბუდიონისა და ჟლობას სამხედრო ნაწილები ახორციელებდნენ შეტევას. პარალელურად საქართველოს სამხრეთ დასავლეთიდან დაემუქრა თურქული ოკუპაციის საფრთხე. ასეთ ფორსმაჟორულ ვითარებაში არმიის სარდლად ინიშნება გ.კვინიტაძე. დემოკრატიული საქართველოს არმია ვერ გაუმკლავდებოდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოტევებს ყველა მიმართულებით, ამიტომ არმიისა და მთავრობის ერთოლივი მონაწილეობით მიიღეს თბილისის დატოვების გადაწყვეტილება იმ განზრახვით, რომ ბრძოლას გააგრძელებდნენ მცხეთიდან, ბოლოს ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს სხვა სტრატეგიული პუნქტებიდან.1925 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა თბილისი დაიკავაეს. [**რეხვიაშვილი,2019**]. მომდევნო წარუმატებელი ბრძოლების შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და არმიის შტაბი ბათუმში გადავიდა. ამასთან თურქეთის მიერ ბათუმისა და მთლიანად აჭარის დაპყრობის საფრთხე გაიზარდა. თბილისში მყოფმა წითელი არმიის ხელმძღვანელობამ საჭიროდ სცნო მოლაპარაკება გაემართა დასავლეთ საქართველოში მყოფი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის კანონიერ წარმომადგენლებთან. ქართულ ჯარს არც ქუთაისი დაუტოვებია უომრად. მთელ ფრონტზე უმძიმესი ვითარება იყო შქმნილი, ამ სიტუაციაში ფრონტის ხელმძღვანელობა დაევალა გ.მაზნიაშვილს. მთავრობა ბათუმში გადავიდა. მაშასადამე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო აღმოჩნდა არსებობის საფრთხის წინაშე. ოკუპანტების წინააღმდეგ ძალების ორგანიზება ვერც შემდგომში მოხერხდა. 1921 წლის 17 მარტს ქუთაისში შედგა მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულის გრიგოლ ლორთქიფანიძესა და ახლად შექმნილ საქართველოს რევკომს შორის.[**ზოსიძე,2014:293**]. ,,...უცხოეთში წასასვლელად გამზადებულმა საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ არჩია ბათუმი საბჭოთა ხელისუფლებისათვის გადაეცა“. [**ბრძოლა ბათუმისათვის,2011:7**]. საგარეო თვალსაზრისითაც მეტად არახელსაყრელი ვითარება იყო შექმნილი. საგარეო ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ,,საქართველო რუსეთთან თითქმის

ერთი-ერთზე იყო დარჩენილი. ფრანგული ფლოტი აფხაზეთის ფრონტზე გვეხმარებოდა, მაგრამ სხვა მხრივ საქმე რთულად იყო.“[**სილაქაძე,2020:1**]

უაღრესად საინტერესო ინფორმაციაა გადმოცემული 1954 წლის აშშ წარმომადგენელთა პალატის N მე-6 სპეციალურ დადგენილებაში, მასში დეტალურადაა გადმოცემული გასაბჭოების წინარე და მომდევნო ხანის ისტორია. ,,...მოსკოვს განზრახული ჰქონდა საქართველოში შეჭრა, და ვერანაირი გარე ძალა მას ვერ შეაჩერებდა. უდავოა, რომ საქართველოზე იერიშის მიტანის მთავარი წამქეზებელი იყო სტალინი, რომელსაც სძულდა საქართველო, იმის გამო, რომ ქართველებმა იგი არ აღიარეს. სავარაუდოდ ლენინი წინააღმდეგი იყო საქართველოში შეჭრისა, მას ეშინოდა იმ რეაქციის რომელიც ამ აგრესიას შეიძლება მოჰყოლოდა.“[**რამიშვილი,2009**]. უდავოდ საყურადღებო განცხადებაა, მითუმეტეს როდესაც ჩვენს მიერ წარმოდგენილი შესაბამისი არგუმენტაციის შედეგადაც დგინდება ბოლშევიკების მხრიდან საქართველოს ოკუპაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. სენატის ზემოხსენებული კომიტეტის დასკვნით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო. ჩვენი აზრით სენატმა მოახერხა გამოეყო არსებითი ხასიათის მიზეზი რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციისა, კერძოდ კომუნისტების იმ ფაქტთან შეურიგებლობის გამო, რათა მათ საზღვართან არ ეარსება დემოკრატიულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც, როგორც მაგნიტს შეეძლო მიეზიდა კავკასიის სხვა ხალხები. ამ თეზისებისადმი დაუთანხმებლობა არ შეიძლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი პრობლემა დღესაც კი უდგას საქართველოს სახელმწიფოს. რუსეთის ფედერაციას არც დღეს აწყობს მის მეზობლად დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა, რომელიც მას ეგზისტენციალურ საფრთხედ მიაჩნია. 1921 წლის 24 მარტს საქართველოს რევკომმა მიიღო დადგენილება საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის თაობაზე.[**საქართველოს ისტორია,2003:110**] რევკომმა გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი და სხვა ტიპის სასამართლოებიც. საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა გარკვეული ტაქტიკური ნაბიჯები გადაედგა რასაც საქართველოს მოსახლეობაში უნდა შეეტანა დადებითი იმიჯი საბჭოთა რუსეთის მოქმედების შეფასების საკითხში. 1921 წლის 2 მარტს ლენინი სერგო ორჯონიკიძესა და საქართველოს რევკომს სწერდა :

,,უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად როდი იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი.[**ბენდიანიშვილი,1999:291**] როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟორდანია წინააღმდეგი იყო ბოლშევიკებთან კავშირისა. საქართველოს მთავრობას და ბოლშევიკებს შორის მხოლოდ ერთ საკითხში მოხდა შეთანხმება, ეს იყო ბათუმის საკითხი, რომელიც ბუნებრივია ეროვნული, სახელმწიფოებრივი პოლიტიკით იყო განპირობებული. ჩვენს მიერ მოყვანილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება განვაცხადოთ შემდეგი, რომ დემოკრატიული საქართველოს მთვარობაში მართლაც შესაძლოა ყოფილიყო კონფორმისტულად განწყობილი სუბიექტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ლენინს უბრალოდ არ ექნებოდა საფუძველი გამოეთქვა მოსაზრება მომხდარიყო გარკვეული ტიპის თანამშრომლობა ქართველ მენშევიკებთან. ამ ეჭვს აღვივებს ისიც რომ თავად გ.კვინიტაძე ბრალად სდებდა ჟორდანიას ბოლშევიკებთან თანამშრომლობას, ასევე აშშ წარმომადგენლბით პალატის ჩვენს მიერ დასახელებული დადგენილება სადაც მოყვანილია ბოლშევიკების ლიდერის (ლენინის) დამოკიდებულება ქართველ მენშევიკებთან თანამშრომლობის სურვილზე. საქართველოში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა, საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო ძალა რუსეთის საბჭოური იმპერიის მეთერთმეტე წითელი არმია იყო, რომელიც ე.წ. კავკასიის განსაკუთრებულ არმიად მოინათლა. [**სილაგავა,2007:303-304**]

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ.ლომინაძე წერდა: ,,... ჩვენს რევოლუციას საქმის დაწყება იმით მოუხდა, რომ საქართველო წითელი არმიის ხიშტებით დაიპყრო, წითელი არმიისა რომელიც ქართველმა პატრიოტებმა გარეშე, უცხო ძალად მიიჩნიეს, თვით საბჭოთა რევოლუციას ... რუსის ჯარის მხრივ ოკუპაციად წარმოგვიდგენდნენ.“ [**თოიძე,1991:123**]. ,,…1925 წელს რუსული იდეოლოგიის ისეთი აღიარებული იდეოლოგიც კი, როგორიც ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფესორი ნიკოლაი ტრუბეცკოი იყო, წერდა, რომ 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცდილების გამო, განახლებული რუსული იმპერია ვეღარ შეძლებდა ქართველებისთვის თუნდაც შეზღუდულ ავტონომიაზე უარის თქმას...“[**ბადრიძე,2020**]. 1921 წლის 6 დეკემბრის ანგარიშში გაგზავნილი

რუსეთის კომუნისტური პარტიისადმი, ფილიპე მახარაძე წერდა: ,, საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარად გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე. საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არცერთი პარტიული იაჩეიკა, არც მეტი რომ არა ვსთქვათ პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწყობა, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან და პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა..“ [**ხვადაგიანი,2019**].

,,...1921 წლის 21 მაისს დაიდო ,,მუშურ გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება, ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთის თვითგამორკვევასა და სუვერენულ უფლებებს, ორივე ქვეყანას შორის დამყარდა სამხედრო და სამეურნეო კავშირები, რუსეთი ვალდებულებას იღებდა დახმარება გაეწია საქართველოსთვის ადგილობრივი წითელი არმიის ჩამოყალიბების საქმეში.[**ზოსიძე,2014:235**]. რეალურად საქართველომ დაკარგა სუვერენიტეტი, საქართველო ფორმალურად ინარჩუნებდა რესპუბლიკის სტატუსს, ისევე როგორც სხვა დანარჩენი რესპუბლიკები.

ძალზედ საყურადღებო სტატია აღმოჩნდა გაზეთ **,,ტრიბუნა“-ში** [**1922წ. N333,გვ.1**] აღნიშნული სტატია პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. იგი ახმოვანებს გარკვეული ჯგუფის დამოკიდებულებას სუვერენიტეტთან დაკავშირებით, სტატიაში ნათქვამია: ,,... ჩვენ ვიცავთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, კავშირზეა ლაპარაკი ამ პროექტშიც, მაგრამ ჩვენს შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ჩვენ ვიცავთ ისეთ კავშირს რომელიც შედგება თანასწორუფლებიანი წევრებისგან, თანაბარი ხმით და მათთვის სუვერენობის დატოვებით. პროექტი კი იცავს ისეთ გაერთიანებას, რომელის წევრები წარმოდგენილი არიან არა თანასწორად არამედ პროპორციის მიხედვით და აგრეთვე სუვერენობის ცენტრზედ გადატანით. ასეთი გაერთიანება უდრის ცალკე რესპუბლიკების გაუქმებას...“ სტატიის ავტორთა აზრით უნდა მომხდარიყო საერთო საკავშირო ორგანოების შექმნა და არა სრული გაერთიანება საკავშირო ცენტრში, ე.ი. გარკვეული სუვერენული უფლებების მატარებელი ორგანოების ჩამოყალიბება იყო მათი(სტატიის ავტორთა) პრიორიტეტი. ასე მაგალითად, შეთანხმებული, ერთიანი ორგანოების გადასაწყვეტი უნდა ყოფილიყო სამხედრო საზღვაო საქმე, კავშირგაბმულობის და საგარეო პოლიტიკის, ხოლო რაც შეეხება სხვა დანარჩენს

რესპუბლიკები უნდა ყოფილიყვნენ დამოუკიდებელნი. მათი აზრით რესპუბლიკებს უნდა ჰქონოდათ დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უფლებაც. ,,...ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ საჭიროა ... საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი დამოუკიდებლად შევიდნენ საერთო კავშირში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს აეკრძალოთ ურთიერთ შორის შეთანხმება და საერთო ორგანიზაციების მოწყობა, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგები ვართ, ზედმეტად მიგვაჩნია, რომ საერთო კავშირის წევრებს შორის დარჩეს ან შემდეგში შეიქმნას პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კავშირი.ე.ი. არსებობდეს კავშირის შიგნით კიდევ ასეთივე კავშირი. ეს არც მიზანშეწონილია და არც საჭიროება მოითხოვს". [**გაზ.ტრიბუნა,1922:1**]. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: საქართველოში არსებობდნენ ძალები, რომლებიც შეფარულად ცდილობდნენ გაეტარებიათ ნაციონალური პოლიტიკა უმძიმესი წნეხის ქვეშ. სამწუხაროდ სტატიას არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას ზუსტად დაგვედგინა მათი ვინაობა, სტატიის ავტორად მითითებულია ,,ომეგა", ერთი რამ კი შკარაა რომ იგი გამოხატავს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს. საკუთრივ გაზეთი ტრიბუნა სოციალისტ ფედერალსტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო იყო. რომლებიც ერთგვარად შეფარულად გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებას სუვერენიტეტთან მიმართებით. იმ პერიოდში აღნიშნული ტიპის განცხადების ასე საჯაროდ დაფიქსირება დიდი რისკის შემცველი იქნებოდა ამ ჯგუფისათვის და მათი შეხედულებების გამზიარებელი პირებისთვისაც. გამოსჭვივის ფარული აზრი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დატოვებისა თუკი საბჭოთა კავშირში გაერთიანება დაათმობინებდა საქართველოს სუვერენიტეტს. სტატიის ავტორთა აზრით სრულად შესაძლებელი ყოფილა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე რესპუბლიკებს ჰქონოდათ ასევე საკუთარი პოლიტიკა, თუმცა ამ ნაწილში საერთო სამოკავშირეო შეთანხმების აუცილებლობასაც ითვალისწინებდნენ. ასევე საინტერესოა ჯგუფის მოსაზრება, რომელიც ითვალისწინებს საერთო კავშირში ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებელი ერთეულების სახით გაერთიანებას. ბოლშევიკების ნაციონალური პოლიტიკა, ბუნებრივია ცხადი იქნებოდა ამ ჯგუფისათვის, ამიტომაც მათი დამოკიდებულება ძალზედ დასაფასებელი ფაქტია. ,,...როგორია ბოლშევიკების პოზიცია? რევოლუციის

შემდეგ პატარა ერები გაერთიანდებიან დიდ ერად ერთ სახელმწიფოში. მათ არ ექნებათ სახელმწიფო და საზღვრები...ბოლშევიკები მიისწრაფვიან სახელმწიფო საზღვრების სრულ მოსპობას, ამრიგად ეროვნული კულტურის, ენის დაკარგვის ლენინურ პრინციპს ემატებოდა ეროვნული საზღვრების უკუგდების პრინციპიც...“[**ახტანელი,2008:55**]. 1921 წლის 25 თებერვალს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა ,,...ასეთ პირობებში ლენინს გაუჩნდა იდეა, მისაღები კომპრომისი შეეთავაზებინა ნოე ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეებისათვის“ [**საქართველოს ისტორია,2012:267**] ,,... საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მსვლელობის პროცესში გამოცემული დეკრეტი N1 (1921წ.25 თებერვალი) ვ.ლენინისეულ სატყუარ ანკესს წარმოადგენდა და საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურად, ნებაყოფლობით განიარაღებაზე იყო გათვლილი“ [**ა უ ი ს, 2015:101**]. ქართული ემიგრაცია მაქსიმალურად ცდილობდა ევროპასთან კავშირის დამყარებას და ამ მიზნით ხშირი იყო ვიზიტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის უსამართლობაში, საყურადღებოა, რომ 1921 წელს გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა სიტყვით: ,,...საქართველოს თავისუფლება არის ჩვენი თავისუფლება. ... ქართველ ხალხს სრული უფლება აქვს დაიბრუნოს დამოუკიდებლობა ...“ [**სონღულაშვილი,2018:18-19**]. მიუხედავად ემიგრაციის მცდელობისა გამოენახათ გზები და დაერწმუნებიათ საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის აგრესიაში, მათ მხოლოდ მორალური მხარდაჭერა ქონდათ. არავითარი პრაქტიკული ქმედებები არ მოჰყოლია დასავლეთის სახელმწიფოთა მხრიდან. ,,...1924 წლის 2 თებერვალს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. იმავე წელს აღნიშნულ გზას დააგნენ ევროპის ქვეყნები...ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირედ საბჭოთა რუსეთი აირჩიეს და კარი მიუხურეს განსაცდელში მყოფ საქართველოს.საქართველო მარტოდმარტო დარჩა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში“[**ნიქაბაძე,2008:261-26**2].

ერთადერთი საკითხი რაზეც მოხდა შეთანხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასა და ბოლშევიკებს შორის ეს იყო ბათუმის

საკითხი, ვინაიდან თურქეთის მხრიდან განხორციელდა ინტერვენცია ბათუმის ,,ოკრუგის“ დასაკავებლად, რომელსაც თავის მხრივ გარანტირებული ქონდა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტული საზავო ხელშეკრულების თანახმად. საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება ორ ფრონტზე ბრძოლას ვერ ახერხებდა, ვითარება უკიდურესად არახელსაყრელი იყო, ამიტომ 1921 წლის 23 თებერვლისათვის დატოვა ართვინის, არტაანის და ოლთისის ოლქები(ოკრუგები), შესაბამისად 7 მარტისათვის ამ ტერიტორიაზე თურქეთის საჯარისო შენაერთები განლაგდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად თურქეთს უნდა დაეტოვებინა ბათუმი აჭარითურთ, შექმნილ ვითარებაში ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა ბათუმის დატოვებაზე. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება რათა გამოეხსნათ აჭარა და ბათუმი თურქეთისგან. ,,...რუსული სამხედრო დაზვერვა გამუდმებით უთვალთვალებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს და დაწვრილბით სწავლობდა ადგილობრივ პოლიტიკურ კონიუნქტურას,რამაც აზერბაიჯანში ელვისებური გამარჯვების წინაპირობა შექმნა.წითელი კომისრების თვალსაწიერზე უკვე საქართველო და ამიერკავკასიის საზღვაო კარიბჭე-ბათუმი გამოჩნდა...” [**რესპუბლიკა-100**] 1921 წლის 17-18 მარტს მოლაპარაკება შედგა ქუთაისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებსა და რუსეთის მხარეს შორის, მოლაპარაკებას ესწრებოდნენ საქართველოს რევკომის წევრებიც. [**სდს ინ,2012:37**]. **საბედისწერო 1921 წელს საქართველომ დაკარგა არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არამედ ოცი ათასი კვ.კმ ტერიტორიაც**. [**საქართველოს ისტორია,2012:268**]. იგივე საკითხია გაშუქებული ოდნავ განსხვავებული ციფრებით სხვა ნაშრომში. ,,...**ამგვარად ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19.491 კვ.კმ სივრცე.[თოიძე,1991:184-185]. სხვაობა 509 კვ.კმ-ია, ჩვენი აზრით ეს ხარვეზი დასაზუსტებელი და დასადგენია.** 1921 18 მარტს საქართველოს საქართველოს დემოკატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე ჟორდანიას ჩათვლით ემიგრაციაში წავიდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან. მანამდე კი საქართველოს დემოკრატიული მთავრობა 17-18 მარტის მოლაპარაკებების შედეგად ბოლშევიკებთან ვალდებულებას ღებულობდა შეეწყვიტა საომარი მოქმედებები წითელ არმიასთან. [**ს**

დ ს ი ნ,2012:37]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გონივრული გადაწყვეტილება იყო ბათუმისთვის ერთობლივი ბრძოლის გაგრძელება, რომელიც ბუნებრივია საქართველოს ეროვნულ ინტერესებში შედიოდა. საბჭოთა რუსეთისთვისაც ბათუმი სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, მას ასევე დიდი ეკონომიკური მნიშვნელობაც გააჩნდა. ბათუმის პორტი წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას ბაქოს ნავთობის ექსპორტირებისათვის. მისი გამართული ინფრასტრუქტურა, სარკინიგზო მაგისტრალი და სხვა კომუნიკაციები ერთობ მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. საბჭოთა ჯარის სარდალმა ჟლობამ უარი თქვა აჭარა-ბათუმში შესვლაზე. განმათავისუფლებელი როლი შეასრულა რუსეთისაგან დამარცხებულმა ქართულმა არმიამ და აჭარელთა რაზმმა, რომელსაც მეთაურობდა გენ.გიორგი მაზნიაშვილი და საქართველოს მთავრობის თავჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც მთავრობას ემიგრაციაში არ გაჰყოლია.[**საქართველოს ისტორია, 2012:268**]

ჩვენი მოსაზრებით, რომელიც ეყრდნობა წარმოდგენილ ფაქტობრივ მასალას, გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ შემდეგი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აღმოჩნდა რა უმძიმეს ვითარებაში, დგამდა არათანმიმდევრულ ნაბიჯებს, რომლებიც ნაკარნახევი იყო ცვალებადი პოლიტიკური ვითარების გამო. დემოკრატიულ მთავრობას რაღაც ეტაპზე თურქეთთან მოლაპარაკების იმედიც კი ჰქონდა და იმედოვნებდა მისი ძალების გამოყენებას ბოლშევიკური ინტერვენციის წინააღმდეგ. ბუნებრივია, ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ვინაიდან ბოლშევიკურ რუსეთსა და თურქეთს შორის კარგა ხანია დამყარდა მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა და ისინი მნიშვნელოვან ტერიტორიულ გადანაწილებებზე იყვნენ შეთანხმებულნი. თუმცა აქვე უდა დავსძინოთ, რომ მხარეები ურთიერთშორის დადებულ შეთანხმებებს იმთავითვე არ განიხილავდნენ, როგორც ერთადერთ და იმპერატიულად ამოსავალ წერტილს მათ ურთიერთობებში, ორივე მხარე მოქმედებდა საკუთარი ინტერესების შესაბამისად და ყოველი ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე ღიად აცხადებდნენ ახალ ტერიტორიულ პრეტენზიებს. ქუთაისში შემდგარი მოლაპარაკება თუ შეთანხმება საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის შეიძლება განვიხილოთ, როგორც დადებითი მოვლენა, დადებითი

უპირველესად დემოკრატიული მთავრობის მხრიდან, ვინაიდან მათი პოზიცია იყო ეროვნული ინტერესების შესაბამისი. მათი აზრით ბათუმის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს სასარგებლოდ და არ ჰქონდა მნიშვნელობა სახელმწიფო მმართველობის ფორმა დემოკრატიული იქნებოდა თუ საბჭოთა. ამიტომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბოლო ნაბიჯი უნდა შეფასდეს, როგორც უაღრესად ეროვნული მნიშვნელობის გადაწყვეტილებად.

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესაბამისად საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი შეთანხმდნენ მნიშვნელოვან ტერიტორიულ გადანაწილებაზე. ხელშეკრულება შეეხო ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებს და ასევე ბათუმის ,,ოკრუგსაც“. ამ ტერიტორიებს ეხებოდა აღნიშნული ,,სეპარატისტული“ ხასიათის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი. რუსეთი იღებდა ვალდებულებას რომ უპირობოდ დაეცალა აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორია თავისი საჯარისო შენაერთებისაგან და გადაეცა იგი თურქეთისათვის. რუსებს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინათ ასევე არდაგანის, ყარსის და ბათუმის ,,ოკრუგები.“[**გურული,2012:82**]. ბოლშევიკებმა 1918 წლის ბრესტის ზავით თურქეთს დაუთმო არა მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი მიწები, არამედ ოსმალეთს გადასცა ამიერკავკასის პროვინციები, ბათუმი, ყარსი, არტაანი, რომელზეც ბუნებრივია არ ვრცელდებოდა მისი იურისდიქცია. თურქეთი ამ ტერიტორიების ანექსიის სანაცვლოდ რუსეთს სამხრეთ კავკასიას, ანუ საქართველოსა და სომხეთს უთმობდა. ჟორდანია და მისი მთავრობა სასტიკი წინააღმდეგი იყო ბოლშევიკების მიერ შემუშავებული სეპარატისტული ზავისა. ,,...ისეთ ზავს როგორსაც ბოლშვიკები გვთავაზობენ ჩვენ ხელს არ მოვაწერთ. უმჯობესია დავიხოცოთ ვიდრე თავი მივცეთ შთამომავლობას სამუდამო წყევლა-კრულვისათვის“[**ბრესტის ზავი, 1918**]. ,,... ოსმალეთს არ მოსწონს ამიერ-კავკასიის მთლიანობა. თათრები ულტიმატუმისთვის მზად არიან. ჩვენ არ შეგვიძლია მისი მიღება, არ ძალგვიძს სომხის ერი მტერს მივსცეთ ხელში. ერთიანი ამიერ-კავკასია ჰღაფავს უკანასკნელ დღეებს. შეიძლება შემდეგ შეიქმნას ამიერ კავკასიის კონფედერაცია, მაგრამ ახლა კი იშლება. დღეს თვითეულმა ეროვნულმა ერთეულმა თვით უნდა იზრუნოს თავის მართვა-გამგეობაზე...“[**ჟორდანია,ტ1**.] ,,... სეიმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა ამიერკავკასიის დაცვა თურქეთის ჯარებისაგან,

რადგან ბოლშევიკურმა რუსეთმა 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავით თურქეთს დაუთმო არამხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს დაპყრობილი მიწები, არამედ ივალდებულა სტამბოლისათვის გადაეცა ამიერკავკასიის პროვინციები - ბათუმი, ყარსი და არდაგანი. თურქეთი ამ ტერიტორიების ანექსიის სანაცვლოდ რუსეთს სამხრეთ კავკასიის, ანუ საქართველოსა და სომხეთს უთმობდა“[**ბორავსკი,2006**]. ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც ასევე განაპირობა თურქეთის მიერ ბათუმის ოკუპაცია 1921 წლის თებერვალში მდგმარეობდა შემდეგში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება მოხდა ექსტრაორდინალურ ვითარებაში, მთავრობა უამრავი ეგზისტენციალური პრობლემის წინაშე იდგა, მას არ შეეძლო დაეცვა ეროვნული ინტერესები სრულად, ბუნებრივია ეს განპირობებული იყო ობიექტური მიზეზებით. 1918 წლის 4 ივნისს თურქების მიერ ოკუპირებულ ბათუმში დაიდო შეთანხმება საქართველოს დმოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთს შორის. საქართველოს მთავრობისთვის და არა მარტო მთავრობისთვის, ზოგადად ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი დათმობა მოხდა, კერძოდ თურქეთსა და საქართველოს საზღვარად მიჩნეულ იქნა პატარა მდინარე ჩოლოქი, დღევანდელი აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვარი.[**გურული,2012:84-85**]. იგივე ფაქტს ადასტურებს ა.ხ.აბაშიძე წიგნში **„Аджария” М. 1998г** გვ.293/293 ეხება რა საქართველოსა და თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვრის ერთ მონაკვეთად მდ.ჩოლოქზე გავლებას.

თუმცა ამ დოკუმენტის რატიფიცირება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან არ მომხდარა. გადაწყვეტილება იძულებითი ნაბიჯი იყო. სწორედ ეს ფაქტი იყო თურქეთის მხრიდან გამოყენებული 1921 წელს ბათუმის ოკუპაციის მიზეზაად და საბაბად. ,,...საქართველოს დიპლომატიური კორპუსის მხრიდან რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, ...საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში, რუსეთისადმი ოსმალეთის არდაპირისპირების საფასურად, ამ უკანასკნელს არტაანისა და ართვინის ოკრუგების მისაკუთრების რეალური გარანტიები შესთავაზა...“[**ვადაჭკორია,2015:99-100**]. მეცნიერი შოთა ვადაჭკორია შენიშნავს:,, ...საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან, ბათუმის ოკრუგის მდინარე ჩოლოქამდე ოსმალეთისადმი დათმობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება არცერთი

საარქივო დოკუმენტით არ დასტურდება... [**ვადაჭკორია,2015:121**]. ისტორიოგრაფიაში არის არგუმენტირებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის არსებობდა ფარული შეთანხმება ტერიტორიების საკითხზე, საქმე ეხება 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებას და ე.წ. საიდუმლო შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიების შესახებ, ასევე მისი დაკავების შესაძლებლობაზე მხარეთა მიერ.[**თურმანიძე,2012:44**]. ,,... მე ვიცოდი, რომ ოსმალეთს კავშირი ჰქონდათ რუსეთთან და რუსეთი ვერ ჩაებმებოდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის ატეხილ ომში, მე გადავწყვიტე რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, საბჭოთა ჯარების მოსვლამდე, ოსმალები ბათუმის ოლქიდან უნდა გაგვედევნა.[**მაზნიაშვილი,1927:200**]. გენერალმა გ.მაზნიაშვილმა მოახდინა ძალების კონსოლიდირება და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად შეძლო ბათუმის სრულად გამოხსნა თურქთა ჯარისაგან. 20 მარტისთვის ბათუმი მთლიანად გათავისუფლდა თურქებისაგან. ზურაბ ავალიშვილი წერდა: ,,...როცა 1921 წელს თებერვალ მარტის მძიმე დღეებში საქართველო გააწვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა-საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა, რომ ავადმყოფი გააბრუა და ოპერაციისთვის მოამზადა მასზე არანაკლებ გამოცდილმა, თუმცა არა მასავით გამბედავმა სოციალ დემოკრატიამ.“ [**https://gmas.ge/2016/სიახლეები/8102**] ,,საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები ურთულესი იყო. სიტუაიას ართულებდა განმათავისუფლებელი კომიტეტის, სედაი მილეთის, ქემალისტური, მენშევიკური და კერძო ინტერესების მქონე ჯგუფების ურთიერთ ჭიდილი...“[**მუსლიმი თემი აჭარაში**]. ასეთ პირობებში მოხდა ბათუმის ერთიან ქართულ სივრცეში დაბრუნება. რაც ქართული პატრიოტული ძალების უკიდურესი ძალისხმევის შედეგს წარმოადგენდა.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. 1921 წლის 20 მარტს ბათუმისა და მისი ოლქის დროებითი რევოლუციური კომიტეტი გადადგა, იმავე დღეს იქმნება ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი(რევკომი), რომელიც შემადგენლობაში შედიოდნენ: ,,...ს. ქავთარაძე, მ.ტოროშელიძე, დ.მახარაძე, კ.საჯაია, თ.ჟღენტი, ს. გუბელი, ი.პევცოვი, კ. თავბერიძე...“[**ასხგსმაპ,1975:19**]. ,,... ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ბრძოლაში საოლქო რევკომს ეცილებოდა მეჯლისი, რომელიც მოსახლეობაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა, სწორედ ამ

დიდი ავტორიტეტის გამო ...1921 წლის მაისის დასაწყისში მ.აბაშიძე და რ.ნიჟარაძე გამოიყვანეს რევკომის შემადგენლობიდან, როგორც კომუნისტებისათვის არასასურველი პოლიტიკური ფიგურები...“[**თურმანიძე,2012: 54**]. დაინიშნა მეჯლისის ახალი არჩევნები, 1921 წლის 6 ივნისს კი ბათუმში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მეჯლისის სხდომა, სადაც საზეიმო ვითარებაში წაიკითხეს საქართველოს ,,რევოლუციური კომიტეტის“ დეპეშა, რომლითაც საქართველოს რევკომი თანახმა იყო აჭარისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების საკითხში. ,,... კუთხის ავტონომიურ წყობასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოო გადაწყვეტილების მიზნით მეჯლისმა აირჩია კომისია ხასან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, თბილისში გამართულ მოლაპარაკებებზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზე 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ....“ [**მანველიძე,2006:21**]. ამ დეკრეტით მეჯლისი გამოცხადდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ერთადერთ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ. მმართველობის უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც მომავალში შეიქმნებოდა. კომუნისტური პარტიული ელიტა და რევკომი მეჯლისს განიხილავდნენ მთავარ კონკურენტად, რევკომს აჭარაში არ გააჩნდა ავტორიტეტი, ამიტომ ყველა ღონეს იღებდნენ, რათა მოეხდინათ მეჯლისის დისკრედიტირება რათა ხელისუფლება მათ ხელში გადასულიყო. ამიტომაც ცდილობდა რევკომი და მისი ხელმძღვანელობა ,,მოერჯულებია“ მეჯლისის შემადგენლობა, რათა საბჭოური გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია გაადვილებულიყო. მეჯლისის შემადგენლობა მხარს უჭერდა ფართო ავტონომიის იდეას. ,,...მეჯლისი დარწმუნებულია, რომ აჭარისათვის ფართო ავტონომიის მინიჭება აღმოფხვრის იმ წინააღმდეგობას რომელიც ასაზრდოებდა გაუგებრობას ქართველ მუსულმან და ქრისტიან ძმებს შორის...“[**ასხგსმაპ,1975:29-30**].

აჭარის რეგიონის ავტონომიური მართვის იდეა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში 1917 წელს დაიბადა. იგი პირველად გაჟღერდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. [**ს დ ს ი ნ,2012: 51**]. ,,...სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიის შექმნის იდეა დაიბადა 1917 წლის დეკემბერში. მაგრამ აჭარის ავტონომია შეიქმნა 1921 წლის 16 ივლისს, საქართველოს რევკომის დეკრეტით,

ამრიგად ავტონომიის შექმნის პროცესი დროში გაიწელა...“[**დაუშვილი,2009:8**]. **შენიშვნა:** 1921 წლის **5 ივლისს** აჭარის საოლქო კომიტეტისა და რევკომის ერთობლივ გადაწყვეტილებაში რევკომისა და პრობსაბჭოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ნათქვამია: მუხ.5 ,,... **აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის** სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ჯანმრთელობის...ავტონომიურად მოქმედებენ და პასუხისმგებელნი არიან საქართველოს სათანადო უმაღლესი ორგანოების წინაშე აჭარის მეჯლისის საშუალებით.“ მუხ.6 : **,,ყოველგვარი საჭირო ფინანსური და ტექნიკური სახსარი აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკას ეძლევა** საქართველოს სს რესპუბლიკის საშუალებიდან. მუხლ.8: **აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოების** პირველი ყრილობის მოწვევამდე მთელი ძალაუფლება აჭარის სსრ **ავტონომიურ რესპუბლიკაში** ამ დეკრეტით დაწესებულ საზღვრების ფარგლებში ეკუთვნის აჭარის მეჯლისს, რომელიც მოქმედებს აჭარის რევოლუციური კომიტეტის უფლებით...“[**ასხგსაპ,1975:33-34**]. **ეს საარქივო დოკუმენტი გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკად აჭარა მოიხსენიება გაცილებით უფრო ადრე ვიდრე 16 ივლისია. ჩვენ ვსვამთ კითხვას, რომელიც სავსებით ლეგიტიმურად მიგვაჩნია. თუკი რევკომმა 16 ივლისს მიიღო დეკრეტი რომლითაც აჭარის ავტონომია გამოცხადდა, მაშ რატომ მოიხსენიება გავრკვეულ ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში აჭარა ავტონომიურ რესპუბლიკად რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ 5 ივლისს. ვფიქრობთ იმსახურებს ყურადღებას.** ,,...1921 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის დეკრეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ...“ [**ს დ ს ი ნ,2012:54**].

ავტონომიის იდეას იმთავითვე საფუძვლად ედო რელიგიური ფაქტორი. ამავდროულად სხვა მრავალი მიზეზებიც არსებობდა, მათ შორის აღსანიშნავია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის როგორც პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური, ასევე კულტურული განსხვავებულობა დანარჩენი საქართველოსაგან. ოსმალეთის ბატონობის პერიოდში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა განიცდიდა უკიდურეს შევიწროებას და მკაცრი რეპრესიების პირობებში, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ერთგვარი გაუცხოება შეინიშნებოდა, თუმცა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში ძალზედ დიდი იყო ადგილობრივი ფეოდალური

ელიტის როლი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გამუსულმანებული იყო ისინი ქართული ენის და სხვა ადათ ჩვეების გამოისობით ინარჩუნებდნენ კავშირს დანარჩენ საქართველოსთან, თუმცა თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვითარება არაერთგვაროვანი იყო. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ავტონომიის იდეის მომხრე იყო დემოკრატიული საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერები და რიგ შემთხვევებში მათ თავად უწევდათ ეწარმოებინათ ამ მიმართულებით სამუშაოები. იგულისხმება ავტონომიის ავ-კარგიანობაზე საუბრები. ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი იან(ვანო) ქავთარაძე ასე ხედავდა თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ქართული მიწების პრობლემას,,... მთელ ქართველ ხალხს თავის განუყრელ საკუთრებად მიაჩნდა არა მხოლოდ ბათუმის ოლქი, არამედ მისი პრეტენზიები სწვდებოდა თურქეთის ლაზისტანამდე. დღესაც კი, მიუხედავად ამ კუთხეში თურქეთის დიდი ხნით ბატონობისა, არავითარი განსხვავება არ არის მაჰმადიან და ქრისტიან ძმებს შორის...“[**ბორავსკი,2006**] უაღრესად საინტერესოა ავტონომიის დაბადების იდეა. დადგენილია, რომ იდეა დაიბადა (გაჟღერდა) 1917 წელს საქართველოს ეროვნულ საბჭოში. აქვე უნდა ითქვას, რომ ავტონომიის იდეას ჰყავდა მოწინააღმდეგენიც ჰაიდარ აბაშიძის და სხვათა სახით. თბილისში დაარსებულ ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის“ წინაშე მემედ აბაშიძემ დააყენა ორი საკითხი: ოსმალთა ჯარისაგან გათავისუფლება და ავტონომიის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ჰაიდარ აბაშიძე ამბობდა: ,,... ავტონომიის ირგვლივ ჩვენ უთანხმოება გვქონდა, ვინაიდან კომიტეტის ნაწილს ზედმეტად მიაჩნდა ორ ძმათა შორის მიჯნებზე ლაპარაკი, მითუმეტეს ჩვენი მოძმეების დაუხმარებლად არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო... ამასთანავე ავტონომიურ მმართველობის აპარატის მიერ გაწეული სრულად ზედმეტი ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვებოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ, ღარიბ ქვეყანას... რომ მისი ეკონომიკური და კულტურული აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოსთან მთლიანობის საფუძველზე...“[**გაზ.აჭარაN142,1990:3**]. აჭარის ავტონომიისა და რეგიონის პოლიტიკური განვითარების შესახებ საქართველოს, მათ შორის აჭარის ადგილობრივ მოსახლეობაშიც ერთიანი აზრი და მიდგომა არ არსებობდა. ,,...აჭარის მოსახლეობას ერთნაირად როდი ესმოდა კუთხის მომავალი, ქართველ მაჰმადიანთა ერთი ნაწილი ქართულ ორიენტაციას ერთგულებდა, მეორე

თურქულ ორიენტაციაზე იდგა, ხოლო მესამე აჭარის დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას უჭერდა მხარს. პრობლემას კი განსაკუთრებით რუსეთის, თურქეთის, ინგლისის და ზოგიერთი სხვა ევროპული სახელმწიფოს განსხვავებული ინტერესი ართულებდა. [**ბორავსკი,2006**]. 1918 წლიდან, როდესაც ბათუმის ირგვლივ ურთულესი ვითარება იყო შექმნილი, ჰაიდარ აბაშიძე და მისი გუნდი კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ავტონომიისა. მათ ამ პოზიციას არ იზიარებდნენ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების საკმაოდ მნიშვნელოვანი და გავლენიანი ფიგურები, მათ შორის ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და სხვები. ამასთან დაკავშირებით ჰაიდარ აბაშიძე წერდა: ,,... ჩვენ კატეგორიულად გვირჩევდნენ ,,განმათავისუფლებელ კომიტეტს“ მიეღო ავტონომია და ამ გზით დაგვეწყო მუშაობა, მახსოვს ერთხელ ნოე რამიშვილი, მე და ზია ბეგ აბაშიძეს როგორ გულმოდგინედ გვისხსნიდა ,,სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის შესაძლებლობებს და მისი დაცვის აუცილებლობას“. [**გაზ.აჭარა,1990:3**]. მემედ აბაშიძის ირგვლივ შემოკრებილი ადგილობრივი ელიტის წარმომადგენლები კი აჭარას განიხილავდნენ საქართველოს შემადგენლობაში ,,ფართო“ ავტონომიის სახით. მაშინ აჭარაში არსებობდა გარკვეული შიში მაჰმადიანური სარწმუნოების დაკარგვისა, შესაბამისად მ.აბაშიძეს უწევდა მთელი რიგი გეგმაზომიერი სამუშაოს წარმართვა რათა დაერწმუნებია ისინი, რომ დემოკრატიული საქართველოს არ გააჩნდდა ავტონომიის საწინააღმდეგო მოსაზრებები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობისთვის ავტონომიის იდეა არ ყოფილა უცხო. საინტერესოა ასევე ისიც, რომ საუბარი არ ყოფილა მხოლოდ აჭარის ავტონომიაზე, არამედ საქმე ეხებოდა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას. ამ აზრს იცავდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავჯდომარე და მისი თანამოაზრეები. საბოლოოდ ჰაიდარ აბაშიძის ჯგუფიც დაურწმუნებიათ ავტონომიის იდეის უპირატესობაში და როგორც თავად ამბობს, მათ ეს სამუშაო ,,გადაჭარბებით“ შეასრულეს.

1918 წლიდან, თურქული ოკუპაციის ინგლისელებით შეცვლის შემდეგაც მემედ აბაშიძეს არ შეუწყვეტია პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო აჭარის დამოუკიდებელი საქართველოსათვის მიერთებისაკენ. მ.აბაშიძემ ჩამოაყალიბა ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა საზოგადოება და დაიწყო გაზეთის

,,მაჰმადიანური საქართველოს“ გამოცემა. მან აიძულა ასევე ინგლისური ადმინისტრაცია ბათუმში აჭარის წარმომადგენელთა ყრილობის ჩატარების ნება მიეცა.[**ბორავსკი,2006**] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური მართვის მოწყობის იდეა გარკვეულწილად ნაკარნახევი იყო იმ სეპარატისტული მოძრაობებით, რომლებიც არსებობდა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში. ამ ტერიტორიებზე დიდი იყო ოსმალეთის გავლენა და სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა აღნიშნული სეპარატისტული მოძრაობების გაღვივება. ამიტომაც მიგვაჩნია ეს გარემოება გარკვეულ კატალიზატორად, რომელმაც დაუშვა აჭარის ავტონომიის არსებობა ერთიანი საქართველოს ფარგლებში, დემოკრატიული იქნებოდა იგი თუ საბჭოთა. ამ იდეის ავტორებს, მ.აბაშიძესა და მის გუნდს კარგად ესმოდათ ვითარების სირთულე, კერძოდ თუ როგორ გამოიყენებდა ოსმალეთი მუსლიმი მოსახლეობის ნიველირებულ ეროვნულ გრძნობებს ისტორიული საქართველოს ტერიტორიების საქართველოსაგან ჩამოსაშორებლად. ამიტომაც იყო მათი მოღვაწეობა ავტონომიის დაშვების თაობაზე ერთიანი საქართველოს ფარგლებში ეროვნული ინტერესის გამომხატველი.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამაჰმადიანო საქართველოს ყრილობას, რომელიც ჩატარდა 1919 წლის 31 აგვისტოს. ყრილობამ მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილება აჭარის საერთო ნების გამოხატვის საკითხში. ყრილობამ დაადგინა აჭარის საქართველოს შემადგენლობაში შესვლის საკითხი ავტონომიის სტატუსით, ახლა ჯერი უკვე საქართველოს დემოკრატიულ მთვარობაზე იყო. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოს დემოკრტიულ მთავრობას მისი არსებობის ბოლო დღემდე დადებითად არ გადაუჭრია აჭარის ავტონომიის საკითხი. 1920 წელს გამოქვეყნდა მ.აბაშიძის მიმართვა სათაურით ,,მუსლიმან ქართველებს“, სადაც იგი ავითარებს მოსაზრებას აჭარის ავტონომიის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის აუცილებლობაზე. ,,... ჩვენი ერთადერთი გზა, ერთადერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია, ფართო ავტონომიის ფარგლებში, აი, რაც გვიხსნის ჩვენ, სხვა გზა არ არის. ... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია, ფართო ავტონომია საქართველოს ფარგლებში, აი რა გვიხსნის ჩვენ, სხვა გზა არაა“[**კომახიძე,1993:62,64**]. მ. აბაშიძის პუბლიცისტიკის შესწავლით დგინდება მისი მოღვაწეობის პატრიოტული სულისკვეთება. აშკარა იყო

საქართველო და აჭარაც მკაცრი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა როგორც ევროპული (ინგლისი, გერმანია, საფრაგეთი) სახელმწიფოების მხრიდან ასევე რუსეთის და ოსმალეთის მხრიდანაც. ყველა მათგანს თავისი ინტერესი ამოძრავებდა, რომელიც რბილად რომ ვთქვათ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. კერძოდ არც რუსეთს და არც ოსმალეთს არ აწყობდა ერთიანი საქართველოს, მითუმეტეს დემოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოს არსებობა მის საზღვრებთან, განსაკუთრებით რუსეთს, ხოლო ოსმალეთი კი კვლავ ისლამური იმპერიალიზმის პრიზმიდან იმზირებოდა. მოკლედ, როგორც ყოველთვის უმძიმესი გეოპოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი. „... დენიკინელებიც მოგვდგნენ და ისინიც გვეჩიჩინებიან, საქართველოს შეეწინააღმდეგეთო, ამათ რაღა უნდათ? ... მათი მთელი მოქმედება იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს, რომ ჩვენ არ დავუკავშირდეთ ჩვენ დედა სამშობლო საქართველოს, რომ მოწყვეტილი ვიყოთ ჩვენი მოძმეებისაგან, ეს მათ სწორედ იმიტომ უნდათ, რომ ჩვენ არ გავღონიერდეთ, არ გავძლიერდეთ და მათ კარგად იციან, რომ თუ საქართველსთან გავერთიანდებით ავტონომიურად ეს დიდ ძალას შეგვმატებს და მაშინ ვერ დაგვიპყრობენ...“[**კომახიძე,1993:66-67**].

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავლადაა საკითხები, რომლებიც მოელიან დასაბუთებულ პასუხებსა და შესაბამისად გადაჭრას. მათ შორისაა აჭარის ავტონომიის საკითხი. ორი დიდი მამულიშვილი ჰ.აბაშიძე და მ.აბაშიძე განსხვავებულად უყურებდნენ აჭარის ერთიან საქართველოში არსებობის საკითხს. ჰაიდარ აბაშიძის მოსაზრებით ავტონომია იქნებოდა ზედმეტი ხარჯი ისეთი ღარიბი ქვეყნისათვის როგორიც საქართველო იყო. ბუნებრივია ჰ.აბაშიძე გვევლინება უნიტარული სახელმწიფოს იდეის მომხრედ. ასევე საინტერესოდ გვეჩვენება სამომავლოდ წარიმართოს კვლევა ძიება თუ როგორ გამორიცხავდა იგი მუსლიმანური სარწმუნოების ფაქტორს ავტონომიის საკითხთან მიმართებაში. ჩვენ ვიცით, რომ სწორედ მუსლიმანური სარწმუნება იყო ერთგვარი განმსაზღვრელი ფაქტორი ავტონომისტებისათვის. ამიტომ მისი მოსაზრებანი აღნიშნულთან დაკავშირებით სამომავლო კვლევის თვალსაზრისით გვეჩვენება ძალზედ მნიშვნელოვნად. მ.აბაშიძეს კი აჭარის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა ფართო ავტონომიის სახით წარმოედგინა. ავტონომიის შეფარული იდეა გაჟღერდა რუსეთ-ოსმალეთის 1918 წლის სეპარატისტულ ხელშეკრულებაში, ხოლო შემდეგ კი მოგვიანებით 1921

წლის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებში. ისტორიული პროცესის გაგება და მეტადრე შეფასება არ უნდა მოხდეს დღევანდელი, არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე. ამ ორი მოღვაწის პოზიცია აშკარად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი პატრიოტიზმის ხარისხი ამ დამოკიდებულებით არ განისაზღვრება. გაცილებით უფრო საინტერესო იქნება დადგინდეს თუ რა იწვევდა განსხვავებულ მოსაზრებებს. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ აგვეხსნა ამ ორი დიდი საზოგადო მოღვაწის განსხვავებული შეხედულებების საფუძვლები. ჰ.აბაშიძე საკმაოდ კონკრეტულად საუბრობს იმ მიზეზებზე რის გამოც იგი ეწინააღმდეგებოდა ავტონომიის იდეას, მ.აბაშიძის დამოკიდებულებაც ცნობილია, განმსაზღვრელი იყო სარწმუნოებრივი ფაქტორი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ მ.აბაშიძეს სარწმუნოებრივი ფაქტორის გამო ავტონომიის სახით საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა აუცილებლად მიაჩნდა და ამ გზით ცდილობდა მიეღო სამუსლიმანო საქართველოს იმ სოციალური ზედა ფენის კეთილ განწყობა, რომელთაც ისტორიულად გარკვეული გავლენა ჰქონდა მოსახლეობის ფართო მასებზე. ე.ი. რაც შეიძლება მეტი მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარი ქართველი დარწმუნებულიყო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში მათი ყოფნის გარდაუვალ აუცილებლობაზე. მის პუბლიცისტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ გარკვეულ შიშს, გაუგებდა თუ არა საქართველო რწმენით განსხვავებულ ქართველებს. თუმცა მას კარგად ესმოდა, რომ თავად აჭარაში, არ იყო ერთგვაროვანი დამოკიდებულება ეროვნულ საკითხთან მიმართებით და ამას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა. ამიტომ იგი ცდილობდა ავტონომიის იდეის პარალელურად გაეღვივებინა ეროვნული ცნობიერება, რომელიც არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი ყოველთვის აფიქსირებდა იმ აზრს, რომ ისინი იყვნენ ტომით ქართველნი და მხოლოდ სარწმუნოებრივი განსხვავება არსებობდა მათ შორის. მ. აბაშიძეს ეკუთვნის ტერმინი ფართო ავტონომიაც. აქვე შეიძლება დავსძინოთ, რომ ავტონომიის საკითხი საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი დამყარების შემდეგ გაფორმდა პრაქტიკულად, თუმცა დემოკრატიული საქართველოს პირველ კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო ავტონომიის საკითხი, მაგრამ იმ კონსტიტუციას არსებობა არ ეწერა.

ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა იყო ავტონომიების დაარსებასთან დაკავშირებით. ,,.. საბჭოთა მეცნიერებიდან ზოგიერთნი ყოველ მხრივ ცდილობდნენ ავტონომიის შექმნის გამართლებას და ამას დიდ მიღწევად თვლიდნენ... 1993 წელს აკაკი ბაქრაძე წერდა, 20-იან წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ,,სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი იმიტომ შეიქმნა, რომ მაშინვე აფეთქებულიყო, როგორც კი საქართველო დამოუკიდებლობას მოიწადინებდა...“ [**ფარჯანაძე,2015: 307**]. ძალზედ საინტერესო ვერსია განავითარა მკვლევარმა უ.ოქროპირიძემ აჭარის ავტონომიის საკითხზე ,,... აჭარის ავტონომიის შექმნის სამართლებრივი საფუძველი არის სწორედ 1919 წლის 31 აგვისტოს ისტორიული აქტით სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატული ნება და ამ ნების 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციით დამტკიცება ძირითად კანონში. ... აჭარას საბჭოური ავტონომია მიენიჭა ორ უცხო სახელმწიფოს შორის დადებული უკანონო გარიგების შედეგად, რითაც შეილახა ქართველი ერის სუვერენული უფლებები.. [**ოქროპირიძე,2011: 211-213**] სამუსლიმანო საქართველოს თავდაპირველი ცნება, შინაარსი როგორც ავღნიშნეთ მოგვიანებით შეიცვალა. როგორც აღინიშნა აჭარისათვის ავტონომიური სტატუსი საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ განხორციელდა, თუმცა ამ საკითხთან მიმართებით არაერთგვაროვანი ვითარება იყო შექმნილი. 1921 წლის 5 ივლისს თბილისში ჩამოსულ ი.სტალინს ,,... რომელსაც ადგილზე უნდა შეესწავლა აჭარის ავტონომიის შექმნის საკითხი... 1921 წლის 7 ივლისს ი.ბ.სტალინი შეხვდა მ.აბაშიძესა და ხ.ლორთქიფანიძეს, მოისმინა მათი არგუმენტები და განუცხადა, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლენინი და თვითონ თანახმა არიან მინიჭებოდა ადგილობრივი მართვისათვის ავტონომიის სტატუსი, ცენტრით ბათუმი.“[**ს დ ს ი ნ,2012:13**]. ავტონომიის საკითხზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და რევკომს შორის არსებობდა პრინციპული განსხვავება, რის გამოც მიიღეს ურთიერთ გამომრიცხავი გადაწყვეტილებები. ჩვენი აზრით უთანხმოების მიზეზი უნდა ყოფილიყო ახალი მეჯლისის მიერ ავტონომიის შესახებ შემუშავებული პროექტი. ავტონომიის პროექტი ცილდებოდა ავტონომიის პრინციპებს, ვინაიდან მასში ადგილობრივი სახალხო კომისარიატებისთვის მეტი უფლებამოსილებები იყო გათვალისწინებული. აღნიშნული პროექტი დაიწუნეს როგორც ჯერ კიდევ მოქმედმა

დემოკრატიულმა პარტიებმა, მაგალითად სოციალ-ფედერალისტებმა. „...როგორც ჩანს პროექტის შესახებ გაიგეს სოციალ ფედერალისტებმა... საქართველოს დემოკრატიული ოპოზიციის აღშფოთება გამოიწვია მეჯლისის მიერ მომზადებულმა პროექტმა...“[**დაუშვილი,2012:19**]. ბუნებრივია საკითხის სიმწვავის გამო ამიტომაც ჩაერთო სტალინი აღნიშნულ პროცესებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცარისტული პოლიტიკა იცვლება ბოლშევიკურით, ერთი შეხედვით კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობით, თუმცა რუსული შოვინისტური გამოვლინებები ძალზედ თვალსაჩინო იყო განსაკუთრებით აჭარაში. ამის დასტურია 1929 წლის მარტის აჯანყება. ჩვენი აზრით ბოლშევიკების პოლიტიკა უცილობლოდ გახდებოდა ერთგვარი კატალიზატორი ავტონომიის იდეის დაბადების საკითხში, რომელსაც იდეაში უნდა დაეცვა ადგილობრივი მოსახლეობა, რათა შეენარჩუნებინათ მუსლიმური სარწმუნოება, ისინი ხომ ძალზედ მტკივნეულად აღიქვამდნენ სარწმუნოებრივ საკითხებს და მითუმეტეს მისი დაკარგვის შესაძლებლობაც აშკარა იყო როგორც ცარიზმის პირობებში ისე საბჭოთა მმართველობის დროს. სარწმუნოებრივი თემატიკის გამოყენებას თავის სასარგებლოდ ცდილობდა, ოსმალეთიც, ეს კი მართლაც საფრთხის შემცველი იყო. ამიტომაც არის ძალზე მნიშვნელოვანი ჰ.აბაშიძის, მ.აბაშიძის და სხვათა მოღვაწეობა მუსლიმი ქართველების ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლების საქმეში. ოსმალეთსა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით, თურქეთმა დაუთმო რა სუზერენიტეტი რუსეთს, ბათუმსა და ბათუმის პორტზე, სანაცვლოდ მოითხოვა მთელი რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური შეღავათები: კერძოდ, გათვალისწინებული იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფართო ავტონომიის საკითხი, საადგილმამულო კანონმდებლობის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა, პორტით დაუბეგრავი სარგებლობის უფლება და ა.შ. ყოველივე ეს ბუნებრივია უნდა ჩაითვალოს შენელებული მოქმედების ნაღმად, რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა სამომავლოდ მოქმედებაში მოსაყვანად. ყარსის ხელშეკრულებამ კი უცვლელად გადმოიტანა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმების ყველა ის მუხლი რომელიც ეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, მეტადრე საზღვრის საკითხებში. „... ყარსის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი ეხებოდა აჭარას, კერძოდ ...თურქეთი ეთანხმება

ბათუმისა და ბათუმის პორტის...ასევე ბათუმის მხარის შემადგენელ ნაწილებზე სიუზერენიტეტი გადასცეს საქართველოს იმ პირობით რომ, აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობა ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით, ადმინისტრაციულ ურთიერთობებში..."[**გურული,2012:104**]. „... ამ დათბობის საფასურად თურქეთი მოითხოვდა აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობისათვის ფართო ავტონომიის სტატუსის მინიჭებას, თუმცა ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერისას აჭარის ავტონომია გამოცხადებული იყო...თურქეთის ასეთი „ზრუნვა" აჭარისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესახებ დიპლომატიური ფანდი იყო. ასეთი მზრუნველობა მას არ გამოუჩენია თურქეთის სახელმწიფოში კომპაქტურად დასახლებული სხვა ერების მიმართ..."[**ს დ ს ი ნ 2012:61**]. მაშასადამე ავტონომიის საკითხით თურქეთი აქტიურად ყოფილა დაინტერესებული. აღნიშნული ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები დღესაც მოქმედებს უკვე დამოუკიდებელი საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის.1992 წ.30 ივლისს საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღვრების ურყევობის პრინციპს. ხელშეკრულება დადებული იყო ათი წლით, თუმცა ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე თუკი მხარეები არ განაცხადებდნენ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება გაგრძელებულად ჩაითვლება მომდევნო ხუთი წლით და ა.შ. მხარეებს დღემდე საწინააღმდეგო არ განუცხადებიათ. [**ხელშეკრულება,1992**]

არსებობს მოსაზრება, რომ ავტონომიის საკითხი იურიდიულად მიმაგრებულია მხარეთა შორის არსებულ ზემოხსენებულ შეთანხმებაზე, თუმცა ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ავტონომიის საკითხი დაიბადა უშუალოდ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი იჩენდა დაინტერესებას ავტონომიური სტატუსის დაწესებაზე. ამიტომ იმის ხელაღებით მტკიცება, რომ ავტონომიის გაუქმება გამოიწვევს თურქეთის წინააღმდეგობას, მიგვაჩნია გადაჭარბებულად. ვინაიდან ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო, თავად არის საკუთარი ნების გამოვლენაში თავისუფალი და ასევე პოლიტიკური სტატუსის არჩევაშიც. თუმცა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი თუ რამ გამოიწვია აღნიშნული მოსაზრების წარმოშობა. საქმე ეხება 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების

შესავალი ნაწილის შემდეგ დანაწესს : ,,მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის. მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით.“ [ხელშეკრულება,1992]

მიუხედავად იმისა რომ, ყარსის ხელშეკრულებაში თურქეთი გამოთქვამდა ბათუმისა და მისი მიმდებარე რეგიონის მოსახლეობისათვის ავტონომიური სტატუსის მინიჭების სურვილს და მოითხოვდა კიდეც ამას, არსად არ ყოფილა დაფიქსირებული მოთხოვნა თუ რას მოიმოქმედებდა იგი ამ პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. მითუმეტეს, რომ ყარსის ხელშეკრულების დადებამდე აჭარაში ავტონომიური სტატუსი გაფორმებული იყო იურიდიულად. აჭარაში დღეის მდგომარეობით სულ სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული და სოციალური რეალობაა ვიდრე ეს იყო მეოცე საუკუნის ოციან წლებში. არც ყარსის ხელშეკრულებას გააჩნდა ე.წ. საიდუმლო ნაწილი შეთანხმებისა, რომლის შესახებაც აპელირებენ დროდადრო, თითქოს აჭარის ავტონომიის გარანტად გვევლინებოდეს თურქეთი. ,, ...ყარსის ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები, ხელშეკრულებას დაერთო სამი დამატება, რომელთაგან არც ერთი საიდუმლო არ ყოფილა და სამივე მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული...“[**გურული,2012:105**].

ამრიგად ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის გარემოებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო აჭარაში ავტონომიის გამოცხადებას. გამოვთქვით არაერთი დასაბუთებული მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

&2 ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება

1921 წლის 13 ნოემბერს გაზეთ ,,უწყებებში“ N191 გამოქვეყნდა სტატია, რომელიც საზოგადოებას ამცნობდა ,,ფუხარა“ ხალხის ყრილობის მნიშვნელობას. აღნიშნულ ყრილობაზე გადაწყდა ძველი მეჯლისის ბედიც, რომლის შემადგენლობას რბილად, რომ ვთქვათ უნდობლად ეკიდებოდნენ ბოლშევიკები, ამიტომ მათი აზრით ეს ,,ხარვეზი“ სასწრაფოდ უნდა გადაჭრილიყო. აღნიშნული ,,პრობლემა“ მოაგვარეს იმით, რომ მოგვიანებით არჩეულ იქნა ახალი ,,წითელი მეჯლისი“, რომელშიც თურქეთთან გარკვეული ლოიალურობის გამოხატვის აღსანიშნავად რამდენიმე პროთურქულად განწყობილი წარმომადგენელი შეიყვანეს. ,,... სოციალური ხასიათის უდიადესი რეფორმების გარდა ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია სახალხო განათლების საქმეს. შეგნება, განვითარება, კულტურა საუკეთესო მერმისის საწინდარია, განათლების გარეშე ხსნა არ არის...“[**ასხგსმაპ,1975:45**] საბჭოთა ხელისუფლების დაინტერესება განათლების მიმართულებით ბუნებრივია გასაკვირი არ უნდა იყოს, ვინაიდან ბოლშევიკები თავის იდეოლოგიურ წნეხს უქვემდებარებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროს. განათლების მიმართულება კი იყო ის ერთ-ერთი უმნიშვენელოვანესი მიმართულება, რომელსაც უნდა ,,გაეპრავებია“ სამომავლოდ მათი საქმიანობა და ზოგადად პოლიტიკა. საბჭოთა მთავრობას ამ გლობალური ამოცანის გადაჭრამდე უნდა გადაეწყვიტა რეალურად არსებული სოციალური პრობლემები, ერთ-ერთი იყო მასობრივი წერა კითხვის უცოდინრობა მთელი რეგიონის მაშტაბით. ამიტომ ამ საკითხის მოგვარება იყო პრიორიტეტული მათთვის.

1921 წლის 23 ნოემბერს გამოქვეყნდა აჭარის წითელი მეჯლისის დადგენილება საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ. აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა თუ რა შემადგენლობით უნდა ყოფილიყო არჩეული სოფლის, თემის, მაზრების და ბათუმის საქალაქო საბჭოები, დადგენილებაშივე იყო საუბარი იმაზე, რომ სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოების არჩევნების შემდეგ უნდა გაუქმებულიყო რევკომები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, მიუხედავად

არასტაბილური ვითარებისა საბჭოთა ხელისუფლება რევოლუციური კომიტეტების არსებობას აღარ თვლიდა მიზანშეწონილად, მითუმეტეს აჭარაში, სადაც რევკომების მიმართ ნდობის ხარისხი იყო ძალზედ დაბალი. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ სამიზნეს ასევე წარმოადგენდა ე.წ. ბეგების ინსტიტუტი, რომელთაც გარკვეული გავლენა და ავტორიტეტი გააჩნდათ ხალხში, ამიტომაც მოუწოდებდნენ საზოგადოებას, რომ მათგან თავი შორს დაეჭირათ. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, ერთ-ერთი თვალშისაცემი გადაწყვეტილება ,,საბჭოების“ გამოცხადების შემდეგ იყო კომუნისტების აქტიური მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საქმეში. აღნიშნული ღონისძიება იყო საერთო საბჭოური პოლიტიკის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც პირობითად ეწოდებოდა ე.წ. ,,ликбез“. ეს საქმიანობა ლენინური დირექტივის ნაწილი იყო, მაგრამ წერა კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრის საქმეში ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, ხოლო მისი განხორციელების მეთოდებზე, ბუნებრივია, დამოკიდებულება არის კრიტიკული. აღნიშნული საქმიანობა მკვეთრად იდეოლოგიზირებულ პირობებში მიმდინარეობდა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში, არამედ ოცდაათიან წლებშიც საკმაოდ აქტუალური საკითხი იყო, რომელთა შესახებაც ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ. ჯერ კიდევ 1921 წლის 4 მაისს გამოქვეყნდა საოლქო რევკომის განათლების განყოფილების ბრძანება N7, რომელშიც ეწერა: ,,... წერა-კითხვის უცოდინრობის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის განათლების განყოფილება ავალდებულებს ყველა სახლმმართველს, ხოლო იმ ადგილებში სადაც ისინი არ არიან ყველა სახლმმართველობას ან მათ შემცვლელ პირებს, რომ მითითებულ მისამართზე წარმოედგნინათ მონაცემები იმ პირებისა, რომლებიც არ ფლობდნენ წერა-კითხვას და რომლებმაც მიაღწიეს ჩვიდმეტ წელს, ამ მომენტიდან იწყებოდა აჭარაში უფროსი მოსახლეობისათვის სკოლების ორგანიზების საქმე...“[**Чантурия,1975:130**].

1922 წლის 31 დეკემბერს ჩატარდა ბათუმის მუშათა, წითელარმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოების პირველივე სხდომაზე განხილულ იქნა უმნიშვნელოვანესი საკითხი, ,,... ის შვიდი ათას დესეტინამდე არსებული მიწის ფონდი, რომელიც ამჟამად არსებობს აჭარაში -აჭარის ფუხარას მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილებს, დანარჩენი კი შევსებულ იქნება კულტურული მეურნეობის აყვავებით. ამას ხელს უწყობს ის რომ აჭარის რევკომის

მიერ უკვე კარგა ხანია აკრძალულია მიწის კერძოდ ყიდვა გაყიდვა...“ [**გაზ.უწყებები,1922**]. ყრილობამ გაიმეორა და მიიღო ღარიბ გლეხთა(ფუხარა) ყრილობის ერთი თვის წინანდელი გადაწყვეტილება განათლების საკითხებთან მიმართებაში. ,,...სწავლა განათლება ეს ის ფუძეა რომელზედაც ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება და რაზედაც დამოკიდებულია აჭარის მშრომელი ხალხის აწმყო და მომავალი“ [**ასხგსმაპ,1975:56**]. იმავე ყრილობაზე გაჟღერდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ეხებოდა აჭარაში სისხლის აღების წესს და მისი აღმოფხვრის ღონისძიებებს. ყრილობის მიერ აღნიშნული ქმედება შეფასდა მიუღებლად და მოითხოვეს მსგავსი ქმედების ჩამდენ პირთა ,,სასტიკად დასჯა“. სისხლის აღების წესის აღმოფხვრა ასე მარტივი არ იყო, ეს დასტურდება ასევე იმითაც, რომ მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების აჭარაში იგი კვლავ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. გასაბჭოებისას აჭარის სოფლებში განათლების კუთხით უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი. აშკარა იყო ქართულენოვანი პედაგოგების ნაკლებობა. რიგ სკოლებში მიმდინარეობდა არაბული(ისლამის) სჯულის სწავლება. ,,... მაზრაში(იგულისხმება ქედის მაზრა) ოფიციალურად გახსნილია 8 სკოლა, სადაც ჯერ ჯერობით ასწავლიან მხოლოდ არაბულს(სახმთო სჯული) და თურქულ ენას, ... რაც შეეხება ქართულ ენაზე სწავლებას, ჯერჯერობით არ წარმოებს მასწავლებელთა უყოლობის გამო...“[**ასხგსმაპ,1975:64**]. ,,... ხალხის გამოკვების საქმე ძლიერ ცუდად დგას, მოსავალი ქვემო აჭარის დიდი უმრავლესობას ნახევარი წლის სარჩოზე მეტი არ მოსვლია, თუ სისტემატიურად არ იქნა მთავრობიდან დახმარება ხალხი თავს ვერ გაიტანს...“[**ასხგსმაპ,1975:64-65**].

1922 წლისათვის აჭარაში მძვინვარებდა ისეთი ვირუსული დაავადება როგორიც არის ყივა-ნახველა. ამ მხრივ ყველაზე მძიმე სიტუაცია შექმნილი იყო ქედაში. რაიონში ყოფილა ერთი ექიმი და ერთი ფერშალი. ბუნებრივია ასეთი რესურსებით ეპიდემიასთან ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა. ამ მძიმე ვითარებას ემატებოდა თავად საბჭოთა ხელისუფლების არაკომპეტენტურობა და ვიწრო პარტიკულარიზმი, რომელიც მთავარი მახასიათებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის. მათთვის მთავრი იყო ,,კადრის“ რევოლუციური მდგრადობა და საიმედოობა და არა საქმისადმი, პროფესიისადმი ერთგულება.

,,...1923 წლისთვის საბჭოთა ხელისუფლებას კრიზისული მდგომარეობა ჰქონდა...საბჭოთა ორგანოების მოღვაწეობა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, საშინელი და ენით აუწერელია ის მოღვაწეობა რომელსაც ეწევა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც ცენტრში ასევე ადგილებზე“ [**გოგოლიშვილი,2000:37**]. ვითარების არასტაბილურობას ისიც უწყობდა ხელს, რომ არ იყო მკვეთრად გამიჯნული უფლებამოსილებები ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის. საქმე ეხება აჭარის რევკომს, მეჯლისსა და ღარიბთა კომიტეტებს(ფუხარა ხალხის). ,, ...1922 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია ა.ღამბაროვთან, თ.ხიმშიაშვილის დაპირისპირების გამო (ეს უკანასკნელი იყო ავტონომიის მხურვალე მომხრე). კომისიის დასკვნაში აღინიშნა: იგი უნდა შეიცვალოს ისეთი პიროვნებით, რომელიც იქნება ნაკლებად მცოდნე და ნაკლებად გამოცდილი, მაგრამ მომსმენი, საიმედო და უფრო ერთგული საბჭოთა ხელისუფლებისადმი...“ [**თურმანიძე,2012:92-93**]. ავტონომიურ რესპუბლიკის სკოლებში განსაკუთრებით მაღალმთიანი რაიონების სკოლებში მიმდინარეობდა მუსლიმური საღვთო სჯულის სწავლება. ათეისტური სახელმწიფოსთვის ეს არ იყო მისაღები, მაგრამ იგი წარმოადგენდა იძულებით ნაბიჯს მათი მხრიდან. საბჭოთა ხელისუფლება ამას შემდეგნაირად ხსნიდა: მოსახლეობის ყურადღების გადატანას მედრესეებიდან საერო სკოლებზე, რომელიც უნდა გამხდარიყო ერთადერთი საგანმანათლებლო სივრცე წერა-კითხვის გავრცელების თვალსაზრისით. საბჭოთა ხელისუფლება აჭარაში იძულებული იყო თავისი არსებობის პირველ პერიოდში წასულიყო გარკვეულ დათმობებზე ამ მიმართულებით, რაგინდ მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო მათთვის ეს კონცეპტუალურად. ,,...ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს აჭარის განათლების კომისარიატის ბრძანებები მუსლიმიანური სჯულის მასწავლებლების დანიშვნის თაობაზე, აჭარის განსახკომის 1 სექტემბრის N258 ბრძანებაში ნათქვამია: მერისის სკოლის თურქული სჯულის მასწავლებლად დაინიშნოს ს.გ.დაუდ ჯიბლაძე... “(**Чантурия,1956:130**). მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მისი იდეოლოგები ხოტბა-დიდებას ახამდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას, მათ მოხსენებებში შეინიშნება გარკვეული მინიშნება ,,ხარვეზებზე“, რომელთა გამოსასწორებლადაც ,,დაუღალავად“ მუშაობდნენ. ,,... იმ დიდი მიღწევების მიუხედავად, რაც მოჰყვა თან საბჭოთა ნიადაგზე სკოლისა და საერთოდ განათლების

საქმის რევოლუციური გარდაქმნის პროცესს, კულტურული მშენებლობის ფრონტი ოციანი წლების ბოლომდე მაინც დიდად ჩამორჩებოდა სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე მოპოვებულ მიღწევებს...“ [**ობოლაძე,1961:60**]. ,,... სერიოზულად დაიძაბა ვითარება აჭარაში. მთელი 20-იანი წლების განმავლობაში ეს ქართული რეგიონი და ქართველი მოსახლეობა განცალკევებულად განიხილებოდა...“ [**საქართველოს ისტორია,2012:322**]. ის ფაქტი, რომ საბჭოთა ისტებლიშმენტმა ფსონი დადო თახსიმ ხიმშიაშვილზე და მის დაჯგუფებაზე მეტყველებდა იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ახალისებდა რადიკალური მიმართულების ძალებს, ამით იგი უპირისპირდებოდა მ.აბაშიძესა და მის დაჯგუფებას, რომელიც არათუ ჩამოაშორეს ხელისუფლებას, არამედ მოახდინეს მათი იზოლიაცია (დაპატიმრება,გასახლება). დაძაბულობამ პიკს მიაღწია ,,... 1925 წლის ოქტომბერში, 12 ოქტომბერს ქედაში გაიმართა აჭარის ცაკის მესამე სესიის პირველი სხდომა, ...სესიამ, მოსკოვში გასაგზავნად აირჩია 13 კაციანი დელეგაცია ო.მოწყობილის მეთაურობით. სესიამ მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოდან გამოყოფა და რუსეთის ფედერაციაში შესვლა. ამ რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდა აჭარის სამხედრო კომისარი გ. გარაყანიძე...“[**თურმანიძე,2012:94-95**]. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ აჭარაში გარკვეული ძალები სეპარატისტულად იყვნენ განწყობილნი, რომლესაც ხელშეწყობა ჰქონდათ ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან. მ.აბაშიძის მოღვაწეობა კი ამ სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაა, მის პუბლიცისტიკაში თუ საჯარო გამოსვლებში ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. იგი უფრთხილდებოდა ერთიანი საქართველოს იდეას და ამისათვის ცდილობდა მუსლიმ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას.

1925 წლის 12 ოქტომბერს ქედაში მოწვეული ცაკის მესამე სესიის პირველი სხდომის რეზოლუციამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია რესპუბლიკის მაშტაბით. ბათუმში იმავე წლის 20 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ცაკის მესამე სესიის მეორე სდომა, რომელმაც მიუღებლად მიიჩნია ქედის რეზოლუცია, თ.ხიმშიაშვილი გაანთავისუფლეს. ვითარება თითქოს დარეგულირდა მაგრამ საერთო პოლიტიკური სიტუაცია მეტად დაძაბული იყო. თავად ოცი ოქტომბრის სესიაზეც იხილებოდა ავტონომიის საკითხები, ,,..მ.ორახელაშვილმა ქართულ საზოგადოებაში ავტონომიის საკითხზე დაპირსპირების ძირითად ობიექტად ქ. ბათუმი მიიჩნია... ჯანდაბას აჭარის

ავტონომია, ბათუმი ევროპის ფარი, დასავლეთის ფანჯარა, საქართველოს გასაღები-ქართველებისაა. როგორც სახელმწიფო დაწესებულებები ისე მთელი ატმოსფერო ქართული უნდა იყოს...“[**თურმანიძე,2012:96-97**]. უაღრესად საინტერესო ციტატაა ბოლშევიკი ლიდერის მხრიდან წარმოთქმული, ნახსენებია დასავლეთი, ევროპა, მაშინ, როდესაც ბოლშევიკებისთვის უცხო არ იყო იზოლაციონიზმი, ვფიქრობთ, სამომავლოდ, ამ მიმართულებით კვლევის წარმოება არ იქნება ურიგო.

ცხადია, ავტონომიურ რესპუბლიკაში საკმაოდ არაერთგვაროვანი სიტუაცია იყო შექმნილი. ერთის მხრივ სეპარატისტული განწყობები, ინსპირირებული თურქეთის აგენტურის მიერ, ასევე ადგილზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ძალზედ შესამჩნევს ხდიდა როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს ასევე არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას. მოსახლეობაში შეიმჩნეოდა ანტისაბჭოთა გავლენები. „... ანტისამთავრობო მოძრაობა აჭარაში 1927 წელს დაიწყო, იქმნებოდა საიდუმლო ორგანიზაციები, თურქეთის ემისრები აქტიურად უწევდნენ კონსულტაციებს ათეისტური პროპაგანდით უკმაყოფილო გლეხებს. პირდებოდნენ თურქეთიდან სამხედრო დახმარებას, მოხერხდა თურქეთიდან იარაღის დიდი პარტიის შემოტანა და სოფლებში გადამალვა...“ [**საქართველოს ისტორია,2012:323**].

ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული განწყობების წინააღმდეგ ბრძოლას ადასტურებს მ. აბაშიძის წინააღმდეგობა ჯ.ხიმშიაშვილთან. „... ზემო აჭარაშიც სადაც 1918 წელს ჯემალ ხიმშიაშვილი ოსმალეთის დასახმარებლად აჭარლების რაზმებს ადგებდა,... მ.აბაშიძემ შეძლო ჩაეფუშა ეს გეგმები...“ [**შარაძე, 1995:118**]. „... 1927-29 წლებში აჭარაში ჯერ კიდევ მოქმედებდა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია და საბაბს ეძებდა მოქმედებისათვის, ასეთი საბაბი მათ გამონახეს სწორედ მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება აჭარაში ქალებისათვის ჩადრის ახდის თაობაზე...“ [**გოგოლიშვილი,2000:76-77**]. მუსულმანური ტრადიციები ძალზედ ღრმად იყო გამჯდარი აჭარის მოსახლეობაში, ქალები უუფლებოები იყვნენ და სრულად იყვნენ მამაკაცებზე დამორჩილებულნი, ქორწინება ისლამურ ტრადიციებზე იყო აგებული. საბჭოთა კანონების მიუხედავად, რომლებითაც იკრძალებოდა რელიგიური რიტუალების გამოყენებით ქორწინება, სისხლის აღება და სხვ. მისი შესრულება და კონტროლი ძალზედ უჭირდა ხელისუფლებას. პირველ ეტაპზე საბჭოთა მთავრობა ერთგვარად ერიდებოდა აქტიურ და აგრესიული პოლიტიკის გატარებას ამ

მიმართულებით განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში. ფუხარა კომიტეტებში და ქალთა კომიტეტებში აქტიური აგიტაცია პროპაგანდა მიმდინარეობდა ქალთა თანასწორობის საკითხებზე, ასევე ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ქალთა განათლების აუცილებლობას. ჩადრის ახდის კამპანიას უკვალოდ არ ჩაუვლია, ძალიან დიდი იყო წინააღმდეგობა მაღალმთიან აჭარაში. ,, ...სოფელ დეკანაშვილებში კომუნისტ ბ.ბოლქვაძის მეუღლეს, რომელიც ჩადრ ახდილი მიდიოდა სოფლის ქალები ჯოხით გზაში დაუხვდნენ და უმოწყალოდ სცემეს. სოფელ ღურტაში ჩადრახდილმა ახალგაზრდა ქალმა აიშე ღორჯომელაძემ ახალგაზრდების კრებაზე პრინციპულად მოითხოვა სოფლის თანატოლ ქალებს ჩადრი მოეხადად, ქართულ სკოლაში მისულიყვნენ და სწავლა-განათლება მიეღოთ. კრების დასრულების შემდეგ სახში დაბრუნებისას იგი მისმა ახლობელმა ქალებმა ჯოხით სცემეს და მოკლეს“ [**net gazeti-ბათუმელები,2015**]. ხულოში მოსახლეობის უკმაყოილებას იწვევდა ბოლშევიკების ანტირელიგიური პოლიტიკა, კერძოდ მუსულმანური სარწმუნოების დევნა. აჭარაში ეს ძალზედ მგრძნობიარე საკითხია დღესაც, მითუმეტეს მაშინ ერთი ორად საფრთხილო იქნებოდა. უკმაყოფილების ეპიცენტრად მოგვევლინა ხულოს რაიონის სოფლები. კერძოდ სოფელ ჭვანაში დაიწყო აშკარა უკამყოფილებები და გამოსვლები. ძველი ტრადიციების მიმართ ჰიპერ აქტიურობით გამოირჩეოდა ხულოს მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანი ა.კალანდაძე, რომელიც უწმაწური სიტყვებით მიმართვასაც კი არ ერიდებოდა ჩადრის მატარებელი ქალების მიმართ.

ხულოს აჯანყების ხელმძღვანელი შეიძლება ითქვას, იყო ალისულთან ბოლქვაძე. 1927 წლისთვის იგი გარიცხეს პარტიიდან, როგორც არასაიმედო წევრი და მენშევიკებთან სავარაუდო კავშირის მქონე. უნდა აღინიშნოს რომ ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ ნოე ჟორდანიას მისი დიდი იმედი ჰქონდა და ფიქრობდნენ, რომ ეს აჯანყება მოიცავდა გურიასაც, რომელიც სამომავლოდ გავრცელდებოდა დანარჩენ რეგიონებზეც. ალისულთან ბოლქვაძეს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, რომელიც საფრანგეთში გაქცევის წინ ხულოში იმალებოდა თავის თანამოაზრეებთან ერთად.[**ქართველები უცხოეთში**] ,,სოფელ ხიხაძირის მცხოვრები ისკენდერ აბულაძე ხელმძღვანელობდა საიდუმლო ორგანიზაციას, რომელსაც კავშირები ჰქონდათ თურქეთთან და ერთად გეგმავდნენ არეულობებს, თუმცა თავად აღნიშნავდა რომ

განიცადეს წარუმატებლობები.“[**გოგოლიშვილი,2000:77**]. ჩვენც ვიზიარებთ ამ უკანასკნელ მოსაზრებას, აჯანყების მეთაურთა თურქულ კავშირებზე და ვვარაუდობთ რომ ეროვნული ასპექტები ამ ვითარებაში იყო მინიმალური. აჯანყების სერიოზულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხულოში ჩავიდნენ ლ.ბერია, ფ. მახარაზე. მ.ორახელაშვილი მ.ცხაკაია, ს.ორჯონიკიძე. შეიქმნა საგანგებო სამეული, ბერიას, ღოღობერიძის და კოვალიოვის მეთაურობით, რომელთაც ევალებოდა აჯანყების ჩახშობა. ალისულთან ბოლქვაძე და ბერია ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად. საბოლოოდ ხელისუფლებამ იმარჯვა, აჯანყებულები დამარცხდნენ, ა.ბოლქვაძე მომხრეებთან ერთად თურქეთში გადავიდა. ,,აჭარის გლეხთა აჯანყებას უკვალოდ არ ჩაუვლია. მას მოჰყვა დადებითი შდეგები, როგორც მატერიალური, ისე სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. 1929 წლის აჭარის აჯანყების ჩახშობით საქართველოში საბჭოთა დიქტატურა საბოლოოდ დამკვიდრდა.“ [**ქართველები უცხოეთში, ალისულთან ბოლქვაძე**]. ,,1929 წლის იანვარში, პარტიის ცენტრალურ ორგანოებში გაიგზავნა აჭარის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელის ა. ფანცხავას დეპეშა. მასში აღნიშნული იყო, რომ აჭარაში გადაჭრილია ყველა პრობლემა - დაიხურა მედრესე, ჯამეები იხურება, ხოჯები უარს ამბობენ რელიგიაზე, ჩადრის ახდის კამპანია წარმატებულია, წინააღმდეგობა არაა, ყველა კმაყოფილია და ეს ყველაფერი ჩხუბის, სროლის, მკვლელობისა და ცემის გარეშე იქნა მიღწეული...“ [**მუსლიმი თემი აჭარაში**]. რათქმაუნდა ეს ცნობა პროპაგანდისტული ხასიათის ატარებდა. ხულოს მაზრის მარტის აჯანყების ექო მომდევნო პერიოდშიც საკმაოდ იგრძნობოდა.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურული აჭარაში იყო ძალზედ დაძაბული, შეიძლება ითქვას ბობოქარი. მიმდინარეობდა ჭიდილი საბჭოთა ხელისუფლებასა და მის წინააღმდეგ განწყობილ ყველა დაჯგუფებას შორის. აჭარაში, სადაც ისლამის გავლენა მძლავრობდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის არ იყო ადვილი გაეტარებია ის რეფორმები, რომლებსაც ატარებდა დანარჩენ რეგიონებში. ,,...ბანდიტიზმის ცალკეული შემთხვევები აჭარაშიც იყო, მაგრამ მათ წინააღმდეგ გატარებული გადამჭრელი ღონისძიებების შედეგად იგი ლიკვიდირებულ იქნა...“ [**ს ხ გ ა,1958:103**]. საბჭოთა ხელისუფლებისათვის რომ არასახარბიელო მდგომარეობა იყო შექმნილი აჭარაში, ადასტურებს თავად საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მოყვანილი მონაცემები

ანტისაბჭოთა ელემენტების მიერ განხორციელებული საბოტაჟისა, ასევე არასახარბიელო ვითარება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში, ფოსტა-ტელეგრაფში, სასამართლოების იურიდიულ განყოფილებებში, ფაბრიკა ქარნებში. ერთიანი რეგულაციების არარსებობა სახელფასო საკითხებში, ასევე საგანმანათლებლო სივრცეშიც შექმნილი არსებული სიტუაციაც. [**სხგა,1958:105-106**]. **ქართველი ბოლშევიკები იმაზე მეტ ,,გულმოდგინებას" იჩენდნენ ვიდრე ამას მოითხოვდა ლენინი**, ,,... ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურებების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები..."[**სირაძე,1977:24**]. ვითარების გამამწვავებელი აღმოჩნდა კოლექტივიზაცია, რომელიც 1929 წლიდან უფრო მეტი ენერგიულობით იწყება საქართველოში. შემლებული გლეხობა მიჩნეულ იქნა ე.წ. კულაკებად, რომლებსაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს. ,,... შვიდი წლის განმავლობაში 1929 -1935 წლებში ქართველი გლეხები მედგრად ებრძოდნენ მათთვის საზარელ პროცესს, რომელსაც ,,კოლექტივიზაცია,, ერქვა. 1930 წელს აღინიშნა შეტაკებები საქართველოს ჩრდილოდასავლეთ მთიანეთის გზებზე. რეჟიმს წითელი არმიის ძალების, მათ შორის ავიაციის გამოყენება დასჭირდა მდგომარეობის დასარეგულირებლად. [**ივერია,2016:1**]. მსგავს ინფორმაციას ადასტურებს უცხოელი მკვლევარი დევიდ მარშალ ლენგი: ,,...in Moscow, S.Eliava, head of the governmert of Soviet Georgia, declared at a meeting of the cntral committee of the communist party:the situation in Georgia and trans caucasia in general is very grave. Not one corner of the Soviet Union experiences at the moment such difficulties …the Georgian peasantry is only waiting for a chance…thousands of them have gone into the mountians and forests to wage battle against us. [**Lang,1962:251**).

XX საუკუნის 20-წლების პირველი ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს კოლექტივიზაციის სფეროში რეფორმის პირველ ეტაპად, ხოლო მეორე ეტაპი 1929 წლიდან იწყება. აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა. საკუთრივ აჭარაში კი ამ ყოველივეს ემატებოდა სპეციფიკური სარწმუნოებრივი ვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა საბჭოთა ,,რელსებზე,, გადასვლას.

თავი2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მათი უფლება მოსილება და საქმიანობა XX საუკუნის 30-იან წლებში

&1. უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, მმართველობის ორგანოები

სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციული პრინციპი დეკლარირებული იყო, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმი. თუმცა დემოკრატიული პრინციპების თაობაზე საბჭოთა სახელმწიფოს წარმოდგენა რადიკალურად განსხვავებული იყო და იგი სცილდებოდა ჭეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებს. საბჭოთა სახელმწიფოში არსებობდნენ ხელისუფლების, მმართველობის, მართლმსაჯულებისა და ზედამხედველობითი ორგანოები. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საბჭოთა სამართლებრივი სისტემა განასხვავებდა ერთმანეთისაგან დეფინიციის, განსსაზღვრების დონეზე ხელისუფლების ორგანოებს სხვა დანარჩენისაგან. ,,სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უშუალოდ მასები ირჩევენ...ხელისუფლების ორგანოები ანგარიშს აბარებენ მასებს, ამომრჩევლებს. ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომელთა სისტემაშიც შედიან უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები.“[**ერემოვი,1955:3-4**]. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ : სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, შესაბამისად მოქმედი პრეზიდიუმებითურთ. უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოსთან არსებული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ე.წ. (ცაკი). რაც შეეხება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, (თანამედროვე სტანდარტით ადგილობრივი თვითმმართველობის მსგავსი დაწესებულებები) წარმოადგენდნენ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, საოკრუგო(სამაზრო) რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები. ,, ...აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკაში რაიონებს, ქალაქის რაიონებს ქმნიან და აუქმებენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები ამ რესპუბლკების სახალხო კომისარტების (მოგვიანებით კი

მინისტრთა საბჭოების) წარდგინებით.“ [**შუშანაშვილი,1983:17**]. ,,აყენებდა, რა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, კომპარტია სრულებითაც არ მოითხოვდა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებიდან, რომელიმე ერის აუცილებელ გამოყოფას, რადგან ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ერთიანი სახელმწიფოს დაქუცმაცება, პარტია კი მომხრე იყო მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფოსი. სახელმწიფოებრივი გამოყოფა ბოლშევიკებს დასაშვებად მიაჩნდათ მხოლოდ, როგორც იშვიათი გამონაკლისი.” [**გოგილაშვილი,1960:7**]. შესაბამისად ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილება აგებული იყო მკაცრად ცენტრალიზებულ პრინციპზე, ურთიერთ კონტროლის და მეტადრე ურთიერთ დამოკიდებულობის პრინციპებზე. ბოლშევიკებისთვის მიუღებელი იყო დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებში გავრცელებული საკონსტიტუციო ნორმები და ხელისუფლების დანაწილების პრინციპები თავიანთი ნაციონალისტური მიდრეკილებების გამო. [**ქავთარაძე,1949:54**]

აჭარაში XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისათვის ფუნქციონირებდა სახელმწიფო ხელისუფლების შემდეგი შტო: უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ადგილობრივი და მართლმსაჯულების ორგანოები. 1938 წლამდე ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება კონსტიტუციით დადგენილი არ ყოფილა. საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციაში პირველად დადგინდა მხოლოდ აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს სტრუქტურა და უფლებამოსილება. 1930 წელს აჭარაში, როგორც საერთოდ საქართველოში განხორციელდა სახელმწიფო ორგანოების გარდაქმნები: ერთ ორგანოდ გაერთიანდა სახალხო კომისართა საბჭო და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამ ცვლილებით უნდა აღმოფხვრილიყო ხარვეზი, რომელიც არსებობდა ამ ორი ორგანოს მიერ განხორციელებულ უფლებამოსილებებში. ,,აჭარის ცაკის მუშაობის წესი სესიური იყო. აჭარის ცაკი ხელმძღვანელობდა მთელ სახალხო მეურნეობას, განსაზღვრავდა რესპუბლიკის ტერიტორიულ დარაიონებას, წარმართვადა მთავრობის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს მოღვაწეობის ყველა მიმართულებებს“ [ტაბაღუა,2018:194]. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი პრაქტიკულად წარმოადგენდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს საბჭოების სესიებს შორის პერიოდში.

რეფორმის შედეგად ,,ქალაქი ბათუმი და მისი მაზრა“ გაიყო ორ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტრიულ ერთეულად. 1930 წელს მაზრებს ეწოდა რაიონები, ხოლო სოფლის თემებს სასოფლო საბჭოები. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შედეგად XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედიოდა ქალაქი ბათუმი, ქობულეთის, ბათუმის, ქედის და ხულოს რაიონები, ასევე 15 სასოფლო საბჭო.

ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით, უმაღლეს მმართველობით რგოლს წარმოადგენდა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის უფლებამოსილება გაიზარდა 30-იან წლებში, როდესაც საბჭოთა სახელმწიფომ დაიწყო ახალმშენებლობების პროცესი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების ყრილობა. მისი მოწვევის ვადები კანონმდებლობით დადგენილი არ ყოფილა. XX საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა აჭარის საბჭოების 4 ყრილობა, ერთიც საგანგებო. ყრილობა წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოს. აჭარის საბჭოების მე-9 ყრილობა ჩატარდა 1930 წლის მარტში, რომელმაც განიხილა რამდენიმე საკითხი: 1. საქართველოს მთავრობის ანგარიში, 2. აჭარის აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიში და მე-3 საგაზაფხულო თესვის კამპანიის მსვლელობა, 4. საბჭოთა აპარატის რეორგანიზაციის საკითხები და მე-5 არჩევნები. საბჭოების ყრილობის და აღმასრულებელი კომიტეტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ბიუჯეტის პროექტის განხილვა და მიღება. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აჭარის ბიუჯეტი დეფიციტური იყო. დეფიციტი საქართველოს ცენრალური ბიუჯეტიდან ივსებოდა. 1928-1929 სამეურნეო წლებში ბიუჯეტის საერთო შემოსავალი შეადგენდა 1816,5 ათას რუბლს.[**ასსცსა ფ.რ-2,აღწ.1,საქმ.733, ფურც.279**]. 30-იან წლებში ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი გამონაკლისის გარდა დეფიციტური აღარ იყო, ხოლო 1938 წლისათვის შეადგენდა 43 მილიონ რუბლს.[**ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4, საქმ.224, ფურც.51**]. აჭარის საბჭოების ყრილობები შიძლება ითქვას ყოველთვის ზედმეტად ხმაურიანი და მომაბეზრებელიც კი იყო. ყრილობის მუშაობის ფორმა და სტილი პროპაგანდის როლსაც ასრულებდა. საბჭოების მე-9 ყრილობას მიესალმა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თვაჯდომარე ფილიპე მახარაძე.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე, წერა-კითხვის გავრცელების მიმდინარეობის შესახებ. ამ მიმართებით აჭარაში მართლაც მძიმე ვითარება იყო. აჭარის საბჭოების მეცხრე ყრილობაზე ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშით გამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე ზექერია ლორთქიფანიძე. მოხსენებაში აჭარის სახალხო მეურნეობის, განათლებისა და კულტურის თითქმის ყველა დარგია განხილული. მე-20 საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში აჭარაში, როგორც საერთოდ საქართველოში ინდუსტრიული საწარმოები მნიშვნელობის მიხედვით შედიოდნენ საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ დაქვემდებარებაში. [**ასყდმკ,1971:303-310**]. ყრილობაზე ითქვა, რომ 1930 წლისათვის აჭარაში ჩამოყალიბდა რესპუბლიკური მნიშვნელობის სამი დიდი ჩაის ფაბრიკა, სალიბაურის, ჩაქვის და ბობოყვათის ფაბრიკები. ისინი საქართველოს გაერთიანება ,,საქჩაიში“ შედიოდა. 1930 წლისათვის აჭარაში ასევე შეიქმნა თევზის გადამამუშავებელი ქარხანა. საბჭოების მეცხრე ყრილობაზე ლაპარაკი იყო აღნიშნული საწარმოების სამომავლო პერსპექტივაზე. [**ასყდმკ,1971:311-317**]. ადგილობრივი სამრეწველო საწარმოები შედიოდა აჭარის ცაკის მმართველობაში. ყრილობის მასალებში მოცემულია კონკრეტული ციფრები მოსწავლეთა და მასწავლებელთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ. მნიშვნელოვან მიღწევად შფასდა საყოველთაო სავალდებულო განათლების შემოღება, რაც აჭარაში 1930 წლის განმავლობაში განხორციელდა.

აჭარის მთავრობის მიერ გაწეული ერთი წლის მუშაობა შეაჯამა საბჭოების მე-10 ყრილობამ, რომელიც 1931 წლის თებერვალში გაიმართა. ყრილობამ მოისმინა ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს მთავრობის ანგარიში. ყრილობის რეზოლუციაში განხილულია საქართველოს ეკონომიკის საკვანძო საკითხები. ყრილობამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე მსჯელობას, რადგან წარმოების ეს ფორმა ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციაში შედიოდა. მათ შორის დასახლედა ,,აწჰესის“ მშენებლობა.

განათლების მიმართულებით დასახეს ამოცანები: სკოლებში სააგიტაციო საქმიანობის გაძლიერება, სასკოლო მშენებლობის დაჩქარება, სკოლების აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით, ასევე სკოლამდელი საბავშო სააღმზრდელო

დაწესებულებების მშენებლობა. [**ასყდმკ,1971:399-404**]. აღნიშნულ ყრილობაზე მწვავედ დაისვა საოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარების საკითხი. მაშინ აჭარის საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმად გამოცხადდა მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა, სადაც მხოლოდ შრომა იყო განსაზოგადოებული. კოლმეურნეებში ძირითადად შედიოდნენ ყოფილი მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები, ე.წ. ფუხარა, რადგან მათ დასაკარგი არაფერი გააჩნდათ, მაგალითად 1930 წლის მაისის მონაცემებით კოლმეურნეობების წევრების 77% მოჯამაგირე და ღარიბი გლეხები შეადგენდნენ. კოლმეურეთა შორის საშუალო გლეხი 18,4% შეადგენდა. დანარჩენი წევრები იყვნენ მუშა-მოსამსახურეები.[**ბსისმკა,1980:412**].

კულაკთან ერთად კოლმეურნეობაში გაერთიანებას თავს არიდებდა საშუალო გლეხობაც. აჭარის საბჭოების მე-10 ყრილობაზე აღინიშნა, რომ კულაკი კოლმეურნეობაში იმ მიზნით შედის, რათა ჩაშალოს კოლექტივი, საფრთხის წინაშე დააყენოს მისი არსებობა. ამიტომ ყრილობა ერთხმად მოითხოვდა კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. დელეგატებმა გაახმოვანეს ერთ-ერთი მდიდარი გლეხის განცხადება სოფლის კრებაზე: საბჭოთა ხელისუფლება გლეხებს ჩაგრავს,ხელს არ უწყობს, მიწას ართმევს.[**ასსცსა ფ.რ-4, აღწ.1, საქმ.553,ფურც.17**]. ყრილობის დელეგატმა ხულოს რაიონიდან ს.ბეჟანიძემ განაცხადა: ,,აჭარისტანის გლეხობა ჯერ სრული შეგნებით არ მიდის კოლექტივში, კოლექტივში მიდის უფრო იმიტომ, რომ იქ იძლევიან სამრეწველო საქონელს...მეტს იღებს დახმარებას, ვიდრე კერძო მურნეები.[**ასსცსა, ფ. რ-4, აღწ.1, საქმ.552, ფურც.108**]. გლეხების ბრძოლას საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ მოწმობს სხვა ფაქტებიც. აჭარის საბჭოების მე-10 ყრილობაზე ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარის მოადგილემ აკაკი ქავთარაძემ განაცხადა: გლეხობას არ სურს მთლიანი ოჯახი გააერთიანოს კოლმეურნეობაში თავისი წილი მიწით. ოჯახის დანარჩენ წევრებს მიწა რჩებათ საკუთრებაში. გლეხი ფიქრობს, თუ კოლმეურნეობაში ყველაფერს გავაერთიანებ დავიღუპები. ა.ქავთარაძე გლეხობის ამ მდგომარეობას მათი ჩამორჩენილობით ხსნის.[**ასსცსა, ფ.რ-4, აღწ.1, საქმ.552, ფურც.173**]. ცხადია კულაკის თემა ხელოვნურად იყო შექმნილი, მრავალ შემთხვევაში კულაკად შერაცხული იყო საშუალო გლეხიც.

აჭარის საბჭოების მე-10 ყრილობამ ორი რეზოლუცია მიიღო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობის,კოლმეურნეობის მშენებლობისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მსვლელობის შესახებ. 1931 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიას პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა. ეს მართლაც ასე იყო, რამდენადაც სურსათის პრობლემა მწვავედ იდგა, მოსახლეობა შიმშილობდა. 1930-1931 წლებში მოსახლეობას ჰქონდა სიმინდის ჩაბარების გეგმა. ეს გეგმა საშუალო და მდიდარ გლეხებზე ვრცელდებოდა. რეზოლუციაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარების პერსპექტივებს. საბჭოების მე-10 ყრილობამ აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შედიოდნენ სახალხო კომისრები, ქალაქისა და რაიონების საბჭოების აღმასკომის თავჯდომარეები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები. ცაკის პლენუმზე, რომელიც ყრილობის დამთავრების შემდეგ გაიმართა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ აირჩიეს ზექერია ლორთქიფანიძე. პლენუმზე დაამტკიცეს აგრეთვე სახალხო კომისიები, სამმართველოების უფროსები. შეიქმნა ცაკისა და მისი პრეზიდიუმის აპარატი, რომელშიც შედიოდა საქმეთა მმართველობა, კანცელარია, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და საგეგმო-სტატისტიკური განყოფილებები. მაშინდელი წესის მიხედვით ცაკის პლენუმი წელიწადში ოთხჯერ ტარდებოდა, ხოლო პრეზიდიუმის სხდომები თვეში ორჯერ. სახელმწიფო მართვის ოპერატიულობის ამაღლების მიზნით ცაკთან შეიქმნა მცირე პრეზიდიუმი, რომელშიც შედიოდნენ ცაკის თავჯდომარე, მოადგილე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული კავშირის თავჯდომარე და ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარე. 1924 წლიდან მოყოლებული სახალხო კომისართა საბჭოსთან მოქმედებდა ეკონომიკური კომისია, რომლის გადაწყვეტილებებს სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა. ამ კომისიის გადაწყვეტილებები მაშინ შედიოდა ძალაში როცა ცაკის პლენუმი დაამტკიცებდა. ეკონომიკური კომისიის წევრები იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის თვაჯდომარე, მოადგილე და საქართველოს კომპარტიის აჭარის კომიტეტის პირველი მდივანი.ეკონომიკური საბჭო მუშაობდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების განმავლობაში. 1931 წლისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ითვლებოდა 5 სახალხო კომისარიატი, მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის და სამხედრო კომისარიატები.[**ასსცსა, ფ.რ-2, აღწ.1, საქმ.533,ფურც.33**]. ცენტრალიზმის გაძლიერების მაჩვენებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების ნაწილის საქართველოს კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებად გარდაქმნა. 1931 წელს აჭარაში არსებობდა საქართველოს სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები, ფინანსთა, შრომის, სახელმწიფო ვაჭრობის, ფოსტა-ტელეგრაფის, ორგანოები.

ცვლილებები ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების სიტემაში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1934 წელს დაარსდა აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი. 1935 წელს შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა აჭარის სამმართველო. 1937 წლის დასაწყისში აღადგინეს აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელშიც პოლიტიკური სამმართველოც გაერთიანდა. 1930 წელს ასევე გაუქმდა აჭარის იუსტიციის სახალხო კომისარიატი, მის ნაცვლად ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი ორგანო-უზენაესი სასამართლო და საოლქო პროკურატურა. ამ გარდაქმნამ არ გაამართლა, ამიტომ, 1935 წელს აღადგინეს იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი იმავდროულად იყო რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე. ეს გაუთავებელი და გაუაზრებელი ცვლილებები უმეტეს შემთხვევაში მოდიოდა საკავშირო და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებიდან. ამ ცვლილებათა შედეგად 1937 წლის დასაწყისში აჭარაში ითვლებოდა 10 სახალხო კომისარიატი. (მიწათმოქმდების, განათლების, ადგილობრივი მრეწველობის, ფინანსთა, საშინაო ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის და იუსტიციის კომისარიატები) [**ასსცსა,ფ.რ-84,აღწ.1,საქმ.844,ფურც.33-35**]. ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მუშაობდნენ ზემდგომი ორგანოების დირექტივების საფუძველზე.

ცაკის პრეზიდიუმი ამზადებდა საბჭოების ყრილობებსა და ცაკის სესიებს. ხელმძღვანელობდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებას. ცაკის პრეზიდიუმი იხილავდა რესპუბლიკის ტერიტორიული დაყოფის საკითხებს და ეს

საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად შეჰქონდა საბჭოების ყრილობებსა და ცაკის სესიაზე დასამტკიცებლად.

ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, უმაღლეს საბჭოებს მოსახლეობა ირჩევდა ოთხი წლის ვადით. შემდგომში, უფრო სწორად კი სამოცდაათიან წლების კონსტიტუციით კი ეს ვადა გაიზარდა 5 წლამდე. უმაღლესი საბჭო ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები არ წარმოადგენდნენ პროფესიონალ დეპუტატ-კანონმდებლებს, რომელთა საქმიანობაც მკვეთრად იქნებოდა რეგლამენტირებული 4-5 წლის განმავლობაში კანონშემოქმედებითი საქმიანობით. ისინი იყვნენ საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში იყვნენ დასაქმებულნი. ე.ი. ეწეოდნენ ანაზღაურებად საქმიანობას, რაც მაგალითად დღევანდელი კანონმდებლობით აკრძალულია და ყრილობების დროს იკრიბებოდნენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ მართავდა ადგილობრივ მრეწველობას. სწორედ ამ მიზნით 1931 წელს დაარსდა ჯერ ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო, ხოლო 1934 წელს ეწოდა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი. მის დაქვემდებარებაში შედიოდა საშუალო და წვრილი საწარმოები. ადგილობრივი მრეწველობის უწყებაში შემავალ საწარმოთა მდგომარეობა ტექნიკური აღჭურვილობის და ნედლეულით მომარაგების თვალსაზრისით მძიმე იყო. ცაკის პერზიდიუმმა ამ ვითარების გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, რომლითაც დაგეგმეს ვითარების გამოსწორების გზები. [**ბსისმკა,1980:209**]. აჭარის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა ოჩხამურის აგურ-კრამიტის, ბათუმის ბეტონისა და აგურის ქარხნები, კერამიკული და სამშენებლო ქვის სახელოსნოები. [**ბსისმკა,1980:235**] XX საუკუნის 30-იან წლებში ყველაზე დიდი სამრეწველო ობიექტი იყო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური (აწჰესი). მისი მშენებლობა 1927 წელს გაჩერდა. 1931 წელს მშენებლობა განახლდა. ობიექტი აჭარის ცაკის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო. ობიექტზე მომუშავეთა სოლიდური რაოდენობა იყო დასაქმებული. 800-დან 1638 მუშაკამდე.

XX საუკუნის 30-იან წლების პირველი ნახევარში განხორციელებული მუშაობის შედეგები შეაჯამა აჭარის საბჭოების მე-11 ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1935 წლის იანვარში. ყრილობა გახსნა ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარემ ზექერია ლორთქიფანიძემ. საბჭოების ყრილობაზე შეაჯამეს ოთხი წლის განმავლობაში აჭარის ცენრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა. სხვადასხვა ტიპის სირთულეებთან ერთად აღნიშნეს მიღწეული წარმატებები მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით.[**ასყდმკ,1971:429**] ყრილობის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საბჭოთა კულტურული მშენებლობის თემას, მიუხედავად რიგი წარმატებებისა, კვლავ საგრძნობი იყო ჩამორჩენილობა სქართველოს სხვა კუთხებბთან მიმართებით. განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებისა და მოძრაობის გაჩაღებას. 1935 წლის დასაწყისში აჭარაში ითვლებოდა წერა-კითხვის სალიკვიდაციო 486 სკოლა სამკითხველო. ამ საქმეს 680 მასწავლებელი ემსახურებოდა. [**ასსცსა,ფ.რ-178,აღწ.1,საქმ.260,ფურც.37-38**]. მე-11 ყრილობამ დაადგინა ასევე საყოველთაო სავალდებულო სწავლება. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირედმცოდნეობის ლიკვიდაციის, პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ყრილობამ დაავალა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აღმოეფხვრა სკოლებში არსებული ნაკოვანებები. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში მეტად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. მართალია ამ მიმართულებით გააძლიერეს მუშაობა აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობის კავშირმა, მაგრამ გლეხობის უკმაყოფილება კვლავ მაღალი იყო. მოსახლეობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა ძვირად დაუჯდა. ამ წლების მიღწევები მოპოვებულია ადამიანების ტანჯვა-წვალებისა და ნერვული დაძაბულობის პირობებში. რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას ისინი უპირობოდ ასრულებდნენ ზემდგომი ორგანოების დირექტივებს. აჭარაში 1921-1937 წლებში, როგორც დანარჩენ საქართველოში საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობა არადემოკრატიული იყო.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა. ბურჟუაზიული კლასის, თავადაზნაურების, კულაკების, სასულიერო პირების ლიკვიდაციის შემდეგ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობამ სოციალიზმის გამარჯვება გამოაცხადა და ამ ფაქტის საკანონმდებლო წესით გაფორმება გადაწყვიტა.შეიმუშავეს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცის პროექტი, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა საყოველთაო სახალხო განხილვის ეგიდით 1936 წლის ივნისში. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის სახალხო განხილვის შედეგები განიხილა აჭარის საბჭოების მე-12 ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1936 წლის 10 ნოემბერს. ყრილობამ მოისმინა ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის თავჯდომარის ზ.ლორთქიფანიძის მოხსენება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტის სახალხო განხილვის შედეგების შესახებ. ყრილობამ მოიწონა კონსტიტუციის კანონპროექტი და აირჩია დელეგატები საკუთრივ ზ.ლორთქიფანიძე და ბათუმის რაიონის კოლმეურნე აიშე გურგენიძე საბჭოთა კავშირის საგანგებო მე-8 ყრილობაზე დასასწრებად. [**ასყდმკ,1971:445-446**]. საბჭოთა კავშირის საგანგებო მე-8 ყრილობამ 1936 წლის 5 დეკემბერს დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია. საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის შესაბამისად მოკავშირე და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა საბჭოების შესაბამის ყრილობაზე დაამტკიცეს თავიანთი კონსტიტუციები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტი, 1929 წელს საქართველოს საბჭოების ყრილობამ არ დაამტკიცა, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას. [**თურმანიძე,2012:100-101**]. 1937 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია კი სრულ თანხვედრაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციასთან. აჭარის კონსტიტუციის პროექტი განიხილა აჭარის საბჭოების საგანგებო მე-12 ყრილობამ 1937 წლის 25 ოქტომბერს. 1937 წლის კონსტიტუციით დადგინდა აჭარის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურები და უფლებამოსილება. [**გაზ.საბჭოთა აჭარა,N246,1937:2-4**] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია ჩატარდა 1938 წლის ივლისში. სესიამ დაამტკიცა არჩევნების შედეგები, აირჩია უზენაესი საბჭოს თავჯდომარე და მოადგილეები.

განსაზღვრული სისტემა გააჩნდა აგრეთვე მმართველობით ორგანოებსაც . მმართველობის ორგანოების სისტემა შეიცავდა უმაღლეს, ცენტრალურ და

ადგილობრივ ორგანოებს. მმართველობის უმაღლესი ორგანოებს წარმოადგენდნენ: სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებს წარმოადგენდნენ: მშრომელთა და დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, გარდა სოფლისა და დაბის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებისა, შეიცავდნენ განყოფილებებს. საოლქო და სამხარეო აღმასკომები კი სამმართველოებსაც. ფორმალურად სსრ კავშირში პოლიტიკურ საფუძველს საბჭოები წარმოადგენდნენ, **რომელზეც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებდა კომუნისტური პარტია. ამდენად საბჭოების პოლიტიკურ საფუძვლად დასახელება ფორმალურ ხასიათს ატარებდა.**

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი საბჭოთა სახელმწიფოში ფორმალურ ხასიათს ატარებდა. საბჭოური ხელისუფლების სისტემა საკმაოდ რთული მექანიზმს წარმოადგენდა. უფრო სწორად რომ ავღნიშნოთ არსებობდა ადგილებზე ე.ი. ქალაქებში, რაიონებში, დაბებში ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები. იურიდიულად, საბჭოური სამართლებრივი პრინციპების მიხედვით საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენდა საბჭოების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოთა გაერთიანებას, ე.ი. ცენტრალიზებული დემოკრატიზმის ფორმა. თუმცა დემოკრატია ამ სიტყვის კლასიკური გაგებით იგნორირებული იყო. ვინაიდან არ არსებობდა არჩევანის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, უგუვებელყოფილი იყო ადამიანის თავისუფალი ნება. ამიტომ დემოკრატიაზე ლაპარაკი ბუნებრივია არ შეიძლება. არსებობდა ადგილობრივი საბჭოების სამი რგოლი. უმაღლესი რგოლი, რომელსაც მიეკუთვნებოდა საოლქო, სამხარეო და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, აგრეთვე იმ ქალაქების საბჭოები, რომელთაც გააჩნდათ რაიონული დაყოფა. საშუალო რგოლი, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ რაიონისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. ძირეული რგოლი, სოფლის, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. ხელისუფლების უმაღლესი და აგილობრივი ორგანოები თავიანთი ყველა რგოლით ჰქმნიდნენ ერთიან სისტემას და საბჭოთა ხელისუფლება ამ ორგანიზაციაში აერთიანებდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ

ხელისუფლებას. თანამედროვე გადმოსახედიდან ამ მოსაზრებას დაეთანხმო რთულია, მაგრამ ხელისუფლებების ცალკეული რგოლების ურთიერთ დამოკიდებულება მართლაც ერთიან სისტემას წარმოადგენდა. **ოღონდ აქვე დავამატებთ საბჭოების როლის ფორმალურ ხასიათს, მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოს სახელწოდება პირდაპირ მიუთითებდა საბჭოების წამყვან როლზე. ლოკომოტივის ფუნქციას ქვეყანაში ასრულებდა მმართველი, კომუნისტური პარტია და მისი ყრილობები, საბჭოები კი ახორციელებდა პარტიულ ყრილობებზე მიღებული დადგენილებების კოპირებასა და საკანონმდებლო სივრცეში მის იმპლემენტაციას.**

სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაშიც საბჭოები არჩევითი და სახალხო წარმომადგენლობათა ორგანოები იყო, მაგრამ ამ ორგანოთა ჩამოყალიბება შეზღუდვითი, არასავსებით თანასწორი და მრავალსაფეხურიანი საარჩევნო სისტემით ხდებოდა ღია კენჭისყრით. არჩევნებში მონაწილეობდნენ მხოლოდ მუშა მოსამსახურეები. შემუშავებული იყო წარმომადგენლობითი ნორმები, რომლითაც დაცული იყო მუშათა კლასის უპირატესობა გლეხობასთან შედარებით. [ერემოვი,1955:14] **აშკარაა დისკრიმინაციული დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალური წრეების წარმომადგენელთა მიმართ.** ე.ი. ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები ქმნიდნენ თავიანთ აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ქმნიდა მთავრობას-სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ირჩევდნენ აღმასრულებელ კომიტეტს. სახალხო კომისართა საბჭო შედგებოდა დარგობრივი ორგანოებისაგან-სახალხო კომისარიატებისაგან, მთავარი სამმართველოებისაგან, ხოლო აღმასკომები განყოფილებებისაგან. მაშინ ხელისუფლების ორგანოებს ირჩევდნენ(როგორც ზემოთ ავღნიშნეთ)არასავსებით თანასწორი ღია კენჭისყრით. არჩევნები შეზღუდული იყო და მასში მხოლოდ მშრომელთა კლასის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მმართველობითი ორგანოები (ე.ი.აღმასრულებელ-განმკარგულებელი) ორმაგი დაქვემდებარების პრინციპით იყვნენ აგებულნი. საბჭოების ორგანიზაციულ პრინციპს უწოდებდნენ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. როგორც აღინიშნა, 1936 წლის 5 დეკემბრის საკავშირო საბჭოების საგანგებო მერვე ყრილობამ დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია (რომელსაც გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია უწოდეს).

შეზღუდული და არათანასწორი (როგორც მაშინ უწოდებდნენ) საარჩევნო სისტემა შეიცვალა საყოველთაო არჩევნებით. შეიცვალა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სტრუქტურა, სამრგოლიანი სისტემა (ყრილობა, ცაკი და ცაკის აღმასკომის პრეზიდიუმი) შეიცვალა ორგოლიანი სისტემით(უმაღლესი საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი). რაც შეეხება ადგილობრივ ორგანოებს, მათი სისტემა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დაყოფის შესატყვისად დაადგინეს: სოფლის, დაბის, ქალაქის, რაიონის, ოლქის, ავტონომიური ოლქის და მხარის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები.[**ბაღათურია,1969:17-18**].

სამართლებრივი თვალსაზრისით საბჭოების მიერ მიღებული კანონები და სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებები წარმოადგენდნენ საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის წყაროს, სამართლის წყაროს წარმოადგენდა ასევე მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები. ,,ავტონომიური რესპუბლიკის კანონები უნდა შეესაბამებოდეს იმ მოკავშირე რესპუბლიკების კანონებს რომლებშიც შედის ეს ავტონომიური რესპუბლიკები და აგრეთვე სსრ კავშირის კანონებს. ... კანონთა შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს სსრ კავშირის კანონები-მოკავშირე რესპუბლიკების კანონების მიმართ და მოკავშირე რესპუბლიკების კანონები- ავტონომიური რესპუბლიკების მიმართ.“ [**აბაშმაძე,1979:74**] უმაღლესი საბჭოების მიერ მიღებული დადგენილებები როგორც აღინიშნა წარმოადგენდა სამართლის წყაროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებს რომელსაც ერთობლივად ღებულობენ სსრ კავშირის მთავრობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტი. **საინტერესო კომბინაციაა, ფაქტიურად მმართველი პარტიის როლი სამართლებრივადაა დადასტურებული და აღიარებული. საქმე ისაა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელიც სამართლის წყაროდ ითვლებოდა. თანამედროვე სამართლებრივი ორგანიზების თვალსაზრისით ეს არის კონტრასიგნაცია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მმართველ პარტიას ამ დროს არ გააჩნია უფლება ჩაერიოს სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში. საბჭოთა პერიოდში კი ეს სავსებით**

კანონზომიერ მოვლენად ითვლებოდა. უფრო მეტიც, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იყო ფაქტიურად უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი ორგანო, რომლის გადაწყვეტილებებიც შესასრულებელლად სავალდებულო იყო, როგორც საბჭოებისთვის ასევე აღმასრულებელი კომიტეტებისთვის ყველა დონეზე. სამართლებრივი, ფორმალური თვალსაზრისით მშრომელთა და დეპუტტების ადგილობრივ საბჭოებს, რომლებსაც შემდგომში სახალხო დეპუტატთა საბჭოები ეწოდა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლსა და კორდინაციას უწევდნენ ყველა ორგანოს თავიანთ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს, მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ, როგორც ფიზიკური პირები, ასევე სოციალისტური ორგანიზაციები, ,,...ქვეყანაში სუვერენულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ სსრ კავშირი მთლიანად და მოკავშირე რესპუბლიკები“.[ХАЛФИНА,1974:164] . საბჭოურ მეცნიერებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ერთის მხრის სახელმწიფო ორგანოებს, მეორე მხრივ კი სამეურნეო საწარმოებსა და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის განსხვავება ის იყო, რომ სახელმწიფო ორგანოები უშუალოდ ახორციელებენ საზოგადოებაზე სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას მბრძანებლურ-ორგანიზაციული ფუნქციის საშუალებით. ,,...კერძოდ სახელმწიფო ორგანოები საზოგადოებრივ ცხოვრებაში უშუალოდ ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის, მართლმსაჯულების, ზდამხედველობისა და კონტროლის რეალიზაციას“ [ХАЛФИНА,1974:171].

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა სესიების მუშაობაში გამოიხატებოდა. საბჭოს სესია ხელისუფლების ორგანიზაციული მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფორმა იყო. სესიებს იწვევდა და ამზადებდა შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი. მისი მოწვევისათვის საჭირო იყო შესაბამისი საორგანიზაციო საქმიანობის ჩატარება. სხვადასხვა რგოლის საბჭოების სესიის მოსაწვევად შესაბამის აღმასკომს თითოეულ დეპუტატამდე უნდა დაეყვანა სესიის დღის წესრიგის პროექტი, მისი გამართვის ზუსტი დრო. სოფლად და დაბებში საკმარისი იყო ეს ცნობები დეპუტატებამდე დასულიყო სესიის გახსნამდე სამი-ოთხი

დღით ადრე, რაიონებსა და ქალაქებში ხუთი-ექვსი დღით ადრე. ხოლო ოლქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მხარეებში ათი-თორმეტი დღით ადრე. 1936 წლის კონსტიტუციის მიხედვით, სოფლად, დაბებსა და ქალაქებში რომელთაც არ გააჩნდათ რაიონული დაყოფა, აგრეთვე ქალაქის რაიონულ საბჭოებში სესია ტარდებოდა თვეში ერთხელ, რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში წელიწადში არანაკლებ ექვსისა (კონსტიტუციის 91-ე და 92-ე მუხლები). ,,მასის ყოველი წარმომადგენელი, ყოველი მოქალაქე ისეთ პირობებში უნდა იქნას ჩაყენებული, რომ მას შეეძლოს მონაწილეობა სახელმწიფოს კანონების განხილვაშიც, თავის წარმომადგენელთა არჩევნებშიც და სახელმწიფო კანონების განხორციელებაშიც“.[ლენინი,თხზ.ტ.27:244.] **ეს იყო წმინდა წყლის დემაგოგია და უტოპია, კომუნისტურ საზოგადოებაში მასები საერთოდ მოწყვეტილნი იყვნენ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ვინაიდან იგნორირებული იყო ადამიანის თავისუფლება. კანონშემოქმედებით საქმიანობას ბუნებრივია მასები ყველანი ერთად ვერ განახორციელებდნენ. პირდაპირი დემოკრატია არ მუშაობს თავად დემოკრატიულ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირში კი პირიქით, გარკვეული, პარტიული ტიპის ნომენკლატურა ღებულობდა გადაწყვეტილებებს,** ბუნებრივია არსებობდა კარიერული, პარტიულ-ბოლშევიკური წინსვლის უამრავი გზა და საშუალება, მაგრამ მოსახლეობის ფართო მასები ამ საკითხში აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში იყვნენ. **რეალობა კი რადიკალურად განსხვავდებოდა, ზუსტად პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებანი იყო განმსაზღვრელი და პოლიტიკის შემმუშავებელი, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები როგორც საბჭოები, ისე აღმასკომები მათი განმხორციელებლები იყვნენ. უპირველესი იყო პარტიული დიქტატის შესრულების სავალდებულობა. კომპარტია ახორციელებდა კონტროლს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე, როგორც ფორმალურად ისე არაფორმალურად.** ყველა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არსებობდა კომუნისტური პარტიის ადგილობრივი რგოლები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ პარტიის ადგილობრივი თუ ცენტრალური კომიტეტის წინაშე.

1918 წლის თებერვლიდან საბჭოებს ეწოდა ,,მუშათა გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოები. ...წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობის შედეგად, როგორც ქალაქად ისე სოფლად....საჭირო გახდა საბჭოების სახელწოდების შეცვლაც.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით მათ ეწოდათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“[**ერემოვი,1985:21-22**].] საბჭოების სესიის დროს, აგრეთვე დეპუტატთა უფლებამოსილების შესრულების პერიოდში რომელიც გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით, დეპუტატი თავისუფლდებოდა საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახებოდა გასამრჯელო, ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილას. უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისათვის გათვალისწინებული იყო გარკვეული სოციალური ტიპის შეღავათები. მაგალითად ტრანსპორტიტ მომსახურება გარდა ტაქსისა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების უფასო მგზავრობის წესებს და აგრეთვე სატრანსპორტო ორგანიზაციებთან ანგარიშგების წესებს ადგენდა საკავშირო და ადგილობრივი სახალხო კომისარიატები, მოგვიანებით მინისტრთა საბჭოები. კანონით დაცული იყო დეპუტატის შრომითი უფლება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დეპუტატი ადმინისტრაციის ინიციატივით არ შეიძლებოდა დაეთხოვათ სამსახურიდან, დაექვეითებინათ და ა.შ. საბჭოს ან სესიათა შორის პერიოდში მისი აღმასკომის წინასწარი დასტურის გარეშე. ასევე ამ ორგანოთა დასტურის გარეშე შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე შეუძლებლად იყო მიჩნეული საბჭოს დეპუტატის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაპატიმრება ან სასამართლო წესით ადმინისტრაციული სასჯელის დადება.[**ერემოვი,1973:31-32**]

საბჭოთა მეცნიერება თავად აღიარებდა, რომ დეპუტატი არ ყოფილა პროფესიონალი, კვალიფიციური სახელმწიფო მოხელე. მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ საბჭოს დეპუტატი იმავდროულად შეიძლება ყოფილიყო აღმასკომის წევრიც. ე.ი. ერთდროულად იგი აღმასრულებელ რგოლშიც გვევლინება. დეპუტატი, რომელიც აღმასკომის წევრი არ იყო, აღმასკომის სხდომაზე მაინც სარგებლობდა სათათბირო ხმის უფლებით. ოლქისა და მხარის საბჭოების დეპუტატი ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებული იყოს წარმდგარიყო ,,ამომრჩევლის“ წინაშე წელიწადში ერთხელ, ხოლო რაიონის საბჭოს დეპუტატი წელიწადში ორჯერ, ქალაქისა და ქალაქში შემავალი რაიონების, სოფლის, დაბის დეპუტატი კვარტალში ერთხელ. ავტონომიური რესპუბლიკის 1937 წლის კონსტიტუციამ ძალაში დატოვა დეპუტატის გამოწვევის იქამდე არსებული წესი. დეპუტატის უკან გამოწვევა მიჩნეული იყო უკიდურეს ზომად. უკან გამოწვევის შესახებ საკითხის დაყენების უფლებამოსილება ჰქონდა იმ

საზოგადოებრივ ორგანზაციას ან მშრომელთა საზოგადოებას, რომელსაც დეპუტატობის კანდიდატად ყავდა დაყენებული ესა თუ ის პირი. აღნიშნულ საკითხს განიხილავდნენ სპეციალურად მოწვეულ კრებაზე.

ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები აარსებდნენ თავის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს-სახალხო კომისართა საბჭოებს. მოგვიანებით 1937 წლის აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციით განხორციელდა შემდგომი ცვლილებები, მაგრამ არა არსებითი ხასიათისა. აჭარას 1937 წლამდე საკუთარი კონსტიტუცია არ გააჩნდა, ვინაიდან 1929 წლის კონსტიტუციის პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის, მასში არსებული იმ ჩანაწერების გამო, რომლითაც პროექტი სცილდებოდა ავტონომიის საყოველთაოდ აღიარებულ არსებულ ჩარჩოებს და პრაქტიკულად დამოუკიდებელ სუბიექტად წარმოგვიდგებოდა.[**ტაბაღუა,2018:146-147**]. ხელისუფლება-პარტოკრატია, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გეგმების შესრულებისათვის იყენებდნენ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებს, ეწეოდნენ შანტაჟს, ტერორს. მათ მოსახლეობა ფაქტობრივად ტყვეობაში ჰყავდათ. 30-იანი წლების ,,დიდი ტერორის“ შემდეგ მოსახლეობა ისე იყო დაშანტაჟებული და შეშინებული, რომ აშკარად ვეღარ გამოდიოდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. სინამდვილეში საბჭოთა კავშირში პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებდა, რომლის დაძლევა მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის შეცვლით იყო შესაძლებელი.

&2. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, აღმასკომის განყოფილებანი, კომისიები და სამმართველოები

საბჭოთა ხელისუფლების დროს ადგილობრივ ორგანოებს განეკუთვნებოდნენ, სამაზრო, სადაბო და სათემო საბჭოები. 1922 წელს აჭარაში იყო ერთი საქალაქო, (ბათუმი) ხუთი სამაზრო საბჭო და თორმეტი სასოფლო თემ-საბჭო. მათი სახელწოდება კომუნისტების კლასობრივი-სოციალური იდეოლოგიისა და პოლიტიკის შესატყვისი იყო: მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების

საბჭოები. ეს სახელწოდება შემორჩა ამ ორგანოებს 1936 წლის 5 დეკემბრის კონსტიტუციამდე. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა არაერთგზის განიცადეს ცვილებები. ამ მიმართულებით პირველი რეფორმა 1923-1925 წლებში განხორციელდა, მეორე-1929-1930, ხოლო მესამე 1938-1940 წლებში.

1923-1925 წლების რეფორმების შედეგად სოფლები გადანაწილდა მაზრებში, რის შემდეგ შეიქმნა ჭოროხისა და აჭარისწყლის მაზრები. ჭოროხის მაზრას ეწოდა ბათუმის, კინტრიშისას-ქობულეთის, ზემო აჭარისას-ხულოს, ქვემო აჭარისას კი ქედის მაზრები. 1925 წელს ქედის მაზრა გაერთიანდა ქალაქ ბათუმთან და ეწოდა ,,ქალაქი ბათუმი და მისი მაზრა". 1927 წელს აჭარისწყლის მაზრა გაუქმდა და მასში შემავალი სათემო საბჭოები ქალაქი ბათუმის მაზრის შემადგენლობაში შევიდა. 1929-1930 წლის რეფორმის შედეგად მაზრის საბჭოებს ეწოდა რაიონის, ხოლო სათემოს-სასოფლო საბჭოები. 1930 წელს ,,ქალაქი ბათუმი და მისი მაზრა" კვლავ განცალკევდა, შეიქმნა ბათუმის რაიონის საბჭო. ამასთან შეიქმნა ახალი სასოფლო საბჭოები. ამრიგად 1930 წელს აჭარაში იყო მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ბათუმის, ქედისა და ხულოს რაიონების საბჭოები. სასოფლო საბჭოების რაოდენობა 20-მდე გაიზარდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების შემდეგ რაიონებს, ქალაქის რაიონებს ქმნიდა და აუქმებდა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. ,,...აჭარის ასსრ დასახლებულ პუნქტებს რესპუბლიკური დაქვემდბარების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას და ქალაქის ტიპის დაბათა კატეგორიას, მიაკუთვნებენ, მათ საზღვრებს ადგენენ, აგრეთვე სოფლის დასახლებულ პუნქტებს ქმნიან და აუქმებენ ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები ამ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით და სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით, რასაც შემდეგ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი"[**შუშანაშვილი,1983:19**].

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ირჩევდნენ ორი წლის ვადით. ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები თავისი ამოცანების მიხედვით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ისინი ჰქმნიდნენ ერთიან სისტემას. მართველობის ადგილობრივ ორგანოებს ევალებოდათ განეხორციელებინათ

ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული კანონების აღსრულება ადგილებზე. ისინი ადგილებზე ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ საქმიანობას. სამაზრო, საქალაქო და სათემო საბჭოების აღმასკომებთან თავიანთ ამოცანათა შესასრლებლად არსებობდა განყოფილებები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ აღმასკომის მიერ არჩეული გამგეები. განყოფილების გამგედ შეიძლებოდა დანიშნულიყო აღმასკომის არაწევრიც. აღმასკომის მიერ არჩეულ განყოფილების გამგეს ამტკიცებდა შესაბამისი სახალხო კომისარიატი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტდა სახალხო კომისართა საბჭო. ჩვეულებრივ განყოფილებანი ორმაგი დაქვემდებარების პრინციპით მოქმედებდნენ. ისინი ექვემდებარებოდნენ ერთის მხრივ აღმასკომებს, მეორეს მხრივ- შესაბამის სახალხო კომისარიატებს.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის შესაბამისად ყველა რგოლის ადგილობრივი საბჭო ირჩეოდა ორი წლის ვადით. უმაღლესი ორგანოები კი ირჩეოდა 4 წლის ვადით. [**ბაღათურია,1969:19].** ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობდნენ ხმის უფლების მქონე საბჭოთა მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან. ამავე ასაკიდან ადგილობრის ორგანოებში შეიძლებოდა მათი არჩევაც. ასევე სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების არჩევნებშიც 18 წლიდან შეიძლებოდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მოქალაქის არჩევა შეიძლებოდა 23 წლის ასაკიდან, ხოლო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში არჩევა შეიძლებოდა 21 წლის ასაკიდან. ადგილობრივი საბჭოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განაგებდნენ, როგორც სამეურნეო ისე პოლიტიკურ საქმიანობას.[ერემოვი,1955:18].

სახალხო დეპუტატთა საბჭოები შეადგენდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან სისტემას, რომელშიც შედიოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოები, საქალაო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები. სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადგილობრივ საბჭოებს, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე წყვეტდნენ საკითხებს საერთო სახელმწიფო ინტერესების

შესაბამისად, უზრუნველყოფენ ცენტრალურ ხელისუფლებათა გადაწყვეტილებათა შესრულებას.[**შუშანაშვილი,1983:3-4**]. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ ადგილობრივი საბჭოების, ე.ი. ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობა საკმაოდ პირობითი დეფინიცია იყო, ის უფრო ფიქცია იყო ვიდრე რეალურად აღსრულებადი. პირდაპირ აღნიშნავს ავტორი,(რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრი იყო) რომ ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფდა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ადგილებზე განხორციელებას. ამიტომ ცალსახად შეიძება ითქვას, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმი არ ითვალისწინებდა ინიციატივებს ადგილებზე. ეს ეწინააღმდეგებოდა მკაცრი ცენტრალიზმის საფუძვლებს მმართველობით სფეროში, ამ პოლიტიკის განმსაზღვრელი კი საკავშირო კომუნისტური პარტია იყო. ,,...საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველი საბჭოები, იყო მუშებისა და გლეხების თვითმმართველი ორგანიზაცია, რომელიც უარყოფდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გამიჯვნას. საბჭოები გარეგნულად დემოკრატიული ორგანო იყო, მაგრამ არჩევნების დროს ერთი მუშის ხმა რამდენიმე გლეხის ხმას უდრიდა. მხოლოდ დიდი ხნის შმდეგ დამკვიდრდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, როდესაც ,,მტრული კლასები" ფიზიკურად ლიკვიდირებული იყო..."[**მაცაბერიძე,2019:163**].

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აკონტროლებდა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას, ისმენდა მათ ანგარიშებს ჩატარებული სამუშაოების შესახებ. 1930 წელს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გაუქმების შემდეგ, საქალაქო, რაიონებისა და სასოფლო საბჭოებს ხელმძღვანელობდა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება. XX საუკუნის 20-იან წლებში სამაზრო საბჭოების აღმასკომის სისტემაში 3 განყოფილება იყო, მიწათმოქმედების, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის, მაგრამ მათ არ გააჩნდათ მართვის აპარატი, კანცელარია, საქმეთა მმართველობა და ბუღალტერია ექვემდებარებოდა სამაზრო საბჭოს უფლებამოსილებას. 30-იან წლების მეორე ნახევარში გაიზარდა რაიონის საბჭოების აღმასკომის რაოდენობა, კერძოდ დაემატა შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, საგზაო, ვაჭრობის და კომუნალური მეურნეობის განყოფილებები. რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა მაღალმთიანი რაიონების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. 1938 წლის 18

ივლისს გაიმართა ხულოს რაიონის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მე-8 პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თვაჯდომარის შუქრი შარაშიძის მოხსენება 1934-1938 წლებში(ივლისამდე) გაწეული მუშაობის შესახებ. ეს ის პერიოდი იყო როდესაც რაიონის პარტიული, სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელობა დაპატიმრებული იყო. ამიტომ მოხსენება ბუნებრივია მკაცრად იდეოლოგიზირებულ ხასიათს ატარებს. რაიონში შექმნილი რთული ვითარების არსებობა ბრალდებოდა დაპატიმრებულ თანამდებობის პირებს, რომელთა ე.წ. მავნებლური საქმიანობა უარყოფით გავლენას ახდენდა რაიონის განვითარებაზე. [**ასსცსა ფ.რ-263,აღწ.1,საქმ.223,ფურც.31-49**] . ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის განსაკუთრებული ყურადღების არეალში იყო მოქცეული საზაფხულო საძოვრების, ტყის დაცვისა და გამოყენების საკითხები.1939 წლის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საზაფხულო საძოვრების განაწილების საკითხი.პრეზიდიუმის დადგენილებით საზაფხულო საძოვრები მიუჩინეს დიოკნისის, რიყეთის, აგარის, ღორჯომის, ხულოს, სხალთის, ხიხაძირის, შუბნის, დღვანის, უჩამბის, შუახევის, ჭვანის, ბარათაულის სასოფლო საბჭოების მოსახლეობას.[**ასსცსა ფ.რ-263,აღწ.1, საქმ.221,ფურც.18**].

საბჭოთა კონსტიტუციებისა და მისი მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ სამართლებრივი საკითხების შემუშავებაში ჩართული იყო საბჭოთა იდეოლოგები, მათ შორის წამყვან როლს ასრულებდა ი.სტალინი. 1939 წლის 22-23 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სხდომა, რომელმაც ი.სტალინი აირჩია აკადემიის საპატიო, ნამდვილ წევრად. უამრავი აკადემიკოსი წარსდგა კოლეგების წინაშე აღმაფრთოვანებელი მოხსენებით, რომლითაც ხაზს უსვამდნენ სტალინის მთავარ როლს საბჭოების შექმნასა და შემდგომ განმტკიცებაში. ყოველი გამომსვლელი თავისი პროფილით ადიდებდა ბელადს. ერთ-ერთი მიმართულება იყო სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართების საკითხი და სტალინის როლი კონსტიტუციონალიზმის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა აკად. ა.ვიშინსკი, რომელმაც აღნიშნა სტალინის მთავარი წამყვანი როლი საბჭოების ყველა კონსტიტუციის შექმნის საქმეში და ა.შ. [**მატიანე,2020:1**]. ხელისუფლების ორგანოების ფორმირება ცენტრსა და რეგიონებში მწვავე ხასიათს ატარებდა. მოსახლეობა უნდობლობით უყურებდა

ახალი ფორმაციის დამკვიდრებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ საკავშირო თუ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე აქტიურად განიხილებოდა ამ წინააღმდეგობის დაძლევის გზები. ბოლშევიკი ლიდერები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ საჭირო იყო უფრო აქტიურ ფაზაში გადასულიყო ბრძოლა ყველა ანტისაბჭოთა ელემენტის მიმართ, ყველა მიმართულებით, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პოლიტიკური ცხოვრების მიმართულებით. საქართველოს ცაკის ინიციატივით 1930 წლის აპრილში თბილისში შედგა თათბირი საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ფ.მახარაძე, მან გააკრიტიკა საბჭოებისადმი ,,ლიკვიდატორული“ (ე.ი. კრიტიკულ, მიუღებელი) დამოკიდებულება. ბოლშევიკების აღშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ სოფლად საკმაოდ ნელა ხდებოდა ბოლშევიკური იდეების: სოციალისტური და კოლექტიური საკუთრების იდეების იმპლემენტაცია. მოსახლეობა უნდობლად უყურებდა საერთო საკუთრების სამომავლო პერსპექტივებს. საბჭოებს ავალებდნენ უფრო აქტიურად, ენერგგიულად ემუშავათ ამ სირთულის დაძლევის საქმეში, რათა ხელი არ შეშლოდა სოფლებში პროლეტარიატის დიქტატურის გამყარებას. ყრილობამ დაგმო საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში სასოფლო საბჭოების როლის შეუფასებლობა, რაც ადგილებზე გამოვლინდა და პარტიულ ორგანიზაციებს მიეცა შემდგომი ბრძოლის დავალება ამ მოვლენებისადმი [**ეზუგბაია,1973:109**].

საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები ყოველთვის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით კი საკოლმეურნეო მშენებლობის პერიოდში, 1927 წელს საქართველოს სასოფლო(სათემო) საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 52,2%, ხოლო სსრ კავშირის მასშტაბით სასოფლო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საშუალოდ ამომრჩეველთა 48,4% [**ეზუგბაია,1973:110**]. მომდევნო პერიოდში სურათი ოდნავ შეიცვალა ზრდის ტენდენციით, ოღონდ არც ისე, რომ კომუნისტები კმაყოფილნი ყოფილიყვნენ. ყველაფერი ეს აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობის ფართო მასები აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდნენ ახალ პოლიტიკურ წყობას და არჩევნებში გამოუცხადებლობით აპროტესტებდნენ მას. ვინაიდან სხვა ლეგალური გზა პროტესტისა უბრალოდ არ არსებობდა. მიუხედავად იმისა რომ საბჭოური

კანონმდებლობა ფორმალურად იცავდა ადამიანის სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს. პარტია და მისი მითითებით სახელმწიფო ხელისუფლების ყველა რგოლი შეუდგა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე. ,, ასეთ ვითარებაში შეიკრიბა საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობა ყრილობაზე აღინიშნა, რომ სსრკ ადგას აგრალური ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის გზას, მრეწველობაში საკითხი ,,ვინ ვის" საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო სოციალიზმის სასარგებლოდ, ხოლო სოფლად ჯერ არა. კლასობრივი ბრძოლის სიმძიმის ცენტრი სოფლისკენ ინაცვლებდა...ყრილობამ საჭიროდ ცნო, რომ კულაკის შეზღუდვისა და განდევნის ლოზუნგიდან პარტია გადასულიყო მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ლოზუნგზე" [**სოლოვიოვი,1985:310-312**]. ამ საქმეში კი პარტიის დირექტივის შემსრულებლებად უნდა გამოსულიყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, სასოფლო და სათემო საბჭოები.

ხელისუფლების ორგანოები პერიოდული ხასიათის მომუშავე ორგანოები იყვნენ. მათი ორგანიზაციული მუშაობის ფორმას ყრილობის ნაცვლად სასესიო მუშაობა წარმოადგენდა(1936 წლიდან). სსრკ 1936 წლის კონსტიტუციის 96-ე მუხლით მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში წარმომადგენლობით ნორმებს განსაზღვრავდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები. ამ მუხლის შესაბამისად თითოეული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ითვალისწინებს რა რესპუბლიკის სპეციფიკას და თავისებურებას, კონსტიტუციური გზით ადგენს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა წარმომადგენლბით ნორმებს. ამავე კონსტიტუციის მიხედვით 86-ე, 87-ე, 88-ე მუხლებიდან გამომდინარე: რაიონულ საბჭოების არჩევა ხდებოდა შემდეგი პრინციპით: ათას მცხოვრებზე ერთი დეპუტატი. აჭარის ზღვისპირა რაიონების სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შრომატევადი დარგები, მოთხოვნილებებს მუშახელზე ვერ აკმაყოფილებდა ამიტომ მისი საგრძნობი ნაწილი გარედან შემოდიოდა. ეს გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მოსახლეობის მექანიკურ **ზრდაზე. ,,აჭარაში 1926 წლისათვის 21 სასოფლო საბჭო მოქმედებდა, მათი მოსახლეობა 81,6 ათასს სულს შეადგენდა...**1930 წლის შემდეგ თვისობრივად გადიდდა სასოფლო საბჭოების რიცხვი.1939 წლისათვის აჭარაში 50 სასოფლო საბჭო მოქმედებდა. მათში **მოსახლეობის რაოდენობამ 124 ათასი** სული

შეადგინა და ერთ სასოფლო საბჭოზე გაანგარიშებით მოსახლეობის საშუალო რიცხვი 2480 სული შეადგინა.“[**ელიზბარაშვილი,1974:19-30**].

საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს ევალებოდა სესიის მოწვევის ზუსტი ვადების დაცვა, ხელისუფლების ორგანო, არც უმაღლესი და არც ადგილობრივი, თავის თავს არ იწვევდა. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იწვევდა, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს სესიას კი როგორც ითქვა შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასკომს წინასწარ უნდა მოემზადებინა სესიაზე გასატანი საკითხები. ამ საქმეში კი აღმასკომს უნდა დახმარებოდა საბჭოს მუდმივი კომისიები, საბჭოს აქტივი, როგორც დეპუტატები, ისე არა დეპუტატები. აღმასკომი მუდმივმოქმედი ორგანო იყო, თუმცა მათი მუშაობის ძირითად ორგანიზაციულ ფორმა სხდომა წარმოადგენდა, რომელიც ასევე პერიოდულ ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები შეიძლება სამ სახეობად დაიყოს, უმაღლესი, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. მათი შექმნის წესი, ურთიერთდამოკიდებულება და უფლებები საბჭოთა კონსტიტუციებით იყო განსაზღვრული. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ხელისუფლების ორგანოთა (წარმომადგენლობითი) მიერ იქმნებოდა და მათ წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი. ხელისუფლების ორგანოებიდან საკანონმდებლო ფუნქციას მხოლოდ უმაღლესი ორგანოები(სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ავტონომიური რესპუბლკების უმაღლესი საბჭოები) ახორციელებდნენ. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კომუნისტური პარტიის და მთავრობის დირექტივების განმხორციელებლები იყვნენ.

ყველა რგოლის საბჭოს სესია უნდა გაეხსნა აღმასკომის თავჯდომარეს. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სოფლისა და დაბის საბჭოს სესიას ხსნიდა და სხდომებს უძღვებოდა ამავე საბჭოს აღმასკომის თავჯდომარე, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები თავიანთი სესიის დროისათვის სხდომათა გასაძღოლად ირჩევდნენ თავჯდომარესა და მდივანს. სესიების სხდომები კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ჩატარებულიყო ღიად, სასურველად იყო მიჩნეული სესიას დასწრებოდა პარტაქტივი, პროფორგანიზაციათა აქტივისტები,

მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივი ბეჭდითი ორგანოების რედაქტორები, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებიდან წარმომადგენლები, არადეპუტატების რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო დეპუტატთა რაოდენობაზე მეტი. საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა შეეძლო მხოლოდ ზემდგომ ორგანოებს. სესიაზე სიტყვით გამოსვლის უფლება გააჩნდათ არადეპუტატ წევრებსაც, რომლებსაც გააჩნდათ სათათბირო ხმის უფლება, რომლიც განსხვავდებოდა გადამწყვეტი ხმის უფლებისაგან. საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლის უფლება ჰქონდა ზემდგომ ორგანოს ან იმავე საბჭოს. სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ინახებოდა მის მუდმივმოქმედ ორგანოში აღმასკომში. მუდმივი კომისიის თავჯდომარედ და მდივნად არ შეიძლებოდა დანიშნულიყო აღმასკომის წევრები და მისი განყოფილების მუშაკები. მუდმივი კომისიები ამოწმებდნენ სხვადასხვა განყოფილებებისა და მაშასადამე აღმასკომის კონტროლსაც. ,, მუდმივი კომისიები არ წარმოადგენდა არც ხელისუფლებისა და არც მმართველობის ორგანოს“[ერემოვი,1955:36].

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები პირველივე სესიაზე ირჩევდნენ აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს-აღმასკომს. იგი მუდმივმოქმედ პოლიტიკურ დაწესებულებას წარმოადგენდა თავის საგანმგებლო ტერიტორიაზე. **ადგილობრივი საბჭოები ხელისუფლების ორგანოები იყვნენ. (ამ ტერმინის ქვეშ საბჭოთა მეცნიერებაში იგულისხმებოდა წარმომადგენლობითი რგოლი, როგორც უმაღლესი ხელისუფლების ორგანო).** აღმასკომები მშრომელთა დეპუტატთა საბჭოების ორგანული ნაწილი იყო, ამიტომ მის შემადგენლობაში მხოლოდ იმავე საბჭოს დეპუტატის შეყვანა შეიძლებოდა. აღმასკომის შემადგენლობას ირჩევდნენ შესაბამისი საბჭოს ახალი მოწვევის პირველ სესიაზე, რომლის შემადგენლობის შეცვლის უფლება ქონდა იმავე საბჭოს სესიას. მაშასადამე აღმასკომი ირჩეოდა არაპირდაპირი სისტემით, ხოლო მაშინ ამ სისტემას ორსაფეხურიან საარჩევნო სისტემას უწოდებდნენ. ე.ი. ჯერ ირჩევდნენ საბჭოებს, ხოლო საბჭოები აკომპლექტებდა აღმასკომებს, ე.ი. ადგილობრივ დონის აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ შესაბამისი საბჭოების წინაშე. აღმასკომის შემადგენლობა რაოდენობის თვალსაზრისით განსხვავებული იყო დასახლებული პუნქტის სიდიდისა და ადმინისტრაციული მნიშვნელობის შესაბამისად. სოფლებსა და დაბებში აღმასკომის წევრთა რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო საბჭოს წევრთა ერთ

მესამედზე მეტი. აღმასკომებს საბჭოები ირჩევდნენ ორი წლის ვადით, მოგვიანებით აღმასკომის წევრთა უფლებამოსილების ვადა გაიზარდა. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ აღმასკომის ძველი შემადგენლობა ინარჩუნებდა უფლებამოსილებას მანამდე, სანამ ახალარჩეული მშრომელთა დეპუტატების საბჭოები პირველ სესიაზე არ აირჩევდა ახალი აღმასკომის შემადგენლობას. (საქ.სსრ 1936 წლის კონსტიტუციის 111-ე მუხლი), როგორც ზემოთ ავღნიშნეთ აღმასკომი თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებული იყო შესაბამისი საბჭოებისა და ზემდგომი აღმასკომის წინაშე. **გაუმართლებლად ითვლებოდა იმ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედება, რომლებიც თავიანთ შემადგენლობაში შეიყვანდა ისეთ პირებს, რომლებიც არ იყვნენ შესაბამისი საბჭოს წევრები**. ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს შეეძლოთ რეკომენდაციების გაწევა აღმასკომებისათვის, ასევე თუ ვინ უნდა აერჩიათ აღმასკომის წევრებად.

ყოველი დონის აღმასკომის მუშაობის სირთულედ ითვლებოდა ის ფაქტი, რომ იგი პასუხისმგებელი იყო ქვემდგომი აღმასკომის საქმიანობაზე. ზემდგომი აღმასკომი კანონის შესაბამისად ვალდებული იყო გაეწია კონტროლი და უწყებრივი დახმარებაც ქვემდგომი რგოლისადმი. ოღონდ ზემდგომ აღმასკომს ქვემდგომი აღმასკომის დათხოვნის და შეცვლის უფლებამოსილება არ გააჩნდა. ეს უფლებამისილება შესაბამის საბჭოებს გააჩნდა. აღმასკომები უშუალოდ ანგარიშვალდებულნი იყვნენ, როგორც იმ საბჭოების წინაშე ვინც იგი დააკომპლექტა, ასევე ზემდგომი საბჭოს აღმასკომის წინაშეც. დაქვემდებარების ამ წესს თუ პრინციპს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ეწოდებოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი. ამ პრინციპზე იყო აგებული მთელი სახელმწიფო აპარატი, როგორც ცალკეულ რესპუბლიკებში, ასევე ავტონომიურ ტერიტორიებზეც და მთლიანად საბჭოთა კავშირში.

ვერტიკალური ქვემდებარეობისას ხელისუფლებისა (როგორც საბჭოური მეცნიერება უწოდებდა წარმომადგენლობით ორგანოს) და მმართველობის ორგანოთა (აღმასკომის) ფუნქციები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ზემდგომი ხელისუფლების ორგანოს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ქვემდგომი ხელისუფლების და ასევე აღმასრულებელი რგოლის (მაშინდელი განმარტებით მმართველობის ორგანოები) ორგანოს გადაწყვეტილებები. რაც შეეხებოდა ქვემდგომი ხელისუფლების

ორგანოს გადაწყვეტილებას, ზემდგომი მმართველობის ორგანო უფლებამოსილი იყო მხოლოდ შეეჩერებინა და ზემდგომი ხელისუფლების ორგანოსათვის (საკანონმდებლო) გადაეცა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. მაგ. რაიონის აღმასკომს არ შეეძლო გაეუქმებინა სოფლის მშრომელთა დეპუტატთა საბჭოების სესიის გადაწყვეტილება, იგი მხოლოდ შეაჩერებდა ამ გადაწყვეტილების აღსრულებას და საკითხს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადასცემდა რაიონის საბჭოს სესიას. თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ უფლებამოსილებაში გარკვეული აღრევა შეიძლება დავინახოთ. ე.ი. ზემდგომ მთავრობას უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ქვემდგომი რგოლის, ამ შემთხვევაში ქვედა რგოლის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება. მაგ. წარმოვიდგინოთ დღეს ნებისმიერი რაიონის, მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ ჰქონდეს უფლება გააჩეროს ქვედა რგოლის, მაგ.სოფლის, დაბის და ა.შ. საკრებულოს, ე.ი. საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება და განსახილველად გადასცეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ეს კი პრაქტიკულად ნიშნავდა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ერთმანეთის ტოტალურ კონტროლს, რომელიც არსებობდა საბჭოთა კავშირში.

აღმასკომის გადაწყვეტილებათა მიღების ერთადერთი ფორმა იყო აღმასკომის სხდომა. რაიონის მშრომელთა დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სხდომა უნდა მოწვეულიყო თვეში სამჯერ. აღმასკომი იყო პარტიული დირექტივების გამტარებელი რგოლი. აღმასკომის სხდომების მიმდინარეობისას აუცილებლად უნდა მიეღო მასში მონაწილეობა შესაბამის პროკურორს ან მის თანაშემწეს. ვფიქრობთ, რომ პროკურატურის დასწრების სავალდებულობა გარკვეულ წილად პირდაპირი მინიშნება იყო მასობრივი უნდობლობისა რომელიც სუფევდა მმართველობის ყველა რგოლში. პროკურორი შეიძლება არჩეული ყოფილიყო შესაბამისი საბჭოს დეპუტატად, მაგრამ იგი არ შეიძლება ყოფილიყო არჩეული აღმასკომის წევრად. პროკურორს არ ჰქონდა უფლება ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები შეეჩერებინა, მას გააჩნდა უფლება აღნიშნული საკითხით მიემართა ზემდგომი ორგანოსათვის. **აღმასკომი თავის საქმიანობას წარმართვადა შესაბამისი განყოფილებებისა და სამმართველოების მეშვეობით.** აღმასკომის დაკომპლექტება შესაბამისი სანდო კადრებით ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო საბჭოთა

ხელისუფლებისა და განსაკუთრებით ავტონომიურ რესპუბლიკებში, მეტადრე საზღვრისპირა რეგიონებში, ამიტომ უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ სახელმწიფო ხელისუფლების (ე.ი. წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო), ასევე ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს დაკომპლექტებას ერთგული კომუნისტებით. ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კომპარტიის და მისი ადგილობრივი ფილიალების როლი, როგორც იყო საოლქო კომიტეტები და ა.შ. პრაქტიკულად ჩვენ ვსაუბრობთ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს პირობით უფლებამოსილებებზე, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღები მთავარი რგოლი იყო კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, ასევე მისი დანაყოფები რესპუბლიკებში. ყველა ორგანიზაციაში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არსებობდა პარტული უჯრედები-ჯგუფები, რომლებიც პრაქტიკულად აკონტროლებდნენ თუ რამდენად ბოლშევიკურად მუშაობდა ესა თუ ის სტრუქტურა. ე.ი. საკადრო საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა.

საბჭო ყოველდღიური საქმიანობისთვის ირჩევდა აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს. აღმასრულებელი და განკარგულებელი ორგანო-აღმასკომი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საერთო კომპეტენციის კოლეგიური ორგანო იყო. აღმასკომი თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს წყვეტდა თავის ტერიტორიაზე. ამ საქმიანობის განსახორციელებლად იქმნებოდა სამმართველოები და განყოფილებები. გარდა სოფლისა და სადაბო საბჭოების აღმასკომებისა, ყველა რგოლის აღმასკომს გააჩნდა სამმართველოები და განყოფილებები. ისინი წარმოადგენდნენ სპეციალურ დარგობრივ ორგანოებს. განყოფილებები და სამმართველოები ერთმართველ ორგანოებს წარმოადგენდნენ. ყველა რგოლის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოზე, იგულისხმება როგორც წარმომადგენლობითი ასევე აღმასრულებელი რგოლი, ზედამხედველობას ახორციელებდა კომუნისტური პარტია. პარტიის ცენტრალური კომიტეტი იყო გადაწყვეტილების მიმღები, პოლიტიკის განმსაზღვრელი უმთავრესი ორგანო, გენერალური მდივანი კი სახელმწიფოს პირველი პირი. შესაბამისად რესპუბლიკებსა თუ ავტონომიურ რესპუბლიკებშიც ანალოგიური ვითარება იყო, სხვაგვარად არც შეიძლება რომ ყოფილიყო. რეგიონებში უმნიშვნელოვანესი იყო პარტიის საოლქო კომიტეტი და მისი გადაწყვეტილებანი. პარტიას ყველა ტიპის ხელისუფლების

რგოლში და ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებაში ყავდა თავისი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც აკონტროლებდნენ ადგილებზე ვითარებას, თუ რამდენად ხორციელდებოდა კომპარტიის ყრილობების და ცეკას დადგენილებები თუ გადაწყვეტილებები. როგორც ზემოთ აღინიშნა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის მნიშვნელოვან ფორმას მუდმივი კომისიები წარმოადგენდნენ. ამ საქიამნობის ერთ-ერთი ფორმა იყო სექციები. როგორც აღინიშნა ადმინისტრაციულ კომისიებს ჰქმნიდნენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები მათი დეპუტატების რიცხვიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობის საფუძვლად მიიჩნეოდა სოციალისტური საკუთრება. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებდნენ სხვადასხვა ფუნქციებს. სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით ისინი არ ქმნიდნენ ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას და მოქმედებდა მოსახლეობის იმ ნაწილის სახელით, რომლის ინტერესებსაც გამოხატავდა. [**Лукьянов,1960:26**]. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი ტიპის ორგანიზაციებიც სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისთვის იყო შექმნილი და უაღრესად პოლიტიზირებული ხასიათი გააჩნდა. კომიტეტის წევრები მუშაობდნენ საზოგადოებრივ საწყისებზე, კომიტეტები ფუნქციონირებდნენ შესაბამის აღმასკომებთან. მათი ერთ-ერთი ფუნქცია სხვა მრავალ ფუნქციათა შორის ასევე მდგომარეობდა ,,პარაზიტული ელემენტების გამოვლინება-დასაქმების საქმეში, საპასორტო წესრიგის დასამყარებლად და ა.შ.“ [**ჯანჯღავა,1970:206**].

საყურადღებოა 1930 წლის 19 მარტის ამონაწერი მიხა ცხაკაიას მოხსენებიდან აჭარის საბჭოების მეცხრე ყრილობაზე, საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ. საინტერესოა თავად პათოსი, რომელიც კეთდებოდა აჭარის საბჭოების მეცხრე ყრილობაზე. კერძოდ საკითხი ეხებოდა ნაციონალურ უმცირესობათა საქმეების გადაწყვეტას, საინტერესოა თუ რატომ კეთდებოდა აქცენტი აჭარაში უმცირესობათა თაობაზე. აშკარაა, რომ საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმს აჭარის მუსლიმანი მოსახლეობა ეროვნულ უმცირესობად მიაჩნდა. იგი ამით გარკვეული ცენტრიდანული მოძრაობის ინსპირირების უნებლიე მონაწილე ხდებოდა. საკავშირო ცაკის პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების მიმართ იყო განსაზღვრული, უნდა

აღმოფხვრილიყო ნაციონალისტური მისწრაფებები ინტერნაციონალური პოლიტიკის გატარებით. [**ასყდმკ,1971:303**] აჭარის სბჭოების შესაბამისი ყრილობების დადგენილებები შესასრულებლად სავალდებულო იყო სხვადასხვა დონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის. სწორედ ჩვენს მიერ აღწერილი სხვადასხვა დონის საბჭოების, აღმასკომების, სამმართველოების, განყოფილებების, კომისიებისა და კომიტეტების მეშვეობით ხორციელდებოდა ამ გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია. ამიტომ ყველა რგოლს თავისი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოთა სისტემის ფუნქციონირების საქმეში. უამრავი სირთულე არსებობდა ავტონომიურ რესპუბლიკაში, ერთ-ერთი იყო მოსახლეობის დაბალი სამართლებრივი კულტურა, პატრიარქალური ურთიერთობები და ა.შ. ,,აჭარის მოსახლეობის ყოფა ბევრგან პატრიარქალური რჩებოდა, რაც განპირობებული იყო თურქ დამპყრობთა სამასწლიანი ბატონობით.“[**მიქელთაძე,1976:32**].

საბჭოები განიხილებოდა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. კომუნისტური პარტია კი საბჭოების ხელმძღვანელ როლში გვევლინებოდა. ხელმძღვანელობდა რევოლუციამდე და ხელმძღვანელობს რევოლუციის შემდეგაც ,,...პარტიული მითითებები, დირექტივები დაუყოვნებლივ და ზუსტად ხორციელდება საბჭოთა, პროფკავშირული თუ სხვა ორგანოების მიერ. მხოლოდ პარტიული მითითებების საფუძველზე შეუძლია სწორად მუშაობა მუშათა კლასის დიქტატურის სისტემაში შემავალ ყოველ ორგანოს. „[**სტალინი,1939:156**].

მაშასადამე ამ მიმოხილვითაც ჩანს კომპარტიის როლის მნიშვნელობა, მისი საზედამხედველო ფუნქციები სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებზე. კომუნისტური პარტია ითვლებოდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელ ორგანოდ. ყველა სხვა დანარჩენი იყო მისი მითითებებისა და დავალებების აღმასრულებელი და გამტარი. თუმცა არის ერთი საინტერესო დეტალი. კომპარტიის მერვე ყრილობის რეზოლუციაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ : არ შეიძლება პარტიის და საბჭოების ურთიერთთან გაიგივება. იმის შესახებ, თითქოს პარტიამ არ უნდა შეცვალოს ხელისუფლებისა და სამეურნეო ორგანოები და რომ ამ ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის ფუნქცია არ უნდა შეიცვალოს ამავე ორგანოების ფუნქციების განხორციელებაში. მთელი საბჭოთა მართველობითი სისტემა გაჯერებული იყო უაღრესად გართულებული ბიუროკრატიული აპარატით, ამას

ემატებოდა პარტიული ზედამხედველობა თავისი მაკონტროლებელი აპარატით. 1937 წლამდე წარმოებებში არსებობდა ხელმძღვანელი ორგანო ე.წ.,,სამკუთხედი", რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ :პარტკომის მდივანი, წარმოების ხელმძღვანელი და ადგილობრივი პროფორგანიზაციის თავჯდომარე. ეს ორგანო მიჩნეულ იქნა წარმოებისათვის გაუთვალისწინებელ ორგანოდ, ერთთმართველობის პრინციპის დამრღვევ რგოლად, რიც გამოც კპ(ბ) 1937 წლის თებერვალ მარტის პლენუმის დადგენილებით გააუქმეს. სამაგიეროდ 1939 წლის პარტიის 28-ე ყრილობის დადგენილებით კვლავ გაიზარდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. ამ დადგენილებით საწარმოთა, მეურნეობათა, სხვადასხვა დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭათ მათი შესაბამისი ადმინისტრაციისადმი კონტროლის უფლება, განსაკუთრებით გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში და ა.შ.

მაშასადამე თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს მმართვლობით და წარმომადგენლობით ორგანოებზე მაღლა იდგა კომპარტია თავისი რთული სტრუქტურული ორგანიზაციით. **რამდენადაც მმართველობის (ე.ი.აღმასრულებელი) ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ ხელისუფლების (ე.ი.საკანონმდებლო-წარმომადგენლობითი) ორგანოების მიმართ, ამ უკანასკნელთა სამართლებრივი აქტები უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონენი იყვნენ, ხოლო მმართველობის ორგანოების(აღმასრულებელი) აქტები ითვლებოდა კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებად. აქედან გამომდინარე, ამ სამართლებრივი აქტებს შორის გარკვეული სხვაობის შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭებოდა კანონებს, ე.ი. წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოს-საბჭოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს.** გარდა დასახელებული აქტებისა ადგილობრივი ორგანოები გამოსცემდნენ ისეთი ტიპის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც შეიცავდნენ გარკვეულ სანქციებს, სასჯელის თუ სხვა სახის ადმინისტრაციული სახდელის მითითებით. ამ ტიპის აქტებს ეწოდებოდა ,,სავალდებულო გადაწყვეტილება". მაშინ, როცა ამ ორგანოების მიერ მიღებულ ჩვეულებრივ გადაწყვეტილებებში სანქციები არ იყო გათვალისწინებული. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც სავალდებულო აქტი ასევე მიმდინარე სამართლებრივი აქტები სავალდებულო იყო შესასრულებლად, განსხვავება მდგომარეობდა მის იურიდიულ ასპექტებში რათა გარკვეული ყოფილიყო

რა ტიპის სამართლებრივ დოკუმენტთან ჰქონდათ საქმე. სავალდებულო გადაწყვეტილებების შესახებ დებულება დამტკიცებულ იქნა 1931 წლის 30 მარტს.

სავალდებულო გადაწყვეტილება უნდა შეხებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საზოგადოებრივ ადგილებში სანიტარული წესრიგის დაცვას, საერთო წყლით სარგებლობის წესების დადგენას, ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას და სხვ. ცენტრალური მმართველობის ორგანოები(სახალხო კომისარიატები, შემდგომში სამინისტროები) სავალდებულო გადაწყვეტილებას აქვეყნებდნენ ერთი წლის ვადით, ადგილობრივი ორგანოები-ორი წლის ვადით. იმისათვის, რომ ,,სავალდებულო გადაწყვეტილება" უფრო სწრაფად აღსრულებულიყო და გაკონტროლებულიყო, ამისათვის აღმასკომებში იქმნებოდა ადმინისტრაციული კომისიები. ადმინისტრაციული კომისიები სავალდებულო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებში სახალხო სასამართლოს გარეშე, ქცევის წესების დარღვევისათვის მოქალაქეს ადებდა ადმინისტრაციულ სახდელს. საქმის განხილვის დროს თუ აღმოჩნდებოდა, რომ ქცევის წესების დარღვევა სცილდებოდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მაშინ ადმინისტრაციული კომისია საქმეს განსახილველად გადასცემდა ან მილიციის ორგანოებს ან პროკურატურას. ,,მილიციის ცენტრალური სამმართველო მუშაობას აწარმოებს რესპუბლიკის მასშტაბით და ხელმძღვანელობას უწევს ქვემდებარე ერთეულებს, როგორც ქალაქში, ასევე რესპუბლიკის სხვა რაიონებში."[**ასყდმკ,1971:370**].

&3. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები

ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს. ისინი ახორციელებდნენ შესაბამის სახელმწიფო ფუნქციებს. სასამართლო ორგანოები წარმოადგენდნე მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებს. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა, მსჯავრდებულის შეწყალების საკითხი შეიძლება გადაეწყვიტა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს აღმასრულებელ კომიტეტს. ავტონომიურ რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას

ახორციელებდნენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლო, სსრ კავშირის სპეციალური სასამართლოები რომლებიც იქმნებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით და რაიონული(საქალაქო) სახალხო სასამართლოები. [გოგილაშვილი,1960:144]. აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლო იყო აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო ორგანო. მას ეკისრებოდა ვალდებულება ზედამხედველობა გაეწია აჭარის ასსრ ყველა სასამართლოს მოქმედებისათვის. უზენაეს სასამართლოს ირჩევდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. საქმეთა განხილვა ყველა სასამართლოში ხეორციელდება სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით, გარდა კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა. სახალხო სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევდნენ რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით. ხოლო სახალხო მსაჯულებს - მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებაზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებაზე სამხედრო ნაწილებში ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით.

სასამართლო რეალურად წარმოადგენდა არა მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოს, არამედ პარტიის და მისი იდეოლოგების უკანონო, არაადამიანური რეპრესიული მოქმედებების დამკანონებელ-სანოტარო ბიუროს. მოვიყვანთ ლენინის ციტირებას: ,,სასამართლომ კი არ უნდა აღმოფხვრას ტერორი, ამის დაპირება თავის მოტყუება და სიცრუე იქნებოდა, არამედ პრინციპულად, ნათლად, სიყალბისა და შელამაზების გარეშე უნდა დაასაბუთოს და დააკანონოს იგი. ...სარატოვი, პაიკესს(სურსათის სახ.კომისარიატის რწმუნებულს) გირჩევთ ...დახვრიტოთ შეთქმულები და მერყევნი ისე, რომ არავის არაფერი ჰკითხოთ და არ დაუშვათ იდიოტური გარჩევები“.[**საარქივო მოამბე,2016:147**]

სასამართლოები, პროკურატურა, იძულებითი მუშაობის ბიურო და ნოტარიუსები შედიოდნენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საერთო სისტემაში, სახალხო სასამართლოები შექმნილი იყო ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მაზრაში. 1930 წელს იუსტიციის სახალხო კომისარიატი გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი ორგანო -უზენაესი სასამართლო და სახელმწიფო სახალხო პროკურატურა. 1935 წელს იუსტიციის სახალხო კომისარიატი აღადგინეს და

კომისარი ამავდროულად იყო რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე. პროკურატურის სისტემა მოიცავდა: სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, მოკავშირე და ავტონომიური სსრ პროკურორებს, მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოლქების, რაიონების, ქალაქის პროკურორებს. ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის გენ.პროკურორი 5 წლის ვადით, ხოლო რაიონისა და ქალაქის პროკურორებს მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი ასევე 5 წლის ვადით და ამტკიცებდა სსრ კავშირის გენ.პროკურორი. ავტონომიური სსრ ტერიტორიაზე მომუშავე პროკურატურის ორგანოები არ ქმნიდნენ ასეთ ორგანოთა დამოუკიდებელ სისტემას, არამედ წარმოადგენდნენ სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოთა სისტემის შემადგენელ ნაწილებს. ისინი იყვნენ სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოები ადგილებზე, მისადმი ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებშიც ხორციელდებოდა სახალხო კომისარიატებისა და მართვის სხვა უწყებათა რეორგანიზაცია. ბოლშევიკების მიზანს წარმოადგენდა მართვის ოპტიმიზაცია და პროლეტარიატის დიქტატურის გამყარება. სადამსჯელო აპარატების უკიდურესი ცენტრალიზაცია ემსახურებოდა ბოლშევიკური დიკტატურის გამყარებას. სისტემა უკიდურესად ცენტრალიზებული იყო. ავტონომიური კონსტიტუციით გათვალისწინებული სტატუსი რეგიონისათვის უკიდურესად ფორმალური იყო ჩვენი აზრით. საზოგადოებრივი წესრიგისა და მართლმსაჯულების ორგანოებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახელმწიფოებრივი მართვის საქმეში. 1922 წელს აჭარაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აპარტი, რომელიც 1926 წლამდე ცნობილი იყო საგანგებო საქმეთა კომისარიატის სახელწოდებით, სახელმწიფო პოლიტიკური მთავარი სამმართველოს უფლებამოსილება გაიზარდა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში. 1930 წელს მასთან გაერთიანდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთელი რიგი სტრუქტურები, ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობას, აკონტროლებდა არჩევნების ჩატარებას და მთავრობის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას. მის დაქვემდებარებაში შედიოდა აგრეთვე ქალაქის კომუნალური მეურნეობის განყოფილება და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური.[თურმანიძე,2012:143-144]. 1930 წელს განხორციელდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია, მის შემადგენლობაში შემავალი გარკვეული

ერთეულები გადავიდა პოლიტიკური სამმართველოს სისტემაში, მილიცია კი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში.

სსრკ საბჭოთა რეპრესიულ მანქანას ხვეწდა, მთელი პერიოდი საბჭოების შექმნიდან ხასიათდებოდა ტერორით, ძალადობით, ადამიანების აბუჩად აგდებისა და მათი წამებით. ამიტომ საბჭოთა სამართალდამცავი სტრუქტურები ჩამოყალიბდნენ, როგორც დიდი რეპრესიული მანქანის კარგად მომართულ ორგანოებად. 1937 წლის აჭარის ავტონომიური სსრ კონსტიტუცია იმეორებდა რა საქართველოს სსრ და სსრკ კონსტიტუციის შესაბამის დებულებებს, მოქალაქეებს თითქოს ანიჭებდა დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებულ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ კონსტიტუციის 94-ე მუხლი ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეებს ანიჭებდა პიროვნების ხელშეუხებლობას. არავინ არ შეიძლებოდა დაპატიმრებულიყო სასამართლოსა თუ პროკურორის სანქციის გარეშე. 95-ე მუხლი კი ითვალისწინებდა მოქალაქეთა ისეთ პირად უფლებებსა და თვაისუფლებებს, როგორიც გახლდათ ბინისა (გულისხმობდნენ პირად ბინას, ვინაიდან კერძო საკუთრება საბჭოეთში იგმობოდა) და პირადი მიწერ-მოწერის საიდუმლოებას. ბუნებრივია არც ერთი ეს თავისუფლება არ იყო დაცული, ვინაიდან არსებული ე.წ. სამართალდამცავი სტრუქტურები გვევლინებოდნენ როგორც რეპრესიული, სადამსჯელო ორგანოებად და თავად არღვევდნენ ერთი შეხედვით კონსტიტუციით დაცულ სიკეთეებს. შორს, რომ არ წავიდეთ, იმავე კონსტიტუციის 98-ე მუხლში საუბარია მოქალაქის ვალდებულებაზე, რომელსაც უნდა დაეცვა სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმინდა და ხელშეუხებელი საფუძველი. ,,ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრები არიან. მე-100 მუხლი კი აწესებდა: სამშობლოს დაცვა არის აჭარის ასსრ თვითოეული მოქალაქის უწმინდესი მოვალეობა. სამშობლოს ღალატი, ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, ჯაშუშობა ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველა მძიმე ბოროტმოქმედება. [**ასსცსა,ფონ.რ-4,აღწ.1,საქ.149,ფურც,7-29**] აქ საგულისხმოა თავად ტერმინი ,,ხალხის მტერი“, რომელმაც შეიძინა კანონისმიერი დეფინიციის ფორმა და ახსნა. ამ იარლიყით სამართლდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც სისტემისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა. აქვე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთი შეხედვით

უმნიშვნელო დეტალზე, რომელიც კანონში ეწერა. კერძოდ საქმე ეხება მე-100 მუხლში ნახსენებ ტერმინ ,,კანონის მთელი სისატიკით". ე.ი. საბჭოთა სამართლებრივი ფილოსოფიით კანონი უნდა ყოფილიყო სასტიკი. ფორმალურ რესოციალიზაციაზეც კი საუბარი ზედმეტია. მაშინ, როცა დემოკრატიული ქვეყნების სამართლებრივი ფილოსოფიისთვის დამახასიათებელია არა ,,სისასტიკე" არამედ ,,სიმკაცრე". შესაძლოა ვინმესთვის ეს განმარტება არ იყოს დამაჯერებელი და ტერმინები მიიჩნიოს უბრალოდ სინონიმებად, მაგრამ ამ ორ ტერმინს შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაა. კანონი არ შეიძლება იყოს სასტიკი, სისასტიკე ბოროტებაა, კანონი კი ლოგიკურად არ შეიძლება იყოს ბოროტების სათავე. საბჭოურ-ბოლშევიკური მსჯელობა კანონის დანიშნულებაზე მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოების სამართლებრივი კულტურის მატარებელი სახელმწიფოებისათვის. ამიტომაც განსხვავდებოდა საბჭოური საეხლმწიფო მმართველობის სისტემა, ასევე იქ არსებული სამართლებრივი ფილოსოფია და გაგება დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წყობისაგან. საბჭოთა სისტემა ხომ თავისი არსით იყო ერთი დიდი ბოროტების მანქანა. მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკამ კომუნისტების უშუალო ინიციატივით(მათ შორის ქართველი ბოლშევიკების) დაკარგა, გაასხვისა ათეულ ათას კვადრატულ ტერიტორიაზე მეტი, მათ მთავარ ამოცანად რჩებოდა სოციალიზმის უტოპიური იდეების გავრცელება, მოჩვენებითი სამართლიანობის დამკვიდრება. ტერიტორიული ,,ცვლილებები" კი საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ განიხილებოდა, როგორც ძმური ინტერნაციონალური დახმარების ჭრილში მეზობელი რესპუბლიკების სასარგებლოდ.,,საქართველოს კომუნისტებმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხი გადაწყვიტეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით, როდესაც წავიდნენ გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებზე მოძმე ხალხთა სასარგებლოდ, რაც გაუგებარი დარჩა წვრილბურჟუაზიული მოსახლეობისა და ქართული ინტელიგენციისათვის....მეზობელ რესპუბლიკებთან ახალი საზღვრების დადგენით და ტერიტორიულ საკითხზე დავის გადაჭრით, საქართველოს რესპუბლიკის ფართობი 10 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტით შემცირდა.."[**ეზუგბაია,1973:17-19**]. ჩვენ ამ საკითხს ჩვენი ნაშრომის წინა თავში შევეხეთ, მაგრამ მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ

აქაც მოგვეტანა. საკუთრივ დღესაც კი სხვადასხვა ციფრები ფიგურირებს, თუ რა რაოდენობის ტერიტორია იქნა დანაშაულებრივად გასხვისებული. იმ პერიოდში კი ბოლშევიკებისათვის ეს საკითხი უმნიშვნელო იყო. მათთვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის ცენტრალიზაცია, სოციალიზმისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, რასაც შეეწირა უამრავი ადამიანი. რეპრესიული მანქანა დღიდან საბჭოების შექმნისა არ გაჩერებულა. 30-იანი წლების რეპრესიებზე კი მომდევნო თავში ვისაუბრებთ. ოცდაათიანი წლები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეფასებულია როგორც ,,...მძაფრი იდეური ბრძოლის პერიოდი. სინამდვილეში ეს არ იყო იდეური ბრძოლა. იდეურ ბრძოლას ჭირდება ორი დაპირისპირებული მხარე. საზოგადოებაში კი ასეთი დაპირისპირების მიზეზი არ არსებობდა. დაპირისპირება არსებობდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელებში. იგი იდეური არ ყოფილა და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლამ წარმოშვა...“[**გურული,2011:11**]. სასამართლო და პროკურატურის ორგანოები პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტებს წარმოადგენდნენ და მათ არაფერი ჰქონდათ საერთო სამართალდაცვით ფუნქციებთან. გათვლაც ზუსტად იმაზე კეთდებოდა, რათა სამართალდამცავი სტრუქტურები გამოყენებულიყო როგორც პოლიტიკური მართლმსაჯულების ორგანოებად.

თავი 3. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში

&.1. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია

საბჭოთა კავშირში არსებული ხელისუფლების დანაწილების მიუხედავად, აღნიშნული პრინციპები უაღრესად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან უმთავრეს წარმმართველ ძალას კომუნისტური პარტია წარმოადგენდა. კომპარტიის საკავშირო ყრილობების დადგენილებების უპირობო განხორციელება იყო მთელი

სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი ამოცანა. კომპარტია გვევლინებოდა სახელმწიფოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიმართულების შემმუშავებელ ორგანოდ. ყველა სხვა დანარჩენი მისი გადაწყვეტილების უპირობო შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ. კომპარტიას როცა ვამბობთ, ბუნებრივია ეს არ არის აბსტრაქცია, მას კონკრეტული ადამიანები წარმოადგენდნენ. ამ იდეოლოგებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამ დაპირისპირების სასტიკ შედეგებს ხშირ შემთხვევაში თავად კომპარტიის მაღალჩინოსნებიც იწვნევდნენ ხოლმე. უკიდურესი მემარცხენეობა, რომლისთვისაც მიუღებელი იყო განსხვავებული აზრი თავად პარტიაში, ბუნებრივია არ შეეგუებოდა სხვა ტიპის პარტიების არსებობას. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძალიან მალე თვით ლიკვიდაცია გამოაცხადეს არა კომუნისტურმა პარტიებმა, ცხადია ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. კომპარტია მიზანმიმართულად ისუფთავებდა სამოქმედო არეალს. დღიდან საბჭოების დაარსებისა მათი ძალაუფლება ემყარებოდა უკიდურეს ტერორს, დაშინებას და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დარღვევას,მის სრულ იგნორირებას. პარტიის ყრილობები უმთავრესი მოვლენა იყო სახელმწიფოს ცხოვრებაში, მისი პოლიტიკური ბიურო კი იყო მთავარი ხელმძღვანელი ორგანო. ყველა რგოლისა თუ დონის ხელისუფლების ორგანო ექვემდებარებოდა პარტიულ დიქტატს. ,,...აპოკალიფსური მსოფლიო ომის პირობებში კომუნისტებმა თავი ისტორიული ფინალის მონაწილეებად დაიგულეს...ისინი თვლიდნენ, რომ ,,გაშიფრეს“ პოლიტიკური ეკონომიისა და ისტორიის კანონები და თავად იყვნენ ყოვლისმცოდნენი. აღნიშნული განცხადების ბუნდოვნებამ და ყოვლისმომცველმა ტოტალიტარიზმმა წარმოშვა საკუთარი ყოვლისშემძლეობის განცდა...“[**კომუნიზმის ეპოქა:6**].

საქართველოს კომპარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაწილი იყო. მართალია, იგი 1920 წელს დაარსდა, მაგრამ მას არ გააჩნდა საკუთარი პროგრამა და წესდება. ცხადია საქართველოს კომპარტია საკავშირო კომუნისტური პარტიის დადგენილებათა უპირობო შემსრულებელი იყო. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია 1921 წლის ივლისში შეიქმნა პირველ პარტიულ კონფერენციაზე. 1923 წლამდე მას ეწოდებოდა ბათუმის საოლქო კომიტეტი. პირველ პარტიულ კონფერენციას, რომელიც 3-4 ივლისს ჩატარდა დაესწრო 101 დელეგატი.

დელეგატებს შორის მხოლოდ სამს გააჩნდა უმაღლესი განათლება. ამავე კონფერენციაზე აირჩიეს ბათუმის საოლქო კომიტეტი 12 კაცის შემადგენლობით. 1929 წლის 1-10 ივლისს ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეექვსე ყრილობა, 20 საუკუნის 30-იან წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის იდეოლოგიური, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და გავლენა. თუმცა მთელი მათი საქმიანობა ეფუძნებოდა ტყუილსა და შანტაჟს, ისევე როგორც საკავშირო თუ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციისა. ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების დევნა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ოდნავ მოგვიანებით, მაგ. 1929 წ.ყრილობას, რომელსაც ესწრებოდა 394 დელეგატი, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდანაც. ამ ყრილობაზე ყურადღება დაუთმეს ხუთწლიანი გეგმის შესრულების გზებს. განსაკუთრებით აღნიშნეს კომპარტიის მიერ შემუშავებული ქართული ინტელიგენციის შემდგომი ,,მორჯულების“ საკითხი. ქართული ინტელიგენცია დაყვეს ჯგუფებად, ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე იდგა, ასევე ე.წ. ,,სმენავეხელები“, რომლებიც სიტყვით აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ პასიურობდნენ და არავითარ ენთუზიაზმს არ იჩენდნენ საბჭოთა მშენებლობაში.[ჟვანია,1985:99-100].

ბათუმში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ჩართული იყო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, რასაც ხელს უწყობდა თავის დროზე აქ არსებული კაპიტალისტური საწარმოები, ასევე პორტი და ა.შ. ამიტომ ზოგადად აჭარაში ამ კუთხითაც დიდი გამოწვევების წინაშე იდგა საბჭოთა ხელისუფლება. საკითხი აქტუალურობას არ კარგავდა არც მომდევნო წლებში. სტალინი 1930 წლის 2 მარტს საკოლმეურნეო ურთიერთობათა საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნავდა:,,ჩვენი პარტიის პოლიტიკური სტრატეგიის უდიდესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია აირჩიოს ყოველი მიცემული შემთხვევისათვის ის ძირითადი სამოძრაო კვანძი, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს დაკისრებული ამოცანების შესრულებას. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ პარტიამ ასეთი ძირითადი კვანძი გამონახა? დიახ შეიძლება...“[Головокружение от успехов] ასეთად მას არტელები წარმოედგინა, ვინაიდან კოლექტივიზაციის გზაზე ე.წ. ,,ხარვეზები” არსებობდა და მას მოსახლეობაში ბუნებრივია გააფთრებული წინააღმდეგობაც ხვდებოდა. ამიტომ იგი

ამ გამოსვლაში მოუწოდებდა პარტიას, რათა დაეძლიათ ის სიამაყე, რომელიც შეიძლება გასჩენოდათ კომუნისტებს მიღწეული რიგი ,,წარმატებების“ გამო და უფრო მეტი ენთუზიაზმით შედგომოდნენ საქმესა და დაკისრებულ ამოცანებს. იგივე პათოსს იმეორებს საქართველოს კომპარტიის ყრილობა, რომელმაც აღნიშნა, რომ: ,,1930 წლის იანვარში, საკუთარი ძალების გადაჭარბებით შეფასების გამო, ადგილი ჰქონდა დიდ გატაცებას კოლექტივიზაციის ტემპებით. ...უხეში შეცდომები გახლდათ დაშვებული საშუალო გლეხობის მიმართ პარტიის პოლიტიკის ძირითად დებულებებში. რესპუბლიკის უმეტეს რეგიონებში საკოლმეურნეო მშნებლობის საქმეში ნებაყოფლობის პრინციპი დავიწყებას მიეცა...რასაც თან სდევდა ადმინისტრაციული ზეწოლა და მუქარა. ასეთმა არასწორმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ საშუალო გლეხობა უარს აცხადებდა კულაკობასთან ბრძოლაზეც“.[ჟვანია,1985:136].

კომუნისტური პარტიისთვის საკადრო საკითხი მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტივების შესაბამიად მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა კადრების მოსაზიდად და მოსამზადებლად. 30-იან წლებში აჭარის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კორპუსი შეივსო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებით. **[ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.1, საქმ.2,ფურც.10-39**]. 1930 წელს რეგიონის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხებოდა 2095 წევრი, ამავდროულად სისტემური ბრძოლა მიმდინარეობდა ყოველგვარი ოპოზიციური გამოვლინებების წინააღმდეგ პარტიაში, რასც წმენდა ეწოდებოდა. **[ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.1,საქმ.982,ფურც.3].** საკავშირო კომპარიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1933 წლის 12 იანვრის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუციის თანახმად იწყებოდა პარტიის ,,წმენდა“ არასაიმედო, მერყევი და მიტმასნებული ელემენტებისაგან, ამასთანავე პარტიაში მიღება შეჩერდა წმენდის დამთავრებამდე. ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის სპეციალური თათბირი, რომელიც ბათუმში გაიმართა 1933 წლის 21 თებერვალს. პარტიის რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, მიეცათ მითითება მერყევი და არამტკიცე კომუნისტების პარტიიდან გარიცხვის შესახებ. რომელიც უნდა დამთავრებულიყო 1934 წლის პირველი

ნახევრისათვის, მაგრამ ამ პირობის მიუხედავად პარტიიდან გარიცხვები გრძელდებოდა. [**ასსცსა, ფ.პ-8, აღწ.1, საქმ.42,ფურც.1-4**]. ,,მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში კულაკობა სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 1,65% შეადგენდა, ის მაინც საგრძნობ რეაქციულ ძალას წარმოადგენდა...“[**ბაუჟაძე,1962:68**]. ,,თუ მუშებმა მთელი ძალები არ დაძაბეს, რათა დაასწრონ კულაკების ლაშქრობას საბჭოების წინააღმდეგ, რათა სასტიკად გაანადგურონ კულაკები მანამდე, ვიდრე ისინი გაერთიანებას მოასწრებდნენ...“ ისინი დაამხობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.[**ლენინი,1952:659**]. შეძლებული გლეხი, მიწის მფლობელი, მონათლული იყო როგორც კულაკი, რომელიც მთავარი საფრთხის შემცველად აღიქმებოდა სოფლად საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ვინაიდან მიწაზე კერძო საკუთრება ხომ ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფილოსოფიას. ,,...ლენინი და მისი ამხანაგები ერთბაშად აღმოჩნდნენ შუაგულ და უმოწყალო ,,კლასობრივ ბრძოლაში“, სადაც პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს, ან თვით ჯიუტ და ჭირვეულ მოსახლეობას მიიჩნევდნენ და ეპყრობოდნენ, როგორც მტერს, რომელიც ბოლომდე უნდა ამოწყვეტილიყო....1930-1932 წლების განკულაკება სხვა არაფერი იყო თუარა ,,დეკაზაკიზაციის“ ფართომაშტაბიანი გაგრძელება, რომელიც პირველ რიგში სტალინის მიერ მოთხოვნილი და რეჟიმის პროპაგანდის მიერ გახმოვანებული ოპერაცია იყო და ამას ,,კულაკების“ როგორც ,,კლასის“ განადგურება ეწოდებოდა...“ [**კურტუა და სხვები, 2011:17**]. ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებებს შესაბამისი ზემდგომი ორგანოები, საბჭოები, ბრძანებულებებითა და შესაბამისი რეგულაციებით აცნობდნენ კულაკობასთან და დაპირისპირებულ კლასობრივ ელემენტებთან ბრძოლის ტაქტიკასა და ამოცანებს. ,,...საბჭოთა სარაიონო ყრილობისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ძირითად ამოცანას შეადგენს ... აღკვეთონ ყოველგვარი წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლების კანონთა და ღონისძიებათა მიმართ. აწარმოონ ბრძოლა კლასიური პოლიტიკის დამახინჯებასთან კანონების შეფარდების საქმეში...“[**კანონთა და განკარგულებათა კრებული,1932:3**]. კომუნისტურ პარტიაში მასობრივი გარიცხვების მორიგი ტალღა 1936 წლიდან იწყება. ამ მიზნით დაიწყო პარტიული ბილეთების შემოწმება, პარტიულმა ხელმძღვანელობამ ამ პერიოდისთვის პარტიიდან გარიცხა 389 პარტიის წევრი. [**ასსცსა, ფ. პ-1. აღწ.4, საქმ. 227, ფურც.10**]. ხოლო 1937-38 წლებში

აჭარაში კომუნისტური პარტიიდან გარიცხულთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 439 კომუნისტი. [**ასსცსა, ფ.პ-1, აღწ.4,საქმ.227.ფურც.1**]

ამავდროულად აჭარის სოფლებში ძალზედ ხშირი იყო ანტიკოლექტიური მოვლენები. ,,... მაგ. ქობულეთის რაიონში კერძოდ სოფ.ალამბარში ისინი ძალის გამოყენებით ეცადნენ დაებრუნებინათ წინათ მათ მფლობელობაში მყოფი მიწები, ხოლო ხულოს რაიონში იყო შემთხვევები საკოლმეურნეო ქონების დაწვისა და განადგურების კულაკების მიერ.“ [**სდსკყ,1974:134**]. ,,მიუხედავად კულაკების წინააღმდეგობისა, აჭარაში ინტენსიურად მიმდინარეობდა კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბება. აჭარის პირობებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისად მიწის საზოგადოებრივი დამუშავების ამხანაგობა იყო აღიარებული, როგორც კოლმეურნეობის პირველადი, არტელისაკენ გარდამავალი ფორმა, სადაც გაერთიანდებოდა შრომა, ხოლო საწარმოო საშუალებებზე შენარჩუნებული იყო კერძო საკუთრება.“ [**სდსკყ,1974:134**]. ,,...1921-1940 წლებში აგრარული რეფორმა ორი ეტაპისაგან შედგებოდა:1921-1928 წლები პირველი ეტაპი და 1929-1940 წლები მეორე ეტაპი. პირველ ეტაპზე მოხდა მემამულეებისა და ე.წ. კოლონისტების მამულების კონფისკაცია, ხოლო მეორე ეტაპზე საშუალო გლეხობას და კულაკობას ჩამოართვეს მიწები და ამ ბაზაზე დაიწყო კოლექტივიზაცია. ...1928 წლისათვის აჭარის სოფლის მოსახლეობის 88% ღარიბი გლეხობა იყო და 10% საშუალო გლეხობა. რაც შეეხება კულაკებს ისინი თითქმის არ არსებობდნენ და მხოლოდ 1,6% შეადგენდნენ. ...ხელისუფლებამ...გეზი აიღო კომუნებისა და არტელების ჩამოყალიბებისაკენ, რითაც საბოლოოდ გაანადგურეს მდიდარი გლეხები და კულაკები, როგორც კლასი...“[**აგრარული საქართველო,2014:11].**

პარტია კოლექტივიზაციისათვის აქტიურ ბძოლაში რთავდა პროფესიულ კავშირებსაც. პროფკავშირების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციები ძალზედ აქტიურობდნენ ამ საკითხში. ,,...სოციალისტური ინდუსტრიის შექმნამ ჩვენს ქვეყანაში უშუალო ზემოქმედება მოახდინა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლაში...კოლმეურნე აქტივისტთა ინიციატივა დიდ საქმეს აკეთებდა,...არსებობდა სიძნელეები, ამ სიძნელეების გამოყენებას ცდილობდა კულაკობა, რომელიც კოლექტივიზაციის ...შიგნიდან დანგრევის ტაქტიკაზე გადავიდა, ამიტომ სოფლისადმი მუშათა შეფობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ამ

პერიოდში კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში პრაქტიკული მონაწილეობა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაფართოება წარმოადგენდა...საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო და განახორციელა არა ერთი სპეციალური დადგენილება ...“ [**სპკინ,1972:386-387**]. კულაკობასთან ბრძოლა გამოცხადებული იყო პარტიის პირველ ნომერ ამოცანად სოფლად კოლექტივიზაციის პერიოდში. ,,...1932 წელში მეცხოველეობის დაცემა გამოწვეული იყო იმ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლით,რომელსაც აწარმოებდა კულაკობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წინააღმდეგ. ჯერ ერთი კულაკობა უფრო ძლიერი იყო მეცხოველეობის დარგში...“[**მოამბე,N3,1935:7**]. 1930 წლისათვის კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო ქობულეთის რაიონის მთელი გლეხობის 23,3%,ბათუმის რაიონის 21,2%, ქედის-11%,ხულოს-10,5%. ხოლო კოლექტივიზაციის საერთო დონემ 1935 წლისათვის ქობულეთის რაიონში მიაღწია 68,2%,ბათუმის რაიონში-37%, ქედის რაიონში 47%, ხულოს რაიონში 45,2%. 1937 წლისათვის ქობულეთის რაიონში კერძო სექტორის წილი სოფლის მეურნეობაში 12% მდე დავიდა. [**ასსცსა.ფონ.რ-4.აღწ.1. საქ.552, გვ.32**]. ,, საკოლმეურნეო მოძრაობა აჭარაში დაიწყო 1927 წლიდან. მაგრამ თავდაპირველად იგი ნელი ტემპით მიმდინარეობდა...1929 წლის 12 ოქტომბერს ბათუმში მოეწყო აჭარის საშეფო საზოგადოების საბჭოს გაერთიანებული ბრიგადების სხდომა... აქტივმა დაადგინა, რომ საჭიროა სოფლად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას დაუპირისპირდეს დარაზმული ძალა კომუნისტების, კომკავშირლების და საშუალო გლეხობის სახით...აქტივი ჰპირდება საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს, რომ ლოზუნგით ,,პირით აჭარისტანის სოფლისაკენ“ გადაიქცევა ქ.ბათუმის ყველა კომუნისტის საბრძოლო ლოზუნგად.“[**გოცირიძე,1971:93-94**].

აკრიტიკებდნენ, რა მენშევიკური მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად თვლიდნენ ,,სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის“ დაშვებას, რომელიც მიიჩნეოდა სოციალიზმში გადასვლის ერთ-ერთ საშუალებად. ,,ამ პრინციპული საფუძვლებიდან გამომდინარეობდა საბჭოთა მთავრობის კონცესიური პოლიტიკაც. უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და მისთვის განსაზღვრული პირობით საექსპლოატაციოდ ისეთი ბუნებრივი სიმდიდრეების გადაცემის შედეგად, რომელთა დამუშავება მაშინ

საბჭოთა სახელმწიფოს არ შეეძლო, ქვეყანა მიიღებდა დამატებით დიდ საჭირო მრეწველურ პროდუქციას.“[**ჩარკვიანი,1970:177**]. 1930 წლისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით კოლმეურნეობებში გაწევრიანებული იყო გლეხური მეურნეობის 20%, რაც დადებით მოვლენად შეფასდა. ერთი საინტერესო დეტალიც, ყრილობაზე აღმოჩნდნენ ისეთი პირებიც, რომლებმაც ზედმეტად ჩათვალეს საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის ჩარევა და მისი ხელმძღვანელობა. ასეთი ხელმძღვანელობა მათი აზრით ,,კოლექტივიზაციის“ ბუნებრივ მსვლელობაში ჩარევად მიიჩნიეს. ბუნებრივია ყრილობამ დაგმო მათი ასეთი პოზიცია და იგი შეფასდა, როგორც მემარჯვენე გადახრის გამოვლინება. ამიტომ მოუწოდეს პარტიას, გაეძლიერებინათ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დონე. საქართველოს კპ(ბ) VII ყრილობამ (1930წ. 28 მაისი-5ივნისი) მიუხედავად ერთგვარი შერბილებული პოზიციისა, რეზოლუციაში ჩაწერა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს ულმობელი ბრძოლა უნდა ეწარმოებინათ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ. ოდნავ ადრე კი ,,...გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ აჭარაში დაიწყო მზადება სოფლის კოლექტიურ მეურნეობაზე გადაყვანისათვის. ამ პერიოდში, როგორც სხვაგან, აქაც ჰქონდა ადგილი სასტიკ, მძიმე ბრძოლას სოფლად კლასობრივი მტრების ნარჩენებთან...კოლექტიური მეურნეობისათვის ნიადაგის მომზადება მიწის ნაციონალიზაციით დაიწყო“[**სდსკყ,1974:133**]. პრაქტიკულად სურათი არ იცვლებოდა და პირიქით, შემდგომ წლებში კიდევ უფრო აქტიურად დაიწყეს პარტიული დიქტატის განხორციელება. ამავე ყრილობამ დაადგინა ,,კულტურული მშენებლობის''საკითხში საქართველოს და განსაკუთრებით ისეთი რეგიონების ჩამორჩენა, როგორც იყო აჭარა. ამიტომ დაადგინეს უზრუნველეყოთ წერა-კითხვის ლიკვიდაცია სამი წლის ვადაში. დაეჩქარებინათ საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოღება და შემდგომი ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე. **მსგავსი საკითხი დაისვა უშუალოდ აჭარის საბჭოების მე-9 ყრილობაზე(1930წ.).** ,,..მიენდოს საქართველოს ცაკს, აჭარის და აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკების წინ წამოსაყენებლად, შეიმუშაოს სხვადასხვა ზომები, რომ ჩქარი ტემპით მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა მასაში.... ჩქარი ტემპით უნდა ჩატარდეს სოციალისტური გარდაქმნები...სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია სოციალისტურ საფუძვლებზე.“[**ასყდმკ,1971:304-305**].

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში პარტიული ორგანიზაციის ძირითადი საზრუნავი იყო სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. აჭარის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ბიუროების საქმიანობაში ეკონომიკურ საკითხებს წამყვანი ადგილი ეკავა. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მუდმივმოქმედი სამუშაო ორგანო იყო პრეზიდიუმი და სამდივნო. პრეზიდიუმის სხდომები ტარდებოდა თვეში ორჯერ, სამდივნო კი ყოველდღიურად. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში ორი განყოფილება არსებობდა: საორგანიზაციო- საინსტრუქტორო და აგიტაცია-პროპაგანდის. [**ასსცსა, ფ.პ-1, აღწ.4, საქ. 513, ფურც.44**]. XX საუკუნის 30-იან წლებში პრობლემას წარმოადგენდა საწარმოების ნედლეულით მომარაგება. ეს საკითხი პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ რამდენჯერმე განიხილა. 1931 წლის 21 იანვრის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება საწარმოთა მიმართ პარტიის მაკონტროლებელი როლის გაძლიერების, ნედლეულით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

1931 წლის 7 თებერვალს ჩატარდა აჭარის საბჭოების მე-10 ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები. საბჭოების ყრილობას მიეცა დირექტივა საოლქო კომიტეტისაგან, რომელიც შემდგომში რეზოლუციაშიც აისახა. დირექტივა ეხებოდა იმას თუ როგორ უნდა შეესრულებინათ კომპარტიის მიერ დასახული ამოცანები დროულად, სოციალისტური მშენებლობის, სოფლად კოლექტივიზაციის და კულაკობასთან ბრძოლის გზაზე.. ,,იმისათვის, რომ განზრახული ამოცანა დროზე და ჩქარა შესრულდეს, საჭირო და აუცილებელიცაა, ეს, როგორც სხვა კუთხეებში, აჭარის სოფლებში და ქალაქებშიც ბრძოლა კულაკურ ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ. ...ჩვენ მოწმენი ვართ, რომ კულაკური ანტისაბჭოთა ელემენტები იყენებენ რელიგიასაც.“ [**ასყდმკ,1971:380**]. საკმაოდ მძიმე ვითარება იყო შექმნილი. ყველგან მტრებს და მოწინააღმდეგეებს ეძებდნენ. გამეფებული იყო საშინელი უნდობლობა. უნებლიედ გვახსენდება ჯ.ორუელის ნაწარმოები ,,1984“, მასში აღწერილი, საშინელი დიქტატურის ისტორია, თუ როგორ იყო იგნორირებული ადამიანის პიროვნული თავისუფლება. ასევე იყო საბჭოეთშიც. დეკლარირებული ადამიანის უფლებების დაცვის ნაცვლად საქართველოში გამეფებული იყო ტერორი, ზიზღი, უნდობლობა. ყველაფერი ემორჩილებოდა მკაცრ იდეოლოგიურ წნეხსა და

ცენზურას. ეს იყო ის, რაც თავს მოახვიეს საქართველოს ბოლშევიკებმა. ,, ღარიბთა შორის მუშაობის განვითარება, საშუალო გლეხობასთან კავშირის დაჭერა აი ეს არის მთავარი ამოცანა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ მომავალში უფრო მეტად დავარტყათ ანტისაბჭოთა ელემენტებს... ჩვენი საბჭო ჯერჯერობით სათანადოთ კიდევ ვერ არის გარდაქმნილი და ყრილობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს....თუკი ჩვენს რიგებს განვამტკიცებთ და მწარედ დავარტყამთ მემარჯვენე და მემარცხენე ელემენტებს, რომლებიც ხელს გვიშლიან მუშაობაში ჩვენი ყრილობის წინაშე დასმული ამოცანები დროულად გადაიჭრება.“ [**ასყდმკ,1971:380**]. საქართველოს სსრ კპ(ბ) VIII ყრილობაზე რომელიც გაიმართა 1932 წლის 20-24 იანვარს აღინიშნა ის წარმატებები რომელსაც მიაღწია რესპუბლიკამ სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად: ,, მრეწველობის ზრდის ტემპი საქართველოში საერთო საკავშირო ტემპზე მაღალი იყო. თუ 1927/1928 წლებში რესპუბლიკის საერთო მრეწველობა ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 27 მანეთს შეადგენდა, 1930 წელს ეს ციფრი გაიზარდა და 55,9 მანეთს შეადგენდა. საბჭოთა კავშირის საშუალო ციფრები შესაბამისად 73,7 მანეთს და 114,4 მანეთს შეადგენდა და თუმცა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის დონე საქართველოში მთელი სსრ კავშირის საშუალო დონეზე დაბალი იყო, ზრდის ტემპი კი საკავშიროზე მაღალი იყო“.[**ჟვანია,1985:147**]. იმავე ყრილობაზე აღინიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუშვეს შეცდომები, კერძოდ საკოლმეურნეო მოძრაობის ზემოდან დაჩქარების მოთხოვნებით, (ეს ადრეც ხდებოდა) საწარმოო პროცესების არასწორი დაგეგმით და ა.შ. დელეგატებმა აღნიშნეს, რომ პარტიული ორგანიზაციების შეცდომები გამოიყენეს ანტისაბჭოთა ელემენტებმა, კულაკებმა, გაძლიერდა ნაციონალისტური განწყობილებები და სოფლად სოციალისტური გარდაქმნის პროცესების შეფერხება გამოიწვია. აშკარად ჩანს რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების დამყარება აშკარად დიდი წინააღმდეგობების ვითარებაში მიმდინარეობდა.

1932 წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ(ბ) პოლიტბიურომ სტალინისა და კაგანოვიჩის ინიციატივით მიიღო დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების შესახებ.(პროტოკოლი N97, პუნქტი21) დადგინდა რომ უნდა მომხდარიყო ამ ორგანიზაციების ლიკვიდაცია(იგულისხმება ე.წ. ,,ვოაპპ“ და ,,რაპპ“) და ასევე უნდა მომხდარიო ახალი

საბჭოთა სოციალისტურ მწერალთა კავშირის შექმნა, რომელშიც უნდა გაწევრიანებულიყვნენ ის მწერლები რომლებიც მხარს უჭერდნენ სოციალიზმს. [**Постановление цк вкп(б**)]. ამ დადგენილების პარალელურად საქართველოს სსრ კომპარტიის მე-10 ყრილობაზე ლ.პ. ბერია გამოვიდა სპეციალური მოხსენებით, მაშინ იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი იყო. იგი აკრიტიკებდა საქართველოს ლიტერატურულ ორგანიზაციებში გაერთიანებულ მწერლებს, რომლებიც ,,ხრწნიდნენ მწერალთა კადრებს და აფერხებდნენ ქართული ლიტერატურის განვითარებას". საბოლოოდ საკავშირო დადგენილების პარალელურად უნდა მომხდარიყო საქართველოს პროლეტარული მწერალთა ორგანიზაციების ლიკვიდაცია და საბჭოთა მწერალთა ორგანიზაციის შექმნა.[**მატიანე,2011**] ბუნებრივია ეს გადაწყვეტილება ავტონომიურ რესპუბლიკაშიც გავრცელდა და შესაბამისი სტრუქტურები ძალღონეს არ იშურებდნენ დირექტივების იმპლემენტაციისათვის. 1935 წლის 8 იანვრის საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა აჭარის საბჭოების მე-11 ყრილობაზე, პირდაპირაა ასახული ცენტრალური და რესპუბლიკური კომპარტიების ყრილობებზე მიღებული დადგენილებების ადგილზე იმპლემენტაციის აუცილებლობაზე. ,, ...ამხანაგებმა აქ ილაპარაკეს სკოლებზე, კულტურულ მუშაობაზე და მთელ რიგ სხვა საკითხებზე...ჩვენ მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი კულტურულ ზრდა განვითარებას. ...ჩვენ ცოტა ღარიბი ვართ იმით, რომ აჭარაში ამ მხრივ თითზე ჩამოსათვლელი ხალხი გვყავდა, ...პარტიის დახმარებით და მშრომელთა მასობრივი მონაწილეობით ჩვენ შეგვიძლია დიდი ძალა აღმოვაჩინოთ ჩვენი მშრომელი მოსახლეობიდან ...საბჭოების მე-11 ყრილობა ავალებს მიწსახკომს, განსახკომს,ჯანსახკომს, ფინსახკომს...და მთელ რიგ უმაღლეს ორგანოებს,რომ მათ თავიანთი მუშაობა გარდაქმნან და გააჯანსაღონ..." [**ასყდმკ,1971:430-431**]. ცხადია ისიც, რომ სხვაგვარად ვერც იქნებოდა, უაღრესად ცენტრალიზებულ სახელმწიფოში, რომელიც კომუნისტური პარტიისა და მისი იდეოლოგების დიქტატს ექვემდებარეობდა ცენტრში მიღებული გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა გატარებულიყო რეგიონებში. ამიტომაც ადგილობრივი სახელისუფლო ორგანოებისა და საოლქო კომიტეტების დადგენილებებში უპირობოდ ისახებოდა ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებული იყო საკავშირო ორგანოების მიერ.

რესპუბლიკური და ავტონომიური რესპუბლიკის კომპარტიის შესაბამისი ყრილობები პირდაპირ აგრძელებდნენ საკავშირო კპ(ბ) ყრილობების გენერალურ ხაზს. კულაკობის შეზღუდვის და განდევნის რეჟიმიდან უნდა გადასულიყვნენ მათ სრულ ლიკვიდაციაზე, ე.ი.ფიზიკურ განადგურებაზე. საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1934 წლის 26 იანვარსა და 10 თებერვლის ჩათვლით ღნიშნული იყო: ,,...აშენდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი,...გლეხობა მტკიცედ დაადგა კოლექტივიზაციის გზას. განადგურებულ იქნა ოპოზიციური მიდინარეობანი და დაჯგუფებანი. დამთავრდა პარტიის წმენდა“ [**სოლოვიოვი,1985:321-322**]. საკაშირო ყრილობის პათოსს იზიარებდა საქართველოს სსრ კპ(ბ) 1934 წლის 4-14 იანვრის IX ყრილობაც. რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები ავტონომიური რესპუბლიკებიდანაც. შესაბამისად, როდესაც 1935 წლის 5 იანვარს გაიხსნა აჭარის საბჭოების XI ყრილობა, უცილობელ საქმედ იქნა დასახული კომპარტიისა და საბჭოების ყრილობების დადგენილებების შესრულება. ,,X ყრილობიდან XI ყრილობამდე გასული 4 წელი დაკავშირებული იყო ორ დიდ ისტორიულ მოვლენასთან, პირველი, ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებასთან და მეორე, ხუთწლედის გეგმის შესრულება, რომლის შედეგადაც უნდა მივიღოთ უკლასო სოციალისტური საზოგადოება.“[**ასყდმკ,1971:412**]. **1937 წლის 15-21 მაისს მიმდინარეობდა საქართველოს კპ(ბ) მე-10 ყრილობა,** რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები ავტონომიური რესბუბლიკებიდანაც. ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს არის ის, რომ ამ პერიოდისათვის მთელი რესპუბლიკის მასშტაბით კომპარტიის წევრების ოდენობამ წინა წლებთან შედარებით იკლო. მიზეზი იყო საკადრო პოლიტიკა და მიმდინარე წმენდა პარტიაში. კომუნისტებმა პარტიული დოკუმენტაციის მორიგი შემოწმების შდეგად, რომელიც 1935 წლის 13 მაისის დადგენილების საფუძველზე დაიწყეს, სულ შემოწმებულ იქნა 55 736 კომუნისტის საქმე. ამ ,,შემოწმებაში“ ბუნებრივია იგულისხმებოდა კომპარტიის მაშინდელი იდეოლოგებისათვის მიუღებელი ელემენტების მოშორება. საერთოდ საბჭოთა კავშირის მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა ხელისუფლებაში ჯერ მოსასვლელად, შემდეგ მის შესანარჩუნებლად. ვინაიდან არ არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოების ცნება, გაწონასწორებისა და დაბალანსების პრინციპები, არ არსებობდა სასამართლო ხელისუფლება როგორც

ასეთი თავისი პირველადი დანიშნულებით და იგი გადაქცეული იყო პოლიტიკური ანგარიშწორების იარაღად. ამიტომ პარტიული ლიდერები დამოკიდებულნი იყვნენ მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე და ,,მარიფათზე". არავის არ ჰქონდა არც რწმენა და არც განცდა დაცულობისა. ამიტომ საკავშირო ხელისუფლებაში მოქცეული პარტიული ლიდერები, რომლებიც ბუნებრივია რეგიონებიდანაც ღებულობდნენ შევსებას, ცდილობდნენ გაეხანგრძლივებინათ თავიანთი ყოფნა ხელისუფლების სათავეში. რის გამოც მიმართავდნენ უამრავ მეთოდს, რაც გამოიხატებოდა ცენტრსა და ადგილებზე საკუთარი გუნდისა და მხარდამჭერების რაოდენობის გაზრდაში, მოწინააღმდეგე ფრთის მორალურ-ფიზიკურ განადგურებაში და სხვ. ამიტომ ე.წ. პარტიული წმენდა სწორედ ამ კუთხით იყო განპირობებული.

1937 წლის 25 ოქტომბერს დიდი ზარზეიმით, აჭარის ასსრ საბჭოების საგანგებო მე-12 ყრილობამ დაამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც თანხვედრაში იყო, როგორც რესპუბლიკურ ისე საკავშირო კონსტიტუციასთან, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ამრიგად პარტია სათავეში ედგა სახელმწიფოს, იგი გვევლინებოდა ყველა დონისა და ფუნქციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოზე მაღლა მდგომ ორგანიზაციად.,,რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კომუნისტური პარტია სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა გახდა. ამ ვითარებაში ახალი წესწყობილების მშენებლობის თეორია, იდეოლოგია და პოლიტიკა შეჯერების, შეთანხმების ნაცვლად დაპირისპირების, თვითდაჯერების, სიძულვილის ფსიქოლოგიით ხორციელდებოდა..."[**თურმანიძე,2019:32-33**]. საბჭოთა სახელმწიფო იყო ერთი დიდი საპოლიციო აპარატი. მე-20 საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლები არის საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მისი სახელისუფლებო ინსტიტუტების ძალადობრივი განმტკიცების პერიოდი. ვ.გურულის აზრით ,,... კოლექტივიზაციის გატარებით სოფლად შეიქმნა კოლმეურნე გლეხობის მრავალმილიონიანი, ეკონომიკურად წელში გამართული და სახელმწიფოსაგან სოციალურად დაცული ფენა(კლასი). ამ ფენამ, ი. სტალინს სოფლად საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნების გარანტია მისცა".[**გურული,2000:58**]. მაგრამ ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა თუ რა ძალისხმევით მიაღწია საბჭოთა კავშირმა მოცემულ შედეგს. მკვლევარ კორპაჩევის მოსაზრებით კი ,,...საბჭოთა რეპრესიებს შორის დემოგრაფიული შედეგების

თვალსაზრისით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ე.წ. ,,დიდი გარდატეხა“ ძალდატანებითი კოლექტივიზაციით, რომელიც გრძელდებოდა მილიონობით გლეხთა იძულებითი დეპორტაციით...“ [**кропачев,2010:170**].

საქართველოს კომპარტიის აჭარის ორგანიზაციის მიერ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების პირველი ნახევრის მუშაობა შეაჯამა XV საოლქო პატიულმა კონფერენციამ, რომელიც მიმდინარეობდა 1934 წლის 5-8 იანვარს. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა არტემ გეურქოვმა. მოხსენებაში განხილულია სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა ძირითად საკითხები. კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია აჭარაში შექმნილიყო საკოლმეურნეო წარმოების მარტივი ფორმა-მიწით საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა. ამ საკითხთან დაკავშირებით აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ დავით ძნელაძემ აღნიშნა, რომ აჭარაში იყო ყალბი სასოფლო-სამეურნეო არტელები, რომლებიც ჩაითვალა სასწრაფოდ გადასაჭრელ ამოცანად. კონფერენციამ მოითხოვა კოლექტივიზაციის გაძლიერების მიზნით პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება. 1933 წელს კოლმეურნეობებში პარტიული უჯრედები არ ყოფილა. პარტიის რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად 1934 წლის დასაწყისში რეგიონში არსებული კოლმეურნეობებიდან პარტიული უჯრედები იყო ჩამოყალიბებული 54 კოლმეურნეობაში. კონფერენციამ დაავალა პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს სასოფლო-სამეურნეო არტელებზე გადასვლისას არ გამოეყენებინათ იძულების მეთოდი. [**ასსცსა, ფ.3-1, აღწ.3, საქმ.228,ფურც.141-145**].

1934-1937 წლებში გაწეული მუშაობისა და პრობლემების შესახებ იყო მსჯელობა საქართველოს კომპარტიის აჭარის XVI საოლქო კონფერენციაზე. კონფერენცია გაიმართა 1937 წლის მაისში. კონფერენციაზე საგანგებო სიტყვით გამოვიდა საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი არტემ გეურქოვი. 1937 წლისთვის აჭარაში კოლექტივიზაციის მაჩვენებელი შეადგენდა 69,1%. [**საბჭოთა აჭარის 40 წელი,1961:35**].

მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო XVII კონფერენცია 1938 წლის 3-5 ივლისს. განსახილველ საკითხთა შორის იყო, სარევიზიო კომისიის ანგარიში და საქართველოს კომპარტიის მე-10

ყრილობის დელეგატების არჩევა. კონფერენციაზე საანგარიშო სიტყვით გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა.საჯაია, რომელიც შეეხო ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. ვითრება ისე წარმოჩინდა თითქოს რეგიონში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარება განგებ შექმნეს ,,მავნებელ", ,,კონტრევოლუციონერ ტროცკისტებმა", რომლებიც ყველანაირად უშლიდნენ ხელს ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებას. პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში ურთულეს საკითხად რჩებოდა გლეხური მეურნეობების კოლექტივიზაცია. უწინარესად, მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობის სასოფლო-სამეურნეო არტელებზე გადაყვანა. პარტიული ორგანიზაციები დაჟინებით ითხოვდნენ გაეძლიერებინათ მუშაობა და დაერწმუნებინათ გლეხობა კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში. [**ბსმსსრდა,1986:211**]. 1938-1940 წლებში გაწეული მუშაობა შეაჯამა საოლქო კომიტეტის მე-18 კონფერენციამ, რომელიც ჩატარდა 1940 წლის 7-9 მარტს. საანგარიშო მოხსენებით წარსდგა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ბარამია. კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა პარტიის მიერ ჩატარებული მუშაობა და აირჩიეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმის ახალი შემადგენლობა. პლენუმმა კი აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია გ.თვალჭრელიძე, მეორე მდივნად ი.კორძაია. ბუნებრივია სხვა მიმდინარე საკითხებიც, მითუმეტეს საერთაშორისო ვითარება იყო ძალზედ დაძაბული. [**გაზ.საბჭოთა აჭარა,1940:1-2**].

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დასაყრდენი იყო პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები. დიდი მნიშვნელობის გამო საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად 1937-1940 წლებში შეთავსებით მუშაობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნები: ი.კოჭლამაზიშვილი, ა.საჯაია, მ.ბარამია, გ.თვალჭრელიძე. 1936-1940 წლებში ჩატარდა ბათუმის საქალაქო კომიტეტის სამი კონფერენცია, სადაც ძირითადად მსჯელობდნენ მავნებლობის, კონტრევოლუციონერ-ტროცკისტების გამოვლინებისა და ლიკვიდაციის მნიშვნელობაზე. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში პარტიის რაიონული ორგანიზაციებს შორის შედარებით მსხვილ ორგანიზაციას

ქობულეთის რაიონული კომიტეტი წარმოადგენდა. 1932-1937 წლებში საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი იყო გიორგი ნუცუბიძე. 1938 წელს ჩატარებულმა მე-11 რაიონულმა პარტიულმა კონფერენციმ როგორც დამკვიდრებული წესი განიხილა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ეკონომიკურ საკითხებთან ერთად. თუმცა უმთავრესი მაინც პოლიტიკური საკითხები იყო. [**ასსცსა, ფ.პ-11, აღწ.2, საქმ.117, ფურც.1-19**].

ქედისა და ხულოს რაიონებში პარტიული კომიტეტების საქმიანობა მთელი რიგი თავისებურებებით და სირთულეებით ხასიათთებოდა. პარტიის რიგებიდან გარიცხვებისა და ახალი წევრების მიღების შედეგად რაიონულ კომიტეტებში კომუნისტთა რაოდენობა ცვალებადი იყო. 1940 წლის იანვრისათის ქედის რაიონში კომუნისტთა რაოდენობა 329 -მდე გაიზარდა, მათგან პარტიის წევრი იყო 114, ხოლო წევრობის კანდიდატი კი 215. [**ასსცსა, ფ. პ-8, აღწ.1, საქმ.58,ფურც.22**]. 1932 წლის 5 იანვარს ჩატარდა ქედის რაიონის პარტიული VII კონფერენცია, ჩატარებული და განხორციელებული პარტიული მუშაობის შესახებ ანგარიშით წარდგა დავით ძნელაძე. კონფერენციის შემდეგ განახლდა ქედის რაიონის პარტიული ხელმძღვანელობა. 1933 წლის ივლისში საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს ა.ხალვაში, რომელიც ამ თანამდებობაზე 1937 წლის იანვრამდე მუშაობდა.

საინტერესოა აჭაროლქკომის 1931 წლის N39 დადგენილება, რომელიც ეხება პარტიის როლს ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მოცემული 14 პუნქტიანი დადგენილება აწესებს და ავალებს სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებში არსებულ ე.წ. სამეულებს, რომლებიც როგორც მოგეხსენებათ იყო პირველადი პარტიული უჯრედი დაწესებულებში, რათა თვალყური ედევნებინათ და გამოეჩინათ რევოლუციური სიფხიზლე, [**ასსცსა ფ.პ-1. აღწ.3.საქმ.N1,ფურც.4**]. აქვე არის შემდეგი ჩანაწერი, რომლითაც ჩვენ ვგებულობთ, რომ დამატებით დაიბეგრა ე.წ. ,,კულაკური,, მეურნეობები და რელიგიური კულტის მსახურები. ეს ფაქტი რამდენიმე კუთხითაც არის საინტერესო, კერძოდ, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ კულაკობის წინააღმდეგ გაშმაგებული ბრძოლისა, ის გარკვეულ წილად უშვებს ფაქტს ასეთი ეკონომიკური ურთიერთობის არსებობის შესახებ სოფლად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი იდეური მოწინააღმდეგე იყო. 1931 წლის 8 იანვრის

დაგენილებით შეითანხმა პარტიამ ეს საკითხი. ასევე დაიბეგრა რელიგიური კულტის მსახურებიც.[**ასსცსა,ფ.პ-1.აღწ.3,საქმ.N1:13**]. პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამბავს წარმოადგენდა ბიუროების მუშაობა. ვინაიდან იგი იყო მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული. პარტიულ ბიუროებზე ყოველდღიურ რეჟიმში განიხილებოდა რეგიონის მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხები. 1931 წლის 21 იანვარის აჭაროლქკომის N43 ოქმი ეხებოდა აჭარაში მიმდინარე ეკონომიკურ აქტივობებს და პარტიის მაკონტროლებელ როლს. საოლქო ბიუროში რომელსაც მდივნობდა გობეჩია, შედიოდნენ პრეზიდიუმის წევრები ზ.ლორთქიფანიძე, შ.ლორთქიფანიძე, მ.ანასტასიდი, ა.ქავთარაძე, ი.გიორგაძე და სხვები განიხილეს საკითხები რომელიც ეხებოდა აჭარაში არსებული საწარმოების ნედლეულით დროულ მომარაგებას, ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოების მუშაობას. ეს დარგი ეკონომიკისა მოგეხსენებათ აჭარაში მნიშვნელოვანი იყო. ამ მხრივ საინტერესო საანგარიშო მოხსენება წარადგინა ბიუროს სხდომაზე ნოე ლეჟავამ, რომელმაც მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულ დონეზე ბოლომდე არ იყო დარეგულირებული ურთიერთოებები აჭარტყის საწარმოო გაერთიანებასა და ამიერკავკასიის საოლქო სატყეო ტრესტს შორის.[**ასსცსა,ფ.პ-1.აღწ.3, საქმ.N1:51-53**] ასევე ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების შესახებ და სხვ. [**ასსცსა,ფ.პ-1.აღწ.3, საქმ.N1:27-28**]. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ პარტიისთვის მთავარი იყო საწარმოებში ფართოდ ყოფილიყო გაშლილი აგიტაცია საბჭოების ნათელ მომავალზე, ეს საკითხი ძალზედ აქტუალური იყო საბჭოებისთვის. სოც.შეჯიბრებები, საწარმოების მიერ საწარმოების შეჯიბრში გამოძახება, ერთი რეგიონის მიერ მეორე რეგიონის რომელიმე საწარმოს ანალოგიურ შეჯიბრში გამოძახება, ეს იყო საბჭოური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. 1931 წლის აჭაროლქკომის ბიუროს 21 იანვრის ზემოხსენებულ დადგენილებით დაადგინეს, მტკიცე ბრძოლა გამოეცხადებინათ ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოვლენების წინააღმდეგ.[**ასსცსა,ფ.პ-1.აღწ.3, საქმ.N1-67**]. პარტია კურირებდა და ადგენდა სოფლად სასოფლო სამეურნეო საქმიანობის გეგმებსაც. ასე მაგალითად 1931 წლის 13 თებერვალს ოლქკომის სხდომაზე მიიღეს ოქმი N49, რომლითაც დაამტკიცეს აჭარაში სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განხორციელების გეგმა. [**ასსცსა,ფ.პ-1.აღწ.3, საქმ.N1:119**]. „... პარტიამ დაამსხვრია

ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი და მის ნაცვლად შექმნა საბჭოთა სახელმწიფოს ახალი აპარატი. [**ჩვენი თაობა,1940:6**].

არ არსებობდა საკითხი, რომელიც პარტიის ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრძოლას განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების წინააღმდეგ არა მარტო პარტიის რიგბს გარეთ, არამედ თავად პარტიის რიგებშიც. ყველგან ეძებდნენ ოპორტუნისტებს, ტროცკისტებს, კონტრ-რევოლუციონერ დივესანტებს, მემარჯვენე უკლონისტებს. ,,...კომუნისტების მიზანი იყო კულტურა რაც შეიძლება პრიმიტიული ყოფილიყო, ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ აზრთა შეჯამებას, განწყობის, დამოკიდებულებისა და შეხედულებების განსხვავებულობას, აღიზიანებდათ მრავალფეროვნება...“[**კობიაშვილი,2019:20**].

ტროცკისტობის ბრალდებით გარიცხეს პარტიიდან აკაკი მეგრელიძე გერასიმეს ძე, ჯალაღონია დომენტი ლუკას ძე, სილაქაძე როფოს ალექსანდრეს ძე, გაბიჩვაძე ვასილ ივანეს ძე, პოლიექტორ კუტუბიძე ჯამულეთის ძე, იაკინთე კვიტაიშვილი, ანდრო დიმიტრის ძე ჟღენტი, ვასილ ანდრიას ძე მეგრელიძე, ვარლამ კუნჭულია გრიგორის ძე, ტარას სიხარულიძე ეპიფანეს ძე, მეგრელიძე ბესარიონ როსტომის ძე, პორფირე ესაკია ფილიპეს ძე, ვლადიმერ თოდრია იოსების ძე, მეგრელიძე ვასო ანდრიას ძე, მათე ლომთათიძე და სხვ.[**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4. საქმ.N108,გვ,1-3**]. პარტიიდან გარიცხვის სხვადასხვა მიზეზი არსებობდა, ბოლშევიკები ამ საქმეს უწოდებდნენ რევოლუციურ სიფხიზლის გამოვლინებას და მისი მოდუნება იყო ე.წ. თვითკრიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. პარტიიდან გარიცხულ გრიგოლ ნუცუბიძეს ბრალად ედებოდა ის, რომ იგი 1918-1919 წლებში იყო მენშევიკური პარტიის წევრი, რომელმაც თითქოს გაფლანგა 40 ათასი მანეთი, ინგლისელების დროს კი სპეკულაციით იყო დაკავებულიო.[**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4. საქმ.N108:4**]. ოპოზიციონერთა ვრცელი სიაა მოცემული ამ საქმეში, რომლებიც დაკავებულები და გარიცხულნი არიან, ზოგნი მაგალითად ე.წ. ,,ლაყბობისათვის“, ან წარსულში სხვა პარტიასთან კავშირის გამო. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული დოკუმენტების შემოწმებას, ამ პროცესმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო დიდი ტერორის პერიოდში. პარტკომიტეტების ამონაწერები და ცალკე განკარგულებები განსაკუთრებულად დაცულად უნდა შენახულიყო პირად საქმეში და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაერთოდ საბჭოთა და პროფკავშირთა საქმის წარმოების დროს. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4. საქმ.N113:39**].

პარტდოკუმენტების განმეორებითმა შემოწმებამ რომელიც განხორციელდა აჭარის საოლქო კომიტეტის მიერ, საერთო ჯამში ვერ შეასრულა პარტიის მტრებისაგან გაწმენდის ამოცანა. პარტდოკუმენტების შემოწმების შედეგად კ.პ.(ბ) რიგებიდან ქ.ბათუმში გაურიცხავთ პარტიის 133 წევრი, 89 კანდიდატი. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:5-6**]. პარტია ხელმძღვანელობდა ,,ხალხის მტრებთან" ბრძოლის საერთო სტრატეგიას. ასე მაგალითად 1936 წლის 29 იანვრით დათარიღებული კპ(ბ) ცკ დახურული წერილი, ავალდებულებდა ბოლშევიკებს, რათა ხალხის მტრებთან წინააღმდეგ ბრძოლაში ყოფილიყვნენ ფხიზლად.[**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:6**]. პარტიული თვითკრიტიკა მდგომარეობდა შემდეგში: ცკ-ს ზემოხსენებული მითითებების გათვალისწინება პირველადი პარტიული ორგანოების და ოლქკომის მიერ არ მომხდარა საჭიროებისამებრ და შესაბამისად 62 კაცზე რომელებზეც არსებობდა ოპერატიული ცნობები მათი კონტრრევოლუციურ, ტროცკისტული საქმიანობის შესახებ, მხოლოდ 10 კაცი გაირიცხა ზემოთჩამოთვლილთაგან. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:7**]. საინტერესოა ვარლამ ხუჭუას საქმე, რომელიც იყო ბათუმის ელ.სადგურის მუშაკი, პარტიულ დოკუმენტებში იგი მოხსენიებულია, როგორც ამ საქმის კარგი მცოდნე. ვარლამი გარიცხეს პარტიიდან როგორც არასასურველი ფიგურა და არასანდო ელემენტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოლქკომმა მას აღუდგინა პარტიის წევრობა, იმიტომ რომ მისი შემცვლელი არ ეგულებოდათ. ამავდოულად საქმე, რომელიც მას ჰქონდა ჩაბარებული, ფასდებოდა როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროდ. მოგვიანებით ოლქკომის ეს ქმედება შეფასდა, როგორც შეცდომა და სტალინური კურსიდან გადახვევა. ,,პარტიაში ბევრმა ალბათ დაივიწყა რომ შეუმოწმებელი და განსაკუთრებით კონტრევოლუციონერები არ შეიძლება გვყავდეს სახელმწიფო და თავდაცვის მნიშვნელობის ობიექტებზე..."[**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:9**]. აჭარის საოლქო კომიტეტი (ოლქკომი) იყო მთავარი პარტიული ორგანიზაცია აჭარაში. საინტერესო ცნობებია დაცული რაიონების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ შესაბამის საარქივო მასალებში. ოლქკომი იხილავდა მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირში ნებისმიერ საბჭოზე თუ აღმასრულებელ ორგანოზე მაღლა იდგა. იგი აძლევდა ყველა დანარჩენ სახელმწიფო სტრუქტურას მოქმედების გეგმებს და ა.შ. ასე იყო მთლიან საბჭოთა

კავშირში, ეს იყო მმართვის საბჭოური სტანდარტი. აჭაროლქკომის ბიუროს 1936 წლის 13 ივნისის N107 ოქმი. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:50**]. ოლქკომის კომისიამ რომელშიც შედიოდნენ: ზ.ლორთქიფანიძე, ჯიმშელეიშვილი, გაბუნია, ბეჟანიძე, გეორქოვი, ეს უკანასკნელი იყო საოლქო კომიტეტის მდივანი, რომელიც ასევე ზრუნავდა რათა ადგილებზე არ შერყეულიყო პარტიული დიციპლინა, და ყოველგვარი გამოვლინებები პარტიული წესრიგის დარღვევისა ყოფილიყო სათანადოდ დასჯილი. ამ მხრივ ძალზედ საყურადღებოა გრიგორიანის საქმე, რომლის შესწავლითაც ნათლად დგინდება თუ რა ვითარება იყო ქედის რაიონში, როგორ ურთიერთობდნენ ოფიციალური პირები ერთმანეთთან საყოველთაო სიდუხჭირის და რეპრესიების პერიოდში. გრიგორიანი განცხადებით მიმართავდა ოლქკომს და მოითხოვდა აღედგინად იგი პარტიის წევრად, ვინაიდან მისი აზრით უკანონოდ გარიცხეს პარტიიდან. გრიგორიანის განხადებით ქედის რაიონის რიგი ხელმძრვანელი პირები ეწეოდნენ არამართლზომიერ ცხოვრებას. ბრალდების მთავარი ადრესატი იყო რაიკომის მდივანი ა.ხალვაში. ოლქკომის კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ს.ლორთქიფანიძე, ვ.ჩაკაბერია და კონსტანტინიდი, ადგილზე გავიდნენ და გაეცნენ მდგომარეობას, დაადგინეს ა.ხალვაშის არაეთიკური საქციელი, რომელიც შეუფერებელი იყო კომუნისტისთვის და ხელმძღვანელი მუშაკისთვის. [**ასსცსა,ფ.პ-1, აღწ.4,საქმ.N109:15**]. ოლქკომის კომისიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ფაქტების მიჩქმალვის გამო. ბრალად დასდეს ა.ხალვაშსა და ჩკ-ს ხელმძღვანელ სამატაძეს ერთმანეთის მფარველობა. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:15-17**]. 1932 წელს პარტიის ოლქკომმა საყვედური გამოუცხადა ა.ხალვაშს, ასევე საყვედური გამოუცხადა 1936 წელს სამეურნეო საქმიანობის არაპარტიული ნიშნით წარმართვისათვის. აღნიშნული სანქციები მოცემულია საქ.კ.პ.(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილებაში. დადგენილებით აღინიშნა, რომ ქედის რაიონის პარტიული ხელმძღვანელობის საქმიანობით ირღვეოდა შიდაპარტიული დემოკრატია. შიდაპარტიული დისციპლინისა და პარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევაზეა საუბრაი მოცემული საქმის 64-ე გვერდზეც. საქ.კ.პ.(ბ) აჭაროლქკომმა სპეციალურად შეამოწმა და ბიუროზე გაიტანა ქედის კომკავშირის რაიკომის და პარტხელმძღვანელების მუშაობის მასალები და გამოარკვია რაიკომის მუშაობის არასრულყოფილი ხასიათი

და ფრაგმენტულობა, მიუხედავად ადგილებზე დამახასიათებელი რთული პირობებისა. [**ასსცსა.ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.N109:70**-71]. შესაბამის საარქივო მასალებში არსებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აღნიშნულ რაიონებში არცთუ სახარბიელო მდგომარეობა ყოფილა ამ მხრივ. ფაქტია, რომ პარტიას საკმაოდ უჭირდა და მას ბევრი იდეური მოწინააღმდეგე ჰყავდა. ამიტომაც იყო რომ ოლქკომის უფლებამოსილი პირები მდგომარეობის შესწავლის შედეგად მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ მათი მთავარი კადრები ადგილებზე მოიკოჭლებდნენ იდეოლოგიურ დარგში. აგიტატორები არ გამოირჩეოდნენ დიდი განათლებით. ხშირ შემთხვევაში ისინი ძალზედ ზერელედ ეპყრობოდნენ სააგიტაციო საქმის წარმოებას ადგილებზე. აცდენდნენ ე.წ. მეცადინეობებს, ქოხ სამკითხველოები ვერ აკმაყოფილებდნენ წაყენებულ პირობებს, განიცდიდნენ სააგიტაციო მასალის ნაკლებობას და სხვ. რაიონებში პირველადი პარტორგანიზაციების შემოწმების შედეგად გამოირკვა რაიკომის კადრების არასათანადო პოლიტიკური მომზადებისა და განათლების დაბალი დონე. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:74-75**]. კომპარტიაში მიღება როგორც ავღნიშნეთ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელსაც სერიოზულად უნდა მოკიდებოდნენ, მაგრამ ეს წესი ხშირ შემთხვევაში ირღვეოდა. მიზეზები იყო სხვადასხვა. ძირითადად ე.წ. პარტიული დემოკრატიის დარღვევის შემთხვევების მიზეზები მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებში იმალებოდა. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:76**]. ოლქომის რევიზია ასევე ეხებოდა პირველადი პარტორგანიზაციების მიერ მიღებული დადგენილებების შინაარსობრივ ნაწილსაც. ოლქკომი აღნიშნავს, რომ უშინაარსო დადგენილებები მრავლად მოიპოვებოდა ხულოსა და ქედის რაიონებში. ასეთად ითვლებოდა დადგენილებაში მხოლოდ ლოზუნგების ჩაწერა და ცკ დადგენილებების აღსრულების კონკრეტული გეგმის გარეშე მიღება.

პარტია ებრძოდა ყოველგვარ არაკომუნისტურ გამოვლინებებს, ერთ-ერთი ასეთი სამიზნე იყო რელიგიური კულტის მსახურები, როგორც თავად უწოდებდნენ. ხარვეზად და დიდ პრობლემად ითვლებოდა კომუნისტების მიერ მარხვის შენახვა, რელიგიურ წესების ზედმიწევნით შესრულება. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:84**]. ხულოსა და ქედის რაიონში დარღვევებით წარმოებდა პირველადი პარტორგანიზაციების მხრიდან პარტიის წევრთა აღრიცხვიანობის საქმე. სერიოზულ

პრობლემას წარმოადგენდა პარტიაში აღრიცხვიანობის საქმე. საქმის წარმოება გარკვეულ შემთხვევაში რუსულად უნდა წარმართულიყო. რაიონსა და მეტადრე სოფლებში რუსული ენის ცოდნა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:85**]. 1935 წლისთვის წერაკითხვის უცოდინართა საკმაოდ მაღალი რიცხვი არსებობდა. ამისათვის იყო შექმნილი ე.წ. ქოხ სამკითხველოები. პარტიის წევრთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამ უნარ ჩვევის გარეშე იყო. რაიკომი გვიან აფორმებდა 1935 წელს მიღებულ თანამგრძნობთა საქმეებს. თანამგრძნობთა დიდი რაოდენობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მაგალითად, პარტიის წევრ დურსუნ კილაძეს დავალებული ჰქონდა კითხვის კარგად შესწავლა, პოლიტსკოლაში სისტემატიური მსვლელობა და გაზეთის გამოწერა. [**ასსცსა,ფ.პ-1,აღწ.4,საქმ.N109:85-86**].

პარტიაში ,,წმენდა“ წარმოადგენდა კომუნისტებისთვის მნიშვნელოვან საქმესა და ამოცანას. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დაისვა დიდი ტერორის პერიოდში. აჭაროლქკომის 1938 წლის 10 თებერვლის ბიუროს ანგარიშში, აღნიშნულია, რომ პარტიის რიგებიდან გარიცხეს 439 პირი. ამათგან ,,ხალხის მტრის“ იარლიყით გაირიცხა 428 პირი. ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო ყოფილი პარტიული მაღალი ფინქციონერების, აწ უკვე ხალხის მტრებად შერაცხულების მიერ, როგორებიც იყვნენ ა.გეორქოვი, ზ.ლორთქიფანიძე, ნუცუბიძე, ცქვიტინიძე, აქაოდა პარტიიდან თითქოს კეთილსინდისიერი ხალხის გარიცხვას ახერხებდნენ, ხოლო არასანდო ელემენტებისთვის თითქოს არიგებდნენ პარტბილეთებს. თვითკრიტიკის სტილში აღნიშნავდნენ, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ წმენდის დროს დაუშვა შეცდომა, რომელიც მდგომარეობდა ცკ-ს მითითებებისადმი ზერელე და უგულისყურო დამოკიდებულებაში. [**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:1-3**]. მაგალითად, საქ.კ.პ.(ბ) აჭარის საქალაქო ორგანიზაციის ყოფილმა მდივანმა, მოგვიანებით ხალხის მტრად შერაცხულ ქვარცხავას ძმებ ბრიდშტეინებისთვის კაბინეტში პარტბილეთების წართმევა, პარტიიდან გარიცხვა ჩაუთვალეს უკანონო ქმედებად. ოლქკომის ბიურომ შეცვალა ბათუმის ქალაქკომის დადგენილება ბრიდშტეინების შესახებ და მათ აღუდგინა პარტიულობა.[**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:2-3**]. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ თავად ლ.ბერიამ გაამახვილა აღნიშნულ ფაქტზე ყურადღება საქ.კ.პ(ბ) ცეკას პლენუმზე, იგი საყვედურობდა აჭაროლქკომს, მასზედ, რომ ჯერ კიდევ არ უგებინებიათ პასუხი ჭორების გამავრცელებლებისათის.[**ასსცსა ფ.პ-**

1.აღწ.4.საქმ.227:3]. მოგეხსენებათ საბჭოთა პერიოდში ადგილი ქონდა დასმენებს, ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი მთავარი იარაღი იყო საბჭოთა კავშირში, რომელსაც ეწირებოდა მოქალაქეების დიდი ნაწილი, ხშირ შემთხვევაში თავად დამსმენიც მსხვერპლი ხდებოდა. საბჭოთა რეჟიმი უმკაცრესად სჯიდა არა მარტო საკუთრივ იმ ხალხს, რომელსაც ისინი მიიჩნევდნენ მავნებლად და ხალხის მტრად, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც ხშირ შემთხვევაში. მაგ.ქობულეთის რაიკომს (მდივანი ნუცუბიძე) პარტიიდან გაურიცხავს ოლგა ლეონოვა, რომლის შვილიც თურმე წყალმომარაგების ტექნიკოსად მუშაობდა. ეს უკანასკნელი დაადანაშაულეს მავნებლობაში და მისი საქმე ძიებაში გადაეცა სასამართლოს. სწორედ ამის გამო ოლგა ლეონოვა გარიცხეს პარტიიდან, შვილის ბრალდების გამო. მოგვიანებით კი როცა ბრალდებული გამართლდა, ოლგა ლეონოვას ოლქკომმა აღუდგინა პარტიის წევრობა. [**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:5**]. საბჭოთა წეს-წყობილება ადამიანის ბრალდების საკითხს მეტად სპეციფიკურად უდგებოდა. პარტიიდან გარიცხვის საკითხები უმაღლეს დონეზე წყდებოდა, მაგრამ ჩვენი აზრით რეგიონებში როგორც წესი ხდებოდა ერთგულების ზედმეტად გამოჩენა. არ არსებობდა გადარჩენის არანაირი გარანტია, ამიტომაც ეჯიბრებოდნენ ადამიანები ერთმანეთს დასმენებსა თუ სხვადასხვა სახის არამართლზომიერ ქმედებებში. საკავშირო ცკ-ს 1938 წლის იანვრის პლენუმი სპეციალურად შეეხო პარტიული ორგანიზაციების მხრიდან პარტიის წევრობიდან გარიცხვის საქმეში შეცდომების არსებობას. აღნიშნული დირექტივა ბუნებრივია სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყო აჭაროლქკომისთვისაც. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს დირექტივაში აღნიშნულია, აღმოიფხვრას პარტიაში მყოფი კარიერისტების მხრიდან უგულისყურო დამოკიდებულება. ასევე რეპრესიების საკუთარი წარმატებისათვის გამოყენების დაუშვებლობაზეც გაამახვილეს ყურადღება. მაგ. პარტიის წევრ ფანცულაიას ქუჩაში შეუმჩნევია შორიახლოს მდგომი გიორგობიანი, რომელიც ესაუბრებოდა პასიკოვს. მოსმენის მიზნით იგი მათ ოდნავ მიუახლოვდა დაახლოებით ათ ნაბიჯზე, რაზეც მოსაუბრეები გაჩერებულან. ფანცულაიამ გამოიტანა დასკვნა, რომ გიორგობიანი და პასიკოვი აწარმოებდნენ კონტრევოლუციურ საუბარს, ამის თაობაზე მან ოლქკომში შეიტანა დასმენის განცხადება. [**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:7**]. აჭარის ოლქკომი ვალდებული იყო გაეთვალისწინებია საკავშირო ცკ-ს პლენუმზე მიღებული შესაბამისი დირექტივა.

იანვრის პლენუმამდე განცხადებების განხილვა თვეებით ჭიანურდებოდა, საანგარიშო პერიოდში ოლქკომში, ქალაქკომში და რაიკომში შეტანილ იქნა პარტიიდან გარიცხულთა 133 განხცადება. 1938 წ. 1 თებერვლისათვის აჭარის პარტორგანიზაციებში ირიცხებოდა 1465 კაცი. კომუნისტთა რიგების შემცირება განპირობებული იყო პარტიის რიგებიდან ე.წ. ,,ხალხის მტრების" გაწმენდის შედეგად. [ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:10].

მწვავედ იდგა რეგიონის მომარაგება პირველადი მოთხოვნილების საგნებით. აღნიშნული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო რომ ოლქკომი პერიოდულად უბრუნდებოდა აღნიშნულ თემას. სოციალისტური ქონების გაფლანგვა მოგეხსენებათ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ამ ეკონომიკური ხასიათის დანაშაულს ბოლშევიკები სძენდნენ პოლიტიკურ ელფერსაც, ვინაიდან ეკონომიკურ და სოციალურ ფრონტზე წარუმატებლობა აღიქმებოდა როგორც პირდაპირი გამოწვევა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. პარტია თვლიდა, რომ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებიდან ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი მავნებლობა, არასტაბილური ვითარება იყო მაღაზიების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. რის შედეგადაც მათი აზრით ამ ორგანიზაციებში თავს იყრიდა თაღლითები და სოციალისტური ქონების გამფლანგველები. ყველაზე დიდ დარღვევად სავაჭრო ორგანიზაციების მხრიდან ითვლებოდა მოპარვა და გადახარჯვა. 1937 წლისთვის გაფლანგულმა თუ მოპარულმა თანხამ შეადგინა 678 ათასი მანეთი, საიდანაც ამოღებულ იქნა მხოლოდ 313 ათასი მანეთი. საჯაროდ იყო დასახელებული სავაჭრო ორგანიზაციებში მომუშავე ისეთი გამფლანგველები, როგორებიცა იყო ქედაში ჩხარტიშვილი-აჭარკოოპკავშირის სასადილოს მუშაკი, კაკაურიძე-აჭარვაჭრობა, შერიფოვი-საკონსერვო ქარხანა და ა.შ. [ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:29-30].

პარტიული განათლების საკითხში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ასევე სკოლას, კერძოდ მასწავლებლებს. აჭარის სკოლებში 1937-1938 სასწავლო წლებში ისტორიის სწავლება ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად შემდეგ მიზეზთა გამო: 1) სსრკ ისტორიის წიგნები შესტაკოვის რედაქციით ძალიან დიდი დაგვიანებით იქნა მიწოდებული და ისიც 50%, ხოლო ნაც.უმცირესობების ენებზე კი საერთოდ არ გამოსულა. 2) ისტორიის სასწავლო პროგრამები მიღებულ იქნა მხოლოდ 1938 წლის 10.02. 3) სსრკ ისტორიის სწავლების მეთოდიკა განსახკომის მიერ შეიცვალა

რამდენჯერმე. 4) ისტორიის მასავლებლების 50% როგორც ქალაქებში ასევე რაიონებში არ იყვნენ სპეციალისტები. [**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:32-34**].

სერიოზული საკითხი იყო სკოლებში მოსწავლეთა სწრებადობა. განსაკუთრებით მაღალმთიანი აჭარის სოფლების პრობლემას წარმოადგენდა ეს საკითხი. ბოლშევიკებს ამ საქმეში რელიგიური კულტის მსახურები ევლინებოდნენ მთავარ მოწინააღმდეგებად. მოსწავლეთა სკოლაში არ გამოშვების შემთხვევაში ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილი პირები აჯარიმებდნენ მოსწავლეთა მშობლებს. ქალაქის სკოლებში ცალკე პრობლემას წარმოადგენდა მოსწავლეთა მხრიდან დისციპლინის უხეში დარღვევები, როგორიცაა მაგალითად სიმთვრალე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს. სარკინიგზო, საფინანსო, ეკონომიკური და კომუნალური სკოლის მოსწავლეები ჭკადუა, ფერსელიძე, მოისწრაფიშვილი, ლომჯარია, კიკნაძე სკოლაში გამოცხადებულან მთვრალები. [**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227: 35**].

ოლქკომის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა ჯანდაცვა. 1938 წლის 1 იანვრისთვის აჭარას გააჩნდა 175 სამკურნალო დაწესებულება. აქედან 7 საავადმყოფო 589 საწოლით, 4 სამშობიარო სახლი, 55 საექიმო პუნქტი, მალარიის 16 სამკურნალო დაწესებულება და სხვა. 1937 წლის მეორე ნახევარში ბათუმში აშენდა 2 ბავშთა სამკურნალო დაწესებულება 120 საწოლზე. ოლქკომმა დაუსახა შესაბამის სამსახურებს ამოცანად შემდეგი: ტოპიკული ინსტიტუტის მშენებლობის დასრულება, ჩაქვის საავადმყოფოს დასრულება, ქობულეთსა და ხულოში ბავშთა სახლების მშენებლობის დასრულება.[**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4.საქმ.227:49**].

პარტიის მთავარ ამოცანად კვლავ რჩებოდა ბრძოლა ,,ხალხის მტრების“ წინააღმდეგ. იმართებოდა დახურული თუ ღია სხდომები, რომლებზეც განიხილებოდა ამათუ იმ პირის პარტიიდან გარიცხვის საკითხები. ვინაიდან ოლქკომი, ე.ი. პარტია წარმოადგენდა მაღალი ლეგიტიმაციის ინსტიტუციას იგი აგროვებდა ყველა ტიპის ცნობას. მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებიდან. 1937 წლის 7 აგვისტოს შედგა რაიონული პარტორგანიზაციის კრება. მოისმინეს მგელაძის მოხსენება ხასან ლორთქიფანიძის მავნებლობის შესახებ. კრების დადგენილებით ეს უკანასკნელი გარიცხეს პარტიიდან. დაბეზღებები და ანონიმური წერილების წერა იმ

პერიოდისთვის იყო ჩვეულებრივი ამბავი. საინტერესოა სერგო ყუფარაძის წერილი ჩაკაბერიასადმი. ეს უკანასკნელი იყო შინსახკომის მაღალჩინოსანი. ირკვევა, რომ ყუფარაძე დააბეზღეს და ბრალად დასდეს მენშევიკურ შეიარაღებული რაზმის წერვობა. იგი ცდილობს ახსნას ვითარება და გაიმართლოს თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უმკაცრესი სასჯელი ელის. ყუფარაძის სიტყვით, 1918 წელს, როდესაც ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედი მეფის ჯარი დაიშალა, ქალაქი ბათუმი მოიცვა საშინელმა ანარქიამ, ძარცვა-გლეჯამ მასიური ხასიათი მიიღო, მასთან ერთად დროებითი მთავრობის მილიციაც გაირყვნა. ამ გარემოებამ ბათუმის მოსახლეობაში დაბადა აზრი წესრიგის საქმის მოწყობის შესახებ. ამ მიზნით ქალქის თვითმმართველობის თაოსნობით ქალაქი დაიყო ოთხ უბნად, უბნების მოსახლეობა შეიარაღებული ზოგი რევოლვერით, ზოგი თოფით, 20-30 კაცის შემადგენლობით მორიგეობით გამოდიოდნენ ქუჩაში და იცავდნენ წესრიგს. ამ დროს კი იგი წიგნის მაღაზია ,,განთიადში“ მუშაობდა, რომელიც კომინტერნის ქუჩაზე მდებარეობდა და როგორც მენშევიკური პარტიის წევრი ამ უბანში ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ახსნა-განმარტება დათარიღებულია 1937წ. 21/VIII. [**ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4.საქმ.N113:6-8**]. განსხვავებული ვერსიაც არსებობს ე.წ. ,,დანოსებთან,, დაკავშირებით. ,,...დასმენებს არც ისეთი საკვანძო როლი ჰქონდა რეპრესიების ეპოქაში, ყველაფერი გაცილებით უფრო სტრუქტუირებული და ცენტრალიზებული იყო. დაპატიმრებები ხდებოდა კრემლში შედგენილი ან კრემლის მიერ სანქცირებული წინასწარ შედგენილი სიების მიხედვით. ...“[**ქადაგიძე,2020**.].

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანტიპარტიულ ქმედებად ითვლებოდა პარტიული დემოკრატიის პრინციპების ისეთი დარღვევა როგორიც იყო ე.წ. ,,ფრაქციული მუშაობა“. სწორედ ამ ფრაქციულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის გარიცხეს პარტიიდან აკაკი მეგრელიძე. ოლქკომი მას ბრალად დებდა ფრაქციული მუშაობისთვის ბინის გამოყოფას, კრებების მომზადებას და მასზე აღნიშნული საკითხების გატანას და ა.შ. ოლქკომის დადგენილებით, მიუხედავად იმისა რომ მეგრელიძე არ აღიარებდა უშუალოდ მის მონაწილეობას ფრაქციულ განხილვებში, გაირიცხა პარტიის რიგებიდან. მასთან ერთად სანაპიროს მტვირთავთა უჯრედის მონაწილეებს: დომენტი ლუკას ძე ჯალაღონიას, 32 წლის, როსაპ ალექსის ძე სილაქაძეს, 30 წლის, კუტუბიძე პოლიკარპე ჯამლეთის ძეს, კონსტანტინე კორიფაძე

ათანასეს ძეს, 38 წლის, პარტიის წევრი 1920 წლიდან და სხვ. ბრალად ედებოდათ ოპოზიციასადმი მხარდაჭერა და ფრაქციულ განხილვებში მონაწილეობა. [**ასსცსაფ.პ-1, აღწ.4.საქმ.N113: 28**] აქვე დავსძენთ, რომ მოცემულ საარქივო საქმეში მოცემულია იმ პირთა ფართე სია, ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარებოდნენ აჭაროლქკომში გამოძახებასა და დაბარებას, მათი ოპოზიციონერული საქმიანობის გამო.

ადამიანებს მუდმივი შიშის განცდა ჰქონდათ, არავინ არ იცოდა საიდან რა ბრალდებას წარუდგენდნენ. ცხოვრების წესად იყო დადგენლილი დაბეზღება და სხვა უკუღმართი ურთიერთობები. სავსებით შესაძლებელი იყო ადამიანის დასჯა იმისათვის, რომ იგი შესაძლოა ყოფილიყო რეკომენდატორი პარტიის წევრობის კანდიდატისა, რომელიც სისხლის სამართლის პასუხგებაში იყო მიცემული. ამ მხრივ ნიშანდობლივია ხუსეინ ისმაილის ძე ზოიძის განცხადება საქ.კ.პ.(ბ) ბათუმის ქალაქკომის მდივნისადმი. მან განცხადებაში აღიარა, რომ მის მიერ გაწეული რეკომენდაცია ჯემალ ქიქავას პარტიის წევრობაზე იყო შეცდომა. საბჭოთა სისტემის მიერ ადამიანის ღირსების შემლახველი ყოფის დასტურია ამავე განცხადებაში არსებული ჩანაწერი, რომლითაც განმცხადებელი გმობს ჯემალ ქიქავას მეუღლის, ანიკო ქიქავას (დანელიას) ტირილის ფაქტს მეუღლის დაპატიმრების გამო, როგორც პარტიის წევრისთვის ყოვლად დაუშვებელი საქციელი. მან ასევე მოხსნა თავისი რეკომენდაცია პარტიის წევრობის კანდიდატ ოსმან ალის ძე კონცელიძის მიმართ, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ უმხელია ჯემალ ქიქავა. [**ასსცსაფ.პ-1, აღწ.4.საქმ.N113::59**]

აგენტურული მონაცემების საფუძველზე კოლექტივ ,,წითელი ოქტომბრის" თავჯდომარე ჯემალ ჯაფარიძე-(ყოფ.თავადისშვილი), იმავდროულად იგი იყო კომკავშირული უჯრედის თავჯდომარე და სასოფლო საბჭოს წერვი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა, რაც შინსახკომის აგენტების ყურადღების არეალში მოექცა. მისი ქონებრივი მდგომარეობა შემდეგი იყო: ფლობდა ორსართულიან სახლს, რომლის ნაწილსაც აქირავებდა, ყავდა 4 ძროხა, წისქვილი. ეს კი ჩაითვალა უშრომელ შემოსავლად. [**ასსცსაფ.პ-1,აღწ.4.საქმ.N113:40**]. აღნიშნული ინფორმაცია შინსახკომის შესაბამისი სამსახურის მხრიდან იმდენად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული, რომ ერთი პირი გაეგზავნა აჭარის ცაკს, ხოლო ასლი აჭარის საოლქო კომიტეტს. ძალზედ საყურადღებო და ნიშანდობლივი დოკუმენტია სალიბაურის მეურნეობის დირექტორის მ.პაიჭაძის განცხადება, დათარიღებული 1937წ. 6/12, რომლითაც მან

მიმართა ბათუმის რაიკომს და აჭარის შინსახკომის თანამშრომელ კუგელს. საკითხი ეხებოდა მეურნეობაში მყოფი ცოლ-ქმრის, გრიგორ შევიაკოვსა და რაისა შევიაკოვას, რომლებიც განმცხადებლის აზრით ეწეოდნენ არამართლზომიერ, არაკომუნისტურ ცხოვრებას, ლოთობა, მუშა მოსამსახურეებზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის მცდელობა, რაც გამოიხატებოდა შესაბამისი ,,ლაყბობით". გ.შევიაკოვს ლენინი მოუხსენიებია როგორც ყოფილი ბელადი. [**ასსცსაფ.პ-1,აღწ.4.საქმ.N113:65-66**]. აღნიშნული ცოლ-ქმარი გამოსახლებულ იქნა მეურნეობის ბინიდან და დააბრუნეს ორენბურგის მხარეში, საიდანაც იყვნენ წარმოშობით. დღეს როცა ვაფასებთ წარსულის მოვლენებს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის კონტექსტი და რეალობა, რომელიც სსრკ დროს და განსაკუთრებით საბჭოების ხელისუფლების დამყარების პირველ ეტაპზე იყო. ამიტომ მსგავსი ფაქტები განიხილებოდა როგორც უაღრესად ანტისაბჭოთა მოვლენა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას ადგილებზე. ამიტომ ყოველგვარი გამოვლინება მსგავსი მოვლენებისა ძირშივე უნდა აღმოფხვრილიყო. ამისათვის მოქმედებდა სახელმწიფო თავისი სადამსჯელო, საპოლიციო აპარატით, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ რეპრესიული აპარატი. პარტიული კონტროლის შემადგენელი ნაწილი იყო შინსახკომის მხრიდან განხორციელებული რეპრესიული მეთოდების გამოყენება საკუთარი მოქალაქეების მიმართ.

ჩვენ ზემოთ გავაშუქეთ ქედის რაიონის მაღალჩინოსნის ა.ხალვაშის მიერ ჩადენილი ქმედებების შეფასებების პარტიული ვერსია. ნიშანდობლივია რაიკომის მდივნის შესახებ არსებული დამოკიდებულებანი. 1937 წლის 15 მარტს აჭაროლქკომის ბიურომ განიხილა ა.ხალვაშისადმი წაყენებული ბრალდებები და დაადანაშაულა იგი არამართლზომიერი ქმედებების გამო. მათი აზრით ხალვაში იმსახურებდა პარტიიდან გარიცხვას და პასუხისგებაში მიცემას ფაქტების გამოაშკარავებისთანავე, მაგრამ ოლქკომი შემოიფარგლა მხოლოდ საყვედურით და გაფრთხილებითო, რაც განპირობებული ყოფილა, აწ უკვე ხალხის მტრების ოლქკომის მდივნის ა.გეორქოვის, და ცაკის თავჯდომარის ზ.ლორთქიფანიძის დანაშაულებრივი გულგრილობის გამო. ბიუროს მასალების მიხედვით ა.ხალვაშს ბრალად ედებოდა მჭიდრო კავშირი ქედის რაიონის კულაკებთან და ბეგებთან. [**ასსცსა ფ.პ-1,აღწ.4.საქმ.N113.70-76**]. ძნელია გაერკვეს მკვლევარი იმ დროს მოქალაქისათვის წაყენებული სისხლის სამართლის

ბრალდებების მართებულობასა და ავთენტურობაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ მთავარი, უტყუარი მტკიცებულებები ან დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ორგანოების მიერ მიღებული ვერდიქტი კი არ იყო, არამედ მთავარი იყო პოლიტიკური კონიუქტურის რომელ ნაპირზე აღმოჩნდებოდა ესა თუ ის პირი მოცემულ მომენტში. ამიტომ მოსახლეობაში არსებული საშინელი უნდობლობა, დაბეზღება, სახელმწიფო ქონებისადმი უდიერი მოპყრობა, როგორც კომუნისტები უწოდებდნენ განიავება და ა.შ. საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი, არსებითი ნაწილი გახდა.

საყურადღებოა 1938 წლის 2 ივნისის საქ.კ.პ.(ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის ა.მელიას სიტყვა მე-17 საოლქო პარტიულ კონფერენციაზე მთელი რიგი აქცენტების გამო. კერძოდ რაიონის პარტიული მუშაობის მთავარ მიღწევად თვლიდნენ ხალხის მტრების გამოვლენას, მაგრამ თვითკრიტიკის სტილში, რომელიც ეგზომ ახასიათებდათ ბოლშევიკებს ასევე აცხადებდნენ იმასაც, რომ ხალხის მტრებისგან პარტიის რიგების წმენდას თურმე ბევრი კეთილსინდისიერი ადამიანიც შეეწირა. წმენდნენ რა მათ რიგებს ხალხის მტრებისგან, პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას მათ დაუშვეს უხეში შეცდომები რაც გამოიხატა მთელი რიგი კომუნისტების ხელაღებით გარიცხვაში, შესაბამისად საქ.კ.პ.(ბ) ცეკას 1938 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შემდეგ რაიკომში შეუტანიათ 34 სააპელაციო განცხადება.[**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4. საქმ.N226:11**]. ქ.ბათუმის პროკურორი სამსონია ასევე აღნიშნავდა ხალხის მტრებთან ბრძოლის აუცილებლობას, ოღონდ შესაბამისი სიფხიზლით, რათა პარტიიდან არ გაერიცხათ უდანაშაულო პირები. [**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4. საქმ.N226:74**]. 1938 წლის იანვრის პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა აჭაროლქკომის მდივანმა დ.კაპანაძემ. ,,ბოლშევიზმის დაუფლება" უაღრესად სერიოზულ და გადაუდებელ ამოცანად წარმოაჩინა. მომხსენებლის აზრით ამ მიმართულებით მუშაობა კომკავშირის მუშაობის საფუძველს წარმოადგენდა. კაპანაძემ ასევე აღნიშა, რომ მთელ რიგ ადგილებზე არადამაკმაყოფილებლად იყო მოწყობილი ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლება. დამატებით ხარვეზად ჩაითვალა არასტაბილური ურთიერთობები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. [**ასსცსა ფ.პ-1.აღწ.4. საქმ.N226:110-111**] ბოლშევიკებისთვის არ არსებობდა საკითხი რომელიც ყურადღების მიღმა შეიძლება დარჩენილიყო.

მნიშვნელოვანი იყო საქ.კ.პ.(ბ) ხულოს რაიონის პარტიული ორგანიზაციის მორიგი მე-5 კონფერენცია, რომელიც გაიმართა 1930 წლის 9 ოქტომბერს. სამდივნოს შემადგენლობაში შედიოდნენ: პეტრე მიქაძე, ელისო ღლონტი, ერქომაიშვილი. კონფერენციას ესწრებოდა 40 დელეგატი. გარკვეული წარმატებების აღნიშვნის შემდეგ, როგორც წესი, თვითკრიტიკის სტილში აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები, ზოგიერთ სოფლებში, მაგ.სოფ. ,,..ინწკირვეთი და ჩანჩხალო არის პოლიტიკურად დაზიანებული სოფლები, ვინაიდან აღნიშნულ სოფლებში ჯერ კიდევ ვერ მოვამზადეთ ნიადაგი კომუნისტური სულის შეტანისა. ჯერ კიდევ კულაკების გავლენა საგრძნობია გლეხობაზე. გ.დოლიძის აზრით ის პოლიტიკური გარდატეხა, რომელიც 1929 წელს იყო დაწყებული უნდა გაგრძელებულიყო, არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება, რაიონში ანტისაბჭოთა პროვოკაცია გაიზარდა....ჩვენმა სწორმა ხელმძღვანელობამ გამოიწვია ჩვენი მოწინააღმდეგე ელემენტების აქტივობა. პოლიტიკურად დაზიანებულ რაიონში(ჭვანას თემი) როგორც მიქაძემ აღნიშნა უნდა გაგრძელდეს საუკეთესო ძალების გადასროლა...“[**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2.საქმ.N28:1-5**]. რამდენიმე თვით ადრე ,კერძოდ 1930 წლის 11 მარტს, საქ.კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ოქმიN1 დაადგინეს ,,...ქარხანა ,,ფუხარაში,, მოკალათებული არიან მუშების სახით პოლიტიკურად მიუღებელი, თვისობრივად უვარგისი ელემენტები, ამისათვის დაისვას საკითხი ,,ფუხარას,, გამგეობაში პროფ.სამდივნოსთან შეთანხმებით მოხსნილ იქნან სამუშაოებიდან: ისკანდერ კოჩალიძე, იბრძოდა გამოსვლების დროს ხელისუფლების წინააღმდეგ, ისკენდერ ჩახალ-ოღლი იყო აჯანყებულების მომხრე. რიზალ ბოლქვაძე, მელაძე ეუბ ალი სულთანის ძე. [**ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30:6**]. 1930 წლის 20 აპრილის ხულოს რაიკომის პრეზიდიუმის მიერ მიღებული N 3 ოქმი ეხებოდა რაიონში მოქმედ მნიშვნელოვან სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმო ,,ეპო“-ს. მათი აზრით ამხანაგობის გამგეობაში მოკალათებული ყოფილა საგრძნობი ნაწილი სოციალურად მიუღებელი ანტისაბჭოთა ელემენტებისა, კულაკები და სხვა, რის გამოც გამგეობაში მუშაობის დროს ამახინჯებენ პარტიის კლასიკურ ხაზს და იჩენენ უმოქმედობას, ძლიერ სუსტად მიმდინარეობდა თემსაბჭოს, პროფკავშირის და კომუჯრედის ხელმძღვანელობა აღნიშნულ ამხანაგობაზე. ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო ცეკავშირის სუსტი ხელმძღვანელობა სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობაზე და

ამხანაგობაზე. [**ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30:9**]. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1930 წლის 21 ივნისის ხულოს რაიონის გაფართოებული პრეზიდიუმის N9 ოქმში მოცემული ინფორმაცია. რომლის ანალიზიც გვეხმარება კიდევ უფრო ნათელი სურათი დაიხატოს რაიონში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. გამომსვლელები როგორც წესი აქაც არ ღალატობენ დამკვიდრებულ პრაქტიკას ე.წ.თვითკრიტიკის სტილში და ყურადღებას ამახვილებენ იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ხელს უშლის პარტიის გენერალური ხაზის გატარებას სოფლად. მათ აღნიშნეს, პოლიტიკური მდგომარეობა 100%-ით არ ყოფილა დამაკმაყოფილებელი, სოფლად ჯერ კიდევ იყო მთელი რიგი შეცდომები...ღორჯომში დანით გამოეკიდნენ მიმაგრებულ ამხანაგს. და სხვ. მასწავლებელთა კადრები ძალიან ცუდია, იყო ლაპარაკი მასწავლებელთა უავტორიტეტობაზე. მასწავლებელთა შორის ყოფილან ისეთები, რომლებმაც აჯანყების დროს მიიღეს მონაწილეობა ხულოში იარაღით. პრეზიდიუმი შეშფოთებით შენიშნავდა იმას, რომ ხულოს რაიონი ეკონოიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მხრივ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონად ითვლებოდა აჭარის რაიონებთან შედარებით. აქ კიდევ საყურადღებოა თვით რაიონი. თავისებურება ამ მხრივაც ე.ი. ეკონომიკური, პოლიტიკური ყოფაცხოვრების მხრივ განსხვავებულია, რაიონის ერთი თემი ძლიერ განსხვავდება მეორე თემისაგან. ხულოს რაიონის მთელი რიგი თავისებურებები როგორიც არის რელიგიური ფანატიზმი, პატრიარქალური ურთიერთობები, კადრების სისუსტე, თუ გნებავთ გეოგრაფიული პირობები და წარსულში დაშვებული შეცდომები [**ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30:30**]. რაიონში ხულოს მოვლენების შემდეგ პოლიტიკური მდგომრეობა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად, ადგილი ჰქონდა ერთის მხრივ გლეხობის შეკავშირებას ერთმანეთთან სარწმუნოების, მედრესეებისა და ჩადრის ტარების დასაცავად, მეორეს მხრივ კომუნისტების ათვალწუნებას და ზოგან დევნასაც კი.[**ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30:30-31**]. მკვლელობა ჭვანაში, რიყეთში, კომუნისტების დევნა ღორჯომში, ნაღვარევში. ერთი საყურადღებო წინადადებაც მოცემულ დოკუმენტში ,,...საბჭოთა არჩევნების მენშევიკური ,,წმინდად დემოკრატიის“ პრინციპებზე ჩატარების შედეგად ჩვენ გვქონდა საბჭოები და თემაღმასკომები კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებით სავსე...კლასიკური ხაზის გატარება მთლიანად და სავსებით, შეუძლებელი იყო შექმნილი მდგომარეობის გამო.

შეუძლებელი იყო კულაკების უფრო მეტად შევიწროვება, კულაკების, ბანდიტურ, სასულიერო პირებისა და სხვა ანტისაბჭოტა ელემენტების წინააღმდეგ. ღარიბი გლეხობის უმრავლესობა იყვნენ კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ. ხელისუფლება კულაკებისა და ანტი საბჭოთა ელემენტების ხელში იყო...“[**ასსცსა ფ.3-12, აღწ.2,საქმ.N30:31**]. ნიშანდობლივი ცნობაა იმდენად რამდენადაც ზუსტად ასახავს რეგიონში შექმნილ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას. ცხადია, რომ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება მათთვის უცხო ხილი იყო, საკითხები უნდა გადაეჭრათ ხისტად და რევოლუციური ენთუზიაზმით, რომელსაც ეწირებოდა მრავალი უდანაშაულო ადამიანი. სოფლად ძალზე რთული იყო მოსახლეობისთვის იმის გაგება, რომ ყოფილიყო აქტიური, ბოლშევიკური შემართებით, ვინაიდან მოსახლეობა ერთი უკიდურესობიდან მოულოდნელად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც რადიკალურად განსხვავებულ წესებს ადგენდა, რომელიც მოიცავდა ყოფა-ცხოვრების ყველა ასპექტს. იცვლებოდა ეკონომიკური ურთიერთობის აქამდე არსებული და ყველასათვის მისაღები ფორმა. კერძო საკუთრების აკრძალვას ბუნებრივია დიდი წინააღმდეგობა ჰქონდა ადგილებზე. ამიტომაც უჭირდა საბჭოებს კოლექტიური მეურნეობებით მოსახლეობის დაინტერესება. კომუნისტებს ჯიუტად არ უნდოდათ იმის აღიარება, რომ მთავარი პრობლემა სოფლად მათი უტოპიური იდეები იყო. როგორც ჩანს გლეხების უკმაყოფილების ერთ-ერთი საკითხი იყო სოციალური საკითხი, კერძოდ გლეხობისათვის შეწერილი გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებოდა ღარიბ-ღატაკ ,,ფუხარა,, მოსახლეობას. რაც შეეხება კულაკების გარიყვის საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა კომუნისტურ სინამდვილეში პრეზიდიუმი შენიშნავდა ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობის თაობაზე. რასაც ხელს უწყობდა შემდეგი პირობები, მარტის ამბების დროს დაშვებული შეცდომები, გლეხთა ყველა ფენის გაერთიანება სარწმუნოების ნიადაგზე,...სოფლად რელიგიური ფანატიზმი, რომელიც მთავარია დღესაც.[**ასსცსა ფ.3-12, აღწ.2,საქმ.N30:31-32**]. სოფლის მეურნეობის განვითარების და მისი სოციალისტური საფუძვლით გადახალისების საქმეში რაიონი ხელმძღვანელობდა აჭაროლქომის დადგენილებებით. იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი აღნიშნეს 1930 წლის 5 იანვრის დადგენილების საფუძველზე.

1930 წლის 25 აგვისტოს შედგა ხულოს რაიკომის გაფართოებული ბიუროს სხდომა. განსახილველი საკითხები შეეხებოდა როგორც წესი მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს. ბიუროს ამ სხდომაზე აქცენტი გაკეთდა მასზედ, რომ მოსახლეობა განიცდიდა პირველად მოთხოვნილების საგნების მკვეთრ უკმარისობას. სოფ.მანიაკეთში ადგილი ჰქონდა ხელისუფლებას გაქცეული ზოგიერთი პირების მხრიდან მოსახლეობის დაშინებას, სოფ.დიდაჭარაში გაავრცელეს ხმები საბჭოების წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის შესახებ. სოფლის მაღაზიებში საქონლის უმრავლესობა აბსოლუტურად მიუღებელი იყო მოსახლეობისათვის. სოფელ ბეღლეთში მსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ხოჯის დაპატიმრების გამო.

მრავლად არსებობდა წყლისა და გზით სარგებლობასთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხები. სოფელ რიყეთში დაფიქსირდა ორცოლიანობის ფაქტები. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბიურომ ხურდა ფულის სიმცირის გამო შექმნილ უკმაყოფილებას. ხურდა ფულის შესახებ არსებული პროვოკაციის წყაროდ, რომელიც ომის საკითხებთან დააკავშირეს ანტისაბჭოთა ელემენტებმა ჩაითვალა ბახმარო და გურია. პროვოკაცია ომის დაწყების შესახებ გადმოვიდა ღორჯომის თემიდან. სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე ფასების აწევის უჩვეულო ზრდას ბახმაროს მოუმარაგებლობაში თვლიდნენ. სოფ.ნაღვარევში მცხოვრები კულაკი ბერსელაძე, რომლის ოჯახიც თავშესაფარი იყო ანტისაბჭოთა ელემენტებისთვის, არც ეს ფაქტი გამოპარვია ბიუროს. სხალთის თემში დიდი მითქმა მოთქმა არსებობდა ხურდა ფულის ნაკლებობის გამო. ფულის გაუფასურების მიზეზად ასევე ასახელებდნენ სოფლებში გავრცელებულ ხმებს ინგლისელების ორ თვეში შესაძლო შემოსვლის შესახებ. სოფ.ვანში იყო მასწავლებელი ნაჭყებია, რომელიც დაადანაშაულეს ანტისაბჭოთა პროპაგანდაში. კერძოდ, საქართველოში კოლმეურნეობის რღვევის შესახებ ავრცელებდა ხმებს. მათი აზრით საჭირო იყო ყურადღება მიექცეოდა მასწავლებელთა კადრების შერჩევას. [ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30:58-60]. ღორჯომის თემიდან პროვოკაციების მთავარ გამავრცელებლად ითვლებოდნენ მევლუდ ჭალიოღლი, თეიარ ირემაძე. ხელისუფლების მხრიდან ისინი მიჩნეულნი იყვნენ კულაკებად. უნდობლად უყურებდნენ სოფლის იმ მცხოვრებლებს, რომლებიც ქალაქს ხშირად სტუმრობდა. ,,ხიხაძირის ექიმ წივწივაძის ცოლი, როდესაც საქართველოდან მოდიოდა ავრცელებდა ხმებს საქართველოში გლეხობის

მღელვარების შესახებ კოლმეურნეობის წინააღმდეგ...“ [**ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30: 61**].

უაღრესად საყურადღებო დამოკიდებულება და ახსნა განმარტება შესთავაზა ბიუროს მომხსენებელმა ცეცხლაძემ, რომელმაც საკმაოდ ვრცელი განმარტება გააკეთა ანტისაბჭოთა განწყობილების გამომწვევ მიზეზებზე. მას შემდეგ რაც ხელისუფლებამ აჭარის მოსახლეობის მიმართ დაიწყო ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც გამოირჩეოდა უხეში ადმინისტრაციული ჩარევებით, ამის შემდგომ იწყება მოსახლეობაში ანტისაბჭოთა განწყობილებების ზრდა. მომხსენებლის აზრით ხულოს რაიონი დიდად განსხვავდებოდა აჭარის სხვა რაიონებიდან, როგორც გეოგრაფიული ისე რელიგიური კუთხითაც, რომელიც პირდაპირ ახდენდა გავლენას სოფლებში პარტორგანიზაციებში ბოლშევიკების მუშაობის ხარისხზე. მაგრამ მას შემდეგ რაც დაიწყო პარტიის ხაზის დამახინჯება ძალდატანებითი ადმინისტრაციული ზომების მიღებით, მედრესეების დაკეტვის, ჩადრის ახდის, და სხვა საქმეში, მოსახლეობის ,,ჩვენდამი” განწყობილებები ძირფესვიანად შეიცვალა, ამგვარმა დამახინჯებებმა გამოიწვია მთლიანი ბლოკის შექმნა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დარაზმივით. სწორედ ეს იყო მიზეზი 1929 წლის მარტში მომხდარი გამოსვლების.,,...ამას თუ დავუმატებთ იმ გართულებულ მდგომარეობას რომელსაც ადგილი აქვს საერთაშორისო სფეროში, მივიღებთ ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის საუკეთესო ნიადაგს...“ [ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30:61].

მომხსენებელი ბახტაძე მიმიოხილავდა რა რაიონში შექმნილ ვითარებას, არსებული სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობის ანალიზისას გამოყოფდა ოთხ ძირითად ფაქტორს, რომელმაც შექმნა რეალური მოცემულობა. მისი აზრით რაიონში ადგილი ჰქონდა რელიგიურ ფანატიზმს, პატრიარქალურ ურთიერთობებს, რთულ გეოგრაფიულ მდებარეობასა და კულტურული ყოფაცხოვრების ჩამორჩენილობას. მისი აზრით რაიონში 1930 წლიდან კვლა იწყებს გამოცოცხლებას ანტისაბჭოტა ელემენტები, კულაკობა, სასულიერო წრის წარმომადგენლები თავისი აგიტაციით, როგორიც იყო მაგალითად შექმნილი რთული საერთაშორისო მდგომარეობა და მოსალოდნელი ინტერვენცია უცხო სახელმწიფოების მხრიდან. ასევე მისი აზრით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საბჭოების ეკონომიკური პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა პროპაგანდისტული ქმედებანი, როგორიც იყო ფულის

კურსის დაცემაზე გავრცელებული ცნობები. ფულის კურსის დაცემას ანტისაბჭოთა პროპაგანდა უკავშირებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. საერთაშორისო მდგომარეობის გართულებამ, ანტისაბჭოთა პროპაგანდამ თავისი გასავალი ჰპოვა მოსახლეობის საგრძნობ ნაწილში და დაბადა ეჭვი არსებობა-არარსებობის შესახებ, რამაც გამოიწვია გლეხთა ყველა ფენების ერთმანეთთან დაახლოების ცდები. რაიონის პოლიტიკური მდგომარეობის გაცუდება დაუკავშირეს საშინაო სამეურნეო მდგომარეობის გართულებას.[ასსცსა ფ.პ-12, აღწ.2,საქმ.N30:63]. ბახტაძე იყო ხულოს რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი. 1930 წლის 11 ოქტომბრის ს.კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის პირველი პლენუმის N1 ოქმით იგი აირჩიეს ამ თანამდებობაზე. [**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ.N29:1**]. პრობლემატური იყო ასევე ქართული ენით სწავლება სკოლებში საქართველოს იმ ზოგიერთ რაიონში სადაც გამოიყენებდნენ თურქულ ენასა და არაბულ შრიფტს. შესაბამისად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1929 წლის 5 ოქტომბერს მიიღო დადგენილება N269, რომლითაც დაევალა საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, როდესაც საჭირო იქნებოდა გამოეყენებინათ გალათინირებული თურქული ალფავიტი. 1929-1930 სასწავლო წლიდან ყველა თურქულ სკოლაში შემოღებულ იქნეს სწავლება ახალი თურქული გალათინიზებული ალფავიტით. დაევალა მაშინ ჯერ კიდევ აჭარისტანის ცაკს დაემუშავებინა ვადები აჭარის შესაბამის სკოლებში აღნიშნული შრიფტით სწავლების დაწყების თაობაზე. [**კანონთა და განკარგულებათა კრებული,1929:25**].

რამდენიმე კუთხით არის ეს ცნობბები საინტერესო, აშკარაა რომ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენები არ ყოფილიყვნენ საერთო ინტერესების მატარებელნი, მათ არ აწყობდათ სოფლებში გლეხებს შორის შეკავშირება. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება იყო ბოლშევიკების ამოცანა დღიდან მათი ხელისუფლებაში მოსვლისა. უკვე მერამდენე საარქივო დოკუმენტში აღმოჩნდა ზუსტად ეს უარყოფითი დამოკიდებლება გლეხების გაერთიანების წინააღმდეგ. ასევე საინტერესოა კრიზისის გამომწვევი ეკონომიკური მდგენელის არსებობის აღიარება.

1932-1933 წლდან საბჭოთა კავშირში ერთგვარად იცვლება პოლიტიკა სოფლად კულაკობისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. შეიძლება ითქვას რომ ეს ცვლილება იყო არა იდეური, არამედ ტაქტიკური. შეიცვალა მეთოდები,

ინსტრუქციით მითითებული იყო თუ ვის და რა შემთხვევაში შეეძლო გამოეყენებინა რეპრესიული მეთოდები. რამ გამოიწვია აღნიშნული ცვლილება? ჩვენი აზრით საბჭოების მიერ სოფლად ტაქტიკის ცვლილება დაკავშირებული იყო მთელი ქვეყნის მაშტაბით დაგროვილ ანტისაბჭოთა განწყობებში, წინააღმდეგობა ბადებდა უფრო დიდ წინააღმდეგობას. თუ ამას დავუმატებთ რთულ საგარეო ფაქტორებს მივიღებთ სურათს, როდესაც საბჭოები თავისი ამოცანების გადასაჭრელად ცვლის ტაქტიკას, ისინი ბუნებრივია უარს არ ამბობენ კოლექტივიზაციასა და მოსახლეობის ფართო ფენების მასში გაწევრიანებაზე. პირიქით, მთავარი ამოცანები არ იცვლებოდა, უბრალოდ ანგარიში გაეწია ობიექტურ გარემოებებს, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც ხელისშემსლელი ფაქტორები. ხულოს რაიონის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა ეს ვითარება. შესაბამისად ამოცანა იდგა არა იმაში რომ შეენარჩუნებინათ კოლმეურნეობები მეურნეობის ფორმად, არამედ იმაში რომ ხელი შეეწყოთ გლეხობისთვის შესულიყვნენ კოლმეურნეობებში. მიუხდავად ამისა ზოგიერთი ოლქიდან ჯერ კიდევ მოდიოდა მოთხოვნები მასიური გამოსახლებებისა სოფლებიდან და რეპრესიების მწვავე ფორმების გამოყენებისა. ცკ-ში არის ცნობები იმის შესახებ, რომ მასობრივი ქაოსური დაჭერები სოფლად ჯერ კიდევ იყო პრაქტიკაში. იჭერდნენ კოლმეურნეობის თავჯდომარეები, სოფ.საბჭოსა და უჯრედების თავჯდომარეები. იჭერდა ყველა ვისაც არ ეზარებოდა, ვისაც არ ჰქონდა ამის არავითარი უფლება, რა გასაკვირია, რომ ასეთი უთავბოლო პრაქტიკის პირობებში ისეთმა ორგანოებმა როგორებიც არიან ჩკ და მილიცია დაკარგეს ზომიერების გრძნობა, ისინი ხელმძღვანელობენ პრინციპით ,,ჯერ დააპატიმრე მერე გავერკვევით“. [**ასსცსა ფ.3-12,აღწ.2,საქმ.N42:1**]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პრაქტიკა დამახასიათებელია ზოგადად დიქტატორული სახელმწიფოსთვის. იქ სადაც არ არის კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები ფეხქვეშაა გათელილი, სადაც საკუთრების უფლება ნიველირებულია ვღებულობთ რეჟიმებს, რომლებიც სახელმწიფოს მართავენ დროგამოშვებით გამოცემული მარეგულირებელი ნორმებით. დამნაშავეთა ძიება, განტევების ვაცის არსებობა სხვაგან და არა არსებული პოლიტიკის მცდარობა, ეს გარემოებები იწვევდა მსგავს მოვლენებს. ბუნებრივია საბჭოთა კავშირში არსებული რეპრესიული ღონისძიებები გრძელდებოდა და ვერც ამ ე.წ. ინსტრუქციამ უშველა საქმეს. იძულების მანქანა დაქოქილი იყო და მისი გაჩერება შეუძლებელი იყო.

სახელმწიფოს ბუნება იყო ასეთი. ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხშირ შემთხვევაში საკუთარი თავით აგებდნენ პასუხს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და უამრავი ფაქტები არსებობს კიდეც ამის დასტურად. ,,...ეს ამხანაგები როგორც ჩანს ვერ ხვდებიან, რომ მასობრივი გასახლება გლეხებისა მშობლიური სოფლებიდან არის უკვე მოძველებული და ეს მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ბუნტის ორგანიზატორების მიმართ ინდივიდუალურად. [**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ.N42:1**]. 1933 წლის 8 მაისს გამოიცა ს.კ.კ.პ.(ბ) ცკ-ს და სახკომსაბჭოს ერთობლივი დადგენილება П6028, რომლითაც უნდა შეჩერებულიყო სოფლებიდან გლეხობის მასობრივი გამოსახლების პროცესი და ეს რეპრესიული ღონისძიება გამოყენებულ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ინდივიდუალურად. ამავდროულად დაწესდა ე.წ. ერთგვარი ლიმიტი, თუ რა რაოდენობის მოსახლეობა შესაძლოა ჯამში ყოფილიყო გასახლებული, ასე მაგ. ჩრდილო კავკასიდან გასახლების ლიმიტი იყო 1000, დას.ციმბირის ოლქისთვის 1000, ბელორუსიითვის 500, ...ამიერკავკასიისთვისაც 500 ერთეული...“[**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ.N42:2**]. ამ დადგენილებით დაჭერების უფლება ჩამოერთვა არაუფლებამოსილ პირებს, ეს უფლება დაუტოვეს პროკურატურას და შინსახკომს, გამომძიებლებს დაკავების უფლება ჰქონდათ პროკურორის სანქციით. მილიციის მიერ განხორციელებული დაკავება სანქცირებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უშიშროების სპეციალური ორგანოს მიერ (ОГПУ). ყველაფერი დაუმორჩილეს კომუნისტური დიქტატურის იდეოლოგიას. რეპრესიებს კომუნისტური რეჟიმის არსებობის პირველივე დღეებიდან ჰქონდა ადგილი, მაგრამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღეს 1937-1938 წლებში. მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა სოფლადაც, სადაც საყოველთაო კოლექტივიზაციას, რომელიც ამ პერიოდში დასრულდა, ათასობით გლეხის სიცოცხლე შეიწირა. [**ანჩაბაძე,2005:26**]. რეპრესიული მეთოდებით საკუთარი მოსახლეობის მიმართ ანგარიშწორება ჩვენი აზრით, ამავდროულად გამოწვეული იყო მძიმე სოციალური ვითარებით, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოში არსებობდა და მათ შორის აჭარაშიც. ცნობილია თუ რამდენად მძიმე იყო XX ს. 30-იანი წლები საბჭოთა კავშირში, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. 1938 წლის მონაცემებით ბათუმის რაიონის საბიუჯეტო შემოსავლები შეადგენდა 1 520 300 მანეთს, ხოლო გასავლი 3 214 800 მანეთს.[**სარფი,2015:37**].

1930 წლის 26 თებერვალს შედგა ხულოს რაიკომის აპარატის სხდომა. მთავარი განსახილველი საკითხი იყო პარტიის რიგებში მოკალათებული ანტისაბჭოთა ელემენტების გამოვლენისა და წმენდის საკითხი. კომისიის წევრები იყვნენ მიშა ბერაია-თავჯდომარე, იუსუფ ბოლქვაძე, კარგარეთელი ანნა, ოსმან შანთაძე, ილიას მეგრელიძე. სხდომა გაიხსნა მ.ბერაიას სიტყვით, მათ აღნიშნეს საბჭოთა მოქალაქის ვალდებულების შესახებ აპარატში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენის საქმეში. N8 ოქმით რომელიც მიღებულ იქნა 1930 წლის 4 მარტს რაიონში არსებული კოოპერატიული ორგანიზაციის ,,ეპოს,, თანამშრომლებს თოქმაჯიშვილ სიმონს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური უკანსაკნელი გაფრთხილებით, ხურუშალი სახურაძეს უკანასკნელი გაფრთხილება, ნიკოლოზ გურიელს კი სასტიკი საყვედური, სულეიმან თავართქილაძე-სასტიკი საყვედური სამსახურებრივი გულგრილობისათვის. ახმედ წულუკიძეს საყვედური პირველი კატეგორიით, როგორც კულაკობის გავლენის ქვეშ მოქცეული და ,,კლასიური“ ხაზის დამმახინჯებელი. პროკოფი ჯანტურიას კი საყვედური მეორე კატეგორიით, თავისი წარსულის დამალვისთვის,როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი. [**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ.N33:20-21**].

მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა წმენდა. მიუხედავად 1933 არაერთხელ ჩატარებული სააღრიცხვო ბარათების შემოწმება-შედარებისა მაინც არადამაკმაყოფილებლად შეფასდა საერთო მდგომარეობა. ჯერ კიდევ უჯრედებში სააღრიცხვო ბარათების რაოდენობა არ ემთხვეოდა კომუნისტების ფაქტიურ შემადგენლობას, ხოლო რაიკომში არსებული სააღრიცხვო ბარათები არ ეფარდებოდა უჯრედებში არსებულ სააღრიცხვო ბარათებს. გამომდინარე იქედან, რომ უახლოეს დროში იწყებოდა აჭარის პარტორგანიზაციის წმენდა, ამისათვის საორგანიზაციო საინსტრუქტურო განყოფილებამ საჭიროდ ცნო მასობრივი შემოწმება. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2,საქმ.N49:5**]. დაახ. იმავე პერიოდში საქართველოს რაიკომებმა და მათ შორის ხულოს რაიკომმაც მიიღო საიდუმლო ფოსტა-დეპეშა, ინსტრუქცია, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს ცკ-ს მეორე მდივანი პეტრე აღნიაშვილი, (შემდეგ თავადაც რეპრესირებული) ამ ინსტრუქციის მიხედვით პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებდა რეგიონალურ პარტიულ ორგანიზაციებს, რათა არ დაეშვათ ამხანაგობების ძალდატანებით მიწის სამუშაოებზე გაყვანა, რაც იყო არტელების რღვევის

საფუძველი, ასევე არ უნდა მომხდარიო კოლმეურნეობების ძალდატანებით გამსხვილება თავად კოლმეურნეთა სურვილის წინააღმდეგ. ცეკა და პოლიტსექტორი აფრთხილებდა მათ, დაღღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიღებულ იქნებოდა დასჯის მკაცრი ზომები. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2,საქმ.N49:6**]. საქ.კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის პლენუმი რომელიც გაიმართა 1935 წლის 14/09. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნავდა პარტიული დოკუმენტების შემოწმების აუცილებლობას, მიმდინარე წლის საქართველოს ცკ-ს მიერ 13 მაისს მიღებული დახურული ინსტრუქციის შესაბამისად. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2. საქმN51:4-5].** 1936 წლის 7იანვრის საქ.კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის მე-9 პლენუმი მთლიანად იწონებდა აჭაროლქკომის დადგენილებას რაიკომის მდივნის მოადგილის ალ.გოლიაძის სამუშაოდან გაწვევის შესახებ საყვედურის გამოცხადებით, უპრინციპო ობივალენტური კინკლაობისთვის ხულოს რაიონში.[**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2,საქმ.N16:1**]. პარტიულ-რევოლუციური სიფხიზლის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული ერთი რიგითი მოხსენება ხულუს მიქელაძის მიერ, ხულოს რაიკომის მდივნის ბუჯიაშვილის სახელზე, რომელიც ამცნობდა მას სხალთის საბჭოში შემავალ სოფელ ზამლეთში მომხდარ ამბავს, საქმე ეხებოდა ხ. მ.-ს და შ. მ.-ს ბინაში წარმოებულ ქეიფებსა და ,,ღრეობის" ფაქტებს.. აღნიშნული ფაქტის შესწავლისთვის განმცხადებელი ითხოვდა კომისიის გამოყოფას..."[**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2, საქმ.N 54:1**]. საკმაოდ საინტერესო მასალებს ვპოულობთ საქ.კ.პ.(ბ) ხულოს პარტორგანიზაციის მე-6 მოწვევის პლენუმის სხდომის ოქმებში. როგორც წესი პლენუმმა მთლიანად გაიზიარა და დაეთანხმა საკავშირო და რესპუბლიკურ პარტიულ პლენუმებზე მიღებული დადგენილებები და გადაწყვეტილებები. ამავდროულად პლენუმმა თავის დადგენილებაში შეიტანა რაიონისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ელემენტები, მეცხოველეობისა და მეთამბაქოების სამომავლო განვითარების გეგმების დადგენით. ამავდროულად პლენუმი აფრთხილებდა პარტორგანიზაციას, რომ ზემოაღნიშნული ამოცანების შესრულება შესაძლებელი იქნებოდა კულაკურ წინააღმდეგობასთან დაუზოგავი ბრძოლის წარმოებით. პარტორგანიზაციის მიერ სავსებით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 1932 წლის თამბაქოს დამზადების პერიოდში არსებული კულაკური საბოტაჟის გამოცდილება. მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღება და ,,კლასიური,, სიფხიზლე უნდა გამახვილებულიყო რათა შეუმჩნეველი და

გამოუმჟღავნებელი არ დარჩენოდათ კულაკური ,,შემოტევა. [**ასსცსა ფ.3-12.აღწ.2.საქმ.N43:5-6].** პლენუმზე ასევე დაადგინეს, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობაში უნდა ყოფილიყო პოლიტგანყოფილებები, საიდანაც აგიტატორები განახორციელებდნენ საქმიანობას და საბჭოთა პროპაგანდას, რითიც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მასების სოციალური აღზრდა.

ხულოს რაიონში პრობლემური იყო ქალთა მდგომარეობა და როლი. კომუნისტებისთვის ეს საკითხი ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ჩვენ როცა ვსაუბრობდით ხულოს რაიონის სფეციფიკაზე, ერთ-ერთ ფაქტორად სწორედ ქალთა საკითხიც მოიაზრებოდა. ერთგან აღინიშნა რაიონში ძლიერი პატრიარქალური ურთიერთობების არსებობა, რომელიც მთავარი ხელისშემშლელი იყო საბჭოთა იდეოლოგიის განხორციელებისათვის. არაერთი საარქივო მასალით დასტურდება ხულოში ქალთა განათლების საკითხში მთავარ ხელისშემშლელ გარემოებად პატრიარქალური ურთიერთობის არსებობა, რომელიც ასევე განმტკიცებული იყო მუსლიმანური სარწმუნოების სჯულის გამავრცელებლების სპეციფიკური დამოკიდებულებითაც აღნიშნული საკითხისადმი. 1933 წლისათვის ხულოს რაიონში ქალებისთვის არსებობდა 13-ი ჭრა კერვის შემსწავლელი სკოლა, ,,...ნაღვარევის ჭრა-კერვის სკოლაში კი მეცადინეობა წარმოებს ზაფხულის პერიოდშიც, ვინაიდან იქ არიან ჩადრ ახდილი ქალები...“ [**ასსცსა ფ.3-12,აღწ.2.საქმ.N46:4**].

ძალზედ საყურადღებო და ნიშანდობლივია ხულოს რაიკომის ქალთა სექტორის გამგის **ქსენია სულაქველიძის** განცხადება ხულოს რაიკომის მდივნის ახობაძისადმი. განცხადებაში აღნიშნულია რაიონში ქალთა შორის მუშაობის ობიექტური სირთულეების თაობაზე. განმცხადებელი ამახვილებს რა ყურადღებას ამ საკითხზე, გამოთქვამს გულისტკივილს რაიკომის მდივნის მხრიდან გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულების მიმართ, რომელიც გამოიხატებოდა ქალთა სექტორისათვის სამუშაო, დამოუკიდებელი კუთხის არ გამოყოფაში. ეს განმცხადებლის აზრით სერიოზული პრობლემა იყო, ვინაიდან რაიონში ქალები ძალზედ ერიდებოდნენ მამაკაცებს, ამიტომ ისინი ვერ ბედავდნენ მმათთან საერთო ოთახებში შესვლას მიღებაზე. განმცხადებელი აღნიშნავს ასევე, რომ სწორედ ამის გამო მას უხდებოდა ქალებთან ფარული შეხვედრების გამართვა ქუჩებში და ა.შ. საბოლოოდ, ვინაიდან მას რაიკომის მხრიდან სამომავლო დახმარების იმედი გადაეწურა, იგი ითხოვდა

თანამდებობიდან განთავისუფლებას. [**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2.საქმ.N46:6-7**]. როგორც ჩანს რაიკომის მდივანს არ დაუკმაყოფილებია სულაქველიძის განცხადება, რადგან 1934 წლის 3 მარტის ოქმით იგი მოხსენიებულია, როგორც რაიონის აქტივისტ ქალთა თათბირის თავჯდომარე. [**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ.N50:4**].

ჩვენს მიერ მიკვლეულია ერთი მეტად კურიოზული შინაარსის წერილი უჩამბის თემის სოფ. სიმონეთის მცხოვრებ ს. ნ. მიერ დაწერილი, რომლითაც იგი მიმართავს რაიკომს და მოითხოვს მათგან დახმარებას ცოლის მოყვანის საქმეში. ვინაიდან სოფლის საბჭო და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მას არ აძლევს უფლებას ცოლად მოიყვანოს ა.ს. მიზეზი არის ბანალური, რომელიც პატრიარქალური საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. მისი საცოლე მანამდე ყოფილა ქორწინებაში სხვა მამაკაცთან, მამაკაცს იგი დაუტოვებია, აქედან გამომდინარე განმცხადებლის აზრით მათ სრული უფლება ჰქონდათ შეუღლების, რაშიც სოფელი ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც იგი ითხოვდა დახმარებას. [**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2.საქმ.N46:9**].

მიუხედავად სხვადასხვა სახის რეგულაციებისა და ინსტრუქციებისა, სოფლებში საბჭოთა ხელისუფლებას ძალზედ უჭირდა. მიზეზებზე ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება. ერთგან ეს იყო არათანაბარი სოციალურ ეკონომიკური განვითარება. ამ საკითხს თავად ბოლშევიკები აქცევდნენ ყურადღებას და ჩვენ მოვიყვანეთ კიდეც მაგალითი საკუთრივ დაბა ხულოს არათანაბარი განვითარების თაობაზე. მთავარ გამოწვევად რჩებოდა ბრძოლა ,,კულაკობის,, როგორც მოვლენის წინააღმდეგ, კულაკები ეს იყო კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ურთიერთობის მომხრე გამრჯე ადამიანები. კერძო სამართლებრივი ურთიერთობები კი საბჭოთა იდეოლოგიისათვის არსებითად მიუღებელი იყო. ის იყო მისი როგორც თავად კომუნისტები ეძახდნენ ,,კლასიური,, მტერი. ,,... კოლმეურნეობის წინააღმდეგ გალაშქრებულმა კლასიურმა მტერმა ...შეცვალა ტაქტიკა, დაიწყო კოლმეურნეობაში შეღწევა და შიგნიდან ზიანის მიყენება...კულაკი ეწოდა მავნებლობას მოსავლის მოვლა-აღების პერიოდში...კულაკების მიერ ჩადენილ იქნა არაერთი ტერორისტული აქტები, სოფ.აგარაში დაწვეს ახლად აგებული განსაზოგადოებული ბოსელი, სოფ.დიდაჭარის კოლმეურნეობის თავჯდომარეს დაუწვეს თივის მთელი მოსავალი...“ [**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2.საქ.N47:8-11**]. იმისათვის, რომ კულაკობასთან ბრძოლა წარმატებული

ყოფილიყო ბოლშევიკები ცდილობდნენ გლეხობის დაპირისპირებას ერთმანეთთან. კომუნისტები ცდილობდნენ არ დაეშვათ გლეხობის გაერთიანება. იქმნებოდა ე.წ. ღარიბთა ქოხ სამკითხველოები, ასევე ,,ღარიბ გლეხთა კონფერენციები". ასე მაგალითად 1930 წლის 18 მაისს გაიხსნა ხულოს რაიონის ღარიბ გლეხთა მეორე კონფერენცია, რომელზეც სიტყვით გამოსულმა რაიკომის მდივანმა ბახტაძემ ყურადღება გაამახვილა ,,კლასიურ" მტერთან ბრძოლის აუცილებლობაზე და ამ საქმეში მათი მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. ,,...ჩვენ დაუღალავი შრომით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ღარიბი გლეხობა გახდეს სამეურნეო და პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი...ვაწარმოოთ ფხიზელი ბრძოლა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ..."[**ასსცსა ფ.პ-12,აღწ.2,საქმ.N31:25**]. მომდევნო პერიოდში კვლავ ახალი ძალით დაიწყეს მავნებლებისა და კონტრრევოლუციონერ ტროცკისტების, ყოველგვარი მემარჯვენე და ე.წ. მემარცხენე შემრიგებლური ორიენტაციის მქონე ელემენტების აღმოჩენა, შესაბამისად ვერდიქტი იყო მკაცრი, პარტიიდან გარიცხვა. ხოლო გარიცხულთა სიიდან საკმაოდ დიდი ნაწილი, როგორც შერისხულები რეპრესიების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ბათალ თავართქილაძე სოფ.ძირკვაძეების მცხოვრები, გარიცხეს პარტიიდან 1929 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, (კომუნისტები ამ მოვლენას უწოდებდნენ მარტის ავანტიურას). ბოლქვაძე ისა ისკენდერის ძე, სოფ.თხილვანის მცხოვრები, გარიცხეს პარტიიდან 1929 წლის ,,ავანტიურაში" მონაწილეობისთვის. ნური რეჯების ძე ბერიძე სოფ. ფურტიოს მკვიდრი, გარიცხეს პარტიიდან როგორც ყოფილი ჟანდარმი თურქეთში. [**ასსცსა ფ. პ-12. აღწ.2.საქმ.N67:1-3**]. ამ საქმეშიც საკმაოდ მრავალი პირის სიაა მოცემული რომელიც ამათუ იმ ბრალდებით იქნა გარიცხული პარტიის რიგებიდან, ჩამონათვალი ეხება 1936 წლის მთლიან პერიოდს. ხულოს რაიკომში უამრავი ცნობა შედიოდა რომელიც ეხებოდა თვალთვალსა და ფარულ მიყურადებებს ანტისაბჭოთა ელემენტების მიმართ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა რელიგიური კულტის მსახურებს, როგორც თავად კომუნისტები უწოდებდნენ მათ. 56 ხოჯის სიაა მოცემული ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N64, საქმეში, რომელშიც გარდა ჩამონათვალისა მოცემულია მათი შემოსავლები და დაწესებული გადასახადის ოდენობები. დადასტურებულად თვლიდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ აგარის სასოფლო საბჭოს მცხოვრები ხოჯა ა. მ. ლოცვისათვის თურმე ღებულობდა ქირას, მლოცველზე 2 მანეთს. ხოლო

რამაზანის პერიოდში თითო მლოცველოდან მიიღო თითო ფუთი სიმინდი. აგრეთვე სახლის ასაგები მასალა მას გლეხებმა უფასოდ დაუმზადეს და მიუტანეს. ზ. მ. რამაზანის დროს მამასთან ერთად იყო ქედის რაიონის სოფ.ზვარეში, დადასტურებულად თვლიდნენ რომ, ზ. მ.-მ ლოცვისთვის ქირაში აიღო და სახლში ამოიტანა ფული 150 მანეთი და 2 ფუთი ხორბალი, აგრეთვე ბრალად ედებოდა ე.წ. ნუსხების წერა, რაშიც განსაზღვრულ გასამრჯელოს ღებულობდა. იგი ამის გამო გაირიცხა კოლმეურნეობიდან. ...დადასტურებულია, რომ ზექერია მარკოიძეზე, ყადირ ბოლქვაძეზე და ეუბ ბოლქვაძეზე დადებული ჯარიმა თითოზე 30 მანეთი ბავშვების გაცდენისათვის 1935 წლის გაზაფხულზე არ არის აკრეფილი. სასოფლო საბჭოს თავჯდომარეს ბრალად უყენებდნენ იმას, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა სოფლის ბავშვების სკოლაში სიარულს. სკოლაში ბავშვების შენარჩუნებისათვის საქმეში ჩართული იყო საქ.კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომი, რომლებიც კონტროლს ახორციელებდნენ ინსტრუქტორებისა და შინსახკომის წარმომადგენლებთან ერთად. [**ასსცსაფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N63:6-12**].

სკოლაში სწრებადობასთან დაკავშირებით უაღრესად საყურადღებოა შინსახკომის მაღალჩინოსნის საიდუმლო მოხსენება წარდგენილი რაიკომისადმი, უფრ.ლეიტენატი მატუა ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: ,,...ხულოს რაიონში არის 150 საერო სკოლა, საიდანაც 115 დაწყებითია, 7 არასრული საშუალო, 1-ი პედ.ტექნიკუმი და 27 პროფ.სკოლა ჭრა კერვის. მთლიანობაში სწავლობს 5077 მოსწავლე, გოგონა 1702, პედკოლექტივი 266 კაცი, აქედან 90 ქალი, უმაღლესი განათლებით 6-ი. საშ.განათლებით 134, საშ.პედაგოგიური განათლებით კი 62, დაბალი განათლებით კი 64, პარტიის წევრია 2 კაცი, კომკავშირელია 133, უპარტიო კი 131,...“ [**ასსცსაფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N63:18**]. ოპერმუშაკი საეჭვოდ მიიჩნევს ოფიციალურ ციფრებს, და ამბობს, რომ ყოველდღიურად სკოლებს აცდენს 150 -დან 200 მოსწავლემდე, სწრებადობა 60-70% შეადგენდა. მისი აზრით ასეთი მკვეთრი კლება მოსწავლეებისა გამოწვეული იყო რელიგიური კულტის მსახურების დიდი გავლენით გლეხობაზე და სათანადო ორგანოების მხრიდან არასათანადო ყურადღების გამო. რამაზანის დადგომასთან ერთად რაიონის სასულიერო წოდების გააქტიურება იყო თვალსაჩინო ,,...ის ხოჯები და მოლები რომლებიც გასულ წლებში არ ეწეოდნენ მსგავს მოქმედებას, ამ წელს გააქტიურეს მოქმედებები...ამდენად მთელ რაიონში აღმოჩენილია 85

ხოჯა...ჩამოყალიბდა 2 მედრესე, სადაც ბავშვებს ამეცადინებდნენ არალეგალურად. სოფელ ინწკირვეთში ასწავლის ხოჯა ზაბით ბერიძე...“ [**ასსცსაფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N63:122**].

აჭარის შინსახკომის უფროსის ჯინჯოლიასადმი და ხულოს რაიკომის მდივნის დვალის მიმართ გაკეთებულ მიმართვაში მატუას მოჰყავს (1936 წ.ოქტომბერი,N1614) სოფ.კორტოხის კოლმეურნეობის თავჯდომარის მ.პ.-ს არაეთიკური საქციელის თაობაზე ფაქტი, რომელიც თავად მისივე სიცოცხლითვის იყო საფრთხის შემცვლელი რეგიონში არსებული სისხლის აღების წესის არსებობის გამო. ამიტომ იგი მიმართვას ადრესატებს და ითხოვს მიეღოთ ზომები ამ ფაქტის აღმოსაფხვრელად და თავჯდომარის შესაცლელად. უკუკავშირმაც არ დააყოვნა, საქმეში დევს რაიკომის მდივნის დვალის საიდუმლო კორესპოდენცია, რომლითაც იგი გამრეკელიძეს ავალებს, როგორც უფლებამოსილ პირს, გამოერკვია აღნიშნულის სისწორე და დადასტურების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოეხსნათ კოლმეურნეობის თავჯდომარე თანამდებობიდან. [**ასსცსაფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N63:102**]. მატუას მორიგი ვრცელი ანგარიში ეხება ხულოს ცენტრალური მეჩეთის მომსახურე პერსონალს, თავის 23 გვერდიან მოხსენებაში. მეჩეთში მსახურობდა ხოჯა ი. გ. ყარათანოღლი, მცხოვრები სოფ.ღურტაში, უმაღლესი სასულიერო განათლებით. ცნობა საინტერესოა იმითაც რომ ოპერმუშაკი გვაწვდის ცნობას მოსახლეობის საერთო რაოდენობის შესახებ. [**ასსცსაფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N63:131**].

მძიმე პოლიტიკური ვითარების დამადასტურებელია ხულოს შინსახკომის აჭარის განყოფილების უფროსის მოადგილის ვართუმოვის მიერ 1937 წლის 5 ივნისის N767 ე.წ. სპეც.ანგარიში, რომელშიც იგი ხაზს უსვამს შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებასა და ანტისაბჭოთა ელემენტების გააქტიურებას, კერძოდ აგარის სასოფლო საბჭოს თავჯდომარე ალკკ წევრი მარკოიძეს ბრალად ედებოდა ხულოს მარტის მოვლენებში მონაწილეობა, ამიტომ იგი მოიხსნა სამსახურიდან ასევე სხვა მავნებლური საქმიანობის გამო, კერძოდ მას ედავებოდნენ ფერმის დოკუმენტაციის სპეციალურად არევას, შრომა დღეების გრაფიკის აღრევასა და 16-ი ერთეული მსხვილფეხა საქონლის მოკვდინებას. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N86:16-17**]. იმ პერიოდისათვის ეს იყო სერიოზული დანაშაული, მაშინ როდესაც ჩვენ ვიცით, რომ დარღვევად ითვლებოდა მაგ. ჩაის ბუჩქის დაბარვა ნაცვლად 40 სმ-სა 30 სმ-ის

სიღრმეზე. ამიტომ საქონლის მოკვდინება ბუნებრივია ბოლშევიკური, მაშინდელი ბრალდებისათვის საკმარისზე მეტი იყო. რეგიონში ისევე როგორც მთელ საქართველოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაზე უამრავი ფაქტი მეტყველებდა. ნიშანდობლივია სოფ. შუბნის მცხოვრები ს.ბ.-ის მიმართვა საქართველოს ცკ მდივნის ბერიასადმი დაწერილი 1938 წლის 17/08, რომლითაც განმცხადებელი ჩამოთვლის საკუთარ დამსახურებას სახელმწიფოს წინაშე. განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება იგი ამ საკითხებზე, კერძოდ მან როგოც სანაპირო ზოლის მცხოვრებმა დაიჭირა ერთივინმე მენშევიკი, როგორც ყაჩაღი, რომელიც ჩააბარა ხელისუფლების შესაბამის ორგანოს, კერძოდ დათიკო ოდიშარიას. ამის შემდეგ იგი ჩამოთვლის საკუთარ დამსახურებებს სახელმწიფოს წინაშე. როგორც აღნიშნავს მას საკუთარი ინიციატივით, კოლმეურნეობის გაძლიერებისთვის გამოუყვანია არხი 3 კმ-ს მანძილიდან და დაუმუშავებია რთულად მისადგომი 3 ჰ.მიწა, იქვე დასძენდა, რომ 1937 წელს მან შეძლო და კვლავ აღმოაჩინა მავნებლები, რომელებიც დააჭერინა მესაზღვრეებს. ის როგორც კომუნისტი და მესაზღვრეების დამხმარე, მავნებლების მომხრეებისაგან თითქოს განიცდიდა ჩაგვრას. ამიტომაც იგი ხელისუფლების წარმომადგენელს თხოვდა დახმარებასა და ყურადღების მიქცევას. (17.08.1937 წელი) [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N85:23-24**].

მსგავსი შინაარსის წერილი ინახება ამავე საქმეში, სხალთის საბჭოს სოფ.ნიგაზეულში მცხოვრები მოქალაქის გ.კ-ს მიმართვაში ბერიასადმი. სტილი დაცულია- ,, პატივცემულო, ჩვენო ძვირფასო მამავ, ...მე მინდა კონკრეტულად მოგახსენოთ შემდეგი, აჭარაში კონტრრევოლუციონერ ჯაშუშების აღმოჩენამდის 3-4 თვით ადრე მე გაცნობეთ თქვენ რომ აჭარაში განსაკუთრებით ხულოს რაიონში შემავალ კოლმეურნეობებში დიდი გარღვევები არის. მაშინდელი ხელმძღვანელები....მავნებლობდნენ აჭარაში ...ამავე დროს მათ უნდოდათ აჯანყება მოეხდინათ ...აი ასეთი ცნობა მე შენთვის თუკი არ მომიცია გთხოვ მიაკითხო- (ახსენებს მისამართს რომელის ამოკითხვაც შეუძლებელი აღმოჩნდა, მისამართი წერია გაურკვევლად) ...ამით მინდა მოგახსენოთ, რომ აი ასე ვმუშაობდი კონტრევოლუციონერების წინააღმდეგ და დღეს ჩემზე აჭარის მთავრობის მიერ არავითარი დახმარება ვერ მივიღე, იმ დროს როცა ვანო დვალმა კარგად იცის ჩემი მუშაობა ამ მხრივ (დვალი რაიკომის მდივანი იყო)...ამას კიდევ დაამტკიცებს ვანო

დვალი და ნაწილობრივ კოჭლამაზაშვილიც გაცნობილია ჩემ მუშაობას. და მე გული მტკივა...ბოლშევიკურად ვიბრძვი 1924 წლიდან, ჩემი დაფასება არავინ არ მოახდინა და დღეს მე კიდევ სამსახურის ადგილი არ მაქვს, გთხოვთ მიიღოთ ჩემი განცხადება...“ 1937წ.17/12. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N85:19**]. იმავ საქმეში არის აღნიშნულ განცხადებაზე უკუკავშირი. საქართველს ცკ-მ მოახდინა რა რეაგირება, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადასცა აჭაროლქკომს, რომელმაც შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ მიმართა ხულოს რაიკომს საკითხის გამორკვევის მიზნით და დაავალა შედეგები ეცნობებინათ მათთვის. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N85: 16**].

დიდი ტერორის მსვლელობის პერიოდში აჭარის ყველა რაიონში იმართებოდა მიტინგები, კრებები, მიზანი მდგომარეობდა შემდეგში, ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობის ფართო მასები დაერწმუნებია რეპრესიების აუცილებლობაში. ქვეყანა მოიცვა მასობრივმა ფსიქოზმა. საინტერესოა ამ მხრივ ის ტერმინები, რომლითაც მოიხსენიებენ რეპრესირებულებს, მოიხსენიებდნენ ,,ცოფიან ძაღლებად,, ,,ხალხის საზიზღარ მტრებად“. აღნიშნულ კრებებზე მოითხოვდნენ მათ დასჯას სიკვდილით. სიკვდილით დასჯა მოიხსენიებოდა როგორც **,,სოციალური დაცვის უმაღლეს ზომად“**. მაგ.1937 წ.25 სექტემბერს გაიმართა ხულოს რაიონის თამბაქოს კურსის მსმენელთა საერთო კრება, მოისმინეს აჭარის შინსახკომის მიერ გამოვლენილი და ლიკვიდირებული ხალხის მტრების საბრალდებო დასკვნა. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N75:1-4**]. საინტერესოა ისიც, რომ მოსახლეობას განსხვავებული აზრიც რომ ჰქონოდა რეპრესიების წინააღმდეგ ისინი ამას ხმამაღლა ვერ დააფიქსირებდნენ ფიზიკური ლიკვიდაციის შიშით. ასე მაგალითად, რაიკომის მდივან ჯიმშელეიშვილს მოახსენეს ფაქტი როცა ერთ ერთ კრებაზე სადაც განიხილებოდა რეპრესირებულების საბრალდებო დასკვნა, კრების დამსწრე ისმაილ ხუსეინის ძე ბერიძეს გამოუხატავს თანაგრძნობა რეპრესირებულების მისამართით. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N75:99**]. მომდევნო წლებშიც მიმდინარეობდა რაიკომის აქტიური ინფორმირება არასასურველი ელემენტების შესახებ. 1939 წლის 16 მარტს საკმაოდ ვრცელი მოხსენება გადაეცა ხულოს რაიკომის მდივანს ვ.ჯიმშელეიშვილს შინსახკომის სამსახურიდან, რომელიც ეხებოდა პარტიასა თუ კოლმეურნეობაში ,,მოკალათებულ,, მავნებლებსა და სხვა არასასურველ ელემენტებს. ამ მოხსენებით მავნებლებად ჩაითვალა: ვლადიმერ

ნიკოლოზის ძე კალანდარიშვილი, მცხ.სოფ ფურტიოში, საარჩევნო კომისიის მდივანი, ყოფ.მენშევიკი. ალი ახმედის ძე დავითაძე- შუახევის საარჩევნო კომისიის მდივანი, იმჟამად დაპატიმრებული იყო კონტრრევოლუციური ქმედებისათვის, ასლან შაბანის ძე ბოლქვაძე, რომელიც ერთი პერიოდი გარიცხული იყო პარტიიდან, მოგვიანებით აღადგინეს მასზე არასაკმარისი ცნობების გამო, ისკენდერ ისმაილის ძე მიქელაძე, სოფ.ქიძინიძეების მცხოვრები, მას ბრალად ედებოდა 1929 წლისხულოს მარტის აჯანყების აქტიური მონაწილეობა. ინუს დურსუნის ძე აბაშიძე, ისიც 1929 წლის მარტის აჯანყების მონაწილე, ქარცივაძე მევლუდ სეფერის ძე, სოფ.ოლადაურის საარჩევნო კომისიის თავჯდმარე, მას მოიხსენიებდნენ როგორც ყოფილ კონტრაბანდისტს, რომელსაც ცოლი ყოლია თურქი. დაუდ დურსუნის ძე ხიმშიაშვილი-შუბნის სას.საბჭოს საარჩევნო კომისიის თავჯდომარე, 1929 წლის აჯანყების მონაწილე. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N96:84-85**]. აღნიშნული მასალები ბუნებრივია რეაგირების გარეშე არ დარჩენილა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ორგანოები ანგარიშს აბარებდნენ რაიონის პარტიულ ხელმძღვანელობას. ე.ი. პარტია იყო რეალურად სახელმწიფოში პოლიტიკის შემმუშავებელი და დირექტივების გამცემი. ყველა სახელმწიფო უწყება ანგარიშვალდებული იყო მის მიმართ. რაიკომსა და უფლებამოსილ პირებს ასევე მისდიოდათ ოპერატიული ცნობები ზოგადად რაიონის მოსახლეობაში არსებული განწყობების თაობაზე. კერძოდ ყურადღებას აქცევდნენ და აგროვებდნენ სოფლის მცხოვრებლების საუბრების შინაარს, მათ ყურადღებას არ გამოეპარებოდა საუბრები შექმნილ საერთაშორისო ვითარებაზე და საბჭოთა კავშირის სამომავლო პერსპექტივებზე. მოსახლეობაში ხშირად საუბრობდნენ შექმნილ პერსპექტივაზე თუ რამდენად ჩაერთვებოდა ევროპის ქვეყნები სსრკ-ს წინააღმდეგ შესაძლო ვითარების დაძაბვის შემთხვევაში. სოფლებში ხშირ შემთხვევაში დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ახალგაზრდების წითელ არმიაში გაწვევას, ამიტომ შინსახკომის მუშაკები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს იმ მოქალაქეებს, რომლებიც ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდნენ. მაღალმთიან სოფლებში საკმაო წინააღმდეგობას უწევდნენ კოლექტივიზაციას და მასში გლეხების გაწევრიანებას. ამიტომ ანტიკოლექტიური აგიტაციის პროპაგანდისტებს გამადიდებელი შუშით უყურებდნენ. ისინი სახელმწიფოს მტრებად აღიქმებოდნენ.

ანტისაბჭოთა აგიტაცია საკმაოდ ღია სახეს ღებულობდა და პირდაპირ ადანაშაულებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ტყუილში, აკრიტიკებდნენ საბჭოთა სახელმწიფოში განხორციელებულ აგრალურ პოლიტიკას. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N96:83**]. 1938 წელს18/09 N478 დათარიღებული მორიგი სპეც.ცნობით შინსახკომის ოფიცერი კაპიტანი კოჭლამაზიშვილი პარტიას აწვდის ცნობებს მოლოტოვ რიბენტროპის პაქტის თაობაზე, თუ რას ფიქრობდა ხალხი მასზე, სტილი დაცულია- ,,..წერა-კითხვის უცოდინარებმაც კი გაზეთების გამოწერა დაიწყეს და აკითხებენ იმათ ვინც იცის კითხვა. მაგ. ტბეთის მკვიდრმა შახო დავითაძემ რომლის შვილიც წითელ არმიაში მსახურობს აიღო გაზეთი, წააკითხა მეზობელს ეს ხელშეკრულება სადაც ეწერა ის ადგილი და ბოლოს შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: კაი იქნება თუ ნამდვილად შესრულდება პირობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ გერმანია ატყუებს სსრკ-ს...“ [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N96 77**].

1937 წლის 26 აგვისტოს შედგა ხულოს რაიონული პარტიული კრება, პრეზიდიუმის შემდეგი შემადგენლობით: ვ.ჯიმშელეიშვილი, ჩაკაბერია, ი.დვალი, მატუა, სანაკოევი, მ. ბოლქვაძე. ძირითადი განსახილველი საკითხი იყო კონტრრევოლუციონერ ტროცკისტების გამოვლენა, რევოლუციური სიფხიზლის მდგომარეობა პარტიაში და საზოგადოებაში. კრებაზე გადაწყდა ,,...ხალხის მოსისხლე მტრები ს.ბეჟანიძე, ს.გვარიშვილი და ნ.გამრეკელიძე გაირიცხოს საქ.კ.პ.(ბ) წევრობის რიგებიდან და ხულოს რაიკომის შემადგენლობიდან...“ [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N68:7**]. პარტიულ კრებაზე განიხილებოდა საკითხები რაიონის საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებაც. კრიტიკის ქარცეცხლში იქნა გატარებული მთელი რიგი კოოპერატივების მუშაობა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას და ფერხდებოდა რაიონის მომარაგება შესაბამისი მომსახურებით. შესაბამისად იქმნებოდა საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებზე დეფიციტი. ასევე განსაკუთრებულ ყურადრებას უთმობდნენ რაიონში არსებულ გაფლანგვის საკითხებს. 1935 წელსთვის მარტო ხულოსა და შუახევის სასოფლო კოოპერატივებში გაფლანგვა-დანაკლისები შეადგენდა 128 000 მანეთს, 1936 წელი კი დამთავრებულა გაფლანგვების გარეშე. [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N68:24-25**]. თვითკრიტიკის სტილში აღნიშნავდნენ კრებაზე გამომსვლელები რაიონში არსებულ კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვიანობის საქმეში არსებულ მნიშვნელოვან

დარღვევებს. აქვე სიცხადეს შევიტანთ თუ რას ნიშნავს შრომის აღრიცხვიანობა და რატომ ექცეოდა კრებებზე ამ საკითხს ესოდენ დიდი ყურადღება. მოგახსენებთ, რომ კოლმეურნეობაში მომუშავე თითოეულ წევრს ეძლეოდა გარკვეული ანაზღაურება მის მიერ ნამუშევარ თითეულ შრომა დღეზე. ამიტომ თუკი არ იქნებოდა მკაცრად დარეგულირებული აღნიშნული საკითხი, შესაძლოა მომხდარიყო ხარჯების გაბერვა. მსგავსი მოვლენები გავრცელებული პრაქტიკა იყო საქართველოს კოლმეურნეობებში. ბუნებრივია ამ საკითხს ვერ დატოვებდნენ ყურადღების მიღმა. თვითკრიტიკის სტილში აღნიშნეს ის გარემოება რომ რაიონის პარტიული ხელმძღვანელობა არ იცნობდა კოლმეურნეობებში მომუშავე კადრებს. რითიც ირღვეოდა ლ.ბერიას მიერ პარტიის მე-5 პლენუმზე მიღებული დირექტივა: ,,..რაიონის ხელმძღვანელები მოვალენი არიან პირადად იცნობდნენ თითოეული კოლმეურნეობის ხელმძღვანელ შემადგენლობას, თავჯდომარეებს, მოანგარიშეებს, ფერმის გამგეებს, საწყობის გამგეებს და ბრიგადირებს. ისინი მოვალენი არიან იცნობდნენ მათ არა მარტო სახელითა და გვარით, არამედ იცნობდნენ არსებითად, თუ რას წარმოადგენენ ეს მუშაკები, როგორ მუშაობენ და რა უნარი აქვთ....“ [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N68:45**]. პარტიულმა კრებამ ყურადღება გაამახვილა ასევე მეცხოველეობის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან დარღვევებზე.

საბჭოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოდგენდა მსჯელობა პარტიული დემოკრატიის ირგვლივ. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ და ავღნიშნეთ, რომ სსრკ-ში არავითარ დემოკრატიას ადგილი არ ჰქონია. პირიქით მთელი საბჭოური მმართველობა ხასიათთებოდა უკიდურესი ცენტრალიზმით და ერთი პარტიის დიქტატით იმართებოდა სახელმწიფო. ერთ-ერთი სახე პარტიული დემოკრატიის დარღვევისა იყო ე.წ. ფრაქციული მუშაობა, მაგრამ ამის გარდაც მრავალი ქმედება იყო მიჩეული ამ დარღვევად. პარტიის წევრებად მკვდარი სულების არსებობა, დოკუმენტაციის არასათანადო აღრიცხვიანობა. საბჭოთა დემოკრატიის დარღვევად ითვლებოდა მაგ. რაიაღმასკომის პლენუმის შემადგენლობის შევსება კოოპტაციის წესით (,,კოოპტაცია"დამატებითი არჩევა, რაიმე არჩევითი ორგანოს შევსება ახალი წევრებით, ამომრჩეველთა დაუკითხავად). ე.წ. საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტები მრავლად მოიპოვებოდა ხულოს სარაიონო და სოფ.საბჭოებში. 15 სოფ.საბჭოში ამომრჩეველთა დაუკითხავად საბჭოების საგანგებო ყრილობამდე

საბჭოს წევრად კოოპტირებული ყოფილა 118 კაცი, ხოლო საბჭოების საგანგებო ყრილობის შემდეგ საბჭოებში კოოპტირებულა 48 კაცი. ხულოს სასოფლო საბჭოების მუშაკებს მექანიკურად რიცხავდნენ სიიდან და მათ ადგილზე ნიშნავდნენ თანამდებობის მიხედვით ახალ ადამიანებს. საბჭოების საგანგებო ყრილობამდე ხულოს რაიაღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობაში კოოპტირებული იყო 9 კაცი.[**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N68:53-54**]. დემოკრატიის დარღვევად ითვლებოდა პრეზიდიუმის სხდომების უგუვებელყოფა და სწრებადობის დაბალი მაჩვენებელი, ასევე დავიწყებული იყო ამომრჩეველთათვის ანგარიშის არ ჩაბარება. 1935 - 36 წლებში მხოლოდ თითოჯერ ჩააბარეს ანგარიში, რაც დარღვევად ითვლებოდა. ,,..ყოველივე ეს ფაქტი მოწმობს რომ ხულოს რაიონში რაიაღმასკომსს და სოფლის საბჭოს მუშაკები უხეშად არღვევენ საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპებს და დაივიწყეს ამომრჩეველები...“[**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N68:57**]. თვალნათლივ ცხადია თუ რაოდენ ძალად თავსმოხვეული სისტემა იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური პოლიტიკა. საბჭოთა დემოკრატიის დარღვევად ჩაითვალა ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1936 წლის დასაწყისში. სოფელ დიდაჭარაში საქ. ა.ლ.კ.კ. რიგებში მიუღიათ ორი ადგილობრივი ქალი. შავაძე სხვეფთიე ხასანის ასული და ხოზრევანიძე შადიე ყადირის ასული. აღნიშნული პირების მიღების დროს დაურღვევიათ კომკავშირში მიღების წესი, კერძოდ ყადირ ხოზრევანიძეს (სასოფლო საბჭოს თავჯდომარე) ისინი არ წარუდგენია საერთო კრებისათვის, არამედ ისინი მიიღო თავის კაბინეტში, სადაც დაუბარებია ასევე პროპაგანდისტი დოლიძე და ორიც დამსწრე მასწავლებელი ქალი. ნაცვლად საერთო კრებაზე საკითხის განხილვისა ასეთ, არაფორმალურ გარემოებაში მიუღიათ ეს ქალები ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციის წევრებად. ყადირ ხოზრევანიძეს დარღვევად ჩაუთვალეს ისიც, რომ მის ცოლს ჩადრი არც იმ კაბინეტში არ აუხდია, რადგან იქ ესწრებოდა პროპაგანდისტი დოლიძე. ასეთი ქმედაბა პარტიის წევრ ყ. ხოზრევანიძის მიერ ყოვლად დაუშვებელად მიიჩნიეს. ,,..მან ბოროტად ისარგებლა ...თანამდებობით და სასტიკად დაარღვია ა.ლ.კ.კ. წესდება...“ [**ასსცსა ფ.პ-12.აღწ.2.საქმ.N69,გვ.120**]. მაშასადამე, ხულოს რაიონში შექმნილი მძიმე სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა გამოწვეული იყო შექმნილი პოლიტიკური ვითარებით. მიუხედავად იმისა რომ საბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა შეელამაზებინა

სინამდვილე, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებდნენ. ჩვენს მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალები ნათლად მიუთითებენ რაიონსა თუ მთლიანად რეგიონში შექმნილ სპეციფიკურად ურთულეს ვითარებაზე. განსაკუთრებით ხულოს რაიონს ახასიათებდა მთელი რიგი სირთულეები, რაც ბუნებრივია ცნობილი იყო ცენტრალური ხელისუფლებისთვისაც. სახელმწიფო საზღვართან სიახლოვე იყო ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა ხელისუფლების გაფაციცებულ ყურადღებას რაიონისადმი. მითუმეტეს მარტის მოვლენების ექო ჯერ კიდევ არ იყო გადასული.

&.2 პროფესიული კავშირები

პროფესიულ კავშირებს ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ და იგი პირდაპირაა დაკავშირებული კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან. თავისი არსით პროფესიული კავშირები მემარცხენე ტიპის ორგანიზაციებია, რომელთა მთავარი და უპირველესი დანიშნულება იყო მუშათა და სხვადასხვა ფორმით დასაქმებული ადამიანების შრომის უფლებების დაცვა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე იწყებენ ჩამოყალიბებას მსგავსი ტიპის ორგანიზაციები, კერძოდ 1905 წლიდან. ბოლშევიკებსა და მენშევიკებს სერიოზული უთანხმოება გააჩნდათ პროფკავშირების როლისა და მათი შემდგომი განვითარების თაობაზე. მენშევიკების აზრით პროფკავშირები პოლიტიკისაგან შორს უნდა მდგარიყვნენ, მათ ამ ე.წ. ,,ნეიტრალობას“ სერიოზულ და მტრულ ნაბიჯად თვლიდნენ ბოლშევიკები. ,,..მენშევიკები პროფკავშირების როლს მხოლოდ მუშების ეკონომიკური ინტერესების დაცვით საზღვრავდნენ,...მათი აზრით პროფესიული კავშირების ამოცანა ...მხოლოდ შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ბრძოლა იყო. ისინი უარყოფდნენ პარტიის იდეური ხელმძღვანელობის აუცილებლობას....ამრიგად პროფკავშირების ,,ნეიტრალობის,, თეორია არსებითად ნიშნავდა ...მის დამორჩილებას ბურჟუაზიის ინტერესებისადმი“ [**სპკინ,1972:23**]. ბოლშევიკებისთვის კი პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა ყოფილიყვნენ მათი პარტიის გენერალური ხაზის

გამტარებლები. პროფესიული კავშირების მოწყობას საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. 1906-1907 წლებში ბათუმში და ქუთაისში შეიქმნა სხვადასხვა პროფესიის მუშათა პროფესიული კავშირები. ბათუმის მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი შეიქმნა 1907 წლის თებერვალში. 1905-1907 წლებში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში შეიქმნა 50-მდე პროფესიული კავშირი, აქედან ბათუმში- 11. [სპკინ,1972:30,31,35]. 1906 წლიდან პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ლეგალურად მოქმედების უფლება მოიპოვეს, მას შემდეგ რაც მეფის მთავრობამ გამოსცა შესაბამისი კანონები. თუმცა აღნიშნული რსდმპ-თვის ბუნებრივია მაინც მიუღებელი იყო და მისი ორივე ფრაქცია ბოლშევიკებიცა და მენშევიკებიც აგრძელებდნენ ბრძოლას პროფორგანიზაციებში გავლენის მოსაპოვებლად, შემდგომი პოლიტიკური ბრძოლისათის გამოყენების მიზნით.,,...პროფესიულ მოძრაობაზე გავლენისათვის საქართველოს ბოლშევიკები კვლავ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან და წვრილ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიებთან, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მენშევიკების მხილებას. ...“ [სპკინ,1972:141].

ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის და საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ არსებითად შეიცვალა პროფესიული კავშირების დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, სადაც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება არსებობდა პროფკავშირების ძირითადი ამოცანა ოფიციალურად იყო საწარმოო ძალების სწრაფი განვითარებით სახალხო შემოსავლისა და დაგროვების გადიდება. საქართველოს პროფკავშირების საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირეს ე.წ. ხუთწლედების შესრულების ამოცანებს. 1929 წლის აპრილში საბჭოების სრულიად საკავშირო მე-5 ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. გეგმის ძირითადი ამოცანები მიზნად ისახავდა სოციალისტური მშენებლობის გაშლილი შეტევის პროგრამას და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის აშენებას. ქალაქებისა და სოფლების კაპიტალისტური ელემენტების სრულ ლიკვიდაციას. ხუთწლედის ძირითადი ეკონომიკური ამოცანა მდგომარეობდა აგრალური ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევაში. პროფკავშირული ორგანიზაცია რეალურად

წარმოადგენდა საბჭოთა პროპაგანდის ერთ ერთ დამატებით რუპორსა და აპარატს. კომპარტია აქტიურად იყენებდა პროფკავშირულ ორგანიზაციებს სვხადასხვა საბჭოური ამოცანების გადასაჭრელად, იქნებოდა ეს სახელმწიფო აპარატის თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წმენდა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან. პირველი ხუთწლედის ამოცანები მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. 1929 წელს ჩატარდა სახელმწიფო აპარატის წმენდა, ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროფკავშირებმა.საბჭოთა აპარატის წმენდის პერიოდში პროფკავშირების ხელმძღვანელობით შეიქმნა მუშათა ბრიგადები, რომლებიც მიმაგრებულ იქნენ დაწესებულებებზე.[სპკინ,1972:332,333].

აჭარის ასსრ პროფესიული კავშირი ჩამოყალიბდა 1921 წლის მარტში. [მეგზური,2003:256]. მანამდეც არსებობდა საქართველოშიც და მათ შორის ბათუმშიც პროფესიული კავშირები. მაგ. ,,1920 წლის ზაფხულისთვის ბათუმში იყო 27 პროფესიული კავშირი (9 ათასი წევრით). მათ შორის ძლიერ კავშირებად ითვლებოდნენ: მელითონეთა, ბეჭდვითი საქმის მუშების, სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა და სხვ....“[სპკინ,1972:230]. საბჭოთა პროფკავშირების განვითარებაში მორიგი ახალი ეტაპი დაიწყო 1930 წლის მეორე ნახევრიდან. იგი განისაზღვრა პარტიის მე-16 ყრილობამ, მან მოითხოვა პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნა სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებთან შეფარდებით.[სპკინ,1972:334].

საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა და ჩვეულებრივ საქმედ ითველბოდა სახელმწიფო აპარატისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ე.წ. ,,გამუშურების“ პროცესი, რომლის დროსაც ფაბრიკა-ქარხნები ღებულობდნენ შეფობას ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებაზე. პროფკავშირები კი ამ საქმეში შეუცვლელ როლს ასრულებდა. აჭარის პროფკავშირისთვის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს პროფკავშირი. ხოლო ამ უკანასკნელისთვის კი საკავშირო პროფესიული კავშირები. ისევე როგორც პარტიაში პროფკავშირებიც უკიდურესი ცენტრალიზმის პრინციპით იმართებოდა. 1931 წლის 17 მაისს აჭარის პროფკავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მთავარ განსახილველ საკითხებს წარმოადგენდა ხუთწლედის შესრულების ამოცანები, საწარმოებზე განხორციელებული შფობის პროცესის მიმდინარეობა და სხვა მიმდინარე საკითხები.

საერთო საკავშირო პროფკავშირთა მე-5 პლენუმზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად საჭიროდ ჩათვალეს შექმნილიყო მანქანათმშენებელ მუშათა საქალაქო კომიტეტი. პრეზიდიუმის ამ სხდომას ესწრებოდა წარმომადგენელი პროფკავშირის ქალაქის კომიტეტიდან. პრეზიდიუმმა განიხილა მედიცინის მუშაკთა სახელფასო უზრუნველყოფის საკითხები და დაადგინეს მედპერსონალის სახელფასო ფონდის ამაღლება 18,9% ოდენობით. მათი თანხმობის გარეშე არამიზანშეწონილად ითვლებოდა სახელფასო ფონდის ცვლილებები. იმავე წლის 2 ივნისის პრეზიდიუმზე გადაწყდა ასევე გაგრძელებულიყო იდეურ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა ბათუმში არსებულ რიგ საწარმო დაწესებულებებზე. მაგ. როგორიც იყო ბათმუშკომი და საზ.კვების ობიექტები ზემდგომი ორგანოების მხრიდან მორიგი დირექტივების მიღებამდე. აქ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საზ.კვების ობიექტების კონტროლი არც თუ უმნიშვნელო საკითხი იყო პროფკავშირებისთვის და ზოგადად საბჭოთა ხელისუფლებისთვის. სასწრაფოდ იქნა განთავისუფლებული სამსახურიდან თუთიის ქარხნის სასადილოს მზარეული და მისი საქმე პროფკავშირმა პირდაპირ გადასცა სასამართლოს (ზემოხსენებული პრეზიდიუმის პროტოკოლიN2) საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო. მიზეზი მდგომარეობდა ამ ობიექტებზე კვების პროდუქტებით მოწამლის ფაქტებში. პროფორგანიზაციები, როგორც მთავარი მაკონტროლებელი და შეფობის განმახორციელებელი ორგანოები ვალდებულები იყვნენ განეხორციელებიათ აღნიშნული ქმედებები. [**ასსცსა,ფ. რ-98.აღწ.1.საქმ.N164:7-12**].

პროფკავშირების ცენტრალიზირებული მმართველობის მაგალითად გამოდგება საარქივო ცნობა, რომლის მიხედვით 1931 წლიდან მიღებულ იქნა ახალი საფინანსო სისტემა პროფკავშირებში თანხების ასიგნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად აჭარის პროფკავშირების ბიუჯეტი მტკიცდებოდა ცენტრში. 1931 წ. მიღებულ იქნა 205 766 მანეთი, საიდანაც გაიხარჯა 163 606 მანეთი. [ასსცსა ფ. რ-98.აღწ.1.საქმ.N74:26]. ხუთწლედით გათვალისწინებული ამოცანები, როგორც ავღნიშნეთ, ითვალისწინებდა შემტევი ტემპებით, განსაკუთრებით სოფლად სოციალიზმის გაშლას და ბურჟუაზიული გადმონაშთების საბოლოოდ აღმოფხვრას. ამ საქმისთვის იყო მიმართული ასევე პროფკავშირული რესურსებიც. ბრიგადების გაგზავნა სხვადასხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად გავრცელებული პრაქტიკა იყო საბჭოთა

კავშირში და შესაბამისად აჭარის რეგიონისთისაც. დამკვრელური ბრიგადების მთავარი ამოცანა მდგომარეობდა კოლმეურნეობებსა თუ მეურნეობებში მუშაობის რაციონალური ორგანიზება და ამ საკითხში ადგილობრივებისთვის დახმარების გაწევა.

1931 წლის 6 მაისს აჭარპროფკავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება გაწეული საქმიანობის შესახებ და მიიღო N 224 დირექტივა, რომლითაც გათვალისწინებული იყო ბრიგადების გაგზავნა სოფლებში შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სარემონტო ბრიგადებს. მათი ამოცანა იყო ადგილებზე მოეხდინათ ტექნიკის რაციონალური გადანაწილება, მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში შეკეთება. სარემონტო ბრიგადების დანიშნულება იყო სამედიცინო პუნქტების მშენებლობა, და სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობების გამართვა. სოფლად მექანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ხუთწლედის ამოცანა მდგომარეობდა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულად გარდაქმნაზე. პრეზიდიუმმა კრიტიკულად განიხილა რა მოხსენებები აღნიშნა ის ძირითადი ხარვეზები, რომლებიც თან სდევდა პროფკავშირების მიერ მივლინებული ბრიგადების მუშაობას. მთავრი პრობლემა მდგომარეობდა ადგილებზე სხვადასხვა პირველადი პარტიული თუ პროფკავშირული ორგანიზაციების მხრიდან ამ ბრიგადებისადმი ნაკლები ყურადღების გამოჩენაში.[ასსცსა ფ. რ-98.აღწ.1.საქმ.N74:18]. დამკვრელური სამუშაოების გაშლას რაც ამავდროულად ტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას ითვალისწინებდა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პროფორგანიზაციებში და მის მმართველ ორგანოში. ახალი ტექნიკის ათვისებისათვის გაშლილი ე.წ. ,,ბრძოლა“ ბუნებრივია მოითხოვდა თვით საბჭოთა პარტიული და საკუთრივ პროფკავშირული ორგანიზაციების შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით. თავისთავად ცხადია ის გარემოება, რომ ჯერ თვითონ უნდა ყოფილიყვნენ გარკვეული იმაში, რის პროპაგანდასაც ეწეოდნენ. ამიტომაც ტარდებოდა თანამედროვე ტერმინით რომ ავღნიშნოთ ტრენინგები, მაშინ ამას ეწოდებოდა ერთთვიური კურსები, თათბირები და სხვა. დასახულ ამოცანათა შორის მთავარი იყო გარდატეხა მომხდარიყო რაციონალიზატორული და საგამომგონებლო ბიუროების მუშაობაში. პროფესიული კავშირები კადრების მომზადების საქმეში

ხელმძღვანელობდნენ სტალინისა და ლენინის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული საპროგრამო სიტყვებში არსებული მასალებით, რომლებიც სავალდებულოდ შესასრულებლად იყო მიჩნეული.

აჭარპროფკავშირის პრეზიდიუმმა 1931 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით დაავალა ქობულეთის რაიპროფსაბჭოს გამოცდილ მუშათა გამოყოფა, რათა დახმარებოდნენ ოჩხამურისა და ცეცხლაურის თიხისა და აგურის ქარხნის საწარმოებს ამ უკანასკნელთა წარმადობის გასაუმჯობესებლად. ქ.ბათუმის კანალიზაციის მოწყობის საქემში ეს ქარხნები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, ამიტომაც მსგავსი საკითხები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო მოქცეული. ზემოთ აღინიშნა, რომ ,,წმენდის,, საკითხში პროფორგანიზაციები სახელმწიფოს უპირველეს დასაყრდენსა და განმახორციელებელ ორგანოებად გვევლინებოდნენ რიგ შემთხვევებში. ამრიგად პროფკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის დარგებისათვის კადრების მომზადება. განსაკუთრებით დაჩქარდა ამ მიმართულებით პროფკავშირების მუშაობა მას შემდეგ რაც 1932 წელს შემუშავდა მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე, ხოლო მეორე ხუთწლედი პარტიის მე-17 ყრილობამ 1934 წლის დასაწყისში მიიღო. რეგიონის მრეწველობის რეკონსტრუქცია და განვითარების ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლებზე გასვლა აუცილებლად მოითხოვდა საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციას და მექანიზაციის დაჩქარებას. რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირში იყო სათანადო კადრებით უზრუნველყოფასთან. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ტექნიკის ათვისების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დაკისრებული ამოცანების დაძლევა. ამიტომ კომპარტიასთან ერთად პროფკავშირული ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი მცოდნე კადრების მომზადება.

ამ მხრივ გამონაკლისი არც აჭარის რეგიონული პროფკავშირული ორგანიზაცია იყო. 1931 წლის 22 ივნისს მიღებული N4 პროტოკოლით სხვადასხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად გადაწყდა, დაეწყოთ აქტიური ,,წმენდა,, სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ საწარმოებში არასანდო ელემენტებისაგან გასანთავისუფლებლად. [იქვე,გვ.26]. კადრების მომზადების საქმეში ერთ-ერთი აუცილებელად გამოსაყენებელი დოკუმენტი იყო სტალინის მიერ 1931 წლის 15 ივნისს წარმოთქმული სიტყვა სოც.მრეწველობის მუშაკთა კონფერენციაზე. [**ასსცსა**

ფ.რ-98.აღწ.1.საქმ.170.გვ.10]. კადრების მომზადებას აუცილებლად ესაჭიროებოდა შესაბამისი განათლება. ამისათვის ჩვენს შემთხვევაში აჭარის პროფესიული კავშირი შუამდგომლობით შედიოდა სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებთან რათა პროფესიის დასაუფლებლად მიეღოთ რეკომენდირებული ახალგაზრდები. ასე მაგ. აჭარპროფსაბჭო ხულოს, ქედის და ქობულეთის რაიკომს უგზავნის წერილს, რომლითაც ითხოვს ახალგაზრდების სასწრაფო წესით გამოგზავნას ოზურგეთის კოოპერატიულ კურსებზე ჩასარიხცად. [**ასსცსა ფ.რ-98.აღწ.1.საქმN152:66**]. „...რადგანაც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ყურადღება ამჟამად მიქცეულია კადრების მომზადების დარგზე ...ამიტომ გთხოვთ განკარგულებას რათა აჭარმრეწველობამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება შეასრულოს.მით უმეტეს, რომ ყველა ეს ვალდებულებანი დაყრდნობილია კანონიერ საფუძველზე...“ [ასსცსა ფ.რ-98.აღწ.1.საქმN152:36]

1933 წლიდან პროფორგანიზაციამ შეითავსა შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქციები და უფრო მეტი ენთუზიაზმით შეუდგა პარტიის მიერ დაკისრებული შრომის ინსპექტირების და სხვა ტიპის ამოცანების შესრულებას. მაგრამ ამავდროულად, ამით ფაქტობრივად შეიძლება ითქვას დასრულდა ფორმალურად დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის არსებობა და იგი მოგვევლინა ერთ დიდ სახელმწიფო ორგანიზაციად. პროფკავშირებს სახელმწიფომ ასევე გადააბარა სოციალური დაზღვევის საკითხებიც. აჭარის პროფესიული კავშირის რიგგარეშე მე-4 პლენუმი ძირითადად ამ საკითხებს მიეძღვნა, პლენუმს ესწრებოდა 183 დელეგატი. მიღებული დადგენილება ხაზს უსვამდა პროფკავშირების როლს სახელფასო ანაზღაურების საკითხში. [**ასსცსა ფ.რ-98.აღწ.1.საქმ.N182:13**]. სოფლის მეურნეობის მექანიზირების საკითხი პროფორგანიზაციის ფოკუსში ექცეოდა ყოველთვის საკავშირო ცენტრალური ორგანოების მიერ გაცემული დირექტივების შესაბამისად. მექანიზაციის გარეშე ხუთწლედის გეგმები ვერ შესრულდებოდა. 1931 წლის 30 ოქტომბერს აჭარის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა რა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ომეროღლის მოხსენება, მიღწეულ წარმატებებთან ერთად აღნიშნეს ის ხარვეზები, რომლებიც აფერხებდნენ გეგმის შესრულებას. „...საქჩაიმ დროზე არ მიაწოდა მეურნეობას ტრაქტორები. მის მიერ გამოგზავნილი ტრაქტორები აღმოჩნდა სრულიად უვარგისი...რა მდგომარეობაა ამჟამად მეურნეობაში: ჩაის ძველი

პლანტაციები მოუვლელია...პლანტაციების მოუვლელობამ უარყოფითი გავლენა იქონია ჩაის ბუჩქების ზრდაზე...არ არის მოგვარებული მუშების საყოფაცხოვრებო პირობები, ამის გამო მუშები ტოვებენ მეურნეობას. მეურნეობას არ აქვს ბინები მუშებისთვის. არსებული ბინები კი სავსებით უვარგისია... ბინების გარდა არ არის აგებული აბანო,...მავნებლობას ჰქონდა ადგილი საგზაო მშენებლობაშიც...გზების მშენებლებმა დაამახინჯეს გეგმები,...ჩაქვის მეურნეობა იმყოფება ცუდ მდგომარეობაში, აუცილებელია მუშების მუდმივი კადრების შექმნა, ამისათვის კი საჭიროა ისეთი პირობების შექმნა რომ მუშა დარჩეს ადგილზე და არ ეძებდეს სხვა უკეთეს ადგილს..."[**ასსცსა,ფ. რ-98.აღწ.1.საქმ.N164:159-161**].

პროფკავშირების ყურადღების სფეროში ექცეოდა ასევე მოზარდთა შრომითი უფლებები. მოცემული საარქივო მასალის განხილვის შედეგად საკმაოდ საინტერესო სოციალური სურათი იხატება საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ მიმართულებით განვითარების თვალსაზრისით. 1934 წლის 3 თებერვლის პერიოდისთვის აჭარის პროფკავშირების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა ის გარემოება, რომ აჭარის მთელ რიგ დიდ საწარმოებსა თუ ორგანიზაცია დაწესებულებებში მოზარდთა დასაქმების კუთხით არსებობდა სერიოზული დარღვევები. საქმე ეხებოდა მათი შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებს. კერძოდ მთავარ პრობლემად რჩებოდა დღიური სამუშაო დრო. ფროფკავშირის წარმომადგენლები აფიქსირებდნენ ორგანიზაციების მხრიდან შრომის კოდექსის 114-ე მუხლის დარღვევას. არასრულწლოვანთა შრომითი უფლებები ირღვეოდა ბათუმის ნავთობ გადამამუშავებელ ქარხანაში, ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკაში. აღნიშნულ ორგანიზაციებში დაფიქსირდა შვებულების წესის დარღვევები. ირკვევა, რომ ორგანიზაციებსა და საწარმოებში გავრცელებული წესი ყოფილა მოზარდთათვის ორკვირიანი შვებულების მიცემა ნაცვლად ერთთვიანისა. ამიტომ ამ ფაქტს სერიოზულ დარღვევად მიიჩნევდნენ პროფორგანიზაციების წარმომადგენლები. [**ასსცსა ფ.რ-98.აღწ.1.საქმ.N200:1-2**]. პროფკავშირები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გარკვეულ კონტროლს უწევდნენ ჯანსახკომის მუშაობასაც. [ასსცსა ფ.რ-98.აღწ.1.საქმ.N200:2]. პროფკავშირები მონაწილეობდნენ ასევე თავდაცვა-ავიაქიმიის ცენტრალური, საქალაქო და რაიონული საბჭოების კადრებით მომარაგებაში. ამ ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპებს ქვემოთ განვიხილავთ. ეს იყო ნახევრად

გასამხედროებული ორგანიზაცია, რომელიც პირველად სამხედრო მომზადებას აძლევდა მსმენელებს.

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭო 1937 წელს გაუქმდა. საქმიანობას აგრძელებს დარგობრივი პროფესიული კავშირები: განათლების, ვაჭრობის,სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვები. **1936 წელს შეიქმნა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტი,** რომლის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო იყო აჭარპროფკავშირი. ამ პროფესიული ორგანიზაციის შექმნით ორგანიზაციულად გაიმართა და მოწესრიგდა პოლიტგანათლების საკითხებზე მომუშავე ადამიანების სამართლებრივ-უფლებრივი მდგომარეობა. პოლიტგანათლების საკითხები საბჭოთა პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო. აღნიშნული პროფორგანიზაციები იქმნებოდა ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მათ შორის კომუნისტური პარტიის რაიკომებში. 1936 წლის 16 ივნისს ჩატარდა პოლიტგანათლების კავშირის მუშაკთა სხდომა, სადაც განიხილეს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მოსახლეობის მიერ შემდგომი შესწავლის საკითხები. [**ასსცსა,ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N1.გვ.6**].

1937 წლის 1 სექტემბერს ჩატარდა პარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების წევრთა გაერთიანებული მიტინგი, რომელზეც დაგმეს და მოითხოვეს დაუნდობლად გასწორებოდნენ ხალხის მტრებს „...დაე იცოდნენ კაპიტალიზმის ძაღლებმა, რომ საბჭოთა ხალხი არავის მისცემს ოქტომბრის მონაპოვარის ხელის ხლებას...“ [**ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N7:64**.] პოლიტგანათლების აჭარის საოლქო კავშირის თვაჯდომარე იმ პერიოდში იყო ს.ჯიჯიეშვილი. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკთა პირველი საოლქო კონფერენცია შედგა 1937 წლის 6-7 აგვისტოს ქ.ბათუმში. კონფერენციაძე თვითკრიტიკის და რევოლუციური სიფხიზლის სტილში მიმდინარეობდა მომხსენებლების გამოსვლა და შესაბამისად მიღებული დადგენილებაც სრულად პასუხობდა სახელმწიფოში მაშინ შექმნილ პათოსს. ამ დოკუმენტით ერთი მნიშვნელოვანი დეტალის დადგენა შეიძლება, კერძოდ ორგანიზაციის რეალური შექმნის თარიღად სახელდება 1935 წელი, მაშინ როდესაც პოლიტგანათლების მუშაკთა ორგანიზაცია გამოეყო განათლების მუშაკთა კავშირს.[**ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N5:13-14**]. თუმცა თავდაპირველად ამ კავშირში

ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის გულგრილ დამოკიდებულებას. რაც ჯამში საფუძველი გახდა იმისა, რომ 1936 წლის 26 ივლისს ჩამოყალიბდა პოლიტგანათლების მუშაკთა კავშირი რომლის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსაც აჭარფროფკავშირი წარმოადგენდა. ,,…მაშასადამე როგორც ხედავთ ჩვენი კავშირის არსებობის ისტორია იწყება 1936 წლის 26 ივნისიდან. [ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N5:13] კონფერენციაზე აღინიშნა პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევის ფაქტები, რაც მდგომარეობდა თანამდებობიდან გადამდგარი ხელმძღვანელების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის პერიოდში ანგარიშის ჩაუბარებლობა. ,,...რა უნდა ჩაებარებიათ, არაფერი ჰქონდათ გაკეთებული“ [ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N5:14-15].

,,...პროფკავშირების ხელმძღვანელმა მუშაკებმა არა თუ არ გააძლიერეს თავისი მუშაობა მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ ...დაკარგეს მასობრივი მუშაობის ხალისი...ჩვენ ამ მიმართულებით სუსტად ვმუშაობთ...“[ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N5:19] აღნიშნული განცხადება წარმოადგენს კლასიკურ ნიმუშს თვითკრიტიუკლი გამოსვლისა, რომლითაც გამოირჩეოდნენ სხვადასხვა დარგის მუშაკები მნიშვნელოვან სადამფუძნებლო ან მიმდინარე შეხვედრების დროს. ამ ორგანიზაციათა საქმიანობას როცა ვეცნობით გვიჩნდება დასაბუთებული ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ორგანიზაციები ერეოდნენ ერთმანეთის საქმიანობაში. რევოლუციური სიფხიზლის და სხვა მრავალი საბჭოური ლოზუნგებით შეიარაღებულნი ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ ერთმანეთის საქმიანობაზე, თითოეული მათგანი კრიტიუკულად აფასებდა სხვის მუშაობას და ა.შ. უსასრულოდ. ეს ნიშან თვისება ამავდროულად დამახასიათებელია უაღრესად რთული ბიუროკრატიული სისტემისათვის. ,...ჩვენი პოლიტაღმზრდელობითი მასიური მუშაობის სისუსტეს უნდა მივაწეროთ აგრეთვე ისიც, რომ ძალზე ცუდათ გვაქვს დაყენებული მუშაობა ნებაყოფლობით ორგანიზაციებში, როგორიც არის თავდაცცვა ავიაქიმია,(ოსავიაქიმია), წითელი ჯვარი და ნახევარმთვარის საზოგადოება, მებრძოლუღმერთოთა კავშირი და სხვა. ...საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობის საკითხებზე ...საუკეთესოდ უნდა დავაყენოთ ანტირელიგიური საქმე...მუშაობა არა დამაკმაყოფილებლად...ჩვენ სრული უფლება

გვაქვს ვთქვათ, რომ დამაკმაყოფილებელი აქ არაფერი იყო...“ [ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N5:19-29].

1937 წლის 6-7 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა პოლიტგანათლების მუშაკთა კავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი კონფერენცია. იმ პერიოდისათვის ბათუმში უკვე არსებობდა 9 პროფპოლიტსკოლა, რაიონების მიხედვით მათი რიცხვი იყო 15, მსმენელთა საერთო რაოდენობით 203 კაცი, რომლის შექმნაც მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნდა აღნიშნულ კავშირს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირში არსებული ბიუროკრატიული სისტემის წყალობით არც ეს ე.წ. პროფპოლიტსკოლები მუშაობდნენ გამართულად. მთელ რიგ რაიონებში აღნიშნული სკოლებში ხშირად იშლებოდა მუშაობა. ,,...მიუხედავად ზოგიერთ მიღწევებისა ჩვენ მუშაობაში გვაქვს შემდეგი სერიოზული ნაკლოვანებები...პროფპლიტსკოლაში მეცადინეობები არ მიმდინარეობს სისტემატიურად,...ყველა ადგილკომში, რაიონებში უნდა გამოიყოს აგიტატორები და მკითხველ-მოსაუბრეები...“.[**ასსცსა-ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N15:3,4,5,6,7**]. პოლიტ-განათლების მუშათა კავშირს საკმაო როლი ჰქონდა დაკისრებული წერა კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრის საქმეში, ამ მიზნით ისინი აწყობდნენ სპეციალურ სკოლებს გლეხთა სახლებისა და ქოხ სამკითხველოების ბაზაზე. პარარელურად მნიშვნელოვანი იყო ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოაება ამ კავშირის მიერ. ,,...ანტირელიგიური მუშაობის გაშლის შესახებ ჩვენ არაერთი კონკრეტული მითითება მივეცით ადგილკომებს, მაგრამ ჩვენი კავშირის არც ერთ ძირეულორგანიზაციას ამ მიმართულებით მუშაობა არ შეუძლია, თქვენთვის ცნობიალია, რომ აჭარაში საკმაოდ მოიპოვებიან კულტის მსახურები...“ [**ასსცსა-ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N15:8-9**].

განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, ეს ორგანიზაციები უფრო უშლიდნენ ერთმანეთს ხელს და ერეოდნენ ერთმანეთის ფუნქციებში. ეს კი საბჭოთა მმართველობითი სისტემისთვის იმ ეტაპზე დამახასიათებელი ნიშანს წარმოადგენდა. ამის დასტურად გამოდგება ასევე ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი და განხილული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა უფლებამოსილი ორგანოების ჩამონათვალსა და საქმიანობას, რომელსაც შეეძლო ადამიანის დაპატიმრება. მოგეხსენებათ თავად საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგნელები აღიარებდნენ დაჭერების საქმეში ქაოტურ მდგომარეობას, ყველა იჭერდა ვისაც არ ეზარებოდა. მასგავსი

სიტუაცია შეინიშნებოდა ამ შემთხვევაში. ერთ საქმეს რამდენიმე ორგანიზაცია კურირებდა, ე.ი. მაგალითად ანტირელიგიურ მუშაობაზე პასუხისმგებელი იყო როგორც მებრძოლ უღმერთოთა კავშირი, ისე პროფკავშირი, ისე პოლიტგანათლების მუშაკთა კავშირი, თავად კომპარტია, როგორც ლიდერი და უპირველესი ორგანიზაცია და ასევე კომკავშირი.

საწარმო დაწესებულებაში არსებული ე.წ. სამეულები, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ კომკავშირის, პროფკავშირისა და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელები ამის ნათელი დადასტურებაა. სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, როგორებიც იყო მაგალითად აჭარის შემთხვევაში პირველ ეტაპზე ფუხარა ხალხის ყრილობები, და სხვა, ისინი ერთდროულად ემსახურებოდნენ ერთ საქმეს, რომელიც მდგომარეობდა სოციალიზმის მშენებლობის, კულაკურ და სხვა მავნე ელემენტებთან ბრძოლის გაჩაღებაში და ა.შ. ამიტომ ჩვენი აზრით ფუნქცია მოვალეობების უხეში აღრევაც ამით იყო განპირობებული. ,,...უნდა გავაძლიეროთ პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა კავშირის წევრთა და არა წევრთა შორის. უნდა ჩამოვაყალიბოთ პროფპოლიტსკოლები...განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ პროფკავშირული კრებების მომზადებულად ჩატარებას. კრებებზე საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის საკითხების განხილვას. აქტიურ პროფკავშირულ მუშაობაში ჩავაბათ კავშრის ყველა წევრი...“ [ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N5:29-35]. ერთმანეთის სფეროებში ჩარევის ნათელი მაგალითია ისიც, რომ პოლიტგანათლების კავშირი ინტერესდებოდა შრომის დაცვის საკითხებით. მაშინ, როცა ამ საკითხის პირდაპირ მარეგულირებლად გვევლინებოდა შესაბამისი სახალხო კომისარიატი და ასევე პროფკავშირები, განსაკუთრებით კი იმ პერიოდიდან როცა მას გადაეცა შრომის დაცვის და სოც.უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის საკითხები, პრაქტიკულად მან შეითავსა შრომის კომისარიატის ფუნქციები, ამიტომ სრულიად აშკარაა უფლებამოსილებების აღრევა ამ დიდ ბიუროკრატიულ სისტემაში, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირში. ,,...განსაკუთრებული ყურადღება მივაქცოთ შრომის დაცვის, სოციალური დაზღვევის საკითხებს...გავამახვილოთ რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე ხალხის მტრების, გერმანიის და იაპონიის აგენტების, შარა გზის ყაჩაღთა წინააღმდეგ...“[ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N5:35-36]. პოლიტგანათლების მუშაკთა შესაბამისმა კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ასევე

წერა-კითხვის უცოდინარ კავშირის წევრთა სწავლების საკითხებზე და დაავალა ჯგუფორგებს აქტიური მოქმედება დაეწყოთ რეალური შედეგების დასადებად. საინტერესოა ის გარემოება, რომ მაღალი ალბათობით თავდ ამ ორგანიზაციის ორგანიზაციული მხარე არ იყო სათანადოდ მოგვარებული. საკითხი ეხება პროფორგანიზაციებისათვის უძრავი ქონების ჩამორთმევას და გამოსახლების პროცესებს. არსებობს საბჭოთა კავშირის პროკურორის პ.ვიშინსკის მიერ 1938 წლის 11 აპრილით დათარიღებული ბრძანება, რომლითაც პროკურატურის ადგილობრივ ორგანიზაციებს პირად კონტროლზე უნდა აეყვანათ პროფორგანიზაციების გამოსახლების პროცესების შეჩერება და პასუხისგებაში მიეცათ ყველა ის პირი რომელიც ამ ქმედებაში იქნებოდა ჩაბმული.[**ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმ.N11:9**].

1938 წლის 31 მარტის მოხსენების საფუძველზე კავშირის თავჯდომარე ს.ჯიჯიეშვილი აქცენტს აკეთებდა პირველადი ორგანიზაციების გამართულად მუშაობის მნიშვნელობაზე, რომელიც წარმატების მთავარ საწინდრად იყო მიჩნეული. თვითკრიტიკის სტილში კავშირის თავჯდომარე აღნიშნავდა ბათუმის, ხულოს და ქედის რაიონული ორგანიზაციების სუსტ და არადამაკმაყოფილებელ მუშაობას....,,აჭარის საოლქო კომიტეტი გრძნობს აღნიშნულ ნაკლოვანებებს თვაის მუშაობაში და ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს პოლიტგანათლების კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილების საფუძველზე მიიღებს მასზედ დამოკიდებულ ყველა ზომას...“ [ასსცსა ფ.რ-813.აღწ.1.საქმN11:14-15].

ამდენად პოლიტგანათლების მუშაკთა კავშირი ღრმად პოლიტიზირებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში არსებული სხვა ორგანიზაციები. მიუხედავად სხვადასხვა ტიპის დავალებებისა, ორგანიზაციის მთავარ ფუნქციად მაინც რჩებოდა პროპაგანდისტების და აგიტატორების მომზადება. მასების პოლიტიკურად აღზრდა საბჭოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან ლეგიტიმაცია მიეცემოდა მათ ხელისუფლებას. ამიტომ პოლიტგანათლების მუშაკთა კავშირი ეწეოდა ამ მიმართულებით მუშაობას სპეციალურად დაარსებული მსმენელთა სკოლების საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ამ მიმართულებით აგიტაცია-პროპაგანდას სოფლად. სადაც ანტისაბჭოთა ელემენტები, კერძო მესაკუთრული ურთიერთობის მომხრე კულაკები და მათთან აფელირებული

კონტიგენტი ეგულებოდათ. ამდენად პოლიტგანათლების მუშაკთა კავშირი საბჭოთა ხელისუფლების მიერ მართულ ერთ-ერთ ორგანიზაციად უნდა მივიჩნიოთ.

&.3. ახალგაზრდობის ორგანიზაციები-საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტები

საქართველოს კომკავშირის (ა.ლ.კ.კ.-ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირი) აჭარის საოლქო კომიტეტი შეიქმნა 1921 წლის 25 აპრილს საქართველოს ბათუმის საოლქო კომიტეტის სახელწოდებით. 1923 წლიდან ეწოდა საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი. ექვემდებარებოდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს. ლიკვიდირებულია 1991 წლის აგვისტოში კომკავშირის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. [**მეგზური,2003:293**]. ახალგაზრდული ორგანიზაცია წარმოადგენდა კომპარტიის მთავარ რეზერვს. ორგანიზაციულად და სტრუქტურულად იგი წარმოადგენდა პარტიის იდენტურ ასლს. საწამოო და საგანმანათლებლო დაწესებულებეში დაასრებული იყო კომკავშირის პირველადი უჯრედები, ისევე როგორც პარტიის კომიტეტები. კომკავშირი საბჭოთა კავშირის მაშტაბით იყო ყველაზე მსხვილი, მრავალრიცხოვანი ახალგაზრდული ორგანიზაცია. იგი ითვლებოდა პარტიის კადრებით უზრუნველყოფის მთავარ სამჭედლოდ. კომკავშირი დახმარებას უწევდა საბჭოთა ხელისუფლებას მათ პროპაგანდისტულ საქმიანობაში როგორც სოფლად ასევე რეგიონებში. ზუსტად რეგიონებში მთელი სიმწვავით იგრძნობოდა სპეციალურად მომზადებული, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით აღჭურვილი კადრების დეფიციტი. სწორედ ამიტომ კომკავშირის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება მდგომარეობდა იმაში, რომ დახმარებოდა ხელისუფლებას საბჭოთა პროპაგანდის საქმეში და არა მარტო პროპაგანდის. **კომკავშირის ორგანიზაციული წყობის პრინციპი აგებული იყო ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე.** კომკავშირის პირველადი ორგანიზაციები როგორც ავღნიშნეთ იქმნებოდა არა მარტო საწარმოებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ არმიასა და ფლოტშიც. როგორც პარტიის ისე კომკავშირის უმაღლესი მმართველი

ორგანო იყო ყრილობები, ყრილობებს შორის პერიოდში იწვევდნენ კონფერენციებსა და პლენუმებს, ხოლო ბიუროები წარმოადგენდნენ მუდმივმოქმედ სამუშაო ორგანოებს.

1930 წლის 28 ნოემბრიდან 1930 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა საქართველოს კომკავშირის აჭარის მე-13 კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 210 მონაწილე, აქედან 18 ხმის მიცემის უფლებით, დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება ბოლო ყრილობის შედეგების შესახებ. საოლქო კომკავშირის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად რეკონსტრუქციის თაობაზე, ხუთწლედის შესრულების ანგარიში და საოლქო კომიტეტის არჩევნები. კონფერენციამ მისასალმებელი სიტყვით მიმართა საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს და აღუთქვა გაორმაგებული ძალით ბრძოლის გაგრძელება მემარჯვენე უკლონისტებისა და ,,მემარცხენე გადახრების“ წინააღმდეგ, ამ კონტექსტში გააჟღერეს ე.წ. სირცოვ-ლომინაძის საქმე. [**ასსცსა,ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.226:11**]. საინტერესოა რას გულისხმობდნენ კომუნისტები მემარცხენე გადახრებში, ცნობილია, რომ თავად ისინი წარმოადგენდნენ ულტრა მემარცხენეებს თავისი არსით. ბესარიონ ლომინაძე იყო სტალინის ძველი მეგობარი და მისი კეთილ განწყობით სარგებლობდა დიდი ხნის განმავლობაში. 1929 წლიდან იგი იწყებს პარტიის ხაზის კრიტიკას, რომელიც სულ უფრო ღია სახეს ატარებდა. 1935 წლიდან, როცა სასამართლო პროცესი მზადდებოდა ტროცკისტების წინააღმდეგ, იგი გამოძახებული იყო დაკითხვაზე, მან მანქანაში რევორველიდან გასროლით მოიკლა თავი, დატოვა წერილი, სადაც პარტიისადმი ერთგულებას გამოხატავდა.[საბჭოთა საქართველოს ლიდერები].

პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რადიკალიზმსა და უკლონისტების წინააღმდეგ მკვეთრ გალაშქრებაში. კომკავშირის მე-13 საოლქო კომფერენციაზე მიიღეს მიმართვა ცენტრალური ხელისუფლებისადმი რომლითაც მოითხოვენ ,,სოციალური დაცვის“ უმაღლესი ზომა ყოფილიყო გამოყენებული კონტრევოლუციონერების მიმართ. ,,..ჩვენს რიგებში აღმოჩნდა პროლეტარიატის მოწინააღმდეგეები, პროვოკატორ მემარჯვენე-მემარცხენული სირცოვ-ლომინაძის ბლოკი.“[**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.226:18**]. კონფერენციაზე მსჯელობდნენ კომკავშირის როლზე წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრის

საქმეში. გასული წლების კომკავშირული მუშაობა შეფასდა როგორც არადამაკმაყოფილებელი, ესეც თვითკრიტიკის სტილში. ყურადღება გაამახვილეს პარტიის როლზე კადრების შერჩევის საკითხში. მათთვის მიუღებელი იყო ქალების მხიდან ჩადრის ტარება და განსაკუთრებით კომკავშირლების მხრიდან. ამიტომ ამ საკითხს კონფერენციებსა თუ ყრილობებზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ჩვენ ვიცით, რომ პარტიული დემოკრატიის დარღვევას წარმოადგენდა კომკავშირლების მხრიდან თუნდაც ჩადრის ტარება. კომკავშირელის ცოლისთვისაც კი იკრძალებოდა ჩადრის ტარება. ასევე აკრძალული იყო კომკავშირლების მხრიდან რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებული ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ ოპერატიულ ცნობებში ხშირად იყო აქცენტი გაკეთებული ამა თუ იმ კომკავშირლების რელიგიურობაზე და მათ მონაწილეობაზე რელიგიურ რიტუალებში. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში დასახეს სამომავლო მოქმედების ამოცანები. მთავარ ადგილს იკავებდა რევოლუციური სიფხიზლით ბრძოლა მემარჯვენე უკლონიზმის და მავნებლობის ყოველგვარ გამოვლინებასთან. მათი აზრით პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა ,,კლასობრივ აგენტურას“ და უნდა გაერიცხათ ყველა, ვინც შემჩნეული იქნებოდა მსგავს საქმიანობაში. ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაისვა მოცემულ კონფერენციაზე და რომელიც შემდგომში შავ ლაქდ გასდევდა კომკავშირულ მოძრაობას რეგიონში მდგომარეობდა იმაში, რომ მათი საზედამხედველო როლი საკოლმეურნეო ცხოვრებაში, სხვადასხვა პროცესებზე ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამდენად საბჭოთა და პარტიული დემოკრატიის მთავარი დარღვევა სახეზე იყო. ეს იცოდნენ პარტიისა და კომკავშირის მუშაკებმა და დიდი ენთუზიაზმით ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას. კომკავშირულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები, ასევე კომკავშირის წევრები მონაწილეობას ღებულობდნენ პარტიულ ღონისძიებებში, შედეგად იქმნებოდა როგორც პარტიული, ისე კომკავშირული პირველადი უჯრედები საწარმოებში, რომლებსაც ემატებოდა იქვე არსებული პროფკავშირული პირველადი ორგანიზაციის წარმომადგენლობა და ვღებულობდით ე.წ. სამეულებს, ე.ი. საწარმო დაწესებულებასა და სსხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში არსებულ სამეულებში

შედიოდნენ პარტიის, კომკავშირისა და პროფკავშირის წარმომადგენლები. სწორედ ეს უჯრედი წარმოადგენდა ხშირ შემთხვევაში, პარტის თვალსა და ყურს, მათი თანხმობის გარეშე არ უნდა გადაწყვეტილიყო მიმდინარე არც ერთი საკითხი, მითუმეტეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხი. ფაქტობრივად ეს რგოლი იყო მთავარი მმართველობითი უჯრედი. კომკავშირს თავის მხრივ განსხვავებული ამოცანები ჰქონდა დაკისრებული, ვიდრე პროფკავშირებს. კომკავშირის ამოცანას ამავდროულად წარმოადგენდა მოსახლეობაში კულტსაგანმანათლებლო მუშაობა. მათ გააჩნდათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები, რომლის გავრცელება ხდებოდა მთელი ქვეყნის მაშსტაბით. მიუხედავად კრიტიკისა და თვითკრიტიკისა აჭარის რეგიონის კომკავშირულ ორგანიზაციებში არც თუ სახარბიელო მდგომარეობა იყო შექმნილი, რასაც თავად კონფერენციის არაერთი მასალა ადასტურებს. ხშირი ყოფილა შემთხვევები, როცა კომკავშირის წევრები გაურბოდნენ კოლმეურნეობებში შესვლას. ,,არც ერთი კომკავშირის წევრი კოლმეურნეობის გარეშე“- იყო ლოზუნგი. განსაკუთრებით კი იმათთვის იყო კოლმეურნეობებში შესვლა სავალდებულო რომლებიც დამოუკიდებელ მეურნეობას აწარმოებდნენ. [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.226:117,131,132.**].

,,...საქ. ა.ლ.კ.კ. აჭარისტანის ორგანიზაციის მე-13 საოლქო კონფერენციამ აღნიშნა შემდეგი მიღწევები: კოლმეურნეობის რიცხვის ზრდა, 405. კომკავშირელთა სარაიონო კონფერენციების ჩატარება...აღნიშნულ მიღწევებთან ერთად აღსანიშნავია შემდეგი სუსტი მხარეები: ღარიბტა ჯგუფების მუშაობაში კომკავშირელთა სუსტი მონაწილეობა, სოც. შეჯიბრის ფართოდ გაუშლელობა და შეუმოწმებლობა. დამოუკიდებელ მეურნე კომკავშირლების აღურიცხველობა, მათი კოლმეურნეობაში ჩაბმის მოუგვარებლობა...“ [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.226:135**]. ამ ფაქტიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკმაოდ დიდი იყო კოლმეურნეობის მოწინააღმდეგეთა რიცხვი ახალგაზრდებში, რომლებიც მისდევდნენ დამოუკიდებელ მეურნეობას, მაგრამ ეს ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა. ვინაიდან კერძო ურთიერთობათა ყოველგვარი გამოვლინება ეგზისტენციალურად მიუღებელი იყო საბჭოებისთვის და მათთან იდეურ წინააღმდეგობაში მოდიოდა. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმებოდა ეს საკითხი, როდესაც ამ ურთიერთობით დაკავებული იყო ახალგაზრდობა. ამიტომაც კონფერენციებსა თუ ყრილობებზე მკაცრად

ილაშქრებდნენ მსგავსი ე.წ. წვრილბურჟუაზიული გამოვლინებების წინააღმდეგ. საყურადღებოდ გვეჩვენა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მე-2 პლენუმის მასალები. საქმე ეხება კომპარტიის ცკ-ის 1931 წლის 4 თებერვლისა და 31 ოქტომბრის დადგენილებათა შესრულებას. ამ დადგენილებებში კი აქცენტი კეთდებოდა სოფლად კოლექტივიზაციის ტემპების დაჩქარების აუცილებლობაზე. კომკავშირის პლენუმმა კი განიხილა საკითხები თუ რა ვითარება იყო ამ მიმართულებით აჭარაში. პლენუმი ავალებდა ადგილობრივ რაიკომებს, რათა კომკავშირლების აქტიური ჩაბმა მომხდარიყო კოლექტივიზაციის განხორციელებისა და პროპაგანდირების საქმეში. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებში. განსაკუთრებით ევალებოდათ კომკავშირლებს სოფლად, კოლმეურნეობებში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გააქტიურება და მეტადრე კერძო მეურნეობებში მომუშავე ახალგაზრდებთან. [**ასსცსა ფ.3-9.აღწ.9.საქმ.N269:5**]. ფაქტია ის გარემოება, რომ სოფლად კერძო მეურნეობები საბჭოებისთვის იყო მნიშვნელოვანი თავისტკივილი, რომელიც უნდა გადაეჭრათ.

1931 წელი კომკავშირის. აჭარის მე-13 მოწვევის მე-2 პლენუმმა შეაფასა, როგორც გამწვავებული კლასთა ბრძოლის გარდამტეხი პერიოდი. ბურჟუაზიული ელემენტების, ყოველგვარი მემარჯვენე ორიენტაციის გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლა, კოლექტივიზაცია და სოფლად სოციალიზმის მშენებლობის დაჩქარებული ტემპების ხელშეწყობა იყო მათთვის მთავრი ამოცანა. კომკავშირის აღნიშნულმა პლენუმმა დაადგინა აჭარისტანის ორგანიზაცია კლასთა გამწვავებული ბრძოლის პერიოდში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად მტკიცედ უნდა დამდგარიო ბრძოლის ყველა პოზიციაზე, პარტიის გენერალური ხაზის გატარებისთვის. საგაზაფხულო თესვითი კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისთვის კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი დროულად შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას, გაიგზავნა 10 დამკვრელი კომკავშირული ბრიგადა და 20 აქტიური კომკავშირელი სოფლად, საბჭოთა მეურნეობებში 600 კომკავშირელი ერთი თვით. [**ასსცსა ფ.3-9.აღწ.9.საქმ.N269 :8**]. იქვე თვითკრიტიკის სტილში აღნიშნეს: გატარებული ღონისძიებების მიუხედავად კმკავშირი სრულად ვერ უზრუნველყოფდა ამოცანის შესრულებას და საქმიანობას აწარმოებდა სერიოზული დარღვევებით, განნსაკუთრებულ ხარვეზად ჩაითვალა მათი მხრიდან სამეურნეო

იარაღების რაციონალურად ვერ გადანაწილება და პოლიტიკურ-კულტურული აგიტაციის არ წარმოება. პლენუმმა თავის დადგენილებაში ერთ-ერთ მთავარ შესასრულებელ ამოცანათა რიგში შეიყვანა **ე.წ. „ხელუხლებელი მარაგების“** ფონდის შექმნა. კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტს დაევალა კონტრაქტაციის შესრულებაზე კონტროლი. კონტრაქტაცია ეს გახლავთ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სფერო. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში იგი წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ჩამოყალიბებულ სისტემას, რომლის მიხედვითაც დადგენილი ნორმებით ხორციელდებოდა სახელმწიფო შესყიდვები. პლენუმზე განიხილეს ასევე ცალკეული წევრების საკითხებიც. ,,...პლენუმი იწონებს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებას ახალშენის კ.კ.-ის უჯრედის მდივნის, აღნიშნული უჯრედის ორი წევრისა და აგრეთვე კირნათისა და მარადიდის უჯრედის მდივნების კომკავშირული ორგანიზაციის რიგებიდან გარიცხვას, რომლებიც მოექცნენ კლაკური გავლენის ქვეშ. ...დაევალოს საოლქო კომიტეტს პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს კოლმეურნეობებს...“[**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N269:10**]. კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1931 წლის 17 ივლისით დათარიღებული ოქმის მიხედვით, კონსტანტინე დოლიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, (იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზაციის კომკავშირული უჯრედის ხელმძღვანელი) რადგან, ამ უჯრედის მუშაობა მიიჩნიეს არადამაკმაყოფილებლად, ასევე ანტიპარტიული განწყობილების მიმართ შემრიგებლური პოზიციის გამო, ხოლო ნინა ფხაკაძეს რომელიც იყო კომკავშირის წევრი 1929 წლიდან და ორი საყვედურიც ჰქონდა მიღებული, გარიცხეს პარტიიდან. [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N270:36**].

საყურადღებოდ გვეჩვენა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ცკ-ს მდივნის კოსარევის სიტყვა წარმოთქმული კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მე-13 მოწვევის მე-3 პლენუმზე. ახალგაზრდული ფრთის ლიდერის სიტყვებში ზუსტად ჩანს ის დამოკიდებულება, რაც რეალურად გააჩნდა საკავშირო ხელისუფლებას საქართველოსთან მიმართებით. კერძოდ იკვეთება ის გარემოება, რომ ისინი ცდილობდნენ საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, როგორიცაა აჭარა და მისი მაცხოვრებლები წარმოეჩინათ როგორც ცალკე ეთნიკური ერთეული. მან განაცხადა და ხაზი გაუსვა აჭარის ორგანიზაციის სიდიდეს, შესაბამისი დიდი პოლიტიკური

ამოცანებით. ის გარემოება, რომ აჭარა საზღვრისპირა რეგიონია, ეს გარემოება კომკავშირს აკისრებს დიდ ამოცანებს. მისი აზრით აჭარაში რთულად იყო აგრეთვე ნაციონალური საკითხი. ნაციონალური საკითხის ლენინური მოვალეობა სოციალისტური მშენებელობის ერთ ერთი ნაწილთაგანია. ამ კონტექსტში მან ხაზი გაუსვა იმ გარეომებას, რომ ორგანიზაციაში აჭარელთა შემადგენლობა ძალიან მცირე იყო. ,,... მით უმეტეს აჭარელ ქალთა პროცენტი მეტ-ნაკლებად მცირეა, რაც ძალიან სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. ის ამბავი, რომ ორგანიზაციაში ჩაბმულია 35 აჭარელი ქალი მოწმობს იმას, რომ თქვენ ჯერ კიდევ ვერ ჩაუდექით მასას სათავეში. თქვენ ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდით სოფლის საკითხებს სიღრმეში. ...კომკავშირის ბრძოლა სამეურნეო ფრონტზე უმთავრესი და აქტუალური ამოცანაა ...არ კმარა მარტო კრებები და თათბირები, საჭიროა აქტიურად ჩაბმა სამეურნეო ცხოვრებაში. ...სამხედრო მომზადების საკითხი, ესეც გადაუდებელი ამოცანაა დღეს კომკავშირული ორგანიზაციებისთვის. ეს საკითხი კი განსაკუთრებით მწვავეა აჭარისტანში, როგორც მოსაზღვრე რესპუბლიკისთვის. აჭარისტანის ორგანიზაცია ... უნდა დაუახლოვდეს სანაპირო რაზმებს და შეისწავლონ სამხედრო საქმე...“[ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N270:.20]. ხელმძღვანელი მუშაკის ამ გამოსვლაში ნათლად იკითხება ცენტრალური ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, ისინი აჭარის მოსახლეობას, უფრო ზუსტად აჭარლებს განიხილავდნენ, როგორც ცალკე ეროვნებას, რაც ბუნებრივია იმპერიალისტურ-საბჭოური პოლიტიკის კარგად ნაცადი მეთოდი იყო.

რეპრესიების ახალი ძალით გაშლის პერიოდში, როცა მთელი სახელმწიფო მასობრივმა ტერორმა და ამით გამოწვეულმა ფსიქოზმა მოიცვა, ბუნებრივია იგი შეეხო ამ ორგანიზაციასაც. ორგანიზაციის წევრები ზოგი თვით გადარჩენის რეჟიმში, ზოგიც კიდევ ღრმა იდეოლოგიური საფუძვლებით და ენთუზიაზმით ჩაებნენ ასე ვთქვათ შეჯიბრში, რომელიც ითვალისწინებდა ხალხის მტრების გამოვლენას, რევოლუციური სიფხიზლის უმაღლესი დონის ჩვენებას და კონტრევოლუციონერ-ტროცკისტების ლიკვიდაციის ხელშემწყობ საქმიანობას. 1937 წლის 5 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს კომკავშირის მე-13 ყრილობა. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე ამ ყრილობის დადგენილებები შესასრულებლად სავალდებულო იყო აჭაროლქკომისათვის, თავის მხრივ ოლქკომის გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო ასევე ქალაქკომისათვის,

ხოლო საკუთრივ საქართველოს კომკავშირისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი იყო საკავშირო კომკავშირის ცკ-ს დადგენილებები და ა.შ. ზემოხსენებულმა ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც ერთი ერთში იმეორებდა საკავშირო ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებებს რეპრესიებთან მიმართებით. ,,...ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობა უცხოური სადაზვერვო სამსახურებისა სსრკ-ს ტერიტორიაზე წარმოადგენს იმპერიალისტური ქვეყნების შემადგენელ ნაწილს სსრკ-ზე თავდახსმის მომზადების ნაწილში და რომ კონტრრევოლუციონერები ზინოვიევ-ტროცკისტები და მემარჯვენე რადიკალები არიან მათი მხარდამჭერები...“ [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.1.საქმ.N10:2**]. საბჭოთა მთავრობას ნებისმიერი განსხვავებული აზრის მატარებელი ადამიანი შეეძლო გამოეცხადებია ანტისაბჭოთა ელემენტად. საკუთრივ საბჭოურ კონსტიტუციებში სპეციალური ჩანაწერი კეთდებოდა, რაც უადვილებდა ხელისუფლებას მიეღო გადამჭრელი, რეპრესიული ზომები განსხვავებულად მოაზროვნე, ან პოლიტიკურად არასაიმედო ადამიანების მიმართ. საბჭოთა კონსტიტუციებისათვის დამახასიათებელი იყო მშრომელთა სოციალრი უფლბების დეკლარირება, ამავე დროს, ფაქტობრივად ფორმალურ ხასიათს ატარებდა პოლიტიკური უფლებების კონსტიტუციური დაფიქსირება, რადგან იქვე იყო აღნიშნული, რომ ,,ანტისაბჭოური“ და ,,ანტისახალხო“ ,,სოციალიზმის ინტერესების“ საწინააღმდეგო მოქმედება არ დაიშვებოდა და ამაში ბრალდებულები დაისჯებოდნენ. ის პირნი რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას ხალხის მტრებად ცხადდებოდნენ. [**მაცაბერიძე,2019:173**].

მოცემული საარქივო მონაცემის მიხედვით, ხალხის მტრებს ეძებდნენ კომკავშირის რიგებშიც, ხალხის მტრების რიცხვი ბათუმის წამყვან საწარმოებში მათი აზრით შეადენდა დასაქმებული ხალხის 35%. მაგალითად, ბონის ქარხნის სტახანოველი მუშაკი აპოლონ გეგუჩაძე ჩაითვალა მემარჯვენედ. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ხალხის მტრების ერთ-ერთ ძირითად მიზანს კომკავშირში პოლიტ-საგანმანათლებლო საქმიანობის მოშლა წარმოადგენდა. ყრილობამ საგანგებო ყურადღება გაამახვილა და აღნიშნა, კომკავშირის ბათუმის ორგანიზაციების გარკვეული ნაწილის ცუდად მუშაობის შესახებ, მაგ. აჭარკოოპკავშირის ორგანიზაციაში პროპაგანდისტი ილია სარიშვილის მეცადინეობაზე იშვიათად,

მოუმზადებლად გამოცხადება ჩაითვალა სერიოზულ, კომკავშირელისთვის და ამ უჯრედისთვის მიუღებელ ქმედებად. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო ამ მხრივ ა.ც.პ. ტრესტის კომკავშირულ ორგანიზაციაში. კომკავშირის მდივან ვარლამ სურმავას არ სცოდნია საკუთარი წევრები, სწორედ ამ ფაქტის გამო ჩაიშალა 5 გეგმიური მეცადინეობა.[**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.1.საქმ.N108:9**]. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების ბიუროებმა 1937-1938 წლებში არაერთხელ განიხილეს საკითხი ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოებში კონტრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის შესახებ. ხელისუფლების ოფიციალური ცნობით კონტრევოლუციურ-ტროცკისტულ, დივერსიულ-მავნებლურ საქმიანობას ადგილი ჰქონდა ნავთობგადამამუშავებელ, ნავთობ პროდუქტების გადასატვირთავ, მანქანათსაშენ და სხვა საწარმოებში. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ყველაზე მსხვილი საწარმო იყო აჭარაში, 1935-1937 წლებში ამ ქარხანაზე მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის საერთო სამრეწველო პროდუქციის 81,7-84,4%. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე (1937 წლის აპრილი) აღინიშნა, რომ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში კონტრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმიანობას ეწეოდნენ დირექტორი გინზბურგი, მისი მეუღლე და საამქროების ხელმძღვანელთა უმრავლესობა.[**არხეიონი,2018:4**].

1937 წლის 26 აგვისტოდან 30 აგვსტოს ჩათვლით პერიოდში ჩატარდა საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის აჭაროლქკომის მე-16 კონფერენცია. პირველი სხდომა გაიმართა ბათუმში წითელი არმიისა და ფლოტის სახლში. კონფერენცია სიტყვით გახსნა აჭაროლქკომის მდივანმა ვ.ფოფხაძემ. კონფერენციამ განიხილა რა გასული პერიოდის მუშაობა, განსაკუთრებით აღნიშნა ხარვეზები ორგანიზაციის პირველადი უჯრედების მუშაობაში. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცუდად მომუშავე პირველად ორგანიზაციად-უჯრედად ჩაითვალა ბათუმის გინეკოლოგიური საავადმყოფოს კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა, რომლის ხელმძღვანელ ენუქიძეს თურმე 3 თვე არ ჩაუტარებია ლექციები პარტიული განათლების საკითხებზე. [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.368:16**]. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცნობითაც ადვილი წარმოსადგენია თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ კომუნისტები ბოლშევიკურ მუშაობას სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებსა და

დაწესებულებებში. წარმოიდგინეთ მეან გინეკოლოგი, რომელიც კლინიკაში მუშაობისას დაკავებულია ლენინიზმის საკითხებზე ლექციების კითხვით. ყრილობაზე აჭარის კომკავშირულ ორგანიზაციების აქილევსის ქუსლად დასახელდა მათი არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ანტირელიგიური მიმართულებით. საქართველოს კომკავშირის აჭარის ორგანიზაციის ყველაზე ჩამორჩენილი უბნად მიჩნეულ იქნა ანტირელიგიური საქმიანობა. იქვე აღიარეს, რომ ბევრი კომკავშირელი აქტივისტი, პირველ რიგში კი რაიკომის თანამშრომლები გარკვეული შიშის გამო საერთოდ არ ეწეოდნენ ახლაგაზრდებს შორის გეგმაზომიერ ანტირელიგიურ პროპაგანდას. რითიც თითქოს სარგებლობენ ხოჯები, მოლები და მათი მხარდამჭერი კლასობრივი ელემენტები.[**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.368:23**].

ამ პერიოდში გარიცხეს კავშირის რიგებიდან ხალხის მტრებად შერაცხულები: ოსმან ვანაძე, ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური საქმიანობა. დიდაჭარის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ გამოვლენილ **ე.წ. ხალხის მტერთა სიაში აღმოჩნდა ყადირ ხოზრევანიძეც, რომელიც თითქოს არტელების საქმიანობის საწინააღმდეგო მოქმედებას ეწეოდა.** კავშირდან გაირიცხა ასევე ხალხის მტრობაში დადანაშაულებული მიხეილ მჟავია, აჭარგანსახკომის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ. იგივე ხვედრი გაიზია ლეონიდე სიხარულიძემაც, გაირიცხა კავშირიდან და დააპატიმრეს კიდეც, ხალხის მტრებთან კავშირის გამო გარიცხეს კავშირიდან დანდალოს ტერიტორიული ორგანოს მდივანი ქაზიმ ბერიძეც, შეირისხა და კავშირიდან გაირიცხა **ბონის** (ბათუმის გარეუბანი, ქარხნის დასახელების აბრევიატურაა) კომკავშირული ორგანიზაციის **წევრი კოლომოიცევი. [ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.368:55].**

სტალინის მითითება მტრული კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, რომლებიც მხარს უჭერდნენ და ასაზრდოებდნენ მემარჯვენე ოპორტუნისტებსა და ხალხის მტრებს არ უნდა დაევიწყებინათ. საოლქო კომიტეტის კონფერენციაზე თვითკრიტიკის ჭრილში აღინიშნა გარკვეული კომკავშირული ორგანიზაციების მხრიდან რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების შესახებ და ეს ამბავი ბუნებრივია მიუღებელი იყო პარტიისთვის, ამიტომ მათ მოუწოდეს, კიდევ უფრო მეტი ენერგიულობით ჩაბმულიყვნენ საბჭოების მტრების გამოვლენის საქმეში. **დაპატიმრებულთა და კომკავშირული ორგანიზაციის წევრობიდან გარიცხულთა სიაში**

იყვნენ ასევე: სოფ.ღორჯომში ადგილობრივი კომკავშირული უჯრედის მდივანი მემედ ჯორბენაძე, რომელიც შინსახკომის მიერ იქნა დაპატიმრებული. სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა **ინჟინერი აკაკი კალანდაძე,** რომელიც ხშირად გამოდიოდა კრებებზე კომიტეტის კრიტიკით. შეატყვეს, რომ იგი არადამაჯერებლად აკრიტიკებდა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობას. რის შემდეგაც თავად შეამოწმეს და დაბრალდა კონტრევოლუციონერ-ტროცკისტობა. [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.368:63,64,65**] კრიტიკულად შენიშნავდნენ, რომ ზოგიერთ აქტივისტს და კომკავშირელს არ ყოფნიდა უნარი რათა გამოევლინა ხალხის მტრები,,...ჩვენ ვაკრიტიკებდით ბონისა და ბნქ (ბათუმის გარეუბნები, აღნიშნავდა ქარხნების სახელწოდებას) კომკავშირული ორგანიზაიების საქმიანობას ხალხის მტრების გამოვლენის საქმეში სუსტი მუშაობის გამო, ბონის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ.ვალოვი ხალხის მტრებს ეძებდა ყველგან, ოღონდა ვერ ამჩნევდა მათ თავის კოლექტივში..."[**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.368:66**]. სარევიზიო კომისიის წევრების მიერ წარდგენილ მოხსებაში აქცენტი კეთდებოდა ოლქკომის აპარატის სანდო კადრებით დაკომპლექტების და არასანდო ელემენტებისაგან გაწმენდის აუცილებლობაზე. არასანდო პერსონებად ითვლებოდნენ ე.წ. მოლაყბეები. ,,...ჩვენი ვალია კადრების ძირშივე შესწავლა და ისინი შემდეგ უნდა იქნან წამოყენებული შესაფერის სამუშაოზე..." [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.368:86**]. მე-16 საოლქო კონფერენციის რეზოლუცია გამოირჩეოდა უკიდურესი თვითკრიტიკით, არადამაკმაყოფილებლად შეფასდა ახალგაზრდებში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა, ასევე ქალთა საკითხზე კომკავშირული პირველადი ორგანიზაციების მიერ არასათანადო ყურადღების გამახვილება ჩაითვალა დიდ ხარვეზად. უკიდურეს აღშფოთებას იწვევდა კომკავშირული ორგანიზაციების მიერ პასიური ანტირელიგიური საქმიანობა. უკიდურესად აღმაშფოთებლად ითვლებოდა აჭარის კომკავშირული ორგანიზაციების მხრიდან ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების დარღვევა. ,,...არასაკმაო რევოლუციური სიფხიზლის და პოლიტიკური სიბეცის გამო კომკავშირის ორგანიზაციის ზოგიერთ რგოლებში მოტყუების გზით იყვნენ შეპარული მტრული ელემენტები...ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მე-16 კონფერენცია ავალებს კომკავშირის საოლქო კომიტეტს განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: კადრების პოლიტიკური აღზრდა, პროპაგანდისტული მუშაობის

გაძლიერება, პოლიტ.სკოლის ყველა პროპაგანდისტის გადახალისება, ახალი პროპაგანდისტთა კადრების მომზადება. დავალება ასევე მდგომარეობდა, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობიდან მიმდინარე წლის განმავლობაში არანაკლებ 50 პროპაგანდისტის მომზადებაში,,....აჭარის საბჭოთა ახალგაზრდების სახელით კონფერენცია მოითხოვს საბჭოთა სასამართლო ორგანოებიდან რათა ხალხის მტრების მიმართ გამოყენებული იქნეს **სოციალური სასჯელის** უმაღლესი ზომა დახვრეტა...“ [**ასსცსა ფ.პ-9.აღწ.9.საქმ.N.368:98**].

1937 წლის 10 აგვისტოს შედგა კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომკავშირის მე-2 კონფერენციის პირველი სხდომა. კონფერენცია სრულიად ეთანხმებოდა და იწონებდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს. თვითკრიტიკის სტილში ჩატარდა საქართველოს კომკავშირის ბათუმის პირველადი ორგანიზაციების კრებები. ამ კრებებზეც აქტიურად ილაშქრებდნენ ყოველგვარი მავნებლური გამოვლინებების წინააღმდეგ კომკავშირის რიგებში. ,,...ჩვენს ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა იდიოტური ავადმყოფობა პოლიტიკური თვითკმაყოფილება, რომელის შესახებაც საუბრობდა სტალინი პარტიის თებერვლის პლენუმზე...“ [**ასსცსაფ.პ-5.აღწ.1.საქმ.N1:61**].

კომკავშირის ბათუმის საქალაქო კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეხებოდა ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას. ასე მაგალითად ქალაქკომმა მიზნად დაისახა კადრების სწორად შერჩევა, რევოლუციური სიფხიზლის გააქტიურება ხალხის მტრების გამოვლენის საქმეში. ასევე მათ მიერ დასახულ ამოცანათგან ერთ-ერთი იყო ახალგაზრდების სამხედრო-ტექნიკური აღზრდა. დირექტივა მდგომარეობდა შემდეგში: სასწრაფოდ შექმნილიყო პირველად ორგანიზაციებში პოლიტსკოლები, რომლებშიც ისწავლებოდა ბოლშევიზმის ისტორია და ა.შ. მოგეხსენებათ, პოლიტგანათლების საკითხი ერთ-ერთი წამყვანი განსახილველი საკითხი იყო სხავადასხვა ტიპის პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე. შესაბამისად კომკავშირის საქალაქო კონფერენციამაც ამ მიმართულებით გაამახვილა ყურადღება და პროპაგანდისტების მომზადების საქმეში თავისი როლის ამაღლება მოითხოვა. ქალაქკომიც არ იქნებოდა ორიგინალური და ისიც საკმაოდ თვითქრიტიკულობით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით მაშინ, რცა აღნიშნავდა ქალაქში პოლიტსაგანმანათლებლო საქმიანობის სისუსტეს. ახალგაზრდობის ნაკლებ

ყურადღებას ამ მიმართულებით. ეს ფაქტორები მათი აზრით მეტყველებდა ქალაქკომის ცუდ მუშაობაზე. ,,...კარგ მუშაკებთან და პროპაგანდისტებთან ერთად ჩვენ გვყავს ზარმაცები, რომლებიც უგუვებელყოფენ და არ ცნობენ ახალგაზრდობის პოლიტ.განათლების მნიშვნელობას, ესენია ანდრიაძე,ფოცხიშვილი, ამათი საქმე გადაეცა ოლქკომს...“ [**ასსცსაფ.პ-5.აღწ.1.საქმ.N1:75**].

კონტრრევოლუციონერების გამოვლენის საკითხში, ცხადია ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციას თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. მათ მიერ ჩატარებული კადრების შემოწმებისა და შესწავლის შედეგად გამოვლენილ იქნა ე.წ. კონსტრევოლუციონერ-ტროცკისტები და მავნებლები როგორებიც თითქოს იყვნენ: აკაკი იაკობის ძე დვალი, სათევზო-სამეცნიერო მეურნეობის უჯრედის წევრი, კომკავშირის წევრი 1927 წლიდან, დაბადებული 1911 წელს. ბრალდება მდგომარეობდა იმაშიც, რომ 1937 წელს იგი მონაწილეობდა ე.წ. ქეიფში სადაც თითქოს თანამეინახეები წარმოთქვამდნენ მუსოლინისა და ჰიტლერის სადღეგრძელოებს. ოპერატიული მონაცემების თანახმად, ა.ი. დვალი მონაწილეობდა რა ამ ღონისძიებაში არათუ ხელს არ უშლიდა, არამედ თვითონაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საღამოში. იგი შინსახკომის მიერ იქნა დაპატიმრებული და ასევე გაირიცხა კომკავშირული ორგანიზაციის წევრობიდან. ბრელიძე (თუ ბროლაძე) მიხეილ საჩინოს ძე-აჭარკოოპკავშირის კომკავშირული უჯრედის წევრი, მასაც ბრალად ედებოდა ხალხის მტრებთან კავშირი, ანტისაბჭოთა ელემენტების თაობაზე ორგანოებისადმი შეუტყობინებლობა და ა.შ. ასევე ჩკ-ს მიერ იქნა დაპატიმრებული მ. გაბუნია. იგივე ხვედრი გაიზიარა მოსე მიხეილის ძე მჟავიამ. მის მიმართ ბრალდების ერთ ერთო შემადგენელი ეპიზოდი იყო ის რომ იგი ეხმარებოდა თავის დაპატიმრებულ ძმას. ,,..შალვა ალექსანდრეს ძე ფურცხვანიძე-კომკავშირის წევრი 1923 წლიდან. მუშაობდა რა საქართველოს კომკავშირის ცკ-ს წარმომადგენლად გაზეთ ,,კომუნისტში“ თითქოს დიდი ხნის განმავლობაში არასწორ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს. ,,..ამ ,,კორესპოდენტმა“ განზრახ აურია გვარები ტროცკისტების სიაში სტატიაშიო და შეაქო ისინი, მაგალითად ხოზრევანიძე, ბუკია, სალუქვაძე და სხვ....“[**ასსცსა,ფ.პ-5.აღწ.1.საქმ.N1:102-103**].

სამხედრო რიგებიდან და კომკავშირიდანა იქნა გარიცხული გრიგოლ ხარიტონის ძე კობალაძე. არაერთმა ადამიანმა გაიზიარა მსგავსი ხვედრი. ჩვენს მიერ წარმოდგენილ შესაბამის საარქივო საქმეებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი

ჩამონათვალია სხვადასხვა სახით დასჯილი ადამიანებისა, რომელთა ანალიზიც წარმოდგენილია კვლევაში. ,,...ამხანაგებო, სამომავლოდ აუცილებლად საჭიროა, რათა ზედმიწევნით შევისწავლოთ თითოეული კანდიდატი...ჩვენ ბევრი გვილაპარაკია სიფხიზლეზე და ხალხის მტრებს ვეძებთ ყველგან, მაგრამ ვერ ვამჩნევთ ჩვენ ცხვირწინ გაშლილ ანტისაბჭოთა საუბრებს, თურმე ადამიანები იხრწნებიან და ასეთ ადამიანებს იყენებენ ჯაშუშებად...ჩვენ ვიცით, რომ კომკავშირს აქვს დიდი როლი ახალგაზრდობის სამხედრო ტექნიკის ათვისების საქმეში...საქალაქო ორგანიზაცია ყურადღებით უნდა სწავლობდეს წვევამდელთა საქმეებს,წვევამდელთა კონტიგენტი კარგად უნდა მოვამზადოთ. ქალაქკომმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა არმიაში მივიღოთ კარგი კონტიგენტი. კონფერენციამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები და სამხედრო საშეფო საქმიანობა გამოცოცხლდეს...“[**ასსცსა, ფ.პ-5.აღწ.1.საქმ.N1:109-110**].

1938 წლის 5 იანვარს გაიხსნა საქართველოს კომკავშირის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის მე-3 კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ.სანიკიძემ. კონფერენცია გაიხსნა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ანგარიშების მოსმენით. მათ შორის იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის შესახებ ანგარიში. ამ ორგანიზაციის საქმიანობა შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, ვინაიდან არ წარმოებდა კომკავშირის წევრებზე გაცემული დავალებების შემოწმება. ორგანიზაციის მდივანი იყო სულავა. იქვე აღინიშნა ისიც, ,,...რომ ისტორიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი ჯგუფორგი მამალაძე თურმე სუსტად მუშაობდა. ინსტიტუტში ყოფილა 21 პროპაგანდისტი, კომიტეტში კი ირიცხებოდა 4 მკვდარი სული...“ [**ასსცსა ფ.პ-5.აღწ.1.საქმ.N14:42-43**].

არადამაკმაყოფილებლად შეფასდა ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რ.ხინიკაძე. კრიტიკის ობიექტი გახდა ბათუმის საფინანსო ეკონომიკური ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა, ხელმძღვანელი ს.ხაზარაძე. მას ხარვეზად ჩაუთვალეს პოლიტ.სკოლების არასათანადო მუშაობა, ეს კი სერიოზულ დარღვევად ითვლებოდა. ,,...პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, პროპაგანდისტმა ბილიხოძემ 16/10 1938 წ. ჩაშალა პარტისტორიის სწავლების გაკვეთილი

პოლიტსკოლაში. კომკავშირელ გ.გოგუაძეს დაკარგული აქვს კომკავშირული ბილეთი. ...ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციაში, (მდივანი შ.დევაძე), სუსტია პოლიტ.აღმზრდელობით მუშაობა. ...“[**აცსა,ფ.პ-5.აღწ.1.საქმ.N14:45-47**]. ამრიგად, წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა კომკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობის ისტორია XX საუკუნის 30-იან წლებში.

&.4 წითელი ჯვრისა და თავდაცვა-ავიაქიმიის საზოგადოებები

საერთაშორისო წითელი ჯვარი -არასამთავრობო საერთაშორისო, დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების დროს მასში მონაწილე მხარეებს შორის ნეიტრალურ შუამავლად გამოდის. ორგანიზაცია აერთიანებს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნულ საზოგადოებებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, რომელიც 1863 წელს ჩამოყალიბდა ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე და 1919 წელს ჩამოყალიბებულ წითელი ჯვრის ფედერაციას. სწჯ-ს მხოლოდ ჰუმანიტარული მისია აკისრია, რომელიც გულისხმობს ომისა და ქვეყნის შინააშლილობის მსხვერპლთა სიცოცხლისა და ღირსების დაცვას და მათთვის დახმარების გაწევას. კომიტეტი ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს წითელი ჯვრის მოძრაობას, საერთაშორისო ჰუმანიტარულ საქმიანობას შეიარაღებული კონფლიქტების დროს; იგი ცდილობს, ადამიანებს ააცილოს ტანჯვა ჰუმანიტარული სამართლისა და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიტარული პრინციპების განტკიცებით, ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებათა შეზღუდვით ან აკრძალვით და ყოველივე ამის შესახებ ცოდნის გავრცელებით. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტი და ეროვნული საზოგადოებები წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციასთან ერთად აყალიბებენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც ასევე ,,სწჯ-ს“ უწოდებენ. [**საერთაშორისო წითელი ჯვარი**].

წითელი ჯვრის საზოგადოების აჭარის საოლქო კომიტეტი ჩამოყალიბდა 1923 წლის 3 მაისს, როგორც წითელი ჯვრის დროებითი ადგილობრივი კომიტეტი. 16 ივნისს აჭარისტანის წითელი ჯვრის კომიტეტის სხდომაზე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი აჭარის წითელი ჯვრის კომიტეტის სახელის შეცვლა და ეწოდა საქართველოს წითელი ჯვრის აჭარისტანის წითელი მთვარის კომიტეტი, რომელიც იწოდებოდა 1940 წლამდე. 1941 წლიდან 1945 წლამდე ეწოდებოდა წითელი ნახევარმთვარის კომიტეტი, 1945 წლიდან 1951 წლამდე ეწოდებოდა აჭარის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საოლქო კომიტეტი.[**მეგზური,2003:229**]. ,,...სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: 1. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების სახელწოდება ,,საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება“ შეიცვალოს ასე: ,,სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოება“. 2. უფლება მიეცეს სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოებას სახმარებელ ემბლემად გამოიყენოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის ნიშანი თეთრ არეზე.“ (ცაკის თავჯდომარე-ფ.მახარაძე; სახკომსაბჭოს ლ.ქართველიშვილი; ცაკის აღმასკომის მდივანი შ.მათიკაშვილი). [**კანონთა და განკარგულებათაკრებული,1928:4**].

საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1929 წლის 5 ოქტომბერს მიიღო დადგენილება N 268, რომლითაც საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას ნება დაერთო მოეწყო ე.წ. სამდღიური, რომლის ფარგლებშიც მათ შეეძლოთ მოეზიდათ ფინანსური სახსრები შემოწირულობის სახით. გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებში ყულაბების ჩადგმა, ასევე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაცია გამართავდა ლექცია სემინარებს საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების შესახებ და ამ მიზნით გამოიყენებდა შესაბამისი სახელმწიფო თუ კოოპერაციული დაწესებულებების შენობებსა და აუდიტორიებს. სამდღიურის ფარგლებში ცაკი ამავე დადგენილებით ავალებდა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს, რათა სამი დღის განმავლობაში ნებისმიერი გასართობი დაწესებულების მიერ რეალიზებული ბილეთის ფასისის 10%

მიმართულიყო ორგანიზაციის ანგარიშზე.[კანონთა და განკარგულებათა კრებული,1929:23]. აცნობდა რა წითელი ჯვრის დანიშნულებასა და ამოცანებს მოსახლეობას საბჭოთა მთავრობა, პროპაგანდისტულ სტილში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საბჭოეთში აღარ არსებობდა ის პირობები, რის გამოც შეიქმნა ეს ორგანიზაცია. თუმცა იქვე აღნიშნავდა, რომ წითელ ჯვარს ჯერ კიდევ უამრავი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი და უპირველესად ეს იყო მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენურ-სამედიცინო მდგომარეობა. სწორედ ამ სფეროში ხედავდა საბჭოთა კავშირი წითელი ჯვრის შემდგომ გამოყენებასა და მთავარ როლს.

1926 წლისათვის აჭარაში ორგანიზაციას გააჩნდა 5 საექიმო პუნქტი და იმ დროისთვის ახლად მოწყობილი სამალარიო სადგური ქობულეთში. მალარია იყო ძალზედ მძიმე სენი ორმელიც საქართველოს საკმაოდ მრავალ რეგიონში იყო გავრცელებული. სამდღიურების მოწყობა და მატერიალური სახსრების მოზიდვა წითელი ჯვრის შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან აპრობირებული მეთოდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ბიუჯეტი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, როგოც ჩანს თანხები საკმარისი მაინც არ იყო. ამიტომ მართავდნენ ე.წ. სამდღიურებს. ,,...საქართველოს წითელი ჯვრის კომიტეტს სამკურნალო დაწესებულებებისთვის 1926 წლისთვის ხარჯთაბრიცხვაში შეტანილი აქვს 201.338 მანეთი. მაგრამ ყველა ეს ჯერ მხოლოდ ერთი წვეთია იმისა რაც გასაკეთებელია...ყველა ამას ისეთი დიდი თანხები უნდა, რომ ჩვენი წითელი ჯვარი მარტო თავისი საკუთარი საშუალებებით ამას ვერას დროს ვერ მოაწყობს. ამიტომ იმართება ...საქართველოს წითელი ჯვრის სამდღიური იმ იმედით, რომ ჩვენი ხალხი დააფასებს ...წითელი ჯვრის ...უანგარო მოღვაწეობას და თავის წვლილს გაიღებს...“[გაზ.კომუნისტი,1926:გვ.3]. ფინანსების მოძიება მნიშვნელოვანი საკითხი იყო, ამავდროულად საპრობლემო და რიგ შემთხვევაში მოუწესრიგებელი იყო საწევრო გადასახადის შეგროვებისა და გადახდევინების წესი. ეს დასტურდება, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ წყაროებში არსებული ჩანაწერებით, ასევე საარქივო დოკუმენტაციითაც. ასე მაგალითად მოპოვებული საარქივო მასალით ირკვევა, რომ 1930 წლისათვისაც კი იგივე ტიპის პრობლემა იდგა საზოგადოების წინაშე. შესაბამის სექციებს ევალებოდა თვალყურის დევნება რამდენად იზრდებოდა ორგანიზაციის წევრების რიცხვი, მათი სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ასევე სექციის

ხელმძღვანელებს ყურადღება უნდა მიექციათ თუ როგორ ხდებოდა საწევრო გადასახადების გადახდევინება, იცავდნენ თუ არა დადგენილ ნიხრებს გლეხობაზე, წითელ არმიელებზე, მუშა- მოსამსახურეებზე და მოწაფეებზე. შემოსული თანხები თანხვედრაში იყო თუ არა წევრთა საერთო რიცხვთან შესაბამისი ნიხრის გათვალისწინებით.[**ასსცსა ფ. რ-329,აღწ.1.საქმ.N28:4**]. წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების იდეების პოპულარიზაციისა და მის საქმიანობაში საზოგადოების წევრთა აქტიურად ჩაბმის მიზნით საზოგადოების ყველა ორგანიზაციაში არსდებოდა სექციები. სექცია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ორგანოს, არამედ იგი იყო დამხმარე სტრუქტურული განაყოფი. არსდებოდა სამი სექცია: საორგანიზაციო, საექიმო სასანიტარო და სამეურნეო-საფინანსო სექციები. საექიმო სექცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამხედრო-სანიტარული, პირველადი დამხმარე წრეების შექმნასა და მუშაობაზე. მათ ევალებოდა საექიმო და საფერშლო პუნქტების გამოკვლევა. მიზნობრივი ჯგუფებისათვის (უღარიბესი მოსახლეობისადმი) გასაცემი უფასო მედიკამენტებით მომარაგების საკითხის კონტროლი. სექციებს უნდა შეემოწმებინა თუ როგორ მიმდინარეობდა სანრაზმის მეცადინეობები და სხვ. [**ასსცსა,ფ.რ-329,აღწ.1.საქმ.N28:5-10**].

სექციები საექიმო პუნქტების გახსნის ორგანიზატორები იყვნენ აჭარის სხვადასხვა რაიონში, მათ შორის ხულოს რაიონში. სამედიცინო პუნქტებში მომუშავე ექიმის და დამხმარე პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფა ხდებოდა მოსახლეობის დაბეგვრის წესიდან(თვითდაბეგვრა) გამომდინარე. რიგ სექციებში და მათ შორის საექიმო სასანიტარო სექციის მუშაობაშიც ხარვეზები ფიქსირდებოდა. ,,ვინაიდან დღიდან თქვენი არჩევისა დრემდე საექიმო სექციაში არავითარი მუშაობა არ ჩაგიტარებიათ, ამიტომ აჭარისტანის წითელი მთვარის კომიტეტი გაცნობებთ, რათა იქმნეს გამოცოცხლებული თქვენი სექციის ბიუროს მუშაობა...“ მიმართვა ეხებოდა საექიმო სექციის ბიუროს თვაჯდომარეს ილიკო იორაშვილს.[ასსცსა ფ. რ-329,აღწ.1.საქმ.N28 20]. მალარიასთან და ყვავილთან ამ, ინფექციურ დაავადებასთან ბრძოლა უმწვავესი პრობლემა იყო საქართველოში იმ პერიოდისათვის. 1930 წლის საანგარიშო პერიოდისათვის აჭარის მაშტაბით წითელი ჯვრის შესაბამისი სექციის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად ყვავილზე აიცრა 279 ბავშვი, რაც ბუნებრივია არაა მაღალი მაჩვენებელი. ,,...უმთავრესი ჩვენი ყურადღება როგორც წარსულში

მიქცეულია მოსახლეობის გამანადგურებელ სენზე მალარიაზე. მალარიასთან ბრძოლაში ჩვენ ჩვენი სამალიარო სადგურის საშუალებით ვღებულობთ ყოველივე ზოებს, როგორც თვით ქობულეთში ისე მის რაიონებში. მიმდინარეობს ხეობის კარ და კარ გამოკვლევა, მოსახლეობის ქინიზაცია და მალარიით დაავადებულთა მკურნალობა...“[**ასსცსა,ფ.რ-329.აღწ.1.საქმ.N33:2-3**]. მთავარ პრობლემად კვლავ რჩებოდა სექციური მუშაობის სისუტე, რიგ შემთხვევებში წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის პირველადი უჯრედები არსებობდნენ ფორმალურად. საანგარიშო პერიოდში საექიმო პუნქტების მიერ მომსახურება გაეწია 26.369 ადამიანს,საიდანაც მალარიით დაავადებული იყო 3857 ადამიანი. ბინაზე მომსახურება გაეწია 527 ადამიანს. საექიმო პუნქტები ეწყობოდა დადგენილი საერთო სტანდარტით, ისევე , როგორიც იყო ანალოგიური პუნქტები თბილისში. [ასსცსა ფ.რ-329.აღწ.1.საქმ.N33:2-3].

ქობულეთის რაიონისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტროპიკული სადგურის ფუნქციონირებას. 1931 წლის 12 ივლისამდე პერიოდში ჯამში სადგურის მიერ, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზებით მომსახურება გაეწია 269 ადამიანს. დაიგეგმა მდ.კინტრიშის ნაპირას ახალ შენობაში ახალი საექიმო პუნქტის მოწყობა, ვინაიდან ძველი პუნქტი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებს. სოფ.მუხაესტატეს სამედიცინო პუნქტს ემსახურებოდა ერთი ფელდშერი, რაც იყო უაღრესად პრობლემური. ამას თავად ხედავდნენ და ხვდებოდნენ კიდეც ორგანიზაციაში. ,,...ჩვენდა სამწუხაროდ, გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ვერ ხერხდება ის, რომ ყველა პუნქტს ხელმძღვანელობდეს ექიმი. საანგარიშო პერიოდში ჩვენთან მუშაობდა 6 ექიმი, 6 ფელდშერი, 4 ბებია ქალი და 8 სანიტარი.სამედიცინო მომსახურება წარმოებს სრულად უფასოდ გლეხების პირველივე მოთხოვნისთანავე...“[**ასსცსა ფ. რ-329, აღწ.1. საქმ.N37:1-3**]. 1931/1932 წლებში მალარიასთან ერთად წამოიწია კუჭნაწლავურმა ავადმყოფობებმა რაიონში. [ასსცსა ფ. რ-329, აღწ.1. საქმ.N37:3-4]. საერთო ჯამში ქობულეთის ტროპიკული სადგურის მიერ გამოკვლეულ იქნა 10,604 ადამიანი. 1934 წლისათვის ორგანიზაციას აჭარაში გააჩნდა აჭარისწყლის საავადმყოფო, 3 საექიმო პუნქტი შუახევში, მუხაესტატესა და მარადიდში, ერთი ტროპ.სადგური ქობულეთში, საექიმო პუნქტიც ქალაქში საკოლმეურნეო ბაზარში, ქალაქშივე ერთი ამცრელი ჯგუფი, ერთი საფელდშერო პუნქტი ხულოს რაიონში მემთეურებისთვის და 4-ი მედ.ბრიგადა

ზაფხულის პერიოდში. [ასსცსა ფ. რ-329, აღწ.1. საქმ.N37:10]. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის აჭარის კომიტეტი ისევე როგორც ცენტრალური ორგანიზაცია ექვემდებარებოდა სამთავრობო და პარტიულ კონტროლს. 1932 წლის დეკემბერში გამოიცა აჭარის ცაკის დადგენილება, რომელიც ეხებოდა მიმდინარე წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობას. შეაფასეს რა აღნიშნული დაადგინეს: დადებითად შეფასდა ორგანიზაციის წევრების რიცხოვნობის ზრდა და ეს ჩაითვალა კარგ მასობრივ მუშაობად, პროპაგანდის წარმოების საქმეში დადებითი შეფასება დაიმსახურა წითელმა ჯვარმა. დადებითად შეფასდა ორგანიზაციის მიერ კოლმეურნეობებსა და არმიის ნაწილებში წითელი კუთხეების გახსნა. ქობულეთისა და მუხაესტატეს საექიმო პუნქტების კაპიტალური შეკეთება და ა.შ. ამასთან ერთად აჭარის ცაკის მიერ ყურადღება გამახვილდა დეფექტებზეც: „...სოც.შეჯიბრის და დამკვრელობის შედეგების შეუჯამებლობა. სექციების უმოქმედობა, აჭარისწყლის საავადმყოფოს დაუმთავრებლობა, ექიმებისა და საშუალო მედ.პერსონალის ნაკლოვანება.[**ასსცსა ფ.რ-329, აღწ.1.საქმ.N40:2**].

აჯამებდა რა წითელი ნახევარმთვარის მუშაობის შედეგებს 1932 წლის განმავლობაში, კომიტეტის თავჯდომარე (სურმანიძე) მიღწეულ რიგ წარმატებებთან ერთად ყურადღებას ამახვილებდა იმ ხარვეზებზე, რომლებიც გააჩნდა კომიტეტს მოცემული პერიოდისათვის. „...კომიტეტმა ვერ გაშალა მუშაობა წითელ ჯარში და პიონერ ორგანიზაციაში. ქონდა ადგილი ბოროტმოქმედებებს-საგამომცემლო განყოფილებაში, სადაც გაფლანგულ იქნა რამოდენიმე ასი ათასი მანეთი, რისთვისაც იქნა მიღებული სასწრაფო ზომები და ბოროტმოქმედნი მიცემულნი არიან პასუხისგებაში. აგრეთვე ადგილი ქონდა მეორე გაფლანგვას, აფთიაქის მაღაზია N1 გამგის მიერ, რაზედაც კომიტეტის მიერ თავის დროზე იქნა მიქცეული ყურადღება...“[ასსცსა ფ.რ-329, აღწ.1.საქმ.N40:13-14]. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქმიანობის სფეროში შედიოდა ასევე უპატრონო, მიუსაფარი ბავშვების ყოფაცხოვრების შემსუბუქება. ამ საქმისათვის კი ზოგადად აჭარცაკთან, ე.ი. აღამსრულებელ ხელისუფლებაში არსებობდა სპეციალური ბავშვთა კომიტეტი. წითელი ჯვარი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობდნენ წარმოებაში შეძლებისდაგვარად ჩაებათ მოზარდები. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ პროფკავშირების რომლზე ამ საკითხთან მიმართებაში, როგორ ირღვეოდა ბავშვთა

შრომითი უფლებები და ა.შ. აქ დავსძენთ იმას, რომ ვითარება საკმაოდ მძიმე იყო და მიუსაფარ,უპატრონო ბავშვთა რიცხვი კი საკმაოდ მაღალი. ,,...პირველ ხანებში საკითხი ისმებოდა მხოლოდ უპატრონო ბავშვების ფიზიკურად გადარჩენასა და რომ ყველა უპატრონო ბავშვი აყვანილი ყოფილიყო მზრუნველობაზე..."[**ასსცსა, ფ. რ-143,აღწ.1. საქმ.N4:109**]. მოწყობილ ბავშვთა სახლების ამოცანა ასევე მდგომარეობდა აღსაზრდელთათვის პროფესიის დაუფლებაში. ეწყობოდა სხვადასხვა ტიპის სექციები რომლებშიც ბავშვებს ასწავლიდნენ სხვადასხვა ტიპის პროფესიებს. [**ასსცსა, ფ.რ-143.აღწ.1.საქმ.N11:7**]. 1932 წელს მოწვეულ წითელი ჯვრის პირველ საკავშირო ყრილობაზე ყურადღება გამახვილდა სსრკ სანიტარულ-თავდაცვითი მდგომარეობის გაძლიერებაზე და ამ კუთხით მოსახლეობის განათლების ამაღლებაზე. [**ასსცსა ფ-რ-329.აღწ.1.საქმ.N54(ა)].**

ჩვენ ვისაუბრეთ ვაქცინაციის პროცესზე, რომელიც რეგიონში ხორციელდებოდა, ასევე შევეხეთ სხვადასხვა ტიპის სანიტარულ-სამედიციონო მოქმედებებს, რომლებსაც ახორციელებდნენ შესაბამისი სამსახურები. აჭარაში განხორციელებული მოქმედებები ამ მიმართულებით წარმოადგენდა უკუკავშირს და პასუხს მიღებულ დავალებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში პოლიტიკის განმსაზღვრელი იყო კომუნისტური პარტია. ნებისმიერი ორგანიზაცია, იქნებოდა ეს საჯარო თუ საზოგადოებრივ საწყისებზე აღმოცენებული, როგორიც იყო მაგ.წითელი ჯვარი, განუხრელად ახორციელებდა პარტიის მიერ მიღებულ დირექტივებს. პარტიის საზედამხედველო როლზე მეტყველებს აჭარის წითელი ნახევარმთვარის საოლქო კომიტეტის მე-5 პლენუმის დადგენილება. ,,...პლენუმი აღნიშნავს, რომ 1940 წლის მანძილზე აჭარის წ/ნახ.მთვარის საზოგადოებამ აჭარის პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით საოლქო და საქალაქო და რაიონული კომიტეტების აქტივის ენერგიული მიუშაობით მოიპოვა სათანადო მიღწევები 1940 წლის გეგმის შესრულების საქმეში..."[**ასსცსა ფ.რ-329 აღწ.1.საქმN57:3**]. მაგრამ იქვე აღინიშნა ის სერიოზული ხარვეზები, რომლებიც კვლავაც ახასიათებდა ორგანიზაციის საქმიანობას. კერძოდ კვლავ დაბალ საფეხურზე იდგა მოსახლეობის მასობრივი განათლება ფიტო-სანიტარული კუთხით. ასევე სრულად ვერ განხორციელდა მედდათა შესაბამისი კურსების მოწყობა. კვლავ ჰქონდა ადგილი თანხების გაფლანგვას. [ასსცსა ფ.რ-329 აღწ.1.საქმN57:3-4]. წარმოდგენილი საარქივო

მასალის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ შემდეგი: წითელი ჯვარი სრულიად მოკლებული იყო შესაძლებლობას ეწარმოებინა დამოუკიდებლი პოლიტიკა და პირდაპირ ექვემდებარებოდა პარტიულ დიქტატს. იგი გვევლინებოდა, როგორც რიგითი საბჭოური ორგანიზაცია თავისი პირველადი რგოლებითა და უზომოდ გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატითა და ფორმალურად არსებული ფილიალებით, ე.წ. პირველადი რგოლებით. თუმცა მიუხედავად იმ დიდი ზეგავლენისა, რომელსაც განიცდიდა ნებისმიერი საბჭოური ორგანიზაცია, წითელმა ჯვარმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა რეგიონის სამედიცინო, ფიტო-სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

თავდაცვა-ავიაქიმიის ხელშემწყობი საზოგადოების აჭარის ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1924 წელს. იგი ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, მოსახლეობაში ავრცელებდა სამხედრო ცოდნას, იღებდა შემოწირულობებს საჰაერო ფლოტის საჭიროებებისათვის. 1948 წლის იანვარში ორგანიზაცია გაიყო სამ საზოგადოებად: ,,დოსარმ“-ი, ,,დოსავ“-ი და ,,დოსფლოტ“-ად.“[მეგზური,2003:227]. ორგანიზაცია წარმოადგენდა ნახევრად გასამხედროებულ დაწესებულებას და იგი ეწეოდა პოლიტიკურად მდგრადი კადრების მობილიზებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მომხრეთა მობილიზებას. ორგანიზაცია თავის წევრებს ურიგებდა იარაღს. საჭიროების შემთხვევაში ოსავიაქიმიის წევრები მოიაზრებოდნენ, როგორც აქტიური რეზერვისტები, რომელთა გამოყენება შეიძლება მომხდარიყო პირდაპირი დანიშნულებისამებრ, ე.ი. საბრძოლო მოქმედებების დროს. აჭარის პროფკავშირულ ორგანიზაციას შეფობა ჰქონდა აღებული ,,ოსავიაქიმიაზე“ მათი ამოცანა ამ საქმეში იყო პოლიტიკურად მდგრადი კადრებით უზრუნველეყო აღნიშნული საზოგადოება. 1929 წლის N2 საიდუმლო ცირკულარით ოსავიაქიმიის აჭარის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ფოფხაძე და საიდუმლო მიმოწერის გამგე წილოსანი ორგანიზაციის პირველად უჯრედებს უგზავნიან დირექტივას, რომლის შესაბამისად ხელმძღვანელებს კადრების შერჩევისას გამოეჩინათ რევოლუციური სიფხიზლე და მეტი ყურადღება. ,,...საჭიროა და აუცილებელი მისცეთ თქვენ შემრჩევ კომისიას დირექტივა, რომ სავსებით ნათლად გამოაშკარავებული იქნეს თითოეული კანდიდატის მორალურ-პოლიტიკური სახე...“[**ასსცსა ფ.რ-283, აღწ.1.საქმ.N6:1**].

მოსახლეობის გასამხედროება დაიწყო 1928 წლიდან, შესაბამისი ორგანიზაციის უჯრედები ჩამოყალიბდნენ ასევე ქობულეთშიც. 8 უჯრედი ფუნქციონირებდა 1929 წლისათვის, რომლეშიც პრაქტიკული მუშაობა ბოლშევიკების აზრით მიმდინარეობდა სუსტად. ჩაქვის ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა ასევე სანიტრების რგოლი 25 ქალის შემადგენლობით. ქიმიურ ჯგუფში კი ჯამში გაწევრიანებული ყოფილა 60 წევრი. ხულოს მარტის ცნობილი შეიარაღებული გამოსვლების შემდეგ შეიცვალა დირექტივები და ორგანიზაცია ელოდებოდა პარტკომის სანქციებსა და მითითებებს. **,,ოსავიაქიმიის,, (ასე უწოდებდნენ ასევე თავდაცვა-ავიაქიმიის ორგანიზაციას)** მდივანი გორდელაძე ამ ინსტრუქციას უგზავნიდა პირველად რგოლებს. [ასსცსა ფ.რ-283, აღწ.1.საქმ.N6 :2].

1930 წლამდე სავალდებულო სამხედრო მომზადების კუთხით ერთ კაცზე გამოყოფილი ყოფილა ნაცვლად ადრე არსებული 30 ცალი ვაზნისა, 10 ვაზნის დარიგება. ეს რითი იყო გამოწვეული ძნელი დასადგენია, ვუშვებთ ვარაუდს, შესაძლოა მთელი კავშირის მაშტაბით მიმდინარეობდა რა მსგავსი მოქმედებები ალბათ საკმაო რაოდენობის მეტალი იხარჯებოდა, ამიტომ სავარაუდოთ ეკონომიის მიზნით პარტიამ მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც აჭარის რეგიონის ორგანიზაციისთვის ცნობილი გახდა 1930 წლის 8/1 N61/c საიდუმლო კორესპოდენციით. [ასსცსა ფ.რ-283, აღწ.1.საქმ.N6:8]. იმავე წლის 28 ივნისის საიდუმლო დირექტივით ,,ოსავიაქიმიის,, წევრებს მათ ხელთ არსებული შაშხანები უნდა მიეტანათ ქ.ბათუმში ინტერნაციონალის ქ.N25-ში სავალდებულო შემოწმების მიზნით და სათანადო ინსტრუქციის გაცემის შემდეგ დაუბრუნებდნენ მფლობელებს. იმავე წელს ორგანიზაციის თავჯდომარე ჩახვაძე და მდივანი გორდელაძე თხოვენ ამიერკავკასიის მსროლელთა პირველი პოლკის მეთაურს, რათა გამოყოს 1500 ცარიელი ვაზნა მოსახლეობის ტაქტიკური მომზადებისათვის. [ასსცსა ფ.რ-283, აღწ.1.საქმ.N6:14-15]. ორგანიზაციის ბალანსზე ათასობით შაშხანა ინახებოდა. გარდა პროფკავშირისა ,,ოსავიაქიმიაზე,, კონტროს ახორციელებდა კომკავშირული ორგანიზაციაც. [ასსცსა ფ.რ-283, აღწ.1.საქმ.N6:50]. 1931 წლის 16 ოქტომბრის N496c ცირკულარით ოსავიაქიმიის აჭარის მდივნის მოხსენებაში ხაზი გაესვა და აღინიშნა სამხედრო საჰაერო ძალების სპეციალისტების მომზადების საქმეში არსებულ ხარვეზების არსებობას, როგორიც იყო სპეციალური ლიტერატურისა და პროგრამის

არარსებობა.[ასსცსა ფ.რ-283, აღწ.1.საქმ.N6:59]. ასევე წარმოებდა თანამშრომლობა ოსავიაქიმიასა და აჭარის წითელიჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაციებს შორის. თანამშრომლობა ეხებოდა საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში სამედიცინო პუნქტების რაოდენობის საჭიროებების შესახებ. [ასსცსა ფ.რ-283, აღწ.1.საქმ.N6:61]. ოსავიაქიმიის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაზრდის აუცილებლობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას ამ ორგანიზაციის უფლებამოსილი პირები, როცა ჩატარდა 1933 წლის 22 არილს ორგანიზაციის და საჰაერო ძალების საერთო სხდომა.[**ასსცსა ფ.რ-283. აღწ.1.საქმ.N19.გვ.4**].

&.5 სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის კავშირები

საბჭოთა ხელისუფლების დროს ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკა არსებობდა. წარმოებისა და მომსახურების ძირითადი ფორმა იყო სახელმწიფო საკუთრება, მაგრამ ამავდროულად გამოიყენებოდა კოოპერაციის შესაძლებლობანი, როგორც წარმოების, ისე მომსახურების, მათ შორის ვაჭრობის სფეროში. აჭარაში ჯერ კიდევ 1924 წელს შეიქმნა სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირი. 1925 წელს-საბინაო მშენებლობის, ხოლო 1930 წელს-სარეწაო კავშირი. მათ შორის მსხვილი გაერთიანება იყო სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირი(აჭარკოოპკავშირი). იგი ათასობით მეპაიეს აერთიანებდა. მაგალითად 1928 წელს აჭარის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში 12876 წევრი ირიცხებოდა. კავშირს ქალაქად თუ სოფლად ჰქონდა ბაზები, საწყობები, მაღაზიები, ფარდულები და სხვა ობიექტები. საქონელბრუნვა 11 მლნ რუბლს შეადგენდა, რაც საერთო ვაჭრობის 23% შეადგენდა.[**აცსა,ფ.პ-1,ან.1,ს.767,ფურც.56-57**]

XX საუკუნის 30-იან წლებში, აჭარის სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირის ქსელი, მომსახურების მასშტაბი და საქონელბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1937 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით კავშირი 514 სავაჭრო ობიექტს ითვლიდა. მათ შორის: მაღაზია-385, ფარდული-129. საცალო საქონელბრუნვა ამ პერიოდისათვის 59 მლნ რუბლს აჭარბებდა. [**აცსა,ფ.რ-178, ან,1,ს.542,ფურც.5**]. რაც 1928 წლის მაჩვენებლებს 5-ჯერ აღემატებოდა, მაგრამ სოფლად სავაჭრო მომსახურება არადამაკმაყოფილებელი

იყო. ფართო მოხმარების საქონელი არ კმაროდა. ხშირი იყო ფასების თვითნებური კორექტირება, ზრდის ტენდენციით, რაც დიდ გადაცდომად ითვლებოდა. სამომხმარებლო კოოპერაციები და ამ მიზნით შექმნილი აჭარკოოპკავშირი უზრუნველყოფდა ვაჭრობის ორგანიზებას მეპაიების ძალებით და საშუალებებით. ამ მიზნით იქმნებოდა სასურსათო საქონლის საცალო ვაჭრობის ქსელი.[**მეგზური,2003:157**]. სწორედ აჭარკოოპკავშირი იყო ის ორგანო, რომელიც პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად პასუხისმგებელნი იყვნენ რეგიონის პრობლემების მოგვარებაში ამ მიმართულებით. აჭარკოოპკავშირის პრეზიდიუმი იყო მთავარი მმართველობითი რგოლი, რომელიც აღასრულებდა აჭარკოოპკავშირის ყოველდღიურ საქმიანობაზე კონტროლს. ამავდროულად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ორგანიზაციებში საკმაოდ მაღალი იყო გაფლანგვისა და კორუფციის ფაქტები. ქობულეთის სოფლის კოოპერატივიდან ბაზაში დაბრუნებული და ჩაწოლილი საქონლიდან გამოწვეული ზარალი ფასსხვაობით და საქონლის გაფუჭებით უდრიდა 32 814 მანეთსა და 54 კაპიკს. მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული საკითხი განეხილა პრეზიდიუმს, რათა გამონახულიყო სათანადო საშუალებები ქობულეთის სამომხმარებლო კოოპერატივს აშორებოდა აღნიშნული ზარალის საკუთარი დაგროვება-დანაკარგის ანგარიშიდან. [**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:37**].

დარღვევები, შესაბამისად არამიზნობრივი ხარჯები იჩენდა თავს ლოჯისტიკური მიმართულებით. ხელისუფლებას ეჭვები გააჩნდა კოოპერაციების მხრიდან მოთხოვნილი სატრანსპორტო ხარჯების შესაბამისობასთან დაკავშირებით, ამიტომ პერმანენტულად მიმდინარეობდა გარკვეული რევიზიები. ,,ზემდგომი ორგანოების მიერ მიმდინარეობდა პურეული პროდუქტებისა და მარცვლეულის ფურაჟის, გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურების გადასინჯვა. ეს საკითხი მოითხოვდა დაზუსტებას იმ მხრივ თუ რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს თითოეული კოოპერატივისათის გათვალისწინებული ტრანსპორტის სახეობა და გადაზიდვა-ტრანსპორტირების ხარჯები თითოეულ ტონა კილომეტრზე. კოოპერაციას უნდა წარმოედგინა აჭარკოოპკავშირში მასალები თანდართული ფორმის მიხედვით, რომელიც დადასტურებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. არასწორი ცნობების მოწოდება გამოიწვევდა მკაცრ პასუხისმგებლობას. [**ასსცსაფ.რ-**

401.აღწ.1.საქმ.N7:5]. სხვა მხრივაც საინტერესოა ეს ცნობა, კერძოდ, ხელისუფლების ორგანოდ მიჩნეულია არა რომელიმე რაიონის ან ქალაქის საბჭო, ან მათ ბაზაზე არსებული აღმასკომები, არამედ პარტიული ორგანო, ამ შემთხვევაში ე.წ.რაიკომი. კიდევ ერთი ნათელი დასტური იმისა, რომ უპირველესი რგოლი და ორგანო სახელმწიფოში იყო მმართველი კომუნისტური პარტიის სტრუქტურული ერთეულები და არა მოქალაქეების მიერ არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. ეს უკანასკნელნი კი რეალურად წარმოადგენდნენ პარტიის დიქტატს დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებს.

1938 წლისათვის აჭარკოოპკავშირს საცალო ქსელიდან სასტიკად აეკრძალა კოლექტიურ მომხმარებლებზე საქონლის უნაღდო ანგარიშწორებით გაცემა. ამ საკითხს არეგულირებდა 1938 წლის 22 სექტემბრის N79 დადგენილება.,,...საცალო ქსელიდან, კოლექტიურ მომხმარებლებზე/სკოლა, ბაღი, კოლმეურნეობა, საავადმყოფო და ა.შ./ წინადადება მიეცათ სოფლის კოოპერატივების თავჯდომარეებს, სოფლმაღაზიების და რაიმაღაზიების დირექტორებს საქონლის გაქცემა საწყობებიდან და სავაჭრო დაწესებულებებიდან კოლექტიურ მომხმარებლებზე აწარმოონ მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე. სასტიკად აიკრძალოს საცალო ქსელიდან საქონლის გადაცემა გადარიცხვის საშუალებით. [**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:11**]. ჩვენი აზრით უაღრესად საყურადღებო ცნობაა. თითქოს რა მნიშვნელობა ჰქონდა ანგარისწორების ფორმას, ან რატომ მიანიჭეს უპირატესობა მხოლოდ ნაღდ ანგარიშწორებას? ჩვენ ვფიქრობთ, ვინაიდან ზემოთ დასახელებული სტრუქტურები წარმოადგენდნენ თავად სახელმწიფო-საჯარო დაწესებულებებს, ამდენად სახელმწიფო უგვიანებდა კოოპკავშირს დაქვემდებარებული სტრუქტურებისთვის თანხის გადახდას. შესაბამისად კოოპერატივები სახელმწიფოს წინაშე ვერაფერს ხდებოდნენ და ამიტომაც მიიღო კოოპკავშირმა აღნიშნული დადგენილება. გულგრილი დამოკიდებულების, გაფლანგვისა თუ კორუფციის ფაქტების დამადასტურებელია მოცემულ საქმეში აღმოჩენილი მარეგულირებელი ნორმები. აღნიშნული რეგულაციებით ორგანიზაცია ცდილობდა მინიმუმამდე დაეყვანა ფინანსური დანაკლისი. ,,...მიეთითოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებისა და განყოფილებების გამგეებს, ასევე ბუჰალტრებს, ასეთი არა სწორი და თვალის ამხვევი ცნობების მოწვდენისთვის მიეცეთ გაფრთხილება, რომ არასწორი ცნობების

გადმომგზავნის მიერ გამეორების შემთხვევაში მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები...გაფრთხილებულ იქნენ ყველა კოოპერატივის თავჯდომარეები, განყოფილების უფროსები და საანგარიშო მუშაკები, რომ დებიტორული დავალიანების შემცირების ...კვარტლის გეგმის შეუსრულებლობა და არასწორი ცნობების მოწოდება შეფასებული იქნება როგორც შეუფასებლობა და ჩაშლა...რისთვისაც დამნაშავეების წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები. გაფრთხილებული იქნენ აჭარკოოპკავშირის თანამშრომლები, რომლებიც მიმაგრებულნი არიან რაიონებზე, რომ ისინი პასუხსმგებლები არიან ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად დებიტორული დავალიანების შემცირების გეგმის შესრულებაზე და სწორი ცნობების გადმოგზავნაზე.“ [**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:13-14**].

სიტუაცია, რომ მძიმე იყო ფაქტია, ვინაიდან საკუთრივ პრეზიდიუმი აღიარებდა ორგანიზაციაში არსებული გაფლანგვისა და კორუფციის ფაქტებს. ზემდგომი, მაკონტროლებელი ორგანო თვლიდა, რომ აჭარკოოპკავშირის სისტემის ორგანიზაციების თავჯდომარეები და ხელმძღვანელები არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას დებიტორული დავალიანებისა და გაფლანგვა მტაცებლობის ლიკვიდაციის საქმეს. სრულ უპასუხისმგებლობას იჩენდნენ პრეზიდიუმში დებიტორული დავალიანების ოპერატიული ცნობების წარდგენის დროს, საუბარი ეხებოდა ვადების დარღვევას. ოპერატიული ცნობები დიდად განსხვავდებოდნენ ბუღალტრული მონაცემებთან მიმართებით. ასეთი თვალთმაქცური დამოკიდებულებით ამ ფრიად სერიოზულ საკითხისადმი და არასწორი ცნობების მიწოდებით შეცდომაში შეყავდათ როგორც აჭარკოოპკავშირის პრეზიდიუმი, აგრეთვე სადირექტივო ორგანოებიც. ეს ბუნებრივია არათუ დარღვევად, არამედ დანაშაულად ითვლებოდა.[**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:17**]. 1935 წლის 29 სექტემბრის სსრკ სახკომსაბჭოს და ს.კ.პ.(ბ) ერთობლივი დადგენილებით, კოოპორგანიზაციები მეპაიეების მიმართ ვალდებულნი იყვნენ ჩაებარებიათ ანგარიში. ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო რამდენად წარმატებით მიმდინარეობდა ბრძოლა მავნებლობის, გაფლანგვა-მტაცებლობის წინააღმდეგ მათ სისტემაში. დადგენილება ასევე ითვალისწინებდა რწმუნებულთა და მეპაიეთა კრებებზე ყურადღების გამახვილებას ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო მაგ. სავაჭრო ქსელში ყოველდღიური

მოთხოვნილების საქონლის არარსებობის დაძლევის გზების ძიებაზე. ასევე პასუხსიმგებელ-დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობაზე. ,,...ამასთან ერთად საჭიროა ყოველმხრივ გამუქებულ იქნეს დუქნის, მაღაზიის, სოფლის კოოპერატივის ხაზით გაფლანგვის თითოეული შემთხვევა...“[**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:17-18**]. განსაკუთრებით გაძლიერდა სარევიზიო ორგანოების მხრიდან კონტორლი კოოპერაციულ ორგანოებზე დიდი ტერორის პერიოდში. 1938 წლის მარტის დასაწყისისთვის საკავშირო პროკურატურა ცეკავშირის პრეზიდიუმთან ერთად (ცენტროსოიუზი) მიღებული დადგენილებით (N89H/5456 სამომხმარებლო კოოპერაციების მიერ საგამომძიებლო ორგანოებისადმი გადასაცემ გაფლანგვის მასალების მომზადების შესახებ) ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურისა და კოოპერაციული ორგანიაციების ხელმძღვანელებს, კოოპერაციულ ორგანოებში გაფლანგვის შემთხვევებში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში გადასაცემი მასალის მომზადება-გაფორმების დროს ზუსტად და განუხრელად დაეცვათ ინსტრუქცია. დადგენილების მთავარი არსი მდგომარეობდა სოციალისტური საკუთრების დაცვაში და ბრძოლა გამფლანგველობისა და მიმტაცებლობის წინააღმდეგ. რეგულაციის მიხედვით სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა თავად კოოპერაციაზე. კოოპკავშირი თავად იყო პასუხისმგებელი წარდგენილი მასალის სიზუსტეზე. თუკი დისბალანსი აღმოჩნდებოდა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მოპოვებულ ,,ოპერატიულ,, მასალასა და თავად კოოპერაციული ორგანოების მიერ მიწოდებულ მასალებს, შორის ისინი კანონის წინაშე აგებდნენ პასუხს. სამართალ გადაცდომის ფაქტების აღმოჩენისა და ყოველგვარი გამოვლინების შემთხვევაში კოოპერაციული ორგანოები ვალდებულნი იყვნენ საგამომძიებლო ორგანოებისათვის მასალები გადაეცათ დაუყოვნებლივ. ,,...გაფლანგვის საქმეები უნდა გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს დაუყოვნებლივ, მას შემდეგ რაც დანაშაულის ჩადენის შესახებ გაიგო სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციამ...“(სსრკ პროკურორი ა.ვიშინსკი/ ,,ცენტროსოიუზის“ პრეზიდიუმის თავჯდომარის მოადგილე ა.კუხტინი). [**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:46-47**].

მასობრივი ტერორის და დაპატიმრებების ეპოქაში, როცა ყველგან ხალხის მტრებსა და მოღალატეებს ეძებდნენ, ბუნებრივია ვერც ზოგადად სამომხმარებლო ორგანიზაციები აცდებოდნენ სახელმწიფო რეპრესიული მანქანის მკაცრ ხელს. ზემოთ

მოცემული მასალა ამის დადასტურებაა. ასევე ამ ფაქტს კიდევ უფრო მთელი სისრულით და სიმძაფრით წარმოგვიდგენს და ერთგვარად ავსებს ისტორიულ სურათს, საერთო მდგომარეობის თაობაზე, სსრკ გენერალური პროკურორის მომდევნო ბრძანებები. ერთ-ერთი ასეთი ძალზედ მნიშვნელოვანი და საყურადღებო დოკუმანეტია სსრკ პროკურორ ა.ვიშინსკის მორიგი 1937 წლის 26 დეკემბრის ცირკულარი N4556 და 1938 წლის 4 ოქტომბრის N1394 ბრძანება.

საყოველთაო რეპრესიების პირობებში ხშირი იყო შემთხვევები მტკიცებულებისა და შესაბამისი დასაბუთებების გარეშე პირთა პასუხისგებაში მიცემისა. დგინდება თუ როგორ ცდილობა საბჭოთა სახელმწიფო ერთგვარად მოეწესრიგებინა ეს საქმე და რამდენადმე შეევიწორვებინა იმ ორგანოების რიცხვი ვინც იქნებოდა დაპატიმრებებზე უფლებამოსილი. მდგომარეობის სიმძაფრეს ადასტურებს ა.ვიშინსკის 4 ოქტომბრის ბრძანება, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, როცა საქმე ეხებოდა კოოპერაციული ორგანიზაციებისთვის უძრავ-მოძრავი ქონების უკანონო ჩამორთმევას. პროკურორი ამ ბრძანებით მოითხოვდა რეგიონალური პროკურატურის ორგანოებიდან თითოეული ფაქტის ხელახალ გამოძიებას, აპელაციის არსებობის დროს, ხოლო მიმდინარე პროცესში ასევე გულდასმით უნდა შესწავლილიყო თითოეული შემთხვევა, რათა გადაცდომებს ადგილი არ ჰქონოდა სამომავლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებოდა იმ უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც უაპელაციოდ და დაუდასტურებელ ფაქტებზე დაყრდნობით ჩამოართმევდა კოოპკავშირებს ქონებას. ,,...ს.ს.რ.კ. და ,,ცენტროსოიუზის“ ცნობით სამომხმარებლო კოოპერაციის ქონების ჩამორთმევა კიდევ გრძელდება ...ვთვლით რა სრულიად მიუღებლად პროკურატურის ორგანოების ასეთ უმოქმედობას სამომხმარებლო კოოპერაციებისაგან ქონების ჩამორთმევის საქმეზე და შემოწმების უფლების მიხედვით, მიიღონ ზომები, რომლებიც მითითებულია ა.წ.28 იანვრის 17. 5/24 ბრძანებაში...სამომხმარებლო კოოპერაციის უფლებათა დამრღვევი პირები პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული სისხლის სამართლის წესით....“[**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:48-49**]. უკუკავშირმაც არ დააყოვნა, აჭარკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავჯდომარის მ.მელიას მიმართვა ორგანიზაციის დაწესებულებების თავჯდომარეებისადმი, (1938წ. 27 დეკემბერი. N-

02/7) რომლითაც იგი მოუწოდებს მათ მტკიცედ იხელმძღვანელონ ა.ვიშინსკის ბრძანებით და არ დაუშვან მათ ბალანსზე არსებული ქონების დაკარგვა-გასხვისება. ,,...თითოეულ კონკრეტიულ შემთხვევაში აცნობეთ რაიონის პროკურორებს და აჭარკოოპკავშირის პრეზიდიუმს. აგრეთვე აღნიშნული ბრძანების საფუძველზე აღძრათ ძიება ძველ საქმეებზე თუ ასეთი არსებობს, უკან დაბრუნებისა და ანაზღაურების მიზნით. გაფრთხილებთ, რომ ჩვენი სანქციის გარეშე კოოპერაციის არავითარი ქონება არ გადასცეთ ვინმეს.“[**ასსცსაფ.რ-401.აღწ.1.საქმ.N7:48**].

აჭარკოოპკავშირის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული იყო წესები თუ როგორ უნდა ემოქმედათ ადგილებზე გაფლანგვის ფაქტების პრევენციის მიზნით. თუკი სოფლის კოოპერატივში აღმოჩნდებოდა გაფლანგვა რომელიც იყო ათას მანეთზე მეტი, მათ დაუყოვნბლიც უნდა ეცნობებინა ამის შესახებ აჭარკოოპკავშირისთვის, რომელიც ვალდებული იყო წარმომადგენელი გაეგზავნა ადგილზე, დამნაშავისათვის ზარალის ანაზღაურებისა და პასუხსგებაში მიცემის მიზნით. თუკი გაფლანგული თანხა აღმოჩნდებოდა ხუთი ათას მანეთზე მეტი აჭარკოოპკავშირი ვალდებული იყო აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლიც ეცნობებინა ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებისათვის.[**ასსცსა ფ.რ--401,აღწ.1.საქმ.N6:7**]. ძალზედ საყურადღებოდ გვეჩვენა აჭარკოოპკავშირის პრიზიდიუმის 1938 წლის N27 დადგენილება, რომელიც ეხება სისტემაში არსებულ ფას დარღვევის საკითხებს. მოგეხსენებათ საბჭოთა კავშირში მკაცრად ცენტრალიზებულ სახელმწიფოში არსებობდა ფასების ერთიანი სისტემა, მისგან გადახრა მიჩნეული იყო დარღვევად და რიგ შემთხვევაში დგებოდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აჭარკოოპკავშირის N27 დადგენილებით მიმოიხილეს რეგიონის სამომხმარებლო კოოპერაციის იურისდიქციის ქვეშ არსებულ დაწესებულებებში ფას დარღვევის საკითხები, მაგალითად აჭარისწყლის სოფელ კირნათის კოოპერატის მაღაზიაში ფითილი N5 ნაცვლად დადგენილი 0,03 კაპიკისა იყიდებოდა 0,05 კაპიკად, ფითილი N7 ნაცვლად 0,05 კაპიკისა იყიდებოდა 0,07 კაპიკად. რაც დიდ დარღვევად ჩაითვალა. პრეზიდიუმის ზემოხსენებული დადგენილებით კოოპერატივში არსებულ ნებისმიერ დარღვევაზე პასუხსიმგებლობა გამკაცრდა თავჯდომარისთვის და ბუღალტრისთვის. ბუღალტერი ვალდებული იყო პირადად შეემოწმებინა მიღება ჩაბარების აქტით ნაჩვენები ფასები დადგენილ საცალო ფასებთან მიმართებაში და დარღვევის

აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აღეძრა საქმე დამრღვევი პირის წინააღმდეგ ზარალის ანაზღაურების მიძნით. [**ასსცსა ფ.რ--401,აღწ.1.საქმ.N6:7-8**].

XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში სარეწაოკოოპერაციის რამდენიმე არტელი არსებობდა. მომდევნო წლებში მათ ახალი ორგანიზაციები შეემატა. 1930 წლისთვის აჭარაში ითვლებოდა სარეწაო კოოპერაციის 42 ორგანიზაცია და 2 სატრიკოტაჟო სკოლა. სატრიკოტაჟო სკოლები იყო ქედისა და ხულოს რაიონებში. სარეწაო კოოპერაციის არტელების ბაზაზე შეიქმნა აჭარის საოლქო კავშირი, რომელიც 3016 მეპაიეს აერთიანებდა. სარეწაო კოოპერაციების ორგანიზაციებში აწარმოებდნენ ფართო მოხმარების საქონელს, სამიწათმოქმედო იარაღებს. [**აცსა,ფ.რ-2,ან.1,ს.840,ფურც.13**]

30-იან წლებში სარეწაო კოოპერაციების ახალი არტელები შეიქმნა და 1938 წლისათვის აჭარაში მათი რაოდენობა 58 ერთეულს შეადგენდა.[**აცსა,ფ.პ-1, ან.4, ს.224,ფურც.18**]. მათგან აღსანიშნავია: ,,მკერავი", ,,თვითშრომა", ,,კოოპერატორი", ,,ქალთა გამარჯვება", ,,ქალთა შრომა", ,,საჭაპანო ტრანსპორტი", ,,კავკაზი", ,,სხივი", ,,მეტალურგი", ,,ქიმშრომა", ,,ლაზი", და სხვა.

აჭარკოოპკავშირი წარმოადგენდა უმსხვილეს სამომხმარებლო კოოპერაციას, მათ ხელში აკუმულირდებოდა უზარმაზარი ფინანსური სახსრები, ამიტომაც სსრკ არსებობის მანძილზე სწორედ ამ სფეროში ხდებოდა დიდი მაშტაბის გაფლანგვები და ეკონომიკური დანაშაული თავისი ნაირსახეობებით. მოგეხსენებათ საბჭოებისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი კერძო ინიციატივა და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ურთიერთობები. როდესაც ერთ კონკრეტულ ადამიანს წვდომა აქვს დიდი რაოდენობის საზოგადოებრივ სიმდიდრესთან, თანხებთან, არის მითვისების დიდი ცდუნებაც და უკანონო შემოსავლის მიღების სურვილი. ,,…სოციალიზმის თეორიამ და პრაქტიკამ მოუსპო მყარი ფუნდამენტი ინტერესების სტრუქტურას იმით, რომ ამ სტრუქტურის საფუძვლად მიიჩნია საერთო--სახალხო ან საზოგადოებრივი მატერიალური ინტერესები; ხოლო პირადი ინდივიდუალური მატერიალური ინტერესები ამ ,,იერარქიაიის ,,პერიფერიაში" დააყენა. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების გამოცდილება კი საპირისპიროს ამტკიცებს-პირადი ინტერესი, პირადი მატერიალური დაინტერესება არის ის ფუნდამენტი, რომელზეც უნდა აშენდეს

ინტერესების სისტემა...“ [**გაზ.საქ.რესპუბლიკა.1992:გვ.3**]. კოოპერაციული საზოგადოებაც ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ კონტროლს ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანები რომლებიც არსებობდნენ საბჭოთა კავშირში.

&.6 მებრძოლ უღმერთოთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია

საბჭოთა წარსულის ობიექტური შესწავლა-გადაფასება მნიშვნელოვანია საქართველოს შემდგომი სტაბილური განვითარებისათვის. იმისათვის, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ღირსეული ადგილი დაიკავოს ცივილიზებულ სამყაროს ხალხთა შორის, ამისათვის უცილობელ პირობას წარმოადგნეს ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა. საბჭოთა წარსულის შესწავლა-შეფასება მნიშვნელოვანია. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდეს არა გაყალბებული, კონიუნქტურას დაქვემდებარებული, არამედ რეალური მიზეზ-შედეგობრივ მოვლენებსა და ფაქტებზე დამყარებული ისტორია. ჩვენი აზრით უმნიშვნელოვანესია გამოვყოთ პიროვნების როლი და დანიშნულება ტოტალიტარულ სისტემაში. დავადგინოდ რა ფასი გააჩნდა ადამიანს საბჭოეთის არსებობის მანძილზე. უფრო სწორად, რომ ვთქვათ რა მდგომარეობაში იყო ბოლშევიკური მმართველობის დროს ადამიანის ღირსება და თავისუფლება. ამ საკითხის შესწავლის მცდელობაა მოცემული ჩვენს კვლევაში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ჩვენი ძირითადი საკვლევი თემის ერთ-ერთ არსებით საკითხსაც. ამდენად ვფიქრობთ რომ თემის აქტუალობა თვალნათლივ ცხადია. საკითხზე მუშაობისას, მეთოდოლოგიურად ჩვენს მიერ ძირითადად გამოყენებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ არქივში დაცული მონაცემები და მათი გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები. საბჭოთა კავშირში არსებული ანტირელიგიური პოლიტიკა არ იყო ჩვეულებრივი ათეიზმის ქადაგება. ,,...ათეიზმი ყოველთვის იყო რელიგიური მსოფლმხედველობის,

რელიგიური ცხოვრების წესის ალტერნატივა, მაგრამ ადრე მას არასოდეს მიუღია სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმები, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა...“[ფანჯიკიძე:9]. ,,...თუ ადამიანს არაფერი არ სწამს მისი მართვა გაცილებით ადვილია, ბოლშევიკების მიზანი იყო ადამიანებს ეროვნება და რწმენა არ ჰქონოდა...“[მემატიანე]. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა იქედანაც კარგად გამოსჭვივის, როდესაც მათ მაცხოვრის გამცემ იუდას ძეგლი დაუდგეს რუსეთის რამდენიმე ქალაში, ტამბოვში, მიჩურინსკში, ამავდროულად მას ,,კაცობრობის პირველ რევოლუციონერად“ მოიხსენიებდნენ. [**სონღულაშვილი,2018:438**].

მოგახსენებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სასწრაფო წესით ამუშავდა იძულების მანქანა. ბოლშევიკების ერთ-ერთი სამიზნე იყო ეკლესია, რომელიც თავისი ავტორიტეტის გამო უაღრესად მიუღებელი იყო ათეისტური სახელმწიფოსათვის და მისი იდეოლოგებისათვის. ტერორი და დაშინება იყო სტანდარტი. ,,...1905 წელს სტატიაში ,,სოციალიზმი და რელიგია“ იგი (ლენინი) წერდა ,,მთელი ჩვენი პროგრამა აგებულია მეცნიერულ და ამასთანავე სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურუსის ჭეშმარიტი ისტორიული და ეკონომიკური ფესვების განმარტებასაც შეიცავს.“იგი რელიგიას სულიერ მათრობელად მოიხსენიებს, რომელშიც კაპიტალისტები ახრჩობენ თავიანთ ადამიანურ სახეს...“[**მერმისი,2019:42**]. საკუთრივ საბჭოეთის მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ ამ ტერორის შემომქმედნი. ხელისუფლების დანაწილების პრინციპების ფორმალური აღიარების მიღმა იმალებოდა კომუნისტური პარტიის ერთპარტიული დიქტატი. სხვაგვარად საბჭოეთს არ შეეძლო ფუნქციონირება.უფრო მეტიც, პარტიის შიგნითაც ყველაფერი ექვემდებარებოდა არა ე.წ. პარტიულ დისციპლინას და პარტიული დემოკრატიზმის პრინციპებს, არამედ კონკრეტული პიროვნების ავტორიტეტს. აქ არ ვისაუბრებთ მაგალითად ე.წ. ,,უკლონისტებსა“ და სხვა მიმდინარეობებზე კომუნისტურ პარტიაში, რომელიც თავისი არსით სხვა არა იყო რა თუ არა ერთგვარი განსხვავებული ხედვა სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე. თუმცა კონკრეტულ დროს ხელისუფლების სათავეში მყოფი მმართველები, იგულისხმება სტალინი და მისი დაჯგუფება დაუნდობელი აღმოჩნდა ამ განსხვავებული ხედვის მიმართ. ეს არცაა

გასაკვირი, ვინაიდან ყალბი და მოჩვენებითი დემოკრატიულობის ფარდის ქვეშ იმალებოდა ძალაუფლების უზურპაციის დაუოკებელი სურვილით აღტკინებული ავტორიტარები. ამიტომაც ნებისმიერი განსხვავებული მოსაზრება იდევნებოდა და ცხადდებოდა მთავარ საფრთხედ საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში განხორციელებული საშინელი რეპრესიებიც ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. ოცდაათიანი წლების რეპრესიები იყო საბჭოთა კავშირში პერმანენტულად განხორციელებადი მორიგი რეპრესიული ტალღა. განსხვავება მდგომარეობდა მასობრიობაში, ხოლო მეთოდები მსგავსი იყო, ფორმალურად ტარდებოდა სასამართლო, თუმცა მთავარი როლი ენიჭებოდა ე.წ. სამეულებს, რომლებსაც გამოჰქონდათ მთავარი ვერდიქტი.

მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ ის ფაქტი,რომ ამ საქმეში საბჭოთა მმართველობა იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, როგორც ადმინისტრაციულ ასევე იდეოლოგიურ რესურსებსაც. ამ საქმისთვის შექმნეს კიდეც ე.წ. უღმერთოთა კავშირი, რომლის საქმიანობის წარმოჩენაც არის ამ კვლევის ერთ-ერთი მიზანიც. ,,…1929 წლის დეკრეტით მთელ საქართველოში შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება. 1929 წელს აჭარაში მოლების მოსამზადებელი 5 სპეციალური დაწესებულება და 172 მედრესე იყო. აჭარაში იმავე წლიდან აიკრძალა რელიგიური სასწავლებლები. ისევე როგორც 20-30 წლების ,,მებრძოლი ათეისტური“ პოლიტიკის შემდეგ, ანტირელიგიური კამპანია გრძელდებოდა აგიტაციის ფორმით: ,,რელიგიურ გადმონაშთებთან“ ბრძოლით...“[სოციალური სამართლიანობის ცენტრი]. ,,...დანარჩენი საქართველოს მსგავსად 20-30-იან წლებში აქაც გატარდა საბჭოტა ანტირელიგიური პოლიტიკა. აჭარაში დაიხურა მედრესეები, დაიკეტა მეჩეთები,...1926 წელს გაუქმდა სამუფთო, საბჭოთა მთავრობა აიძულებდა მოლებს, რომ ქადაგებებში(ვაიაზებში) საბჭოთა მთავრობის სიკეთეებზე ესაუბრათ...“[რელიგიური და ეთნიკური მრავალფროვნება საქართველოში,2021:9].

ორგანიზაცია მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს აჭარის ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1937 წელს. [მეგზური,2003:248]. “ანტირელიგიური პროპაგანდა ყურადღების ცენტრში“ მოხსენებით, აქცენტი კეთდებოდა კულტურულ ძვრებზე რომელიც გაკეთდა აჭარაში გასაბჭოების შემდეგ ,,...სად ჰქონდათ მშრომელებს კულტურა, სად იყო სკოლა, თეატრი, კინო...სტალინის გარშემო

შემჭიდროვებამ გამოიწვია კლასობრივი მტრის ნარჩენთა გამოფენა-გაბოროტება,...ტროცკისტულ ზინოვიევური ბანდიტები კაპიტალიზმის ეს საზიზღარი რესტავრატორები, ტერორისტები, ჯაშუშები, სამშობლოს მოღალატენი, გერმანიის ფაშისტური ოხრანკის, გესტაპოს აგენტები უკვე აღგვილი არიან საბჭოთა მიწიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მტრის ნარჩენები საბოლოოდ განადგურებულია. განადგურებული მტრები სოციალიზმის წინააღმდეგ იყენებენ კაპიტალიზმის ნაშთებს. ჩამორჩენილი მშრომელების შეგნებაში იყენებენ მათ წვრილ მესაკუთრულ ჩვევებს, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, ნაციონალურ და რელიგიურ ცრუმორწმუნეობებს. განსაკუთრებით კი რელიგიურ ნაშთებს ადამიანთა შეგნებაში. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას აჭარის სინამდვილიდან. ფაქტია, რომ აჭარის ხალხი წარსულში მუსლიმანური რელიგიის ფანატიზმით იყო გამსჭვალული. სოფელს ვერ იპოვიდით სადაც ჯამე და ხოჯა არ მოიპოვებოდა...ისიც ფაქტია,რომ ეს რელიგია მოგონილია ერთი მუჭა ხალხის მიერ, რომლებიც მტკიცედ იყენებდნენ მას მშრომელებზე ბატონობისათვის, ულაყებდნენ ტვინს...“ **[ასსცსა,ფ.რ-260,აღწ.N1,საქმ.N1.ფურ.1/2].** ამ დირექტივაშივე ნათლად მოჩანს ორგანიზაციის შექმნის მთავარი მიზანი. ყველაფერი საბჭოთა წყობილების არსებობის გამართლებისთვის. განსხვავებულის მიმართ აგრესიული, შეუმწყნარებლური დამოკიდებულება. ჩვენ ასევე ნიშანდობლივად გვეჩვენა ერთი ფრაზაც ზემოხსენებულ წყაროში, კერძოდ ,,წვრილ მესაკუთრული ჩვევები“.

აშკარაა, განსაკუთრებით ბათუმის ოლქში მთელი მეოცე საუკუნის 30-იან წლებშიც კი არსად გამქრალა მესაკუთრული, ვაჭრობასა და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული უნარ-ჩვევები. ეს კი ალბათ ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ ბათუმის ოლქი საკმაოდ ჩართული იყო კაპიტალისტურ ურთიერთობებში, იგულისხმება სხვადასხვა ქარხნები, მანთაშევის, როტშილდისა და სხვა. საბჭოთა წყობისთვის კპიტალისტური, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ურთიერთობები ხომ ეგზისტენციალურად მიუღებელი იყო. ამიტომ ყოველგვარი მცირედი გამოვლინება ზემოხსენებული უნარებისა ისჯებოდა. თუმცა საბჭოთა სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლიდა ამ ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს, განსაკუთრებით თავისი არსებობის პირველ ეტაპზე, ამიტომ პირველად დაუშვეს სხვადასხვა სახის არტელები და შემდეგ კი შეიქმნა კოოპერაციული ორგანიზაციებიც, ე.წ. კოოპკავშირები. ,,...სრულიად საქართველოს

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის აჭარის საოლქო საბჭოს დაწესებულება 1937 წლის 11 სექტემბრამდე მოთავსებული იყო ლენინის ქ.N 51-ში. ამავე შენობაში განთავსებული იყო რადიო-ლაბორატორიის კაბინეტი, ამიტომ მუკის დაწესებულება გადავიდა გორკის ქ.N 2 მდებარე შენობაში...“ [**არხეიონი,2021:50**]

საბჭოთა ხელისუფლება რელიგიური ორგანიზაციებს აღიქვამდა კონკურენტებად. გასაბჭოებამდე როგორც ქრისტიანული ასევე მუსლიმანური რელიგიური ორგანიზაციები საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოსახლეობის ფართო მასებში, ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად განიხილებოდა. ,,...გასული წლის რამაზანში (37 წ.ჩვენი შენიშვნა) დადასტურდა ის ფაქტები, რომ მშრომელთა კარგა ფართე ნაწილი, მათ შორის ახალგაზრდობაც, მოსწავლეებიც დადიოდნენ ჯამეში სალოცავად....სარწმუნო ფაქტებით ხულოს რაიონში ზოგიერთმა ხოჯებმა ერთი თვის განმავლობაში მოსახლეობიდან შეაგროვეს თითოეულმა არანაკლებ 1000 მანეთისა სხვა სავალდებულო პროდუქტებთან ერთად...ამჟამად ლაპარაკიც კი არ შეიძლება ანტირელიგიური პროპაგანდის შენელება-შესუსტებაზე. ჩვენ სავსებით და მთლიანად უნდა გამოვიყენეოთ თავისუფლება ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისა, რომელიც სახელმწიფო კონსტიტუციით გვაქვს მონიჭებული...მხოლოდ მოთმინებით, ახსნა განმარტების საშუალებით და არა ადმინისტრაციული წესით უნდა დავარწმუნოთ მშრომელი იმაში, რომ რელიგია არა თუ საჭიროა, არამედ მავნეც არის ...“ [**ასს ცსა,ფ.რ-260,აღწ.N1,საქმ,N1:3/4**] ,,...ამხანაგებო ჩვენ შევდივართ 1937 წელში. ეს წელი სოციალიზმის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ნათელი და სასიხარულო დატათ. ...აჭარის მშრომელი ხალხი რომლებმაც ქართველი ხალხის ძმური დახმარებით, ამიერკავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხლხებთან კავშირში მიაღწია უდიდეს წარმატებებს...ამის საწინდარია ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია ...ზრუნავს და ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების სტალინელი ხელმძღვანელი ლ.პ.ბერია [ასს ცსა,ფ.რ-260,აღწ.N1,საქმ,N1 5/6]. ეს მოხსენნება ეკუთვნის იმ დროისთვის აჭარის განათლების სახალხო კომისარს და აჭარის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის თავჯდომარეს ილიას ქათამაძეს. ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო მასალებით,რომელთა მცირე რაოდენობასაც ვაქვეყნებთ ამ ნაშრომში, დასტურდება პიროვნების როლიცა და თუნდაც ბედიც სსრკ არსებობის

დროს. კერძოდ ზემოხსენებული განათლების სახალხო კომისარი ილიას ქათამაძე, რომელიც იდეური კომუნისტი იყო და შესაძლებლობას არ უშვებდა საბჭოთა წყობის ქების საქმეში, თავად იქნა რეპრესირებული 1937 წელს. ,, ილიას დურსუნის ძე ქათამაძე დაპატიმრებისას 31 წლის იყო, მას დამთავრებული ჰქონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. დახვრიტეს 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, როგორც ხალხის მტერი და სოციალიზმის მოსპობის მოსურნე. რეაბილიტირებულ იქნა 1956 წლის 4 მაისის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ“.[**გაზ.აჭარაN6.2015:17-21**]. დახვრეტამდე ილიას ქათამაძე გააკრიტიკეს, რაც ბუნებრივია იყო სიგნალი იმისა რომ მისი დროც მოსული იყო. აი რას ამბობს მასზე ბათუმის მუკ-ის (მებრძოლ უღმერთოთა კავშირი) საქალაქო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ვინმე კვირკველია. ,,...აჭარაში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ხალხის მტერი კონტრრევოლუციონერი ელიას ქათამაძე,რომელმაც ჩაშალა ა/რ პროპაგანდა აჭარაში და გარღვევის გზამდე მიიყვანა ორგანიზაციის მუშაობა,...რიგი ორგანიზაციები ზერელედ უყურებენ ამ ფრიად სერიოზულ საქმის სწორ მსვლელობას...რა დროს უღმერთოთა უჯრედია, ჩვენ ყველა უღმერთოები ვართო, რაც არასწორი შეხედულება იყო მათი მხრიდან....ქალაქ ბათუმში ჩვენ მიერ აღმოჩენილი იქნა ბურმან პეტრეს ოჯახში ენგელსისა და მოსკოვის ქუჩების კუთხეებში, სადაც მოწყობილი აქვს სამლოცველო ეკლესიის სახით...“ [ასს ცსა,ფ.რ-260აღწ.N1,საქმ.N1:7/8.].

საბჭოთა სისტემა არ ინდობდა ადამიანს, იგი არ წარმოადგენდა მთავარ ღირებულებას, პირიქით ადამიანი უნდა დამორჩილებოდა კოლექტიურ აზროვნებას, ბელადის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ა.შ. თავად იდეური კომუნისტებიც კი ვერ გადაურჩნენ რეპრესიებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ადანაშაულებდნენ სხვას. უბრალოდ არ არსებობდა საკუთარი თავის გადარჩენის მყარი გარანტია. ასე მაგალითად თავად ილიას ქათამაძე აკრიტიკებდა აჭარკოოპკავშირის პარტკომს გვარად მელიას, რომელიც აჭიანურებდა მუკთან ხელშეკრულების გაფორმებას და მუკის მიერ ჩასატარებელ თითო ლექციაეში 5-ი მანეთის გადახდა ეძვირებოდა. ,, ვითომდაც მუკის ორგანიზაცია წარმოადგენს ძველ სავაჭრო დაწესებულებასო...“[ასს ცსა,ფ.რ-260აღწ.N1,საქმ.N1:10]. ილიას ქათამაძე თავს

არ ზოგავდა რათა საბჭოთა მმართველობისთვის დაემტკიცებია თავისი ერთგულება. ასე მაგალითად, იგი უგზავნის შემდეგი ხასიათის წერილს საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საბჭოს თავჯდომარეს ამხ. გივი სახაროვს ,,... თქვენ უკვე მიიღებდით ჩვენს ბრძანებას სოფლად ანტირელიგიური მუშაობის ფორმების შესახებ. ამ საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა ამჟამად. საბუნებისმეტყველო წრეები უკვე ჩამოყალიბდა და მიმდინარეობს მეცადინეობა...ამასთან ერთად პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დადგენილება ანტირელიგიური საბჭოს, (რესპუბლიკური და საქალაქო) ჩამოყალიბების შესახებ. გამოყოფილია ორგბიურო. საჭიროა წინასწარ ანტირელიგიური უჯრედების ჩამოყალიბება საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სკოლებში და ქალაქში მთლიანად ყველა წარმოებებში...“ [ასს ცსა,ფ.რ-260აღწ.N1,საქმ.N1: 30]. უნდა ავღნიშნოთ, რომ ილიას ქათამაძე დიდი მონდომებით ასრულებდა ზემდგომი ორგანოების დავალებას და თვითონაც აქტიურად იღებდა უკუკავშირს მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან თუ ორგანოებიდან. 1937 წლის 7 ივნისით დათარიღებული კორესპოდენციით იგი ატყობინებდა საქართველოს მუკის საბჭოს თავჯდომარეს ჩატარებული ღონისძიებების თაობაზე, კერძოდ იმ დროისათვის ბათუმსა და ქობულეთში ფუნქციონირებდა მუკის 80 უჯრედი საერთო წევრთა რაოდენობა შეადგენდა 5048 ადამიანს.[ასს ცსა,ფ.რ-260აღწ.N1,საქმ.N1:74].

1937 წლის 29 ოქტომბერს შდგა აჭარის მუკის პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. ესწრებოდნენ საქართველოს კ.პ.(ბ) აჭაროლქომის მდივანი იოსებ კოჭლამაზიშვილი, აჭარის ცაკის თავჯდომარე ისმაილ ფუტკარაძე, ასევე საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს თავჯდომარე გივი სახაროვი, კონფერენციას თავჯდომარეობდა მუკის საქალაქო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ კვირკველია, ეს ის კვირკველიაა რომიც აკრიტიკებდა მის ზემდგომს ილიას ქათამაძეს. თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ კონფერენციას არ ესწრებოდა თავად აჭარის მუკის თავჯდომარე ილიას ქათამაძე. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ იგი მოგვიანებით დახვრიტეს. მოძიებული საარქივო მასალებით იკვეთება, ნებისმიერი აქტივობა მომდინარეობდა ცენტრალური ორგანოების დირექტივებისაგან. ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ ასევე ისიც, რომ ადგილებზე პარტიული ფუნქციონერების მხრიდან ,,გულმოდგინე“, ხშირ შემთხვევაში ზედმეტად აქტიური

ქმედება და ,,ერთგულების“ დამადასტურებელი ქმედებანი და მთელი ეს გადაჭარბებული აქტიურობა ე.წ. ხალხის მტრების გამოვლინების საქმეში განპირობებული იყო საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნითაც.

1938 წლის 4 თებერვალს ჩატარდა საკავშირო მუკის საბჭოს IV გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომელშიც მიმოიხილეს განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები, სწორედ ამ განხილვაში გამოიკვეთა ის გენერალური ხაზი რომელიც ადგილებზე აღიქმებოდა, როგორც ტერორის და ხალხის მტრების გამოვლინებისკენ აქტიური მოქმედების დასაწყისი. პლენუმმა დაადგინა: სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფის დეკრეტის 20 წლისთავისათვის ქალაქისა და სოფლის მშრომელების, ახალგაზრდებისა და მოხუცების უდიდესმა უმრავლესობამ სამუდამოდ გასწყვიტეს კავშირი რელიგიასთანო, მაგრამ უღმერთობის ამ უზარმაზარმა ზრდამ ზოგიერთი ორგანიზაციის (პროფკავშირი, კომკავშირი, განსახკომი და სხვა) ხელმძღვანელებში და ნაწილობრივ თვით მუკის შიგნით წარმოშვა არასწორი და მცდარი წარმოდგენა რელიგიის როგორც იდეოლოგიის საბოლოო დამარცხების თაობაზე. შესაბამისად ამ მცდარ წარმოდგენებს თითქოს გამოუწვევია ბევრ ადგილას გამოიწვია ანტირელიგიური პროპაგანდის შემცირება, მუკის ორგანიზაციათა უმრავლესობის დაშლა. ,, ..თვით მუკის ცენტრალურ საბჭოში მთელი წლების განმავლობაში მოქმედებდნენ ხალხის მტრები ლუკაჩევსკი, კობეცკი, და სხვა, რომლებმაც უდიდესი ზიანი მიაყენეს ანტირელიგიურ პროპაგანდას. ანტირელიგიური მუშაობის შესუსტებით ისარგებლა რეაქციულმა ფრთამ, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა უკანასკნელ წლებში გამოცოცხლდა, ... მუკის ორგანიზაციებმა დაივიწყეს, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა იმისთვის არსებობენ, რომ თავისი აგიტაციითა და პროპაგანდით მოსპონ რეაქციული ფრთის გავლენა, ჩამოაშორონ მშრომელები რელიგიას...“ [**ასს ცსა,ფ. რ-260. აღწ.N1. საქმე N2:10-11**]. უკუკავშირმაც არ დააყოვნა. 1938 წლის 14/IV დირექტივით მუკის ყველა საოლქო და რაიონულ საბჭოს დაევალათ აღერიცხათ: ,,... რამდენი ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა, სექტანტების სამლოცველო სახლებია რაიონებში, გვაცნობეთ რამდენი დახურული ეკლესიები რა საჭიროებისთვის არის გამოყენებული...გარდა ამისა ჩვენთვის აუცილებელია ინფორმაცია ყველა იმ მუშაობის შესახებ რომელსაც აწარმოებს მუკის საოლქო და რაისაბჭოები...“[**ასს ცსა,ფ. რ-260. აღწ.N1. საქმე N2:25**].

მსგავსი შინაარსის ცნობა არის დაცული ქობულეთის მუკ-ის რაისაბჭოს პასუხისმგებელი მდივნის ვლადიმერ მგელაძის მოხსენებაში: ,,...ქობულეთის მუკის რაისაბჭოს ახლანდელი შემადგენლობა მუშაობას უდგება 1938 წლის 1-ლი ოქტომბრიდან. ...მაგრამ მიუხედავად ამისა რაისაბჭოს მუშაობა სრულად ჩაშლილი იყო,ორგანიზაციები ფაქტიურად არც კი არსებობდა. ...ხშირად მჟღავნდება ყოვლად დაუშვებელი ანტიპარტიული და ანტილენინური შეხედულება, რადგან ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა, ლიკვიდირებულია ექსპლუატატორი კლასი ... ამიტომ რელიგიასთან ბრძოლა თითქოს საჭირო აღარ არის, რომ ანტირელიგიური ბრძოლა განვლილი ეტაპია, ასეთმა მავნე ,,თეორიებმა", მცდარმა წარმოდგენებმა ...დიდი სამსახური გაუწია ხალხის მტრებსა, კონტრევოლუციონერ ტროცკისტებს, რეაქციულ სამღვდელოებას. ...ხალხის ეს საზიზღარი მტრები ყველანაირად აპარებდნენ ამ მავნე ,,თეორიას" და ეწეოდნენ მათ პროპაგანდას... ამის წყალობით იყო ის ამბავი რომ აჭარაში 1936-1937 წლებში მუკის საოლქო საბჭო აღარ არსებობდა... ხალხის მტრები ლორთქიფანიძეები და სხვები ყოველნაირად ჰკვეცდნენ ანტირელიგიურ მუშაობას და პირიქით გზას უხსნიდნენ ეკლესიის მსახურთ ძირგამომთხრელი მუშაობისკენ. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ უბანს ხელი მოჰკიდა ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხ.ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ, საგრძნობი გარდატეხა იქნა მიღწეული და საქართველოს მაშტაბით ამ ორგანიზაციის მუშაობა გაუმჯობესდა..." [ასს ცსა,ფ.-რ-260.აღწ.N1.საქმეN2:141-142]. თვალნათლივ ცხადია ის გარემოება,რომ საბჭოთა სისტემის არსებობის პერიოდში ფიზიკური გადარჩენისთვის მთავარი იყო დაბეზღება, სხვისი როლის დაკნინება და საკუთარის წარმოჩენა, თუმცა განხილული საარქივო მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ხშირ შემთხვევაში ესეც არ მუშაობდა და პარტიული იდეოლოგიის უპირობო შემსრულებლები და თავადაც აღმომჩდარან მსხვერპლის ამპლუაში. ამის ნათელი მაგალითია ილიას ქათამაძის ჩვენს მიერ მოყვანილი ისტორია.

პარტია აქტიურად აკონტროლებდა მუკის საქმიანობას ყველა დონეზე. საქართველოს ა.ლ.კ.კ. აჭაროლქკომის ბიუროს 1939 წლის 19 თებერვლის დადგენილებით ,, კომკავშირის ბათუმის რაიკომი და მებრძოლ უღმერთოთა საბჭო გულდასმით არ სწავლობს რელიგიისა და ცრუ მორწმუნეობის გამომწვევ ნამდვილ მიზეზებს. ...ანტირელიგიური პროპაგანდის სუსტად დაყენების შედეგად ბათუმის

რაიონის, სარფის, კირნათის, აჭარის აღმართის და მახინჯაურის სოფლებში ახალგაზრდობისა და კომკავშირელებს შორის ადგილი აქვს მორწმუნეებისადმი თანაგრძნობის შემთხვევებს, სადაც კომკავშირლები ...დადიან ჯამეებში, ლოცულობენ, იჭერენ რამაზანს, ნათლავენ ბავშვებს და ასრულებენ რელიგიურ წესებს....“ [**ასს ცსა,ფონდი რ-260,აღწ.N1,საქმე.N3:33**]. ოცდაათიანი წლების მიწურულს თითქოს შეიჩვალა მუკის მუშაობის ტაქტიკა, ასე მაგალითად: ,,... აუცილებელი არ არის ორგანიზაციის ზრდისადმი გამოდევნება. პირველ რიგში უნდა შევეცადოთ არსებული უჯრედების განმტკიცებას და მხოლოდ შემდეგ ვიზრუნოთ ახალი ორგანიზაციის შექმნაზე...“ [**ასს ცსა, ფონდი რ-260,აღწ.1,საქმე.N10:3**]. ,,...1940 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომები, რათა ადგილი არ ექნეს მუკის ორგანიზაციის ფორმალურ არსებობას...“[**ასს ცსა,ფ.რ-260,აღწ.N1, საქმ.N4:30**].

ზემდგომი ორგანოების უკმაყოფილებას იწვევდა ქობულეთის, ქედის და ნაწილობრივ ხულოს რაიონის მუკის საბჭოებისა და უჯრედების მუშაობა. ქობულეთის რაიკომის ბიუროს 1938 წლის 24 მაისის დადგენილება: რაიონში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის პროპაგანდის შესახებ ნათქვამია: ,,...ბიურო დღემდე ჩატარებულ მუშაობას თვლის არადამაკმაყოფილებლად, რაც შედეგია იმისა, რომ ადგილობრივი კომიტეტი და პარტიული ორგანიზაციები აგრეთვე თვით მუკის რაიონული კომიტეტი ვერ უწევენ ორგანიზაციებს სათანადო კონკრეტიულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას...“ [**ასს ცსა, ფ.რ-260,აღწ.N1,საქმ.N2:44**]. მსგავსი შინაარსისაა საქართველოს კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის 1938 წლის 26 მაისის დადგენილება რაიონში ანტირელიგიური პროპაგანდის მიმდინარეობის შესახებ : ,,... რაიკომი აღნიშნავს, რომ რაიონში ანტირელიგიური მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს,...უჯრედებში არ ჩატარებულა საუბრები და ლექციები ანტირელიგიურ თემებზე. ...გამომდინარე აქედან რაიკომი ადგენს: 1) დაევალოს უღმერთოთა რაისაბჭოს თვაჯდომარეს და მდივანს მახ. შ..ცეცხლაძეს და ი.ბოლქვაძეს კიდევ უფრო გააძლიეროს ანტირელიგიური პროპაგანდა უჯრედებში რაიკომთან შეთანხმებით. ...“ [ასს ცსა, ფ.რ-260, აღწ.N1, საქმ.N2:48]. უკუკავშირმაც არ დააყოვნა, ,,...1938 წლის 1 ივლისს შედგა ხულოს წითელ კუთხესთან არსებული ქალთა კრება, კრებას დაესწრო ქ.ბათომიდან მომაგრებული ამხ. ლ. ჩხიკვიშვილი და დიასახლისი 14 ქალი. თავჯდომარეობდა ქათამაძე ხატიჯე, მდივანი მეტრეველი

შურა. მოისმინეს ინფორმაცია სინდისის თავისუფლების 124-ე მუხლის შესახებ და ამასთან ჩაატარეს ლექცია: ქალი და რელიგია, შემდგომად ამისა ჩამოაყალიბეს მუკის უჯრედი...“ [ასს ცსა, ფ.რ-260, აღწ.N1, საქმ.N2: 51].

1938 წლის 26 ივლისს შედგა საქ.კ.პ.(ბ) აჭაროლქკომის ბიუროს სხდომა, აჭარაში ანტირელიგიური პროპაგანდის მიმდინარეობის შესახებ, მომხსენებლები იყვნენ კორძაია და გრძელიშვილი. ,,...ბიურო აღნიშნავს, აჭარის უღმერთოთა კავშირის საოლქო საბჭოს არადამაკმაყოფილებელ მუშაობას. რაც გამოიხატება შემდეგში: დღემდე არ არის მუკის საბჭო და სარევიზიო კომისია ქედაში. ხოლო სხვა რაიონებში შექმნილი მუკის საბჭოები მოქმედებენ არადამაკმაყოფილებლად... დღემდე ადგილი აქვს ზოგიერთ მოსახლეთა შორის რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას....სულ 6506 წევრია და 140 უჯრედი. დღემდე არ არის მოგვარებული საწევრო ანარიცხების აკრეფის საკითხი...“ [ასს ცსა, ფ.რ-260, აღწ.N1, საქმ.N2:57]. როგორც წესი კვლავ არ დააყოვნა უკუკავშირმა. 1938 წლის 18 სექტემბერს შედგა ქედის რაიონის უღმერთოთა ორგანიზაციის რაიონული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ,, ...34 დელეგატი, ხოლო აქტივიდან 44 კაცი, კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ცენტრალური მუკის საბჭოდან ამხ.გელაშვილი აჭარის ალკკ ოლქკომიდან ამხ.გეგუჩაძე. საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი,კალინინი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშოვი, დიმიტროვი, ბერია, ჩარკვიანი, ხოსე დიასი. საქმიან პრეზიდიუმში კი აირჩიეს ამხანაგები: დუმბაძე ხუსია, შარვაშიძე უსუფ, გელაშვილი,ჩხიკვაძე სულთან, ნიჟარაძე მურად, სამნიძე ხელილ, აბულაძე ხატიჯე. დღის წესრიგი: 1. მუკის ორგანიზაციის ამოცანების შესახებ, 2. რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნების შესახებ...“ [ასს ცსა, ფ.რ-260, აღწ.N1, საქმ.N2,გვ.67]. მსგავსი ტიპის ღონისძიება გაიმართა ოღონდ რანგით მაღალი დონისა 1938 წლის 14 ნოემბერს, როდესაც ჩატარდა საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა აჭარის მუკის საოლქო საბჭოს მუშაობის შესახებ. ეს სხდომა იყო პასუხი, ერთგვარი უკუკავშირი იმავე წლის 26 ივლისის ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული აჭაროლქკომის სხდომისა. აღნიშნული პრეზიდიუმის სხდომაზე აღნიშნეს: ,,...რომ უკანასკნელ დრომდე სრულიად დაშლილი იყო მუკის რაისაბჭოები ქედის, ხულოს და ბათომის რაიონებში, უმოქმედობას იჩენდა მუკის რაისაბჭო ქობულეთის რაიონში...“ [ასს ცსა, ფ.რ-260, აღწ.N1, საქმ.N2:124] . ქობულეთის

რაისაბჭოს ,,უმოქმედობაზე“ მეტყველებს მუკის რაისაბჭოს პასუხისმგებელი მდივნის ვ.მგელაძის 1938 წლის მოხსენება, რომლითაც იგი მიმართავს აჭარის მუკის საოლქო საბჭოს. ,,...ქობულეთის მებრძოლ უღმერთოთა საბჭო ამით გაცნობებთ თქვენს მომართვაზე N36, რომ 1938 წლის 30 სექტემბრისათვის რაიონში არსებობდა 22 უჯრედი, 867 წევრით, მაგრამ, როგორც ეს კრებაზე იყო აღნიშნული ფიქტიური ცნობები აღმოჩნდა. მუკის რაისაბჭოს არ მოეპოვებოდა არც ერთი ცნობა იმისა თუ სად რა შამუშაო მიმდინარეობს. რის გამოც ქობულეთის რაისაბჭოს არ შეუძლია გიპასუოთ ამ საკითხზე, რაც შეეხება შემდეგ საკითხს, მიმდინარეობს მუკის უჯრედების ჩამოყალიბება...“[ასს ცსა, ფ.რ-260, აღწ.N1, საქმ.N2:123]. როგორც ვხედავთ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა ანტირელიგიური პოლიტიკა, თავად საქართველო და განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონი გამოირჩეოდა რელიგიური ორგანიზაციების მრავალფეროვნებით, ამიტომ საბჭოების ხისტი პოლიტიკა ბუნებრივია ყველა სოციალურ თემთან ერთნაირად ვერ იმუშავებდა. ეს საკითხი მეტ-ნაკლებად ესმოდა საბჭოთა პარტიულ ფუნქციონერებს და თავიანთ დირექტივებში მოუწოდებდნენ აქტივისტებს გამოეჩინათ მეტი სიფრთხილე და დარწმუნების მექანიზმები,რომლის შესახებაც ჩვენ ნაწილობრივ ვისაუბრეთ კიდეც ზემოთ. ,,...საქართველოს მაგალითზე ,,მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“ მინი საბჭოთა მოდელთან უწევდა ურთიერთობა. როგორც ვნახეთ საქართველოში არსებული ,,უღმერთოთა კავშირის“ ცალკეულ უჯრედებს შორის არ იყო თანამშრომლობა. უჯრედების ხელმძღვანელები მართალია ცდილობდნენ განუხრელად მდგარიყვნენ ლენინის, სტალინის და ახლა უკვე ბერიას პრინციპეპზეც, მაგრამ 30-იან წლებში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის შიგნით არსებული ხარვეზები, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად საქართველოს მუკის I ყრილობამ დასვა არ აღმოფხვრილა....“ [**სილაგაძე,2014:115**].

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ შემდეგი: საბჭოთა კავშირში და მათ შორის შორეულ რეგიონებში, ამ შემთხვევაში აჭარაშიც საკმაოდ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი. პარტიულ იდეოლოგიასა და დიქტატს ექვემდებარებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. იდევნებოდა ყოველივე კერძო ინიციატივა და შემოქმედებითობა. მოქმედებდა ჯორჯ ორუელისეული ,,დიდი ძმის“ შეუცთომლობის პრინციპი. ჩვენს მიერ წარმოდგენილი

საარქივო მასალის საფუძველზე დასტურდება ისიც, რომ ადამიანის ღირსება იყო პატივაყრილი, ფეხქვეშ იყო გათელილი მისი საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. რწმენის თავისუფლება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ყოველივე ეს ნათლად დადასტურდა მასობრივი რეპრესიების მორიგი ტალღით. ამრიგად ჩვენს მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებით დასტურდება ამ ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი ასპექტები, რომელიც ექვემდებარებოდა კომუნისტური პარტიის დიქტატს.

თავი 4. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრიზისი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში

&1. რეპრესიების იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძვლები

მოცემული საკითხის ობიექტური გააზრება ურთულეს ამოცანას წარმოადგენს ისტორიოგრაფიაში. რეპრესიების იდეოლოგიურ-პოლიტიკური საფუძვლების გამორკვევა არის საკითხის პრინციპულად გაგების აუცილებელი პირობა. საკითხით დაინტერესებულნი არიან, როგორც ქართული ასევე უცხოური ისტორიული და არა მარტო ისტორიული სამეცნიერო წრეები. სხვადასხვა ასპექტით შუქდება მოცემული საკითხი. საბჭოთა კავშირი იყო ტოტალიტარული სახელმწიფო, სადაც ფიზიკურად იდევნებოდა ყოველგვარი განსხვავებული აზრი. ტოტალიტარული საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო თავისუფალი ადამიანების არსებობა. საბჭოთა კავშირის დაარსებიდან ამოქმედდა რეპრესიული მანქანა. თავად ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძალადობაზე იყო დაფუძნებული, ამიტომ საბჭოთა სისტემაში ძალადობა ნორმად იყო მიჩნეული. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ეტაპზე ტერორი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო ყოველგვარი განსხვავებულობის ნეიტრალიზებისათვის, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა

არ ითვალისწინებდა არავითარ შეთანხმებას პოლიტიკურ ძალებთან. ამიტომაც განხორციელდა ოპოზიციური პარტიების ლიკვიდაციისა და გაქორობის პროცესი მათ შორის აჭარაშიც. 1936 წლამდე საქართველო ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის სუბიექტი იყო, რაც გარკვეული ძალების უკმაყოფილებას იწვევდა თავად ქართველ კომუნისტებშიც. ეს ჯგუფიც რეპრესიული მანქანის აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ, მათ მოიხსენიებდნენ, როგორც ,,ნაციონალ-უკლონისტებს". საკავშირო დონეზე კი ლენინის ჯგუფს უპირისპირდებოდნენ ტროცკის, ბუხარინის, კამენევისა და სხვათა იდეოლოგიები. დაპირისპირების ძირითადი ხაზი გადიოდა მარქსიზმის ფილოსოფიის, მისი დიალექტიკის გაგებაზე, უფრო სწორად, ვის უფრო მართებულად ესმოდა იგი. ლენინი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება სავსებით შესაძლებელი იყო ერთ კონკრეტულ ქვეყანაში-რუსეთში. განსხვავებები გააჩნდათ აგრეთვე ტაქტიკაშიც. კერძოდ ტროცკისტები რევოლუციის საქმეში გლეხობის ჩართულობას საკმაოდ ეჭვის თვალით უყურებდნენ. მაშინ როცა ბოლშევიკი ლენინელები გარკვეულწილად მოიაზრებდნენ საშუალო და ღარიბი გლეხობის ჩართვის შესაძლებლობას რევოლუციაში. ამიტომაც იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის ყველაზე დიდი წინააღმდეგობა სოფლებში, სადაც გლეხობას ნაკლებად აინტერესებდა მხოლოდ სოციალური დემაგოგიის მოსმენა, მათ სჭირდებოდათ მიწა, მიწა კი ნაციონალიზებული იყო. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება სისხლიანი რეპრესიებით ცდილობდა საბჭოთა მმართველობის დამყარებას სოფლებში, რაც გამოიხატა კოლექტივიზაციაში, რომელსაც ასეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. **ვფიქრობთ მართებულია კოლექტივიზაციის ძალდატანებითი განხორციელება სოფლად, მივიჩნიოთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესიის განხორციელების ერთ-ერთ ფორმად.** განსაკუთრებით მწვავედ იდგა აღნიშნული პრობლემა ისეთ მცირემიწიან რეგიონში, როგორის არის აჭარა. კოლექტივიზაციას ექვემდებარებოდა ყველა სასოფლო თემი. აჭარაში არსებობდა ფეოდალური საკუთრების გადმონაშთები მემამულური მიწათმფლობელობის სახით, რომლებიც ბუნებრივია დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მიწის კონფისკაციას და ასევე კოლექტივიზაციას. ე.ი. რეგიონში ეს სპეციფიკაც არსებობდა. ნაწილობრივ აისახა კიდეც ეს თემატიკა 1928-1929 წლის ანტისაბჭოთა გამოსვლებში მაღალმთიან აჭარაში.

ბოლშევიზმი თავის თავში ასულდგმულებდა ტერორსა და ძალადობას. მათთვის კლასობრივი ბრძოლა იყო უმთავრესი, რომლის საშუალებითაც უნდა დამყარებულიყო სოციალიზმი. თუმცა კლასთა ბრძოლის იდეა არც მენშევიკებისთვის იყო უცხო. კლასთა ბრძოლა კი ამართლებდა ნებისმიერ ძალადობას. ლენინელ-ბოლშევიკებისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ნებისმიერი განსხვავებული ხედვა პარტიაში, ამიტომ ყველა ვინც არ ეთანხმებოდა მათი ჯგუფის შეხედულებებს იგი განიხილებოდა არათუ პოტენციურ, არამედ დეკლარირებულ მტრად. შესაბამისად ისინი ექვემდებარებოდნენ ლიკვიდაციას. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს პროცესი პირდაპირ უკავშირდებოდა ძალაუფლების შენარჩუნებას ნებისმიერ ფასად. ყველა განსხვავებული შეხედულების მქონე ჯგუფი ადამიანებისა შესაძლოა სამომავლოდ გამხდარიყო მათთის საფრთხე, ამიტომ ყველგან მოღალატეებს, ხალხის მტრებსა და უცხო ქვეყნის აგენტებს ეძებდნენ. აგენტურის საკითხი მნიშვნელოვანი სამუშაო ვერსია იყო განსაკუთრებით საზღვრისპირა რეგიონში-აჭარაში. რეგიონებში საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობოდა წითელ არმიას, სამხედრო ძალა და რეპრესიული აპარატი იყო საბჭოების მთავარი ხერხემალი, ყოველგვარი საუბარი დემოკრატიაზე იყო ილუზია. „...როცა ვლაპარაკობთ საბჭოთა კავშირის, მისი შეიარაღებული ძალების გადამწყვეტ როლზე სახალხო რევოლუციების გამარჯვებისთვის...უნდა გვახსოვდეს მარქსიზმის დებულება იმის შესახებ, რომ ...რევოლუცია გაიმარჯვებს იქ და მაშინ, სადაც და როცა თვით მოცემულ ქვეყნებში მომწიფდება აუცილებელი საშინაო და საგარეო პირობები...“[**ჩიქობავა,1954:212**].

ცალკე აღნიშვნის ღირსია იდეოლოგიური შეუთავსებლობა, რომელიც ბოლშევიკებს ახასიათებდა სხვადასხვა რელიგიური კულტის მსახურების მიმართ. ისინი მათშიც თავიანთ კონკურენტებს თუ მტრებს ხედავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუციამ,(1936) აღიარა სინდისის და რწმენის თავისუფლება, ერთ-ერთი დარტყმის ობიექტი სწორედ რელიგიური მსახურები იყვნენ. რეპრესიების იდეოლოგიური საფუძველი იყო დაპირისპირება სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გზაზე. ლენინისა და სტალინის დაჯგუფებას სჯეროდათ, რომ რევოლუცია შესაძლოა განხორციელებულიყო ერთ კონკრეტულ სახელმწიფოში, მაშინ, როცა ტროცკი და მისი მომხრეები ამ იდეის მოწინააღმდეგეებად გვევლინებოდნენ და თვლიდნენ, რომ სოციალისტური რევოლუცია უნდა

განხორციელებულიყო მთელ მსოფლიოში. ,,1924 წლიდან მოყოლებული ძალიან საინტერესო დებატები დაიწყო. ორი მთავარი პროტაგონისტი ამ დებატებისა სტალინი და ტროცკი იყვნენ. ორი მთავარი დაპირისპირებული თეორია კი – მსოფლიო რევოლუცია და სოციალიზმის გამარჯვებაა ცალკე აღებულ ქვეყანაში. ტროცკი ფიქრობდა, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს მთელ მსოფლიოში, სტალინი კი ემხრობოდა იდეას, რომ შესაძლებელი იყო სოციალიზმის ერთ სახელმწიფოში გამარჯვება. მოგეხსენებათ, გაიმარჯვა სტალინის მოსაზრებამ, ამას კი მნიშვნელოვანი (და დრამატული) პროცესები მოჰყვა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ, ხელოვნებაშიც.''[**სტალინი და ქართული ნაციონალიზმი,2011:5-6**]. ,,ტროცკი თავისი შეხედულების ბოლომდე ერთგული დარჩა. ცენტრალური კომიტეტი მისი სახით დიდ საშიშროებას ხედავდა. ამიტომ იგი 1929 წელს საბჭოთა კავშირიდან გააძევეს, ... ტროცკი უარყოფდა საბჭოთა კავშირის სოციალისტურ ხასიათს და კაპიტალისტურ ნაირსახეობად თვლიდა. ...მან მემარცხენე კომუნისტური ძალებისაგან დააფუძნა IV ინტერნაციონალი, რომელიც დაუპირისპირდა III კომუნისტურ ინტერნაციონალს...“ [**თურმანიძე,2019:44-45**]

მაშასადამე, აშკარად იკვეთება ის იდეოლოგიური წინააღმდეგობები, რაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირში სხვადასხვა პერიოდში განხორციელებულ რეპრესიებს. ტროცკისტული შეხედულებით სტალინსა და მის ჯგუფს ბრალად ედებოდა ერთგვარი ეროვნული, ნაციონალური ხაზის გატარება და პროლეტარული იდეებისადმი ღალატი. ამ კუთხით საინტერესოა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ სტალინის ე.წ. ეროვნულ პოლიტიკას თუ შეიძლება, რომ მას ასე ვუწოდოთ. ამ მხრივ საინტერესოა ი.სტალინის ნაშრომი ,,მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელშიც იგი ერის არსებობისათვის ხუთი მთავარი პუნქტის არსებობას ასახელებს: ტერიტორია, ენა, ისტორია, კულტურა და ერთიანი ეკონომიკა. ამ ნაშრომის დასაწყისშივე სტალინი ცალსახად აცხადებს ნაციონალიზმის მიუღებლობასა და ინტერნაციონალიზმის უპირატესობას. ,,ამ მძიმე წუთებში დაეკისრა სოციალ-დემოკრატიას უდიდესი მისია, უკუეგდოთ ნაციონალიზმი,მხოლოდ სოციალ-დემოკრატიაა ის ერთადერთი ძალა, რომელიც დაუპირისპირებს ნაციონალიზმს მასთან საბრძოლველად გამოცდილ იარაღს-ინტერნაციონალიზმს.“ [**Сталин/джугашвили:1**] მარქსიზმი და ნაციონალური საკითხის ელექტრონული

ვერსია). საკმაოდ რთულია საუბარი სტალინის ეროვნულ პოლიტიკაზე, ვინაიდან მისი მოღვაწეობა საკმაოდ მრავალწახნაგოვანია. თუმცა ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ერთგვარად განიცდიდა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ თუ არა პოეტურ გავლენას მაინც. ასეც, რომ იყოს ჭავჭავაძის პოეზია კი უმთავრესად პატრიოტულ მოტივებზეა აგებული. არ გვინდა გამოვიდეს თითქოს სტალინი ეროვნულ საწყისებზე იდგა. ოღონდაც აღსანიშნავია ის რაც რეალურად იყო მისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე. იგი 1895 წლის განმავლობაში გაზეთ ივერიაში ბეჭდავს რამდენიმე ლექს. ,, ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე გაზეთის პირველ გვერდზე ცუდ ლექსებს არ ბეჭდავდა...ცხადია სტალინს ილია ნიჭიერ, პერსპექტიულ პოეტად თვლიდა. 1895 წლის 25 დეკემბრის შემდეგ ი.ჯუღაშვილს ივერიაში აღარაფერი გამოუქვეყნებია, არავითარი მასალა არ მოგვეპოვება თუ რატომ მიატოვა ი.ჯუღაშვილმა ივერია.ალბათ რაღაც განხეთქილება მოხდა რედაქტორსა და პოეტს შორის...“ [**გურული,2000:9**.] ,,ძალიან ძნელია სტალინს ნაციონალისტი დავარქვათ იმ პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც მან 1922 წელს, ე.წ. ქართულ საქმეში მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ დაიჭირა. მემარჯვენე უკლონისტებს, ფილიპე მახარაძისა და ბუდუ მდივნის მეთაურობით სტალინთან და სერგო ორჯონიკიძესთან კონფლიქტი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მოწყობის გამო. უკლონისტებს უნდოდათ, რომ საქართველო ცალკე შესულიყო სსრკ-ში, ხოლო სტალინი და ორჯონიკიძე ამიერკავკასიის ფედერაციის საბჭოთა კავშირში მთლიანად შესვლას ემხრობოდნენ და გაიტანეს კიდეც ეს ხაზი. მიუხედავად ამისა, სტალინის პოზიციამ 20-იანი წლებიდან მოყოლებული შეცვლა დაიწყო''. [**სტალინი და ქართული ნაციონალიზმი,2011:5**]. მაშასადამე დღევანდელ საქართველოში აქტიურად გაიხსნა პოლემიკა სტალინის ნაციონალურ-ეროვნული პოლიტიკის დადგენის თვალსაზრისით. ეს არის ურთულესი საკითხი, რომელიც დიდხანს გაგრძელდება პრობლემის მრავალწახნაგოვანობის გამო. ,,იოსებ სტალინის ყოველი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ისე, როგორც მისი თანამოაზრეები, ამაოდ ცდილობდნენ ამოეცნოთ სტალინის ნააზრევის არსი და მისი რეალიზაციის პრაქტიკული შედეგი...“[**გურული,2000:6**].

ზოგადად სტალინი ატარებდა რა სოციალ-დემოკრატიის კურსს მის საწყის ეტაპზე, ხოლო შემდგომში უფრო რადიკალურ ბოლშევიკურ მიმართულებას, ცალსახად

უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდა ვიწრო ნაციონალური ბრძოლის მიმართ. ,,...სტალინისეული განმარტებისაგან განსხვავებით, ერი თანამედროვე განმარტებით არის ადამიანთა ერთობა რომელსაც გააჩნია საკუთარი სახელმწიფო და მისი დაკარგვის შემთხვევაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს აღდგენის სურვილი. აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება სტალინის განმარტებას...სტალინი ეწინააღმდეგებოდა ამ სურვილს და ყველანაირად ცდილობდა ჩაეხშო მსგავსი წინააღმდეგობები.“[**ბენდიანიშვილი,2017:19-20**].

ნაციონალური ბრძოლა, ნაციონალური საკითხის წამოწევა სტალინს ბურჟუაზიულ წარმონაქმნად მიაჩნდა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებული იყო კერძო საკუთრებასთან. მისი აზრით გლეხები მხოლოდ მაშინ დაუჭერდნენ მხარს სოციალისტურ რევოლუციას, თუკი მოხდებოდა მათი დაინტერესება საკუთრების ფორმით. მაგრამ მოგვიანებით უკვე ბოლშვიკებისათვის ეს საკითხი გახლდათ აქილევსის ქუსლი. ვინაიდან როგორც წარმოების საშუალებებზე და განსაკუთრებით მიწაზ,ე გამორიცხავდნენ კერძო საკუთრებას. ამიტომაც სტალინური რეპრესიების ერთ-ერთი მძლავრი ტალღა სწორედ მათ სოციალ-ეკონომიკურ პოლიტიკაშია, განსაკუთრებით სოფლად. ამიტომაც სტალინი განსაკუთრებულ ,,ყურადღებას“ უთმობდა კოლექტივიზაციის სოფლად განხორციელებას. ეს მათთვის სასიცოცხლო საკითხი იყო. თუმცა ისტორიაში ჰეროიკულობის შემოტანა უშუალოდ მის სახელს უკავშირდება. რაც არუნდა პარადოქსულად ჟღერდეს, 30-იანი წლების პერიოდიდან შეინიშნება გარკვეული ვიწრო ნაციონალური ელემენტების შემოტანა და დანერგვის მცდელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბუნებრივია ეს ასპექტები კომუნისტური საზოგადოების აღზრდაში უნდა დახმარებოდა კომუნისტ-სტალინისტებს. კერძოდ პროლეტარულ, მუშურ გლეხური მიმართულების ჩანაცვლება დაიწყო ეროვნულ მოტივებზე აგებულმა მიმართულებებმა როგორც ლიტერატურაში, ასევე ისტორიაში. გავიხსენოთ მაგ. გ.სააკაძის ფენომენი, მისი როგორც გმირის როლის წამოწევა. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების აქტიური შემოყვანა, შ.რუსთაველის 750 წლის იუბილის გადახდა და ა.შ. ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, ის, რომ 1932 წელს გაუქმდა ე.წ. პროლეტარ მწერალთა ასოციაცია იგივე რაპპელები, რომლებიც კომუნისტური პარტიის დავალებით მოქმედებდნენ და უარყოფდნენ ძველ კულტურას. [<u>Постановление ЦК ВКП(б</u>] ქართველი **რაპპელების ლოზუნგი იყო: ,,ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია“.** კანდიდ

ჩარკვიანი თავის მოგონებებში იგონებს ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს, მას უშუალო შეხება ჰქონდა სტალინთან, ისიც ღებულობდა მონაწილეობას ლოკალურ დონეზე პოლიტიკის შემუშავებაში. იგი იგონებს ერთი უღიმღამო, უნიჭო პროლეტარული ლექსის ისტორიას, რომელიც კონიუქტურის გამო დაიბეჭდა. დაახლოებით ამგვარი ტიპის ,,ხელოვნების ნიმუშები“ იყო წახალისებული იმ პერიოდისათვის და რაპპელებიც ამ კატეგორიის მწერლები იყვნენ, ე.წ. მუშურ-გლეხური მიმართულება ხელოვნებაში. სწორედ ამ მიმართულების მოშორება დაიგეგმა 1932 წლიდან. სტალინის დავალებით დაიწყეს ისტორიის, კულტურის თუ ხელოვნების სხვა დარგების მიმართ დამოკიდებულების შეცვლა. ეს მოვლენა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ბოლშევიკებმა კათარზისი განიცადეს, არა, იგი მკაცრად გაწერილი გეგმის ნაწილი იყო. ყველაფერი ემსახურებოდა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას. ამიტომ, ამ გზაზე მათ სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო ნებისმიერი რესურსის გამოყენება. შესაბამისად შექმნეს ე.წ. სოციალისტური რეალიზმის ფორმულა, რომელიც ხელოვნებისა და კულტურის ყველა დარგისთვის უნდა ყოფილიყო სავალდებულო. მწერალთა კავშირის პირველ საკავშირო ყრილობაზე(1934 წ.) მოსკოვში, შეიმუშავეს სოციალისტური რეალიზმის განმსაზღვრელი როლი და მისი ფორმულირებაც. ,,პარტიამ და მთავრობამ მწერლებს მოგვცა ყველაფერი, წაგვართვა მხოლოდ ერთი რამ: ცუდად წერის უფლება, აქვე შეიძლება დავამტოთ ისიც, რომ პარტიამ ჩვენ აგვიკრძალა ერთმანეთზე ბრძანებლობის უფლება, მოგვცა, გვიანდერძა რა მხოლოდ ერთმანეთის სწავლების უფლება“.[**Горький,Речь,1934**].

აშკარაა, ძალადობის, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანის მიმართ სიძულვილი, შიში ოპონენტთა მიმართ და რეპრესიებისადმი სიმპატიებით მიდრეკილი იყო სოციალ დემოკრატიის ბოლშევიკთა ფრთის როგორც რუსული ისე ქართული პარტიული ელიტა. მასასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში, სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით XX საუკუნის 20-30 წლებში განხორციელებული რეპრესიების იდეური საფძვლები იქმნებოდა მათი იდეოლოგების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს. ბოლშევიკური ხედვა იყო თავის თავად აგრესიული მიმდინარეობა, რომელიც აღიარებდა მხოლოდ კლასთა ბრძოლას და ამ

პრიზმაში განიხილავდა პროცესების შემდგომ განვითარებას, მის დიალექტიკას. ამ გზაზე ნებისმიერი წინაღობა ექვემდებარებოდა ფიზიკურ განადგურებას. ამას ემატებოდა იდეოლოგიური განსხვავებულობები ბოლშევიკური პარტიის ელიტაში. ტროცკი გლეხობის როლს რევოლუციის საქმეში საერთოდ უარყოფდა, იგი მზად იყო ერთი დიდი შეტევა, თუნდაც სამოქალაქო ომის მსგავსი წამოეწყო მათ წინააღმდეგ. ბუხარინი კი მიზანშეწონილად თვლიდა რუსული სოფლის ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნას. ერთიც და მეორეც ეწინააღმდეგებოდა ლენინისა და მოგვიანებით სტალინის ხედვებს. ცხადია ეს განსხვავებულობა სამომავლოდ გახდებოდა მწვავე, დაუნდობელი დაპირისპირების საგანი.

კულაკებისა და ბურჟუაზიის განადგურების იდეური საფუძვები მზადდებოდა ჯერ კიდევ ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე. ხოლო ხელისუფლების მიტაცების შემდეგ კი მის უშუალო განხოციელებას შეუდგნენ. ძალადობრივი პოლიტიკის გარეშე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები არ განხორციელდებოდა. მათთვის მიუღებელი იყო პარტიული დემოკრატიაც კი. ამიტომ ყოველგვარი ილუზია ბოლშევიკების დემოკრატიულობაზე გამოირიცხება. ისინი დაუნდობლად უსწორდებოდნენ ყოველგვარ გადახრებს პარტიაში, იქნებოდნენ ეს ტროცკისტ,ზინოვიევ-ბუხარინის სოციალურ-პოლიტიკური კურსის მიმხრეები თუ ე.წ. ნაციონალ-უკლონისტები. საკავშირო კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1930 წლის 26 იანვრიდან და 13 ივლისამდე, ხაზგასმით აღინიშნა პარტიულ ოპოზიციასთან ბრძოლის აუცილებლობა. ყრილობაზე სტალინისა და მისი მომხრეების გამოსვლებში ცენტრალური ხაზი მდგომარეობდა იმაში, რომ პარტია დაუნდობელი ყოფილიყო იმ ადამიანების მიმართ, ვინ ცდილობდა თანამშრომლობას ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებთან. ჩვენ ზემოთ საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ, როგორც საკავშირო ასევე რესპუბლიკის კომუნისტური პარტიების და ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების ყრილობები, რომელიც გვევლინებოდა საკავშირო კომპარტიის ყრილობების დადგენილებების უპირობო აღმსრულებლად. სხვანაირად შეუძლებელი იყო. განხილული მასალებიდან აშკარად წარმოჩინდა ის საერთო სურათი, რომელიც არსებობდა XX საუკუნის 30-იან წლებში. ,,...ერთი სიტყვით ჩვენ ვცხოვრობთ დაწყევლილ პირობებში, როცა ადამიანი წლობით ქრება ისე, რომ უახლოესმა ოჯახის წევრებმა, მეუღლემ, შვილებმა არაფერი იციან მის

შესახებ. ეს ნორმალურია? არა. ეს დაწერა ლენინმა ბაბუშკინის ნეკროლოგში 1910 წელს. ოღონდაც აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბაბუშკინი დააკავეს იარაღით სავსე ტრანსპორტით, მან იცოდა რაზეც მიდიოდა. რასაც ვერ იტყვით ჩვენზე...“[**солженицин,2006:24**]. ა.სოლჟენიცინის ,,გულაგიდან“ ეს ციტატა ნათლად გამოხატავს იმ ცინიზმს, რომელიც ახასიათებდა ბოლშევიკურ ტერორს. ლენინი სანამ თავად მოვიდოდა ხელისუფლებაში თითქოს უარყოფითად აფასებდა მსგავსი ტიპის მეთოდებს ოპონენტების მიმართ, მაგრამ შემდგომში თავად იყო ინიციატორი და იდეური სულისჩამდგმელი იმ სისხლიანი ქრონიკებისა, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა მმართველობის პერიოდში. ამიტომ, ვერ დავეთანხმებით გარკვეული ავტორების მოსაზრებას, რომლებიც 30-იან წლების ტერორის იდეურ სულისჩამდგმელად მოიაზრებდნენ მხოლოდ სტალინს. ისტორიოგრაფიაშიც ასეა მიღებული და მათ შორის ქართულშიც ,,სტალინურ რეპრესიებად“ იწოდება, თუმცა ისტორიული ობიექტურობისათვის აუცილებელია ითქვას, რომ საძირკველი ამ ტერორს თავად ვ.ი. ლენინის მიერ ჩაეყარა. რაც კარგად დასტურდება ა.სოლჟენიცინის ნაშრომიდანაც.

ამ შემთხვევაში ჩვენ თავისუფალი ვართ ყოველგვარი ყალბი ნაციონალისტური გაგებისაგან, ხშირ შემთხვევაში სტალინის კრიტიკა დღესაც კი აღიქმება, როგორც ნაციონალური იდენტობის შეურაცყოფა მისი ქართველობის გამო. მართალია სტალინს თავისი წილი პასუხისმგებლობა გააჩნია განხორციელებულ მასობრივ რეპრესიებში, მაგრამ იდეურ სულისჩამდგმელად უნდა განვიხილოთ ვ.ი.ულიანოვიც და სხვა ბოლშევიკი ლიდერები. ამავდროულად თავად სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური მოძღვრებები წარმოადგენდა ტერორისა და რეპრესიების იდეოლოგიურ საფუძვლებს. აკაკი ბაქრაძე თავის ჩანაწერებში სტალინის შესახებ წერდა: ,,....კომუნისტური ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში და არა მარტო სსრკ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში არსებობდა მრავლისმეტყველი ლენინიადა და სტალინიადა, საქართველოში ამას ბერიაც ემატებოდა....1932 წელს იოსებ ირემაშვილმა(სტალინის ბავშობის მეგობარი)გერმანიაში, გერმანულად პატარა წიგნი გამოსცა ,,სტალინი და საქართველოს ტრაგედია“. უკვე სახელწოდებაც ცხადად მოწმობს რა განწყობილებით არის წიგნი დაწერილი.“[**მატიანე,2010**] -(აკაკი ბაქრაძე სტალინის შესახებ). თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მოიპოვება

ავტორები, რომლებიც ცდილობენ სტალინის სრულ რეაბილიტაციას, ან მისი როლის მინიმიზაციას რეპრესიების საკითხში. ისინი რეპრესიებს განიხილავენ, როგორც იძულებით მოვლენას, რომელიც აუცილებელი იყო სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებისთვის. მაგ.მკვლევარი დმიტრი ლისკოვი თავის წიგნში **,,сталинские репресии-черные мифы и факты**" საუბრობს რა სტალინურ პერიოდზე, ეხება მასობრივ რეპრესიებსაც. იგი აკრიტიკებს ა.სოლჟენიცინს, რომელსაც სხვადასხვა ციფრები მოჰყავს რეპრესირებულთა რაოდენობის საჩვენებლად. ლისკოვის აზრით მსხვერპლი გამოწვეული იყო იმ დიდი ეკონომიკური გეგმებით რომელიც გააჩნდა საბჭოთა კავშირს.[**Лысков,2016:1**](პდფ ვერსია).კიდევ უფრო შორს მიდის თავის მსჯელობაში მკვლევარი, ალექსანდრ ელისეევი, რომელიც წიგნში **,, 1937 не верьте лжи о сталинских репрессиях**" ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს სტალინის უდანაშაულობაში. ავტორს სურს ,,გაარკვიოს" სტალინური რეპრესიების ნამდვილი ხასიათი და იმ დროს დატრიალებულ მოვლენებს უწოდებს ,,შავ მითს", რომლითაც თითქოსდა ჩრდილი უნდათ მიაყენეონ სტალინის პერსონას. მისი აზრით 1937 წელი იყო მტკივნეული, მაგრამ იძულებითი ხასიათის ღონისძიებები სახელმწიფოს გადასარჩენად. მისი აზრით ძირითადი დარტყმა მოდიოდა არა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე, არამედ პარტიის უმაღლესი ელიტის მისამართით. ამით თითქოს იგი გამორიცხავს რეპრესიების მასობრივ ხასიათს. იგი შეეცადა გაერკვია მასობრივი რევოლუციური ტერორის წარმოშობის საკითხები. მისი აზრით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ყოველთვის იწვევდა სოციალური ფენების მძლავრ წინააღმდეგობას.

რევოლუციებს ეწინააღმდეგებოდნენ არა მხოლოდ დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ მასებიც, უფრო სწორედ მათი ნაწილი.ხოლო მათი უკმაყოფილების ჩახშობა შესაბამისად მოითხოვდა მასობრივ ტერორს. ავტორის აზრით მასობრივი რევოლუციური ტერორის კლასიკური გამოვლინება იყო იაკობინელთა დიქტატურა საფრანგეთის რევოლუციის დროს. ასეთი იყო დიდი ფრანგული რევოლუციის ფასი. მისი აზრით მასობრივი ტერორი დამახასიათებელი იყო ინგლისის, ამერიკის და სხვა ქვეყნების ყველა ბურჟუაზიული რევოლუციებისათვის. რუსეთშიც ესერთა ტერორმა ყველაზე უხეში გათვლით 12 ათასამდე ადამიანი შეიწირა-ო.[**Елисеев,2015**] (ა.ელისეევი, ელექტრონული ვერსია)

ამით იგი ერთგვარად ცდილობს გამართლება მოუძებნოს იმ ტრაგედიას რომელიც განხორციელდა საბჭოთა კავშირში მოცემულ პერიოდში. აღსანიშნავია ასევე ვადიმ კოჟინოვის მონოგრაფია ,, **правда о сталинских репресий**". ავტორი ამ წიგნით ცდილობს დაინახოს და დაუმტკიცოს მკითხველს ობიექტური ჭეშმარიტება. კერძოდ მისი აზრით რეპრესიები გამოწვეული იყო არა საბჭოთა ბელადთა ახირებებით, არამედ იგი წარმოადგენდა იმ აუცილებელ მექანიზმს, რომელიც მოჰყვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებს. თუმცა ცდილობს გაატაროს ველიკორუსული, დერჟავნიკული ხაზი. ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ ავტორებისა, რომლებიც განსხვავებულად აფასებენ მოვლენებს და ცდილობენ სტალინის როლის მიჩქმალვას ან შელამაზებას ამ ტრაგედიის საქმეში.

,,ჩკ"-ას პირველი ოპერაცია იყო საერთო რუსული საგაფიცვო კავშირის მუშაკთა დაჭერები. შინსახკომის ერთ-ერთი პირველი ცირკულარი თარიღდება 1917 წლის დეკემბრის თვით, რომელიც ავალებდა შინსახკომის მუშაკებს გამოეჩინათ ადგილებზე მაქსიმალური თვითშემოქმედება ჩინოვნიკების დივერსიული ქმედებების მიმართ. 1917 წლის ბოლოსათვის ლენინი მოითხოვდა დაემყარებინათ რევოლუციური წესრიგი, დაუნდობლად ჩაეხშოთ ლოთების, ხულიგნებისა და კონტრევოლუციონერების ანარქია. 1918 წლის 7-10 იანვრის დადგენილებით იგი (ლენინი) აფართოებდა მის მიერვე შემუშავებული ბრძოლის შესრულების ამოცანებს ,,დიდი წმენდის" გამოცხადებით. რუსული მიწა უნდა გაწმენდილიყო ყოველგვარი მავნე ,,მწერებისაგან". ამ წმენდაში მათ უნდა გამოეჩინათ იმპროვიზაცია და საუკეთესო რეპრესიული მეთოდები დანერგილიყო კომუნებისათვის, როგორც შეჯიბრების კრიტერიუმები. დირექტივის შესაბამისად ბოლშევიკები არ ებრძოდნენ მხოლოდ ცალკეულ პირებს, მათ უნდა გაენადგურებიათ ბურჟუაზია, როგორც კლასი. ,,..არ ეძებოთ მტკიცებულებები იმისა, რომ ბრალდებული სიტყვით ან საქმით ეწეოდა თუ არა ანტისაბჭოტა ქმედებას. პირველი კითხვა რაც უნდა დაუსვათ მათ მდგომარეობს იმაში თუ რომელ კლასს მიეკუთვნება იგი, რა წარმოშობისაადა რა განათლების ფლობს. ამაშია წითელი ტერორის არსი".[**солженицин,2006:40-43**]. ,,...1937 წელი უბრალოდ დაპატიმრებულების რაოდენობით გამოირჩა, თორემ, ისე, ხარისხობრივად ის არაფრით არ განსხვავდებოდა 1935 ან 1929 წლისაგან,...ტოტალიტარულ სახელმწიფოებს სჩვევიათ, საერთოდ თავის შიგნით,

მმართველი ფენის წიაღმყოფი ადამიანების გაცხრილვაც, თუ ისინი მეტისმეტად მომძლავრდებოდნენ...“[**თუმანიშვილი,2020:183**]. მაშასადამე სრულიად ცხადია ბოლშევიკების მიერ განხორციელებული ტერორის იდეური წინაპირობები და მისი სულისჩამდგმელები, ასევე ცალსახაა ისიც, რომ ტერორი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო. ,,...21-ე საუკუნემ მოახდინა მიღებული ისტორიული დოგმების მსხვრევა და საბჭოთა პერიოდში აღიარებული ,,ანტიგმირები“ გმირებად აქცია. ყველაფერს ნელ-ნელა ფარდა აეხადა და თავისი სახელი დაერქვა...“[**ოქროსცვარიძე,2011:246**].

30-იან წლებში განხორციელებულ მასობრივ რეპრესიებს გააჩნდა ასევე კონკრეტულად ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ელფერიც. კერძოდ შესაძლოა აღინიშნოს რამდენიმე ფაქტორი, პირველი-იკითხებოდა, რა მოახლოებული დიდი მსოფლიო დაპირისპირების კონტურები, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა სამხედრო დაპირისპირება, აუცილებელ პირობად ჩათვალეს ე.წ. მეხუთე კოლონის მოშორება. მეორე-ვინაიდან საბჭოთა კავშირში არ არსებობდა ხელისუფლების დემოკრატიული შეცვლის არც ნება და არც გაგება, მმართველი ძალისათვის რეფორმების გატარების ერთადერთი ცნობილი, მრავალჯერ ნაცადი მეთოდი იყო გადაწყვეტილებების ძალადობრივი იმპლემენტაცია, რომელიც უარყოფდა განსხვავებულ დამოკიდებულებას ნებისმიერ საკითხთან მიმართებით, ამიტომ ტერორი იყო გარდაუვალი. მთელი საბჭოთა კავშირი ხომ სწორედ ტერორსა და ძალადობაზე იყო დაფუძნებული დღიდან მისი ჩამოყალიბებისა. კლასთა ბრძოლა იყო მთავარი პრინციპი, პროლეტარიატის დიქტატურის ეგიდის ქვეშ ხორციელდებოდა სახელმწიფო გადაწყვეტილებები. მესამე-რეპრესიების გამომწვევ ფაქტორად საბჭოების ეკონომიკური პოლიტიკაც უნდა დავასახელოთ.

განკულაკება, კოლექტივიზაცია, რაც ბუნებრივია დიდი წინააღმდეგობას აწყდებოდა, განაპირობებდა ხელისუფლების გაღიზიანებას და რეპრესიული მეთოდებით საბჭოური გადაწყვეტილებების იმპლემენტაციას. ამიტომ ტერორისმიერი იძულება ბოლშევიკების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი იყო. ,,...1930-იანი წლებიდან 1940-იანი წლების ბოლომდე ბრალდებულებს ფორმალურად ჰქონდათ საშუალება ძიებისას დარღვევები გაეპროტესტებინათ და პროკურატურისთვის მიემართათ, თუმცა შინსახკომის საძიებო საქმეებზე

საპროკურორო ზედამხედველობის მასალების კატალოგიდანაც ცხადია, რამდენად შეზღუდულად ხორციელდებოდა ეს პრაქტიკაში. 1932 წლიდან 1951 წლამდე ამ უფლებით დაახლოებით 1000 მდე ბრალდებულმა ისარგებლა...“[**ხვადაგიანი,2019**]. ავტორიტარულ-ტოტალიტარულმა სისტემამ შვა ტერორი, ძალადობა, სიშლეგე. ეს კომპონენტები არადემოკრატიული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი არსებითი შემადგენელი ნაწილებია.

&2. 1937-1938 წლებში აჭარაში განხორციელებული რეპრესიები

მრავალრიცხოვანია ამ პერიოდში რეპრესირებულთა რიცხვი აჭარაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემატიკით მრავალი მკვლევარია დაინტერესებული ვერ ხერხდება რეპრესირებულთა ზუსტი რიცხვის დადგენა. რაც ობიექტური სირთულეებით არის გამოწვეული. მხოლოდ 1937-1938 წლების ტერორის დროს საბჭოთა კავშირში სავარაუდოდ რეპრესირებულ იქნა 1(ერთი) მილიონ შვიდასი ათასამდე ადამიანი,საიდანაც 725 ათასამდე იქნა დახვრეტილი. [**Жертвы политического террора в СССР**]. (საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ტერორის მსხვერპლნი). ,,1930-იანი წლების რეპრესიები შეეხო საბჭოთა კავშირში ყველა კლასსა და სოციალურ ფენას, რომლებმაც ფართო მაშტაბებს 1937-1938 წლებში მიაღწია. რეპრესიებს საბჭოთა კავშირში ერთი მიზანი ჰქონდა, პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნება.“[**საარქივო მოამბე,2016:97**]. ,,...საქართველოში 1937-1938 წლებში სამეულმა გაასამართლა 21 105 ადამიანი, მათ შორის 1937 წელს-15 442, ხოლო 1938 წელს-5 663 ადამიანი“.[**საარქივო მოამბე,2016:68**].

საბჭოთა კავშირში, ასევე რეგიონშიც ამუშავდა რეპრესიული მანქანა. იმ პერიოდის რეგიონის ბეჭვდითი ორგანოები სავსე არის შესაბამისი თემატიკის პუბლიკაციებით. ძირითადად საუბარია დაუნდობელ და შეუწყნარებელ ბრძოლაზე კონტრევოლუციონერების წინააღმდეგ. პუბლიკაციების სათაურების ძირითადი ჩამონათვალი ასეთია: სიკვდილი ცოფიან ძაღლებს, გავსრისოთ ქვეწარმავლები და

სხვა. რეპრესიები აჭარაში შეეხო სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს, მათ შორის მოქმედ პარტიულ მუშაკებსაც. მასობრივი რეპრესიების დაწყების საბაბად მიჩნეულია საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ს.კიროვის მკვლელობა, რომელიც განხორციელდა 1934 წლის 1 დეკემბერს. მართველი პოლიტიკური გუნდისგან ამ ფაქტს მოჰყვა მყისიერი რეაცია. სასწრაფოდ შეიტანეს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, განსაზღვრეს დამატებით შესაბამისი ქმედებისათვის კვალიფიკაცია რაც ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას. კიროვის მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე ათეული ადამიანი, რომელთაგან 29 მიესაჯა დახვრეტა. დაპატიმრებული იქნენ ე.წ. მემარჯვენე ოპორტუნისტებად მონათლული ზინოვიევი, კამენევი, ევდოკიმოვი და სხვა. ამ პირთა მიმართ დაიწყო სასამართლო პროცესები დაჩქარებული ტემპით. 1936 წელს მათ თავდაპირველი სასჯელი 10 წლიანი პატიმრობა შეეცვალათ სასჯელის უმაღლესი ზომით, დახვრეტით.

1937 წლის 3 მარტს საკავშირო კომპარტიის ცკ-ს პლენუმზე სტალინი გამოვიდა ინიციატივით, რომელიც აისახა შესაბამის დადგენილებაში. საკითხი ეხებოდა ტროცკისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ პარტიის არასაკმარის ბრძოლას. აღინიშნა, რომ ტროცკისტულმა, ე.ი. მავნებლურ-მოღალატეობრივმა ელემენტებმა შეაღწიეს როგორც პარტიულ, ასევე ყველა ადმინისტრაციულ თუ სამეურნეო ორგანიზაციებში. ამავდროულად უცხო ქვეყნის აგენტებმა და ტროცკისტებმა მოახერხეს და შეაღწიეს არა მარტო პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ ზოგ შემთხვევაში ხელმძრვანელი ორგანოების სტრუქტურებშიც. ამავდროულად, სტალინის აზრით, ხშირ შემთხვევებში ხელმძღვანელობამ ცენტრსა და რეგიონებში ვერ მოახერხა ამოეცნოთ უცხო ქვეყნის აგენტურა და ხშირ შემთხვევაში თავად შეუწყვეს ხელი მათ შემდგომ დაწინაურებას. კიროვის მკვლელობა კი იყო პირველი სერიოზული გაფრთხილება ამ კუთხით, თუმცა მათი გუნდისთვის ცნობილი იყო ინფორმაცია თითქოსდა ,,ხალხის მტრების“ მოღალატეობრივი მოქმედების შესახებ. ამიტომ იგი გამოდიოდა წინადადებით ბოლო მოეღოთ როგორც ოპორტუნისტებისა და ყოველგვარი ოპოზიციონრების მიმართ, ასევე საკუთრივ გულგრილობისათვის პარტიაში.[Сталин, И.В Доклад и заключительное слово на Пленуме ЦК ВКП(б), 3 и 5 марта

1937 г.] მსგავსი შინაარსის მოხსენებით გამოვიდა იმავე პლენუმზე ვ.ი.მოლოტოვი ,,...ჩვენი ამოცანები ტროცკისტებთან და სხვა მავნებლებთან, დივერსანტებთან და ჯაშუშებთან ბრძოლაში.“ [**თურმანიძე,2019:85**]. დაიწყო საჩვენებელი საჯარო თუ დახურული სასამართლო პროცესები პარტიული, სახელმწიფო თუ სხვა მუშაკების მიმართ. საქართველოში განხორციელებულ მასობრივ რეპრესიებს სათავეში ედგა ლ.ბერია, რომელიც სხვადასხვა დროს შინსახკომის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა,1938 წლიდან საკავშირო შინსახკომის სახალხო კომისარიც იყო. 1937 წლის 10 ივლისის სკკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომის N51 ოქმის 199-ე მუხლი სამეულებისა და რეპრესირებულთა ლიმიტების დამტკიცების შესახებ ადგენდა სამეულებს შემდეგი შემადგენლობით:საქართველოს სსრ-ში გოგლიძის, ქობულოვის, მოროზოვის, რაფავას, ტალახაძისა და წერეთლის შემადგენლობით.

1937 წლის 30 ივლისს გამოქვეყნდა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ოპერატიული ბრძანება N 00447 ყოფილი კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ რეპრესიული ოპერაციის თაობაზე. რომელშიც დეტალურადაა საუბარი დასაპატიმრებელი პირების თაობაზე და კატეგორიებზე რესპუბლიკების მიხედვით. საქართველოსთვის პირველი კატეგორიის დასაპატიმრებელთა ლიმიტი იყო თვადაპირველად 2000, მეორე 3000 და მესამე კატეგორია კი 5000 ადამიანი. [**ბრძანება,1937:1**]. სტალინი დეტალურად იყო საქმის კურსში, დახვრეტის ბრძანებებს ხშირ შემთხვევაში მისი ხელწერა ედო და არა მარტო დიდი ტერორის პერიოდში, არამედ გაცილებით უფრო გვიან 1950 წელსაც. უამრავი დოკუმენტი არსებობს ამის დამადასტურებელი. ასე მაგალითად 1950 წლით თარიღდება სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომისრის აბაკუმოვის საიდუმლო კორესპოდენცია სტალინისადმი N 6649. სადაც იგი ითხოვს ნებართვას, წერილში დასახელებული პირების უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ განხილვისას და სიკვდილით დასჯას, ყოველგვარი გასაჩივრებისა და აპელაციის უფლების გარეშე. [**СТАЛИНСКИЕ РАССТРЕЛЬНЫЕ СПИСКИ**]. ასევე მაგ. სტალინის ხელმოწერა ედო დახვრეტილ ივანე ანტონის ძე რეინგარდის თაობაზე სამეულის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. რეინგარდი დაბადებული იყო უკრაინაში, ოდესის ოლქში, მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ.სალიბაურში ბუღალტრად.

დახვრეტის თარიღი: 09/15/1937. [**სტალინური სიები საქართველოდან**]. საარქივო მასალებში უამრავი ცნობა მოიპოვება, რომელთა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების სამსახურები დეტალურად აგროვებდნენ ცნობებს პრაქტიკულად ყველა საწარმო დაწესებულებებიდან. ორგანიზაციებში არსებული ე.წ. სამეულები, რომლებშიც შედიოდნენ პარტკომი და პროფკავშირების წარმომადგენლები ამავდროულად იყო ერთ ერთი მაკონტროლებელი ორგანო ადგილებზე. აზნეფტის მუშაკი იუსუფ ქათამაძე (კომპარტიის წევრი) თუნუქის საწარმოს დირექტორ, თეოდორ გრინბერგთან საუბრისას შეეხო ხულოს ცნობილ მოვლენებს. იგი გამოთქვამდა გულისწყრომას იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოეპყრო სახელმწიფო აჭარლებს, რომ ისინი სისხლის ამღები ხალხია და მათთან ასეთი მოპყრობა ხელისუფლებას მომავალში ძვირად დაუჯდებოდა. თავის მხრივ გრინბერგიც დაეთანხმა მას და აღუნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმსახურებდა შესაბამის პასუხს. გამოთქვამდა გულისწყრომას იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება მათ ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა.მათი აღნიშნული საუბრის შინაარსი ცნობილი გამხდარა ზემდგომი ორგანოებისათვის. [**ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4.საქმ.N113:21**]. აღნიშნული ტიპის მასალები გროვდებოდა შინსაკომთან არსებული სახელმწიფო პოლიტიკური პოლიციის სამსახურის მიერ. (რუს-ГПУ) ასეთი მასალები გროვდებოდა ყოველდღიურ რეჟიმში. მაგ. 1929 წლის 24/03 ლენინისა და ლუქსემბურგის ქუჩების კვეთაში შეიკრიბილან ჯემალ ქიქავა, ზექერია ხალვაში და ხასან ქადაგიძე. ქიქავა რეგიონის მთავრობას უდიერად მოიხსენიებდა, უწოდებდა რა მათ სულელებს. თითქოს ისინი თავს უხრიდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და ,, ...ქართველები მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფილიყვნენ, ამიტომ მათ არ ადარდებდათ თუ რა ხდებოდა აჭარაში.“ იმავე ოპერტიული ცნობით იგი ამართლებდა ხიმშიაშვილს, რომელსაც საქართველოში მუშაობა არ უნდოდა და სურდა პირდაპირ დაკავშირებოდა მოსკოვს. ,,გვირაბი რა თავისით ჩამოინგრა? მატარებლის ავარია მწვანე კონცხის გვირაბში ჩვენების საქმე იყო. ხალვაში დაეთანხმა ქიქავას და აღნიშნა, ჩვენ ეს წინასწარ ვიცოდით ყველაფერიო...“ [**ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4.საქმ.N113:22**]. აღნიშნული ოპერატიული ცნობა მოპოვებული იყო ჩეკისტების კილაძისა და ცირეკიძის მიერ. ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი

ხასიათის ცნობაა, ვინაიდან იგი ეხება ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს და მეტნაკლებად ასახავს იმ აზრთა სხვადასხვაობებს, რომლებიც არსებობდა საზოგადოებაში. საინტერესოა ასევე პარტიის წევრ ა.გარდავას წერილი აჭაროლქკომისადმი რომელშიც იგი კატეგორიულად უარყოფს მის კავშირს ოპორტუნისტებთან, ოპოზიციის ყოველგვარ გამოვლინებასთან და ითხოვს იმ ხალხთან შეპირისპირებას, რომლებიც მისი აზრით ,,ხმებს,, უვრცელებდნენ. ,,...პარტიულ ამხანაგებთან პირად საუბრებში ხშირად მიწევდა ცეკას ხაზის დაცვა, ვინაიდან ღრმად მწამს, რომ მხოლოდ ეს არის ლენინიზმისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა...“ [**ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4.საქმ.N113:20**].

აჭარაში მიზანმიმართულად შეარჩიეს ადამიანთა ჯგუფი, როგორც კონტრევოლუვიონერები და მათ მიმართ საგანგებო სასამართლო პროცესები მოაწყვეს. ამ ჯგუფში შეიყვანეს 11 ბრალდებული, რომელთა შორის იყვნენ: ზ.ლორთქიფანიძის, მ.სურმანიძის, გ.რამიშვილის, და სხვათა სასამართლო პროცესები. საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება, საქართველოს კპ(ბ) ცკ ბიუროს 1937 წლის 19 სექტემბრის # 13 ოქმის დანართით **განისაზღვრა:** ,,ხალხის მტრების სასამართლო პროცესის სწორი ორგანიზებისათვის სასამრთლოს შემადგენლობა: თავჯდომარე რეჯებ აზაბის ძე ჯინჭარაძე, სასამართლოს წევრები: ვლადიმერ ბასის ძე ჩიტაია, მდივანი ლევან კირილეს ძე ჩიჩუა. სახელმწიფო ბრალმდებლად კი პროკურორი იპოლიტე ედიშერის ძე კაპანაძე. საზოგადოებრივ ბრალმდებლად კი დაამტკიცეს ნავთობ გადამამუშავებელი საწარმოს ატმოსფერული ფოსტერის ბრიგადირი-სტახანოველი თოფუზ ქესკინის ძე ცეცხლაძე....საბრალდებო დასკვნა უნდა გამოქვეყნებულიყო პრესაში, გულდასმით უნდა შეერჩიათ სასამართლო პროცესზე დამსწრეთა რაოდენობა და ვინაობა, ამისათვის გამოიყო ლიმიტები რაიონების მიხედვით. პროცესის ტრანსლირება უნდა მომხდარიყო რადიოთი.[**იუნგე და სხვები,2015:217-218**] (ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, ტ.II). **პრაქტიკულად გამოცხადებული იყო შეჯიბრი კონვეირული მასტაბით რეპრესირებულთა რაოდენობის ზრდაზე, რაზეც მეტყველებს** აჭარის ავტო-ნომიური რესპუბლიკის შინსახკომის უფროსის მოადგილის ს.ი.კუგელის მოხსენება საქართველოს სსრ შინსახკომის უფროსის მოადგილის, ა. ნ. რაფავასადმი. – „კულაკური” სამეულისთვის კონტინგენტის შერჩევის მექანიზმის შესახებ.

აღნიშნული მოხსენებით კუგელი ამცნობს საქმის ვითარებას, მათ უკვე ჰქონიათ ,,გამზადებული“ 700 საგამოძიებო საქმე და დამატებით გეგმავდნენ 200 მეტი ადამიანის დაკავებას, იმათ გარდა ვისაც სამეულის სპეციალური სიით დააპატიმრებდნენ. ,,...სიები იზრდება თქვენი დავალების შესაბამისად, კონტრრევო-ლუციურ- მეამბოხური ორგანიზაციის მონაწილეთა, აგრეთვე მენშევიკების, ოფიცრე-ბისა და ა.შ. ხარჯზე“[**იუნგე და სხვები,2015:66**].

რეგიონში შექმნილი ეს მძიმე ვითარება სხვა ფაქტებითაც დასტურდება. ,,სახელმწიფო უშიშროების მუშაკებმა 1937-1938 წლებში აჭარაში შთხზეს 400 ათასი ფალსიფიცირებული საქმე ,,ხალხის მტრის“, ,,მავნებლის“, ,,კონტრევოლუციონერის,“ ,,ტროცკისტის,“ ,,დივერსანტის,“ ,,ტერორისტის,“ ჯაშუშების და სხვათა იარლიყებით. აღსანიშნავია, რომ აჭარაში 1937 წლისათვის მოსახლეობა 200 ათასს სულ ოდნავ აღემატებოდა. მცირეწლოვანთა გამოკლებით ერთ ადამიანზე 4 ფალსიფიცირბული საქმე მოდიოდა.“ [**გაზ.აჭარაN96,2014:6**]. რეპრესირებულ პირთა რაოდენობასთან დაკავშირებით განსხვავებულ მონაცემებს ვხედავთ რ.სურმანიძის წიგნში ,,ტრაგედია ბათუმში“(1937-1938 წლები): ,,...ოფიციალური მონაცემებით 1937-1938 წლებში დააპატიმრეს 30 000 მეტი მოქალაქე, აქედან 9 000 ე.ი. 30% (საკავშირო მაჩვენებელზე 7% მეტი) დახვრიტეს. 1939 წლის მონაცემებით გულაგის ბანაკებში 11 723 ეროვნებით ქართველი პატიმარი ბინადრობდა.“[**სურმანიძე,2014:8**]. სავსებით განსხვავებული ციფრს გადავაწყდით **გაზეთ ბათუმელების 2015 წლის N20. 8-14 ივნისის** გამოშვებაში, ,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელიც 1937-1938 წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ უდანაშაულოდ დახვრეტილი ადამიანების საფლავებს მოიძიებს. საარქივო დოკუმენტების მიხედვით ამ პერიოდში ბათუმში 670 ადამიანი დახვრიტეს, მათ შორის 12 ქალი.“ სასტიკი იყო საბჭოური რეპრესიული მეთოდები. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფალნი, რომლებიც შემდგომში თვითონ გახდნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი, დევნიდნენ თავისუფალ აზრს. ცხადია თავისუფალ აზრს ყველაზე მეტად ინტელიგენცია, კერძოდ მასწავლებლები გამოთქვამდნენ...გასული საუკუნის 30-იან წლებში აჭარის ყველა რაიონში გამოვლინდა მასწავლებელთა უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით..“ [**გაზეთი ,,აჭარა“,2017.11.27.**]

რეპრესირებულთა შორის ერთ-ერთი გახმაურებული საქმე იყო ზექერია ლორთქიფანიძის საქმე. იგი სამშობლოს ღალატის ბრძანებით 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს. პატიმრობაში ყოფნის ოერიოდში მას აწამებდნენ. ბრალს სდებდნენ უცხოურ დაზვერვასთან კავშირს. 1936 წლისათვის კი მათ ჯგუფთან თითქოს გაერთიანდა გ.რამიშვილის ტროცკისტულ-ტერორისტული ორგანიზაცია, მ.აბაშიძის ,,ქართული ეროვნული პარტია“ და ,,მენშევიკების აჭარის კომიტეტი“. შესაბამისად ამ გაერთიანებით თითქოს შექმნილა ,,აჭარის განთავისუფლების გაერთიანებული კომიტეტი“, რომელსაც თითქოს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა კ.გოგიბერიძე. ზ.ლორთქიფანიძე 1937 წლის სექტემბერში დახვრიტეს.[**გაზ.აჭარა,2014.N96**]. ,,აჭარის საქმეში“ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ზექერია ლორთქიფანიძე. მისი საქმის დასრულების შემდეგ საარქივო მასალებსა და იმდროინდელ პრესაში წერია: გარდაიცვალა 1937 წლის 28 სექტემბერს, გარდაცვალების მიზეზი-დახვრეტილი....გასული საუკუნის 30-წლებში ,,ხალხის მტრების“ დევნაში მთელი საზოგადოება იყო ჩართული. “შეიკრა“ უამრავი საქმე. მათ შორის იყო ,,აჭარის სამე“. “[**გაზ.ბათუმელები,2011.N17.გვ.11**] ამ საგაზეთო პუბლიკაციიდან ასევე დასტურდება ისიც, თუ როგორ სრულდებოდა რეგიონებში კომპარტიის ცეკას დადგენილებები. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილია 1937 წლის ცეკას პლენუმის დადგენილება რომლის ავტორებიც სტალინი და მოლოტოვი იყვნენ, სწორედ იქ არის მითითება გაცემული პარტიული უჯრედების არასათანადო მუშაობის თაობაზე, რათა გაეძლიერებიათ ბრძოლა ტროცკისტების და სხვა მავნებლების წინააღმდეგ, ასევე არ მისცემოდნენ თვითდამშვიდებას. ,,....სხვადასხვა დროს ზ.ლორთქიფანიძე იყო აჭარის საოლქო კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრი. იყო საქართველოს კომპარტიისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყრილობების დელეგატი. შედიოდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, იყო საკავშირო ცაკის წევრი. 1935 წლის დეკემბერში იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.“[**ზოიძე,1990:79-80**].

რეპრესიების მსხვერპლი გახდა **ოსმან ხუსეინის ძე მოწყობილი.** იგი ,,...1921 ნოემბრიდან არის წითელი მეჯლისის წევრი. 1922 წელს ინიშნება აჭარის ცაკის თავჯდომარედ.1923 წლიდან არის კომპარტიის წევრი. იგი იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ ცაკის წევრი.

მკვლევარ ო.თურმანიძის მოსაზრებით მისი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი თახსიმ ხიმშიაშვილთან ერთად დაუპირისპირდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. საქმე ეხებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის უფლებამოსილებას. მოგვიანებით მან შეცდომა აღიარა და თანამდებობიდან გადადგა. 1936 დანიშნეს აჭარის ვაჭრობის სახალხო კომისრად. 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს სამშობლოს ღალატით და დახვრიტეს. იმავე წელსვე დახვრიტეს მისი ძმები მურად და ახმედ მოწყობილები, რეპრესირებულ იქნა მისი მეუღლეც. იგი რეაბილიტირებულია 1957 წლის 6 სექტემბრის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალის მიერ. [**გაზ.აჭარა,2014.N99**]. რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა ასევე მოედინ ფერათის ძე სურმანიძე. იგი არ მონაწილეობდა აჭარის ცაკის 1925 წლის ოქტომბერის პლენუმის მუშაობაში, შესაბამისად არ იზიარებდა დაპირისპირებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იგი 1930 წლამდე იყო ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის თავჯდომარე. 1929 წელს აჭარაში განვითარებული მღელვარების დროს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ავტონომიური რესპუბლიკის მრავალი ხელმძღვანელი მუშაკი გაანთავისუფლა, მაგრამ მოედინ სურმანიძე ინარჩუნებდა მათ კეთილგანწყობას, იგი აგრძელებდა სამსახურს. მიუხედავად ამისა იგი 1937 წლის 22 ივნისს დააპატიმრეს. სამი თვე გრძელდებოდა მისგან აღიარებითი ჩვენების გამოძალვა. იმავე წლის 3 ოქტომბრის ,,სამეულის“ დადგენილებით მიესაჯა დახვრეტა. დახვრიტეს მისი ნათესავი, რომელიც მოედინის მცირეწლოვან ბავშვებს პროდუქტებით ამარაგებდა.[**გაზ.აჭარა,2014.N102**].

დაპატიმრებები საქართველოში და მათ შორის აჭარაში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა. არსებობდა ე.წ. ლიმიტები. დასაპატიმრებელი ადამიანები იყოფოდა რამდენიმე კატეგორიად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ისინი, რომლებიც პირდაპირ დახვრეტას ექვემდებარებოდნენ სამეულების მხრიდან. მეორე კატეგორიაში შედიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ მნიშვნელოვან პროფესიებს მაგ. ექიმები, ინჟინრები და ა.შ. და შესაბამისად შესაძლოა გამოეყენებიათ სოციალისტურ მშენებლობაში, ამიტომ მათი საქმეები ხელისუფლების უმაღლეს ეშელეონებში უნდა განხილულიყო, ან უშუალოდ შინსახკომის კურირების ქვეშ. რეპრესიული მანქანა მოქმედებდა პრინციპით, ,,ჯერ დააპატიმრე მერე დაამტკიცე“, ასევე არსებობდა

პრინციპი ,,ვინც არ აწამებს ის თავად არის ხალხის მტერი“. ბოლშევიკების ფანტაზიას ამ საქმეში ვერავინ შეედრებოდა. ,,...დასაჯე და დაამტკიცე“ ჯერ ვაპატიმრებთ, ხოლო შემდეგ ვაწარმოებთ გამოძიებას რეპრესიების მეშვეობით. ეს იყო ხელმძღვანელობის მითითება....აღარ ჰქონდა მნიშვნელობა იყო თუ არა საქმეში მტკიცებულება, დაპატიმრება საკმარისი იყო, რომ პირი დამნაშავედ ჩათვლილიყო...პირის დასაპატიმრებლად საკმარისი იყო ორი-სამი მოწმის ჩვენება. დაპირისპირება ბრალდებულსა და მოწმეებს შორის არ ხდებოდა. ამის შემდეგ საქმე შინსახკომის სამეულს გადაეცემოდა...“[**საარქივო მოამბე,2016:104**]. 1937 წლის 8 ივლისს საქართველოს ცკ-ის პირველმა მდივანმა ლავრენტი ბერიამ მოსკოვში გაგზავნა რეპრესირებულთა ლიმიტების თხოვნა, ეს ნიშნავდა, რომ მან მოიძია პირველი კატეგორიით დასასჯელი 1419 ადამიანი, ხოლო მეორე კატეგორიით 1562 ადამიანი. ბერიამ წერილში დაამატა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საშიშნი არიან და სასურველია მათგან საზოგადოების გაწმენდა...ამ წერილის მთავარი მიზანი იყო მოსკოვს გაეზარდა საქართველოსთვის რეპრესირებულთა ლიმიტი...1937 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე ლიმიტების რაოდენობა 5000 -დან 17500 გაიზარდა. მათ შორის პირველი კატეგორიისთვის 2000-დან 7500-მდე.[**ჯიშკარიანი,საბჭოთა წარსული:32**]. https://www.gfsis.org/files/my-world/30/3_artcile.pdf.

დაპატიმრებულთა შორის იყო ასევე **მემედ გვარიშვილი,** იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. კომპარტიის წევრად ირიცხებოდა 1927 წლიდან. იგი 1937 წლის 14 ივლისს დააპატიმრეს და ბათუმის ,,ჩეკას,, საპყრობილეში ჩასვეს. შინსახკომის ბათუმის საპყრობილე რუსთაველის ქუჩაზე მდებარეობდა, კინოთეატრ ,,თბილისთან,, ახლოს. მ.გვარიშვილი 1937 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით დამნაშავედ ცნეს და იმავე დღეს დახვრიტეს ჭოროხის პირას. მკვლევარ ო.თურმანიძის აზრით პატიმრებს მათ მიერ გათხრილ სამარხებში ყრიდნენ. მ.გვარიშვილს მილიციის უმაღლესი სკოლა მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული. დაპატიმრებამდე იგი ავტონომიური რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსად მუშაობდა, რომელიც ამ თანამდებობაზე თავად ბერიას რეკომენდაციით დაინიშნულა, დახვრიტეს ასევე მემედის ძმა ალი გვარიშვილიც.[**გაზ.აჭარა,2014:4-6. N111**]. რეპრესიების მსხვერპლი გახდა **მუსტაფა ჩახვაძე**. დახვრეტის დროს იგი 34 წლის იყო. 1929-31 წლებში მუშაობდა აჭარის

პროფესიული კავშირების საბჭოს ჯერ მდივნად, შემდეგ კი თავჯდომარედ. მომდევნო წლებში იკავებდა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის პოსტს.ერთი პერიოდი მას ეკავა აჭარის ცაკის თავჯდომარის მოადგილის თანამდებობაც. მას შეხვედრები ჰქონია მწერალ მიხეილ ჯავახიშვილთან. იგი მოხიბლული ყოფილა მისი წიგნიერებით. იგი დახვრიტეს 1937 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით იმავე დღეს.ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 1956 წლის 22 დეკემბრის განჩინებით რეაბილიტირებულ იქნა.[**გაზ.აჭარაN115. 2014:14-15**] ძნელი მისახვედრი არაა თუ რა იქნებოდა მ.ჩახვაძის მიმართ წაყენებული ბრალდება. კონტრევოლუციონერ-ტროცკისტობა, მითუმეტეს, რომ გარკვეული ნაცნობობა აკავშირებდა მ.ჯავახიშვილთან. ჩეკისტებისთვის ეს საკმარისზე მეტი მტკიცებულება იყო. იმ პერიოდში განხორციელებული რეპრესიების ტალღა იმითაც იყო დამთრგუნველი, რომ ფეხქვეშ ითელებოდა ადამიანის ღირსება, საბჭოთა პროპაგანდა და შესაბამისად რეპრესიული მანქანა ცდილობდა საზოგადოებაში დაეთესა შიში ხელისუფლების მიმართ და ყველანი პარტიის ლიდერების გადაწყვეტილებების უპირობო შემსრულებლებად ექცია. იმ ავადმოსახსენებლ პერიოდში განუზომელი ზეწოლის და წამების შიშის გამო ადამიანები ვერ უძლებდნენ ხშირ შემთხვევაში წნეხს და ,,გმობდნენ“ ერთმანეთს. მაგ. ცოლი საჯაროდ დაგმობდა ქმარს, ამის ნათელი მაგალითია **შევქეთ იბრაიმის ძე ლორთქიფანიძის** ტრაგიკული ისტორია. განათლება მიიღო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1929 წელს იგი იყო ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი. მუშაობდა იუსტიციისა და პროკურატურის სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე. იკავებდა აჭარის საოქო კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობასაც. იგი დააპატიმრეს 1937 წელს. იმავე წლის 10 ნოემბრის დადგენილებით მიესაჯა დახვრეტა, რომელიც აღასრულეს 15 ნოემბერს. მას ერთ-ერთ დანაშაულად ისიც ჩაუთვალეს, რომ ცოლად ჰყავდა გულო კაიკაციშვილის შვილიშვილი გულიკო იუსუფის ასული კაიკაციშვილი, რომლის ოჯახიც კულაკად იყო შერაცხული. 1937 წლის 8 დეკემბერს მას პრაქტიკულად გასამართლება მოუწყვეს ცაკის კომკავშირული ორგანიზაციის დახურულ კრებაზე. მას ბრალად დასდეს ის ამბავი, რომ დროულად არ ,,ამხილა“ მისი ქმარი, როგორც ხალხის მტერი, მოადუნა პოლიტიკური სიფხიზლე...იგი გარიცხეს კომკავშირიდან. გულიკო კაიკაციშვილი დაპატიმრება-გადასახლებას იმით

გადაურჩა, რომ ქმარს „გაემიჯნა“.[**გაზ.აჭარა2014.N118**]. რეპრესიების მსხვერპლი გახდა ასევე **სელმან ლორთქიფანიძეც**, რომელიც თავგამოდებული ერთგული იყო პარტიისა. სელმან ლორთქიფანიძეს უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის კურსიდან არ გადაუხვევია. თავის გამოსვლებში ლაპარაკობდა პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერების, ტროცკისტების გამოვლენასა და დასჯის შესახებ იგი 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე დახვრიტეს, როგორც ხალხის მტერი. რეაბილიტირებულია 1956 წლის 14 დეკემბრის აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.[**გაზ.აჭარა,2014.N122**].

1937 წელსვე დააპატიმრეს ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი **ილიას დურსუნის ძე ქათამაძე.** დაპატიმრებისას 31 წლის იყო, მას დამთავრებული ჰქონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. დახვრიტეს 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, როგორც ხალხის მტერი და სოციალიზმის მოსპობის მოსურნე. მასზე ჩვენ ნაშრომის მომდევნო ნაწილშიც ვისაუბრებთ, როგორც საბჭოთა სისტემის თვალსაჩინო მსხვერპლზე. [**გაზ.აჭარაN6.2015:17-21**]. რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა ასევე მისი მეუღლე მარიამ ლორთქიფანიძეც, იგი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მარიამი შვილებთან ერთად საკუთარი ბინიდან გამოასახლეს, ბინაში იმ დროს მუზეუმის დირექტორი ხარიტონ ახვლედიანი შესახლებულა. რეპრესიებს ემსხვერპლენ მარიამის ძმებიც. ერთ-ერთი მათგანი კოლია ლორთქიფანიძე მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი რექტორი იყო. მარიამმა ციმბირში 8 წელი დაჰყო.1956 წლის 10 ნოემბრის დაადგენილებით ილიას დურსუნის ძე ქათამაძე რეაბილიტირებულია. რეაბილიტირებულია მისი მეუღლეც. [**გაზ.ბათუმელებიN45.2009**].

1937 წლის რეპრესიის მსხვერპლი აღმოჩნდა კომუნისტი **სულეიმან ბეჟანიძე,** დაპატიმრებისას ხულოს რაიონის საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ მუშაობდა. სავარაუდოთ მისი დაპატიმრების საფუძველი ავტორის აზრით შესაძლოა, ყოფილიყო ახლო ნათესაობა ზექერია ლორთქიფანიძესთან. მისი დაპატიმრების ერთ-ერთი საფუძველი ასევე უნდა ყოფილიყო კრიტიკული პოზიცია, რომლითაც იგი გამოდიოდა ადგილობრივი და რესპუბლიკური ხელისუფლების მიმართ. საკითხი ეხებოდა 1928-29 წლებში მიმდინარე მღელვარებებს, ჩადრის ახდის პოლიტიკას და

დანარჩენ თემატიკას, რომლითაც დატვირთული იყო ზემოაღნიშნული მოვლენები. იგი აკრიტიკებდა ცენტრალური ხელისფუფლების ხისტ პოლიტიკას. [**გაზ.აჭარა,2015.24-25 ივნისი:5**]. ტერორი შეეხო ადამიანებს განურჩევლად მათი პოლიტიკური სიმპატიებისა, იყო თუ არა პარტიის ერთგული. თანაუგრძნობდა თუ არა თავად ესა თუ ის პირი პარტიის მიერ ,,კუდიანებზე" ნადირობის პოლიტიკას. ამის ნათელი მაგალითია **ნური გამრეკელიძის** რეპრესიის ისტორია. 1937 წლის 8 აგვისტოს ხულოს რაიაღმასკომის პლენუმზე ნური გამრეკელიძე გამოვიდა მოხსენებით სულეიმან ბეჟანიძის შესახებ. შინსახკომის ცრუ ცნობებზე დაყრდნობით, ყოველგვარი ანალიზისა და დასაბუთების გარეშე სულეიმან ბეჟანიძე ხალხის მტრად გამოაცხადეს. ნ.გამრეკელიძე თავად ადანაშაულებდა ბეჟანიძეს. მიუხედავად მისი პარტიისადმი ერთგულებისა და ,,აქტიურობისა" ისიც დააპატიმრეს. დააპატიმრეს, ასევე მისი ძმაც ქერიმ გამრეკელიძე და მამაც შაქის გამრეყელიძე. მისი რეაბილიტაცია მოხდა 1957 წელს.[**გაზ.აჭარაN11.2015**].

რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა აქტიური საზოგადო მოღვაწე **ჯემალ ქიქავა.** ცნობილი იყო მისი ანტიოსმალური პოზიცია, იგი მოსახლეობას მოუწოდებდა დაუმორჩილებლობისაკენ. (ბათუმის ოკუპაციის პერიოდში). ,,სწორედ ამის გამო აცნობეს ბათუმის ოლქის ოსმალო გუბერნატორს, რომ ბათუმის ოლქში მოქმედებს ანტიოსმალურად განწყობილი მაჰმადიან ქართველთა ჯგუფი, რომელიც ითხოვს ბათუმისა და მისი ოლქების საქართველოსთან მიერთებას. ამ ჯგუფის აქტიური წარმომადგენელია ჯ.ქიქავა, ხასან ლორთქიფანიძე, მ.აბაშიძე, დაუთ სირბილაძე..."[**ქიქავა,2004:1-2**]. მისი მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიცია გამოიხატებოდა იმაშიც, რომ იგი ავტონომიის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. აჭარის საგანგებო კომისიის უფროსის მოადგილე საქართველოს შინსახკომს აუწყებდა: ,,ჯემალ ქიქავა ყოფილი წითელი მეჯლისის მოწინავე წარმომადგენელი, რომელმაც საოცრად ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ აჭარა საქართველოს დაბრუნებოდა." მიუხედავად ამისა 1937 წლის 13 ივლისს დააპატიმრეს. მას ასევე ბრალად სდებდნენ კავშირის დაუმყარებას უცხოურ დაზვერვასთან. მას და კიდევ 11 მსჯავრდებულს 1937 წლის 26 სექტემბერს მიესაჯა დახვრეტა, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 27 სექტემბერს. დაიხვრიტა ჭოროხის პირას. მათი სამარხები დრემდე უცნობია. რეაბილიტირებულია 1957 წელს.[**გაზ.აჭარაN28.2015**]. ერთ-ერთი მტკიცე

კომუნისტი, რომელიც ,,დიდ ტერორს“ შეეწირა გახლდათ **ხასან იუსუფის ძე ძნელაძე.** დაპატიმრების დროს იგი ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ხ.ძნელაძე იმთავითვე კომუნისტურ რეჟიმის მომხრე იყო. მიუხედავად ამისა ეს ვერ გახდა მისი რეპრესიებისაგან თავდაცვის საშუალება. ს.მ. კიროვის მკვლელობის (1934წ.1 დეკემბერი) შემდეგ საბჭოთა კავშირში აქტიურად გაიშალა ბრძოლა კონტრევოლუციონური, ტროცკისტული დაჯგუფებების სალიკვიდაციოდ. ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა ხასან ძნელაძეც. პარტიულ და კომკავშირულ კონფერენციებზე, ბიუროებსა თუ პლენუმებზე, იგი იცავდა პარტიის გენერალურ ხაზს. ამის მიუხედავად 1937 წლის აგვისტოში იგი დააპატიმრეს ბრალდებით კონტრევოლუციონერ-ტროცკისტის, ხალხის მტერის და მავნებელის სტატუსით. 1937 წლის 28 სექტემბერს მას მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა გადასახლებით.[**გაზ.აჭარა,2015.N41**].

რეპრესირებულთა რიცხვშია ასევე ქობულეთის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მაშინდელი თავჯდომარე **მამუდ სულეიმანის ძე ყურშუბაძე.** იგი 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სამეულის მიერ. დახვრიტეს სოფელ ფერიაში, რეაბილიტირებულია 1957წ.ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ.[**გაზ.აჭარაN43.2015**].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა რომელიც რეპრესიების მსხვერპლი გახლდათ იყო აჭარის სამხედრო კომისარი 1933-1937 წლებში **გენჯალ ბოლქვაძე**. სტატიის ავტორის მოსაზრებით, მაშინდელ პირობებში აჭარის სამხედრო კომისრის თანამდებობა ურთულესი სახელმწიფო სამსახური იყო. რამდენადაც აჭარლები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ხელისუფლებას ახალგაზრდების ჯარში გაწვევის გამო. ასე იყო თურქეთისა და რუსეთის მმართველობის დროს. აჭარის სამხედრო კომისარიატი გენჯალ ბოლქვაძის ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, მაგრამ რეპრესიები მასაც შეეხო. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით 1938 წლის 1 იანვარს დახვრიტეს. რეაბილიტირებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1956 წლის 13 მარტის N477 განჩინებით.“[**გაზ.აჭარაN45.2015**]. რაში მდგომარეობდა გენჯალ ბოლქვაძისა და

სამხედრო კომისარიატის პატრიოტული სულისკვეთებით გაჩაღებული მუშაობა ცოტა ბუნდოვანია.

რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა მისი ძმა **ისმაილ ბოლქვაძეც.** რომელიც ასევე იდეური კომუნისტი იყო, თუ შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან ძალზე ცოტას თუ ესმოდა ზოგადად კომუნიზმის არსი და რაობა, პარტია ძირითადად კომპლექტდებოდა ამ მხრივ გაუთვითცნობიერებელი ადამიანებისაგან. ისმაილი საბჭოთა ხელისუფლების მომხრე იყო. ის თავად ღებულობდა ანტისაბჭოთა ელემენტების გამოვლენის საქმეში მონაწილეობას. ,,პატიოსნად" ასრულებდა საბჭოთა მოქალაქეზე დაკისრებულ მოვალეობებს და იყო ფხიზლად როგორც ამას სტალინისა და მოლოტოვის ჩვენს მიერ მითითებული დადგენილება ითვალისწინებდა. მისი ერთ-ერთი ასეთი ქმედება მდგომარეობდა შემდეგში: 1936 წლის 18 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის მდივანს შ.ცქვიტინიძეს და კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ.ფოფხაძეს **აცნობა** თხილნარის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირლების ანთისაბჭოთა ,,ლაყბობის" შესახებ. 1937 წელს აგვისტოში ისმაილ ბოლქვაძემ კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში და ავტონომიური რესპუბლიკის შინსახკომში ბათუმის ,,ტროცკისტი" კომკავშრირლების 15 კაციანი სია წარადგინა. საბოლოოდ ისიც რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა. ვინაიდან მის სახელზეც შედიოდა დაბეზღებები. 1937 წლის 7 ნოემბრის დადგენილებით მიესაჯა 10 წლით გადასახლება. იგი ოჯახში არ დაბრუნებულა. არაა ცნობილი მისი გარდაცვალების დრო და ადგილი. რეაბირიტირებულია 1956 წლის შესაბამისი ორგანოს დადგენილებით. [**გაზ.აჭარა.2015.N45**]. უაღრესად საყურადრებო ისტორია გააჩნია რეპრესირებულ **მემედ ხუშუტის ძე გოგიბერიძეს.** ძველი რევოლუციონერი, ჯერ იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი, შემდეგ მენშევიკი. მონაწილეობდა 1905 წლის გამოსვლებში, როგორც გურიაში ასევე აჭარაშიც, ჩამოაყალიბა 30 კაციანი რაზმი, მონაწილეობას ღებულობდა ნასაკირალთან გამართულ ცნობილ შეტაკებაში მეფის რუსეთის ჯართან. 1937 წლის ცნობაში, რომელიც წარედგინა ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ი.კოჭლამაზაშვილს, აღნიშნულია: მემედ გოგიბერიძე შედიოდა ტროცკისტთა ბანაკში. გასაბჭოების შემდეგ იგი კომუნისტური ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. სტატიის ავტორის

აზრით მას შეგნებულად არ მიუღია მონაწილეობა აჭარის ცაკის 1925 წლის ქედის სესიის მუშაობაში. [**გაზ.აჭარა.N50.2015**] ფაქტობრივად მან თავისი ცხოვრების განვლილი გზით გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს. ჩეკისტები არათუ ასეთი წარსულის მქონე ადამიანებს აპატიმრებდნენ, არამედ დამკვრელ ბოლშევიკებსაც, ამიტომ თვალნათლივ ცხადია, რომ მემედდ გოგიბერიძეს არავინ დატოვებდა ,,ყურადღების" გარეშე. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მ.გოგიბერიძეს მიესაჯა არა დახვრეტა, არამედ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ოფიციალური ცნობით იგი გარდაიცვალა თბილისის ციხეში 1941 წელს. რ.სურმანიძის მოსაზრების მიხედვით მ.გოგიბერიძე გაცილებით უფრო ადრეა გარდაცვლილი, კერძოდ 1937 წლის დეკემებრსა თუ 1938 წლის იანვარში. [**გაზ.აჭარა.N50.2015**].

კონტრევოლუციონერ-ტერორისტის, ხალხის მტრისა და მავნებლის იარლიყი მიაკერეს იმ პერიოდის ავტონომიური რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწეს **ხუსეინ ახმედის ძე ნაკაიძეს.** სხვადასხვა დროს იგი იყო განსახკომის თავჯდომარის მოადგილე, შემდეგ სახალხო კომისარი. 1935 წლიდან 1937 წლამდე ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. მას ერთ-ერთ ბრალად ისიც წაუყენეს, თითქოსდა 80-ით მეტი აბიტურიენტი ჩარიცხა ინსტიტუტში. დახვრიტეს 1938 წლის 3 იანვარს.[**გაზ.აჭარა,2015.N57**].

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლია ასევე **შაქირ მამუდის ძე შერვაშიძე,** მან საბჭოთა რეპრესიებამდეც გამოსცადა ცარისტული რეჟიმის სიმკაცრე. პირველად 1917 წელს, როცა ტარტუს უნივერსიტეტიდან გარიცხეს ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლებში მონაწილეობისათვის. მეორედ 1923 წელს, ბეგური წარმომავლობის გამო. ბოლოს კომუნისტური რეპრესიების მსხვერპლად იქცა 1937 წელს. ამავე წლის 19 სექტემბერს მიესაჯა დახვრეტა. რეაბილიტირებულია 1954 წლის 22 აპრილს სსრკ უზენაესი სასამართლოს მიერ.[**გაზ.აჭარა,2015.N91**].

რეპრესიის მსხვერპლი აღმოჩნდა ,,ახალი თაობის"კომუნისტი **იაკობ ლომჯარიაც**, მიუხედავად იმისა, რომ მას რევოლუციური მოღვაწეობის დიდი ხნის სტაჟი ჰქონდა, 1927 წლიდან 1929 წლამდე მსახურობდა წითელ არმიაში, 1934 წლამდე იყო ხულოს რაიონში პარტიული პროპაგანდისტი, მაინც ვერ გადაურჩა რეპრესიებს. 1937 წლის 10

დეკემბერს დააპატიმრეს და მიუსაჯეს გადასახლება. რეაბილიტირებულია 1956 წელს.[**გაზ.ბათუმელები,2011.N23**].

აუცილებლად აღსანიშნავია სტალინური რეპრესიის მორიგი მსხვერპლი **გიორგი ერასტის ძე რამიშვილი**, იგი 1917 წლიდან პარტიის წევრია, 1931 წლის 30 ნოემბერს დანიშნეს აჭარის ცაკის თავჯდომრის მოადგილედ, სადაც დაპატიმრებამდე მუშაობდა. დააპატიმრეს 1937 წლის ივლისში. მას ბრალად ედებოდა აჭარის კონტრევოლუციურ-საჯანყებო ტროცკისტულ ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა, რომელიც თურმე 1934-1937 წლებში ამზადებდა ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. თითქოს იგი ყოფილა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში მავნებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მის ჩვენებაში ნათქვამია, რომ ზექერია ლორთქიფანიძის დავალებით ფულს აძლევდნენ აჯანყების მონაწილეებს, თითქოს გერმანე მგალობლიშვილისა და ბუდუ მდივნისაგან დავალებული ჰქონდათ მწვანე კონცხის გვირაბის აფეთქება და სხვა. აჭარის უმაღლესი სასამართლოს 1937 წლის 28 სექტემბრის განჩინებით 11 ბრალდებულთაგან რვა კაცს მათ შორის გიორგი ერასტის ძე რამიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს. იგი დახვრიტეს ბათუმში განაჩენის გამოცხადებიდან მეორე დღეს.[**გაზ.აჭარაN44.2015**].

რეპრესირებულთა შორისაა საბჭოთა რეჟიმის აქტიური მხარდამჭერი და პარტიული მუშაკი **რიზა ხოზრევანიძე**. 1927-1929 წლებში ხულოს მაზრაში აღმასკომის თავჯდომარედ მუშაობისას აქტიურად მონაწილეობდა ჩადრის ჩამოხსნის კამპანიაში. დააპატიმრეს 1937 წლის 13 ივლისს, 15 სექტემბრის განჩინებით მიესაჯა დახვრეტა, აღასრულეს იმავე დღეს.[**გაზ.აჭარაN41.2017**]. რეპრესიების მსხვერპლინი აღმოჩნდნენ ავტონომიური რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის წევრები. ე.ი. ახალგაზრდობა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ახალგაზრდობა-კომკავშირლები განსაკუთრებულად მწვავედ, კრიტიკულად აღიქვამდნენ რეპრესიებს, მაგრამ ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა სადამსჯელო მანქანა მოღალატეებს, ჯაშუშებს, ტროცკისტებსა და დივერსანტებს მათ რიგებშიც ეძებდა. ფაქტია ისიც, რომ უამრავი ადამიანი იქნა რეპრესირებული მათ შორის კომკავშირლებიც. ბრალდების და წამების მეთოდებიც იგივე იყო როგორც სხვა დანარჩენებთან. ,,...1937 წელს აჭარაში კომკავშირიდან გარიცხეს 518 ახალგაზრდა. ბათუმის საქალაქო ორგანიზაციიდან 90

კომკავშირელი... რიცხავდნენ ტროცკისტულ კონტრევოლუციონერული ბრალდებით.“ [**გაზ.აჭარაN65.2017**]. ადამიანებს აპატიმრებდნენ განურჩევლად იმისა თუ ვინ ვისი მომხრე იყო, რამდენად იყო იგი ჩართული პარტიულ საქმიანობაში და ა.შ. საბჭოთა დასმენებისა და უნდობლობის პოლიტიკა პიკს აღწევდა. ერთმანეთის ნდობა აღარ ჰქონდა ხალხს. ეს არის პერიოდი, როცა ადამიანი კარგავს სახეს, ადამიანურობას ე.ი.ჰუმანურობას და ემსგავსება კუთხეში მიმწყვდეულ ცხოველს, რომელიც მზადაა თავის გადასარჩენად გააკეთოს ყველაფერი. ზუსტად ასეთ დღეში იყო საბჭოთა მოქალაქეები მაშინ. არც ერთმანეთის დასმენა იყო საბოლოო ინდულგენცია. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია **ვახტანგ ფოფხაძის** ისტორია. იგი კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ძალზედ აქტიურობდა სხვადასხვა პარტიულ კონფერენციებსა თუ ყრილობებზე, სასამართლოსგან ითხოვდა ხალხის მტრების სასტიკ დასჯას. სამსახურებრივი მივლინებების დროს ცდილობდა ,,გამოევლინა ხალხის მტრები, შემდეგ კი პარტიის ხელმძღვანელობას მოახსენებდა ხოლმე, მიუხედავად ასეთი ,,თავდადებული შრომისა“ კონტრევოლუციონერების წინააღმდეგ თავად ისიც დააპატიმრეს იგივე ბრალდებით. მსგავსი ისტორია აქვს **სულეიმან ზაქარიაძესაც.** იგი საფინანსო სფეროს წარმომადგენელი იყო. ისიც აქტიურად უჭერდა მხარს საბჭოთა ხელისუფლებას და ცდილობდა გამოევლინა ხალხის მტრები თავის უწყებაშივე. ,,...ს.ზაქარიაძეს არ ,,დაუფასდა“ აქტიურობა და თვითონაც დახვრიტეს 1937 წლის 21 ოქტომბერს.“[**გაზ.აჭარა,N62.2016**].

არ დარჩენილა სფერო, დარგი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია აჭარაში რომელშიც რეპრესიების ტალღა არ შესულიყო. რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდა **ოსმან კონცელიძე,** რომელიც აჭარაში ჯანდაცვის სფეროს ხელმძღვანელობდა. მის მიმართ ბრალი მდგომარეობდა ექიმების კონტრევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმასა და მავნებლობაში.[**გაზ.აჭარაN58.2016**]. 1937 წლის 24-28 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის რეჯებ ჯინჭარაძის და სხვათა მონაწილეობით განიხილა ბრალდებულების ზექერია დურსუნის ძე ლორთქიფანიძის, ჯემალ მახმუდის ძე ქიქავას, გიორგი ერასტის ძე რამიშვილის, გრიგოლ ერმალოს ძე ლაღიძის, ილიას ისმაილის ძე მეგრელიძის, ქაზიმ ხასანის ძე ბასილაძის, სულეიმან

იუსუფის ძე ბეჟანიძის და ოსმან რეჯების ძე რომანაძის საქმე და დაუდგინა ჩამოთვლილ პირებს სიკვდილით დასჯა პირადი ქონების კონფისკაციით. [**გაზ.ლიტერატურული საქართველო,N22,1937:3**].

&3. რეპრესიების შედეგები

მოცემული პერიოდი უმძიმესი და უაღრესად ტრაგიკული მოვლენაა არა მარტო საქართველოსთვის, აჭარის რეგიონისთვის, არამედ მთელი პოსტ საბჭოთა სივრცისთვის. ასეულ ათასობით ადამიანი ემსხვერპლა ამ გაუგონარ ტერორს. აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ რეპრესიები მომდევნო წლებშიც ხორციელდებოდა და ბუნებრივია ვერც აჭარა ასცდებოდა ტერორის მორიგ ტალღას. ამჯერად ყაზახეთის ტრამალები წარმოადგენდა მორიგ ლოკაციას გადასახლებულთათვის. ,,სულეიმან დიდმანიძე 1951 წელს ყაზახეთში გადაასახლეს, ბრალად დასდეს ის გარემოება, რომ მისი და თურქეთში იყო გათხოვილი...“[**გაზ.ბათუმელებიN35.2014**]. ,,...1951 წელს იქნა გადასახლებული შუშანა შარაშიძეც .“[**გაზ.ბათუმელებიN36.2014**]. ,,...1951 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა თურმანიძეების ოჯახიც. ოფიციალური ბრალდება არ ჰქონიათ,...“[**გაზ.ბათუმელებიN37.2014**]. ,,გადასახლების შავი დღეები-ასე უწოდებს ქედის მუნიციპალიტეტის სოფ.ბზუბზუს მცხოვრები რევაზ გოგიტიძე გადასახლების წლებს. საბჭოთა ხელისუფლებამ მისი ოჯახიც 1951 წელს ყაზახეთში გადაასახლა...“[**გაზ.ბათუმელებიN44.2014**]. უაღრესად ტრაგიკულია ისტორია, რომელსაც იგონებს ისკანდერ კონცელიძე ,,...დედაჩემს ჩემი ძმის დატირების უფლება არ მისცეს. ცხენზე ჩამოკონწიალებული ცხედარი სოფელში ჩამოატარეს და ასე წაიღეს...ძმის საფლავი არავის არ უნახავს....“. [**გაზ.ბათუმელებიN43.2014**].

ჩვენი აზრით მეოცე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული რეპრესიების მორიგი ტალღა იყო გაგრძელება წინა წლებში მიმდინარე ,,დიდი ტერორისა“. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სწორედ სტალინის სიკვდილმა დაასრულა ეს გაუგონარი, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი მასობრივი და წლებში გაწერილი რეპრესიები. თუმცა საბჭოთა კავშირი როგორც ბოროტების იმპერია და სხვადასხვა ერების მჩაგვრელი ორგანიზაცია კვლავ აგრძელებდა თავის არსებობას, ოღონდ შედარებით უფრო რესპექტაბელური სახით.

საბჭოთა ხელისუფლების დროს რეპრესიებს პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ 1937-38 წლების რეპრესიები თავისი მასშტაბით, ხასიათით და უდანაშაულო ადამიანების წამებით უპრეცედენტო იყო. საქართველოში პოლიტიკური რეპრესიების შესახებ ოფიციალურად პირველად გაჟღერდა 1956 წლის 13 აგვისტოს პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავჯდომარემ ტ.ჩიქოვანმა პირველად გაახმიანა საიდუმლო მასალები: საქართველოში 1937-38 წლებში რეპრესირებული იყო 50 ათასი კაცი. მათ შორის 20 ათასი დახვრიტეს.[**გაზ.აჭარაN138.2016**]. 1930–იან წლებში მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი და საშინაო საფრთხეების გადამეტებული ხედვის გამო სტალინური ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები მიიჩნეოდა ეკონომიკისა და საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის მთავარ საშუალებად. 1929-1930-იან წლების დამდეგს განკულაკება განიხილებოდა საბჭოთა რეჟიმის საშინაო ომად მდიდარი გლეხობისა და იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც უარს აცხადებდნენ კოლექტივში გაწევრიანებაზე.“[**карлов,2000:22**]

რეპრესიებს აქტიურად ემსახურებოდა და პროპაგანდისტულ საქმეს ახორციელებდა ე.წ. ,,მუკი“, უღმერთოთა კავშირი. ქართველ უღმერთოთა კავშირი შექმნისთანავე ჩაერთო ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, აჭარის რეგიონში კი სხვა სარწმუნოების წინააღმდეგაც. ,,1938 წლისთვის საქართველოს ყველა რაიონში დაარსდა ,,მუკის“ უჯრედები. დაახლოებით 3000 ერთეული, რომელშიც 12 000 ადამიანი იყო გაწევრიანებული. ამავე წლის ,,მუკის“ თავჯდომარის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ,,მუკის“ კონფერენციები პირველ რიგში ტარდებოდა ავტონომიურ რეგიონებში. (აჭარა, აფხაზეთი, სამხ.ოსეთი).“ [უშიშროების არქივი,2015:288] აღნიშნულ საკითხს ჩვენ ცალკე პარაგრაფი მივუძღვენით, რომელზეც შესაბამის ადგილას ვისაუბრებთ. საქართველოში ,,დიდი ტერორის“ აქტიური შემსრულებელ-განმახორციელებელი ლ.ბერია 1938 წლის 1 აპრილით დათარიღებული საიდუმლო დაშიფრული დეპეშით, რომელიც გაიგზავნა თბილისიდან 20 საათსა და 40 წუთზე სტალინისა და შინსახკომისადმი, ითხოვდა: საქართველოს შინსახკომის სამეულისათვის პირველი კატეგორიის საქმეებზე გაეზარდათ ლიმიტი 1000 ადამიანზე და მეორე კატეგორიისათვის 500 ადამიანზე.[**იუნგე,2015:101-102**]. 1937 წლის 20 ივლისის N1716/ს დათარიღებული კორესპოდენციით ლ.ბერია სტალინს

აბარებს ანგარიშს საქართველოში კონტრევოლუციონერთა დახვრეტისა და რაოდენობის შესახებ. ანგარიშში მოხვდა ასევე ე.წ. ,,აჭარის საქმეც", თითქოს აღმოჩენილია კონტრევოლუციონერთა მძლავრი ჯგუფი ზ.ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, რომლებიც გეგმავდნენ ანტისაბჭოთა გამოსვლებსა და აჭარის თურქეთთან მიერთებას საბჭოთა კავშირზე ომის გამოცხადებასთან ერთად. მათ მიზნებში შედიოდა ასევე კაპიტალიზმის აღდგენა და სანაცვლოდ ფართო ავტონომიის მიღება თურქეთის შემადგენლობაში. მისი ცნობით, უკვე დახრეტილთ რაოდენობა შეადგენდა 200 ადამიანს და ნ. ეჟოვს გაეგზავნა მოთხოვნა დამატებით 350 ადამიანის დახრეტაზე. [**იუნგე და სხვები,2015:210-213**]. **საინტერესოა ამ წერილის ფორმაც. იგი იწყება არაოფიციალური სახით: ,,ძვირფასო კობა" ასე მიმართავს იგი ი.სტალინს. კობა კი სტალინის ბავშობის საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟია. იგი ბავშობაში მოითხოვდა ამხანაგებისაგან, რომ მისთვის კობა დაეძახათ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერიას სურდა დაემსახურებია სტალინის კეთილგანწყობა და მეგობრობა. უდავოა, ლ.ბერია ითვლებოდა მის მთავარ საყრდენად საქართველოში და სტალინური პოლიტიკის უპირობო აღმსრულებლად.**

იმ პერიოდში ჩადენილ დანაშაულობათა სისატიკეს კარგად ასახავს ნ.მ.სალიას წერილი სტალინისადმი, რომელიც თარიღდება 1938 წლის 3 აგვისტოთი. წერილების შინაარსის მიხედვით კიდევ ერთხელ ნათელი ხდება შინსახკომის მუშაკთა ჭეშმარიტი ზრახვები. წერილებში აღწერილია წამების მეთოდები, მტკიცებულებათა გამოძალვის მიზნით და ა.შ. {**იუნგე და სხვები,2015:267**]. უამრავი დადასტურებული ფაქტი არსებობს ხალხზე განხორციელებული ძალადობის და არაადამიანური მოპყრობისა. ამიტომ ნებისმიერი მცდელობა როგორმე შეარბილონ ან საერთოდ გამორიცხონ პირველი პირების დანაშაულებრივი ქმედებანი არის ისტორიის გაყალბების აშკარა მცდელობა. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არსებული მიმართულებანი, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ არა მარტო სსრკ არსებობა, არამედ სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული რეპრესიები. ასე მაგალითად ავტორი ელენა პრუდნიკოვა თავის წიგნში ,,Берия Последний рицар Сталина" აღნიშნავს: ,, ...დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ მის(ბერიას) პირდაპირ კავშირს რეპრესიებთან, თუ ეს ის დოკუმენტებია, რომლებიც ბერიას საქმეში ფიგურირებენ, მაშინ ისინი ფალსიფიცირებულია. ბერიას განსაკუთრებული კავშირი რეპრესიებთან

არ არსებობს, ხოლო აპოკრიფები კი ზღვაა...“ [**прудникова,2007:94**]. დოკუმენტები კი საპირისპიროს ამტკიცებენ.

1937 წლის 27 ოქტომბერს შედგა საქართველოს კომპარტიის ბიუროს სხდომა. სადაც გამოიტანეს საკითხი აჭარის ხელმძღვანელ მუშაკთა ფიზიკურად განადგურების შესახებ. მათი უმრავლესობა, თითქმის 70-80% განადგურებულ იქნა. ,,...ეს ცოდვა უნდა მოეკითხოს გენერალურ პროკუროს ტალახაძეს. სტალინის დასტურით საქართველოდან გაასახლეს მრავალი ეროვნების ადამიანი. მან იცოდა ბერიას ინტრიგები.“[**ხარჩილავა,1989:75**]. ამ და ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალებისა თუ ისტორიოგრაფიაში არსებული მონაცემების საფუძველზე ცალსახად იკვეთება პარტიის პირველ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი ისტორიის წინაშე. ისტორია აფასებს შემდგარ ფაქტებს, მოვლენებს და არა იმას, ვის რა კეთილშობილური სურვილი გააჩნდა. ,,წინა საუკუნის 30-იან წლებში ჩანერგილი შიშის სინდრომი, რომლის გაძლიერება ათწლეულობით მიმდინარეობდა...1937 წელი რომელიც ეტაპობრივად ახლდებოდა, იმდენ მსხვერპლს ითვლის, რომ არავინ იცის ზუსტი მონაცემები...“[**გაზ.აჭარა№52.2016**].

1930-იან წლებში კაპიტლისტურ სახელმწიფოთა მტრული გარემოცვა და ამავდროულად საშინაო ფრონტზე არსებული ურთულესი ვითარება აღიქმებოდა ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტების მხრიდან მათთვის ეგზისტენციალურ საფრთხედ, ამიტომ სტალინური ხელისუფლება იყენებდა რეპრესიებს, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის იარაღად. რეპრესიების სულისჩამდგმელი სტალინი მას იყენებდა, როგორც პარტიული ოპოზიციის ჩამოცილების მეთოდად. პარტიაში უნდა აღმოფხვრილიყო განსხვავებული შეხედულების ნებისმიერი გამოვლინება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო ხელისუფლების შენარჩუნების დაუოკებელი წყურვილი. ვინაიდან, საბჭოთა კავშირში არ არსებობდა ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის არც ტრადიცია და არც სურვილი, ამიტომ რეპრესიები განიხილებოდა, როგორც ხელისუფლების შენარჩუნების მთავარი საშუალება. პრინციპი მდგომარეობდა დასწრებაში, პოლიტიკური დაჯგუფებები მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, რასაც ადასტურებს თავად პარტიული მაღალჩინოსნების რეპრესიების ფაქტებიც.

აჭარაში რეპრესიებს თავისი სპეციფიკა გააჩნდა. საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამუსულმანებული იყო. ეს ფაქტი განაპირობებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უნდობლობას ადგილობრივი მოსახლეობისადმი. ამიტომაც მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა შესაძლო ჯაშუშების გამოვლენისათვის. ნებისმიერი ფაქტორი რომელიც შესაძლოა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საფრთხის შემცვლელი ყოფილიყო უნდა აღმოფხვრილიყო ყველაზე უფრო სასტიკი ფორმებით, ყოველგვარი ჰუმანურობის გარეშე, რომელიც თავისთავად აღიქმებოდა როგორც სისუსტე. რეპრესიები ანუ წამება პირდაპირ დელეგირებული იყო ცენტრალური პარტიული ორგანოების მიერ. ,,ხულოს რაიონის სოფ.სამოლეთში სადაც 100-მდე კომლი ცხოვრობდა, რეპრესირებული იყო 28 უდანაშაულო ადამიანი...“[**თურმანიძე,2016:283**].

მასობრივი რეპრესიების შედეგებმა უარყოფითი გავლენა იქონია სხვადასხვა მიმართულებით. მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილის ფიზიკური განადგურება პირდაპირპროპორციულად აისახა მოსახლეობის რიცხოვნობაზე. შიშის ფაქტორის დანერგვა, უნდობლობა ერთმანეთისადმი და გაურკვეველი მომავალი. ,,იმ წლებში ხელოვნურად შეთხზული ბრალდებების საფუძველზე საბჭოთა კავშირში სულ ცოტა 1,5 მილიონი ადამიანი დააპატიმრეს და მათი უმეტესობა დახვრიტეს...“[**ჩემი სამყარო,2014:33**]. რეპრესიებმა შედეგად მოიტანა ასევე ისიც, რომ საბჭოთა კავშირში გაჩდნენ ადამიანები, რომლებიც დასმენებით ირჩენდნენ თავს. ამ ტიპის ადამიანები, რომელთათვისაც რევოლუციური სიფხიზლის გამოვლინება ცხოვრების მთავარ საზრისად იყო მიჩნეული, სხვადასხვა ორგანიზაციებში გაფაციცებით ეძებდნენ სავარაუდო ,,ხალხის მტრებსა“ და მავნებლებს. დიდი ტერორის შედეგად სტალინს და მის ირგვლივ შემოკრებილ პოლიტიკურ დაჯგუფებას სურდა ჩამოყალიბებულიყო საბჭოთა ადამიანის ახალი ტიპი, რომელიც პარტიული ხელმძღვანელობის დირექტივების უპირობო გამტარებელი იქნებოდა. დაქოქილი იყო და მაქსიმალური სიმძლავრით მუშაობდა პროპაგანდისტული მანქანა. წარმოება-დაწესებულებებში ჩანერგილი ,,ხალხის მტრების“ და სხვა ტიპის მოწინააღმდეგეთა გამოაშკარავება ნებისმიერი საბჭოთა მოქალაქის წმიდათა წმინდა მოვალეობად იყო გამოცხადებული. ქვეყანა მოიცვა მასობრივმა შიშმა და ფიზიკურ-ფსიქიკურმა ტერორმა.

დასკვნა

დემოკრატიულ საქართველოს არსებობის ძალიან ხანმოკლე პერიოდში უამრავი გამოწვევა ქონდა. ისტორიოგრაფიაში არაერთგვაროვანი მოსაზრებებია დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით, თუ რა იყო არსებითი ხასიათის განმაპირობებელი ფაქტორი, რომელმაც სუვერენიტეტი დააკარგვინა სახელმწიფოს. ერთ-ერთი ფაქტორი ჩვენი აზრით, რომელმაც უარყოფითი როლი ითამაშა სუვერენიტეტის დაკარგვაში, მდგომარეობდა პირველი მსოფლიო ომის შმდგომ დამყარებულ ახალ მსოფლიო წესრიგზე, ასევე ეროვნული თანხმობის მიუღწევლობაში. ძალიან სუსტი იყო კავშირები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის, ჭარბობდა ვიწრო პარტიული დაპირისპირებები სხვადასხვა პლატფორმაზე მდგომ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, რაც რთულს ხდიდა შეთანხმების მიღწევას და ძალთა კონსოლიდაციას საერთო მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. ჩვენს მიერ მოყვანილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება განვაცხადოთ შემდეგი: დემოკრატიული საქართველოს მთვარობაში შესაძლოა მართლაც ყოფილიყო კონფორმისტულად განწყობილი სუბიექტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ლენინს უბრალოდ არ ექნებოდა საფუძველი გამოეთქვა მოსაზრება დემოკრატიული მთავრობის ზოგიერთ წევრთან შესაძლო თანამშრომლობაზე. ამ ეჭვს აღვივებს ისიც რომ თავად გ.კვინიტაძე ბრალად სდებდა ჟორდანიას ბოლშევიკებთან თანამშრომლობას. თუმცა ეს უკანასკნელი მოსაზრება გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

ბათუმის პორტი წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას ბაქოს ნავთობის ექსპორტირებისათვის. მისი გამართული ინფრასტრუქტურა, სარკინიგზო მაგისტრალი და სხვა კომუნიკაციები ერთობ მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამიტომ ბათუმის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს სასარგებლოდ. ჩვენი აზრით საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობისთვის არათუ უცხო ყოფილა ავტონომიის იდეა, არამედ თავადაც ყოფილან ინიციატორები.

აქტუალურია აჭარის ავტონომიის საკითხი, რომელიც დრო და დრო მეცნიერთა განხილვის საგანი ხდება. ორი დიდი მამულიშვილი ჰ.აბაშიძე და მ.აბაშიძე განსხვავებულად უყურებდნენ აჭარის ერთიან საქართველოში არსებობის საკითხს.

ჰაიდარ აბაშიძის მოსაზრებით ავტონომია იქნებოდა ზედმეტი ხარჯი ისეთი ღარიბი ქვეყნისათვის როგორიც საქართველო იყო. ბუნებრივია ჰ.აბაშიძე გვევლინება უნიტარული სახელმწიფოს იდეის მომხრედ. ავტონომიის საკითხი დაიბადა უშუალოდ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში, ვინაიდან ხალხი, როგორც ხელისუფლების წყარო, თავად არის საკუთარი ნების გამოვლენაში თავისუფალი და ასევე პოლიტიკური სტატუსის არჩევაშიც. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პარალელურად დაიწყება საუბრები საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თაობაზე, რომელსაც ითვალისწინებდა და ითვალისწინებდა როგორც 1995 წლის კონსტიტუცია ასევე დღეს მოქმედი კონსტიტუციაც.

რაც შეეხება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. იგი საბჭოთა სახელმწიფოში არსებობდა, მაგრამ ხორციელდებოდა ძალზედ რთული მექანიზმით. ქალაქებში, რაიონებში, დაბებში არსებობდა ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები. იურიდიულად, მაშინდელი სამართლებრივი პრინციპების მიხედვით საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენდა საბჭოების ადგილობრივ და უმაღლეს ორგანოთა გაერთიანებას. ე.ი. ცენტრალიზებული დემოკრატიზმი. თუმცა დემოკრატია ამ სიტყვის კლასიკური გაგებით იგნორირებული იყო. ვინაიდან არ არსებობდა არჩევანის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, უგუვებელყოფილი იყო ადამიანის თავისუფალი ნება. ამიტომ დემოკრატიაზე ლაპარაკი ბუნებრივია არ შეიძლება. მთელ ამ ვერტიკალში უმთავრესი იყო კომუნისტური პარტია და მისი მმართველი რგოლი ცენტრალური კომიტეტი. მმართველი პარტიის როლი სამართლებრივადა იყო დადასტურებული და აღიარებული. საქმე ისაა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ღებულობდა გადაწყვეტილებას, რომელიც სამართლის წყაროდ ითვლებოდა. თანამედროვე სამართლებრივი ორგანიზების თვალსაზრისით ასეთი რამ წარმოუდგენელია. **ეს არც კონტრასიგნაცია** არ იყო თავისი არსით. მმართველ პარტიას გააჩნდა უფლება სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში ჩარევისა. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იყო ფაქტიურად უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი ორგანო, რომლის გადაწყვეტილებებიც შესასრულებელლად

სავალდებულო იყო, როგორც საბჭოებისთვის ასევე აღმასრულებელი კომიტეტებისთვის ყველა დონეზე. საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები შეიძლება სამ სახეობად დაიყოს, უმაღლეს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებად.

საბჭოთა კავშირი იყო ტოტალიტარული სახელმწიფო, სადაც ფიზიკურად იდევნებოდა ყოველგვარი განსხვავებული აზრი. ტოტალიტარული ზასოგადოებისთვის კი მიუღებელია თავისუფალი ადამიანების არსებობა. სსრკ დაარსებიდან ამოქმედდა რეპრესიული მანქანა. თავად ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძალადობაზე იყო დაფუძნებული, ამიტომ საბჭოთა სისტემაში ძალადობა ნორმად იყო მიჩნეული. საბჭოების პირველ ეტაპზე ტერორი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო ყოველგვარი განსხვავებულობის ნეიტრალიზებისათვის, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა არ ითვალისწინებდა არავითარ შეთანხმებას პოლიტიკურ ძალებთან. ტერორი გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის არსებობის ყველა ეტაპზე. სისტემა რომელიც დაფუძნებული იყო უტოპიურ იდეებზე არ ცნობდა განსხვავებულ აზრის არსებობას. ხელისუფლების წყაროდ ხალხისა და საბჭოების დასახელება ატარებდა უაღრესად ფორმალურ ხასიათს. ცვალებადობა და ხელისუფლების გადაბარება არჩევნების გზით უცხო იყო საბჭოთა სისტემისთვის, ვიწრო ჯგუფი რომელიც მოახერხებდა ხელისუფლების უზურპაციას სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ პოლიტიკას და საბოლოოდ მიმდინარეობდა ბრძოლა ორ დაჯგუფებას შორის პარტიაში. რეპრესიებიც ამ დაპირისპირების ნაწილად უნდა განვიხილოთ. ამ საკითხს ჩვენ ნაშრომში საკმაოდ დეტალურად შევეხეთ.

რაც შეეხება ჩვენ მიერ განხილულ, რეგიონში მოქმედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, შეიძლება ცალსახად ითქვას შემდეგი: ისინიც განიცდიდნენ მძლავრ პოლიტიკურ გავლენას და ექვემდებარებოდნენ პარტიულ დიქტატს.

შემოკლებათა განმარტება

საქ.კპ(ბ) აჭარის ოლქკომი- საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) აჭარის საოლქო კომიტეტი

ალკკ- ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირი(კომკავშირი)

პროფკავშირი-პროფესიული კავშირი

მუკი-მებრძოლ უღმერთოთა კავშირი

ოსავიაქიმია-თავდაცვა-ავიაქიმიის ხელშემწყობი საზოგადოება

რაიკომი-პარტიული ორგანიზაციის რაიონული კომიტეტი

კოლმეურნეობა-კოლექტიური მეურნეობა

სახკომსაბჭო-სახალხო კომისართა საბჭო

აღმასკომი-აღმასრულებელი კომიტეტი

ცკ-პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახტანელი,2008/ -ალ.ახტანელი ,,რევოლუციური ანექსია“, გამომცემლობა ,,ეთნოპოლიტიკა“ თბ.2008

2. აბაშმაძე,1979/-საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.1979

3. ა უ ი ს,2015/- ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, გამომცემლობა ,,უნივერსალი“ თბ.2015

4. ასხგსმაპ,1975/ -აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925წ.წ.) გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“ ბათუმი.1975

5. ასყდმკ,1971- აჭარის საბჭოების ყრილობბი, დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1937 წწ. ბთ.1971გამომცემობა ,,საბჭოთა აჭარა“.

6. არხეიონი,2021/- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო ,,არხეიონი/archeion “ -მაია რურუა-საქართველოს სსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო აჭარის ასსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის(მუკ) საოლქო საბჭოს ისტორიიდან. XXI, issn 2233-3541 გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი 2021

7. ბენდიანაშვილი,1999/ ალ.ბენდიანაშვილი ,,საქართველოს ისტორია“ 1801-1921წწ. გამომცემლობა ,,განათლება“ თბ.1999

8. ბრძოლა ბათუმისთვის/-ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, თბ.2011

9. ბაუჟაძე,1962- ალ.ბაუჟაძე ,,აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის“ გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.1962

10.ბსმსსრდა/-ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1933-1941 წწ. ბათუმი,1986, გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“.

11. ბაღათურია,1969- ბაღათურია მ. ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზაცია, გამომცემლობა ,,სბჭოთა საქართველო“, თბილისი.1969

12. ბსისმკ,1980/- ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში (1926-1932 წ.წ.) დოკუმენტებისა და მასალების კრებული, გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“ ბათუმი 1980

13. გოცირიძე,1971- მ.გოცირიძე,,აჭარის ქალები ახალი ცხოვრების მშნებლები“ გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.1971

14.ი.გოგილაშვილი,1960- ,,ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა“ გამომცემლობა ,,ცოდნა“, თბილისი 1960

15.გოგოლიშვილი,2000/ ო.გოგოლიშვილი ,,ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში, გამომცემლობა ,,ალიონი“, ბათუმი 2000წ.

16.გურული,2000- ვახტანგ გურული ,,სტალინის დიდი ექსპერიმენტი“. მასალები პოლიტიკური პორტრეტისათვის. გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბ.2000

17. გურული,2012/ - ვ.გურული ,,საქართველო და გარესამყარო“(XIX-XXI საუკუნეები), საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი), გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბ.2010

18.გურული,2011/-ვ.გურული ,,ჯვარცმულის უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი“(ივ.ჯავახიშვილის ცხოვრების ფურცლები),დოკუმენტები და მასალები 1930-1936, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი 2011

19.დაუშვილი,2009/- ა.დაუშვილი ,,აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები“გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბ.2009

20.ელიზბარაშვილი,1974/-კ.ელიზბარიშვილი, აჭარის ასსრ მოსახლეობა. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“, ბათუმი 1974

21.ერემოვი,1955- გ.ერემოვი ,,სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები სსრ კავშირში“, გამომცემლობა ,,პოლიგრაფკომბინატი კომუნისტი“ თბ.1955

22.ერემოვი,გრ.1985- გრ.ერემოვი ,,მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან სახალხო დეპუტატების საბჭოებამდე“, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“ თბ.1985.

23. ერემოვი,გრ.1973- ერემოვი გრ. ,,ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს დეპუტატი”, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“ თბ.1973

24. ეზუგბაია,1973- ვ. ეზუგბაია-საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება(1921-1932წწ), გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“ თბ.1973

25. ვარდოსანიძე,2015/ ს.ვარდოსანიძე, ვ.გურული ,,საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია“, ქართული უნივერსიტეტის“ გამომცემლობა თბ.2015

26. ვადაჭკორია,2015/- შ.ვადაჭკორია ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა“ გამომცემლობა ,,გეორგიკა“, თბ.2015

27. ზოსიძე,2014/-ნ.ზოსიძე, ,,საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის პირველი ნახევარი“ გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბ.2016

28. ზოიძე,1990- ვ.ზოიძე ,,გამართლება“, გამომცემლობა ,,აჭარა“, ბათუმი.1990

29.თურმანიძე,2016- ო.თურმანიძე ,,ერთი სოფლის რეპრესირებულთა ისტორია, ნ.ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების კრებული,ტ.XII. ბსუ გამომცემლობა, ბათუმი.2016

30. თურმანიძე,2012/- ო.თურმანიძე ,,აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია“(1921-1940) გამომცემლობა ,,აჭარა“, ბათუმი 2012

31. თურმანიძე,2019- ო.თურმანიძე ,,საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952) ბსუ გამომცემლობა, ბათუმი 2019

32.თოიძე,1981/ლ.თოიძე ,,ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა,“ გამომცემლობა საქართველოს სსრ საზოგადოება ,,ცოდნა“თბ.1981

33.თოიძე,1991/-ლ.თოიძე,,ინტერვენციაც,ოკუპაციაც,ძალდატანებითი გასაბჭოებაც და ფაქტობრივი ანექსიაც,“ გამომცემლობა ,,ივერთა მხარე,“ თბ.1991

34.იუნგე და სხვა,2015- მარკ იუნგე, ოთარ თუშურაშვილი,ბერნდ ბონვეჩი. ,,ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში.თბ.2015 ტ.2

35.კვინიტაძე,1954/- გ.კვინიტაძე ,,ჩემი პასუხი“ ნოე ჟორდანიას ,,ჩემი წარსულის შესახებ,“ საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი, პარიზი 1954 წ.

36. კომახიძე,1993/-თ.კომახიძე ,,მემედ აბაშიძე“ გამომცემლობა ,,აჭარა“, ბათუმი 1993

37. კირთაძე,1996/ ნ.კირთაძე ,,პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა-ოკუპაციის პირველი წლები“, გამომცემლობა ,,საქართველო“ თბ.1996

38.ლენინი,1952/- ვ.ი.ლენინი- თხზულებათა ტ.27 თბ.1952 წ. პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, სახელგამი.

39.მაცაბერიძე,2019/-მალხაზ მაცაბერიძე, ,,საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.2019

40.მიქელთაძე,1976/-ა.მიქელთაძე- აჭარის ასსრ სოციალური სტრუქტურის საკითხები გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“, ბათუმი 1976

41.მანველიძე,2006/-ი.მანველიძე ,,საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში, ბსუ გამომცემლობა, ბათუმი 2006

42. მეგზური,2003/ -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური, ბათუმი 2003

43. ოქროპირიძე,2011/ უ.ოქროპირიძე ,,აჭარის ავტონომიის შექმნა“ გამომცემლობა ,,უნივერსალი“ თბ.2011

44. ჟვანია,1985- საქართველოს კომპარტიის ყრილობები-ცნობარი. პროფ.გ.კ.ჟვანიას საერთო რედაქციით. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, თბ.1985

45.საქართველოს ისტორია,2003/- საქართველოს ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2003 წ.

46. სილოგავა,2007/ -ვ.სილოგავა, კ.შენგელია ,,საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ვარდების რევოლუციის ჩათვლით“, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.2007

47.საქართველოს ისტორია,2012/- საქართველოს ისტორია IVტ.თბ.2012წ გამომცემლობა პალიტრა L

48.სდსინ2012/-სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბთ. 2012 წ IVტ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

49. საბჭოთა აჭარის 40 წელი, 1961/- საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათუმი.1961, გამომცემოლობა საბჭოთა აჭარა.

50. ს.ხ.გ.ა,1958/ - საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო, რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმი, ბათუმი 1958 წ. გამომცემლობა ,,აჭარის ასსრ სახელგამი“

51. სპკინ,1972/- საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები 1905-1970. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, თბ.1972

52. სდსკყ,1974/- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა. II.1974 ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის კვლევითი ინსტიტუტი

53.სურმანიძე,2014/- რ.სურმანიძე ,,ტრაგედია ბათუმში“(1937-1938წლები) გამომცემლობა ,,ივერიონი“, თბ.2014

54. სტალინი,1939/- ი.ბ.სტალინი ,,ლენინიზმის საკითხები“ მე-11 გამოცემა, თბ. 1939წ. გამომცემლობა პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი

55. სოლოვიოვი,1985/-ა.სოლოვიოვი-საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები და კონფერენციები(ცნობარი), გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, თბ.1985

56. სურგულაძე,1991 /ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე ,,საქართველოს ისტორია 1783-1990 წ.წ. საკითხავი წიგნი, თბ.1991 გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“

57.სონღულაშვილი,2018/ -ნ.სონღულაშვილი ,,საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა (1921-1991) თბ.2018 გამომცემლობა ,,უნივერსალი“

58.სირაძე,1977 /-ვ.სირაძე ,,საბჭოთა საქართველო“ გამომცემლობა საქ.სსრ საზოგადოება ,,ცოდნა“ თბ.1977

59. ს. ტაბაღუა,2018-ს. ტაბაღუა -აჭარის ავტონომია, საარქივო პირველწყაროებსა და მასალებში(1918-1937). გამომცემლობა ,,აჭარა“ ბათუმი 2018

60. ფარჯანაძე,2015/ ა.ფარჯანაძე ,,საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და მათი ურთიერთდამოკიდებულება“ გამომცემლობა ,,უსტარი“, თბ.2015

61. ქიქავა,2004- ნ.ქიქავა ,,საქართველოს დიდი შემომქმედი ჯემალ ქიქავა“ 1896-1937წ. გმომცემლობა ,,აჭარა“, ბთ.2004

62. ქავთარაძე,1949-საკანდიტატო დისერტაცია თბ. 1949

63. შარაძე,1995/ -გ. შარაძე ,,მემედ აბაშიძე“(1873-1937), თბ-ბთ.1995წ. გამომცემლობა ,,სახალხო წიგნი“

64. შუშანაშვილი,1983- სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები/ნორმატიული აქტების კრებული თბ.1983 გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“

65.ჩარკვიანი,1970- კ.ჩარკვიანი ,,ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ.“ თბ.1970 საქ.კპ. ცკ-ს გამომცემლობა

66. Чантурия,1956/ -В.Д. Чантурия- Просвяшение в Аджарии –Батуми 1956 г. Госиздат Адж.АССР

67. ხარჩილავა,1989/- ვ.ხარჩილავა ,,სისხლიანი ქრონიკები“, გამომცემლობა ,,მერანი“, თბ.1989

68.ჯანჯღავა,1970/-ვ.ჯანჯღავა ,,საზოგადოებრივი საწყისები საქ.სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში“, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“ თბ.1970

69. Аджария,1998/-Абашидзе А.Х. ,,Аджария” Издательство М. Рау Университет, М.1998г

70. Lang,1962/ D.M.Lang A MODERN HISTORY OF SOVIET GEORGIA, Grove Press, New York 1962

71. Прудникова,2011- Елена Прудникова ,,Берия Последний Рицарь Сталина“ М.2011. https://www.labirint.ru/books/285746/ Олма Медиа Групп

72. Лукьянов,1960-А.И.Лукьянов- Советское государство и государственные организации М.1960 ,,Госюриздат М“

73. Халфина,1974-Р.О.Халфина. ,,Обшее Учение о Правоотношении“ М.1974 Юридическая литература

საარქივო დოკუმენტები

74. ასსცსა **ფონდი.რ-283**.აღწ.1.საქმ.N6/- აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი -ფონდი რ-283, აღწერა 1. საქმეN 6

75. ასსცსა ფ.რ-283 აღწ.1.საქმ.19

76. ასსცსა ფ.რ-2,აღწ.1,საქმ.733

77. ასსცსა ფ. რ-2, აღწ.1,საქმ.533

78. ასსცსა ფ.რ-2, აღწ.1, საქმ.840

79. ასსცსა ფ.რ-4,აღწ.1,საქმ.553

80. ასსცსა ფ.რ-4, აღწ.1, საქმ.149

81. **ასსცსა ფ.რ-401** აღწ.1.საქმ.7

82. ასსცსა ფ.რ-401 აღწ.1. საქმ.6

83. **ასსცსა ფ.რ-329** აღწ.1. საქმ.28

84. ასსცსა ფ.რ-329 აღწ.1. საქმ.33

85. ასსცსა ფ.რ-329 აღწ.1. საქმ.37

86. ასსცსა ფ.რ-329 აღწ.1. საქმ.N40

87. ასსცსა ფ. რ-329 აღწ.1. საქმ.N57

88. ასსცსა ფ. რ-329 აღწ.1. საქმ.N54ა

89. **ასსცსა ფ. რ-260** აღწ.1. საქმ.N1

90. ასსცსა ფ. რ-260 აღწ.1. საქმ.N2

91. ასსცსა ფ. რ-260 აღწ.1. საქმ.N3

92. ასსცსა ფ. რ-260 აღწ.1. საქმ.N10

93. ასსცსა ფ. რ-260 აღწ.1. საქმ.N4

94. **ასსცსა ფ. რ-143** აღწ.1. საქმ.N4

95. ასსცსა ფ. რ-143 აღწ.1. საქმN11

96. **ასსცსა ფ. რ-6** აღწ.1. საქმ.N46

97. **ასსცსა ფ. რ-813,აღწ,1.საქმ.N1**

98. ასსცსა ფ. რ-813 აღწ.1. საქმ.N 7

99. ასსცსა ფ. რ-813 აღწ.1. საქმ.N5

100. ასსცსა ფ. რ-813 აღწ.1. საქმ.N11

101. ასსცსა ფ. რ-813 აღწ.1. საქმ.N15

102. **ასსცსა ფ. პ-9** აღწ.9. საქმ.N 226

103. ასსცსა ფ. პ-9 აღწ.9. საქმ.N269

104. ასსცსა ფ. პ-9 აღწ.1. საქმ.N 10

105. ასსცსა ფ. პ-9 აღწ.9. საქმ.N270

106. ასსცსა ფ.პ-9.აღწ.1.საქმ.N108

107. **ასსცსა ფ. პ-5** აღწ.1. საქმ.N 1

108. ასსცსა ფ. პ-5 აღწ.1. საქმ.N 14

109. ასსცსა ფ. პ-9 აღწ.9. საქმ.N 368

110. **ასსცსა ფ. პ-1** აღწ. 3. საქმ.N1

111. ასსცსა ფ. პ-1 აღწ.4. საქმ.N 108

112. ასსცსა ფ. პ-1 აღწ.4 .საქმ.N 109

113. ასსცსა ფ. პ-1 აღწ.4. საქმ.N 227

114. ასსცსა ფ.პ-1, აღწ.1, საქმ.2

115. ასსცსა ფ. პ-1, აღწ.1, საქმ.982

116. ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4, საქმ.227

117. ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4, საქმ.513

118. ასსცსა ფ.პ-1, აღწ.3, საქმ.228

119. ასსცსა ფ.პ-1, აღწ.1,საქმ.767

120. ასსცსა ფ.პ-1, აღწ.4,საქმ.224

121. **ასსცსა ფ. პ-12** აღწ.2. საქმ.N85

122. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 .საქმ.N75

123.ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N 68

124. ასსცსა ფ. პ-1 აღწ.4 საქმ.N 113

125.ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N 28

126. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N30

127.ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N29

128. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N 42

129. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N 33

130. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N 43

131. ასსცსა ფ. პ- 12 აღწ.2 საქმ.N 46

132. ასსცსა ფ. პ-12 აღწ. 2 საქმ.N 50

133. ასსცსა ფ. პ-1 აღწ.4 საქმ.N 226

134. **ასსცსა ფ. რ-98** აღწ.1 საქმ.N 164

135. ასსცსა ფ. რ-98 აღწ.1. საქმ.N 170

136.ასსცსა ფ. რ-98 აღწ.1. საქმ.N 200

137. ასსცსა ფ. რ-98 აღწ.1. საქმ.N 182

138.ასსცსა ფ. რ-98 აღწ.1 საქმ.N 74

139. ასსცსა ფ. რ-98 აღწ.1. საქმ.N 152

140. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 49

141. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 31

142. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 47

143. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 51

144. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 16

145. ასსცსა ფ. პ-12. აღწ.2. საქმ.N 54

146. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 67

147. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 64

148.ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. სქმ.N 63

149. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 86.

150. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2 საქმ.N 69

151. ასსცსა ფ. პ-12 აღწ.2. საქმ.N 96

152. ასსცსა ფ. რ-143 აღწ.1. საქმ.N 11

153. ასსცსა ფ. რ-84, აღწ.1,საქმ.844

154. ასსცსა ფ.რ-178,აღწ.1,საქმ.260

155. ასსცსა ფ.რ-263,აღწ.1,საქმ.223

156. ასსცსა ფ.რ-263,აღწ.1, საქმ.221

157. ასსცსა ფ. პ-8, აღწ.1,საქმ.42

158. ასსცსა ფ. რ-4, აღწ.1,საქმ.552

159. ასსცსა ფ.პ-11, აღწ.2,საქმ.117

160. ასსცსა ფ. პ-8, აღწ.1, საქმ.58

161. ასსცსა ფ.რ-178,აღწ.1, საქმ.542

პრესა/გაზეთები

162. გაზ.ტრიბუნა,1922/ გაზეთი ,,ტრიბუნა“ 1922წ.N333 გვ.1, სტატიის ავტორი ,,ომეგა“.

163. აჭარა,1990/ -გაზეთი საბჭოთა აჭარა,N142,28 ივლისი,1990წ. ,,ამაგდარი ქართველი,მადლიანი მამულიშვილი“, ჰ.აბაშიძე. ავტ.ნუგზარ ჯაფარიძე

164. გაზ.უწყებები,1922/ -გაზეთი ,,უწყებები“ 1922წ.N244

165. გაზ.კომუნისტი/- გაზეთი კომუნისტი,1926წ. N218 (1763)

166. გაზ.საქ.რესპუბლიკა.1992/- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა,1992,N67(346) 23 აპრილი. ,,მდიდარი აძლევს ღარიბს“, ავტ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.ომარ გოგიაშვილი, გვ.3

167. გაზ.აჭარა,1937-გაზეთი აჭარა 1937.N246, 26 ოქტომბერი, გვ.2-4, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია

168. გაზ.საბჭოთა აჭარა,1940/-გაზეთი საბჭოთა აჭარა,1940, N55(53), 8 მარტი

169. გაზ.აჭარა.2014.N96 - გაზეთი აჭარა,N96.2014, 30.08. ,,ტრაგიკული 37“, ზექერია ლორთქიფანიძე, ყალბი ბრალდების მსხვერპლი, სტატიის ავტორი ო.თურმანიძე

170. გაზ.ბათუმელები.2011.N17 - გაზეთი ბათუმელებიN17.2011, 23-30 მაისი, ზ.ლორთქიფანიძე, ,,აჭარის საქმე“, სტატიაში გამოყენებული მასალები ნოდარ ცეხლაძის წიგნიდან ,,რეაბილიტაცია“, გვ.11

171. გაზ.აჭარა.2014.N99/-გაზეთი აჭარა N99. 6-8,09. 2014, ოსმან მოწყობილი, ,,ტრაგიკული 37“, ავტ.ო.თურმანიძე

172. გაზ.აჭარაN102.2014/- გაზეთი აჭარაN102.2014, 13-15,09. მოედინ სურმანიძე, ,,ტრაგიკული 37“, გვ.6, ავტ.ო.თურმანიძე

173. გაზ.აჭარა.N111.2014/-გაზეთი აჭარაN111.2014, 4-6,10 ოქტომბერი, მემედ გვარიშვილი, ,,ტრაგიკული 37“, ავტ.ო.თურმანიძე

174. გაზ.აჭარაN115.2014/- გაზეთი აჭარაN115.2014, 14-15 ოქტომბერი, მუსტაფა ჩახვაძე, ,,ტრაგიკული 37“, გვ.6, ავტ.ო.თურმანიძე

175.გაზ.აჭარაN118.2014/-გაზეთი აჭარაN118.2014, 23-24 ოქტომბერი, გვ.5, შ.ლორთქიფანიძე, ,,ტრაგიკული 37“, ავტ. ო. თურმანიძე

176.გაზ.აჭარაN122.2014/- გაზეთი აჭარა.N122.2014, 1-3 ნოემბერი, ს.ლორთქიფანიძე, ,,ტრაგიკული 37“ წამებით გამოძალული აღსარებიდან, სასიკვდილო განაჩენამდე. ავტ.ო. თურმანიძე

177.გაზ.აჭარაN6.2015/-გაზეთი აჭარაN6.2015 17-21 იანვარი, ილიას ქათამაძე, ,,ტრაგიკული 37“-ყველაზე დიდი და გამაოგნებელი ბრალდება, ავტ. ო. თურმანიძე

178. გაზ.აჭარა.2015.24-25 ივლისი/- გაზეთი აჭარა 24-26 ივნისი. 2015, ავტ.ო. თურმანიძე, გვ.5 ,,ტრაგიკული 37“.

179. გაზ.აჭარაN11.2015/-გაზეთი აჭარა N11.2015 2 თებერვალი, ნუკრი გამრეკელიძე, ,,ტრაგიკული 37“, მსხვერპლი, სამი ადამიანი ერთი ოჯახიდან, ავტ. ო. თურმანიძე, გვ.5

180. გაზ.აჭარაN28.2015/- გაზეთი აჭარა.N28.2015 12-13 მარტი, ჯ.ქიქავა, ,,ტრაგიკული 37“, უსამართლო და გამაოგნებელი ბრალდების შედეგი, ავტ.ო.თურმანიძე, გვ.6

181. გაზ.აჭარა.N41.2015/-გაზეთი აჭარაN41.2015 16-17 აპრილი, ,,ტრაგიკული 37“, რისთვის და როგორ ისჯებოდნენ რეპრესიების დროს, ავტ.ო. თურმანიძე, გვ. 5

182.გაზ.აჭარაN43.2015/- გაზეთი აჭარაN43.2015 21-22 აპრილი, ,,ტრაგიკული 37,“ შეთითხნილი ბრალდების მორიგი მსხვერპლი, ავტ.ო. თურმანიძე, გვ.5

183. გაზ.აჭარაN45.2015/-გაზეთი აჭარაN45.2015 25-27 აპრილი, გენჯალ ბოლქვაძე, ,,ტრაგიკული 37,“ რა ჩაუთვალეს დანაშაულად, ავტ. ო.თურმანიძე, გვ.6

184.გაზ.აჭარაN50.2015/-გაზეთი-აჭარაN50.2015-7-8-მაისი,-მ.გოგიბერიძე, ,,ტრაგიკული 37,“ ავტ. ო. თურმანიძე, გვ.6

185. გაზ.აჭარაN57.2015- გაზეთი აჭარაN57.2015 23-25 მაისი, ასლან ლორთქიფანიძე, ,,აჭარის სამართლებრივი სტატუსი შეიძლება იყოს ,,აჭარის რეგიონი“, კორესპოდენტი-ნინო ცხვარაძე, გვ.3

186. გაზ.აჭარაN91.2015/- გაზეთი აჭარაN91.2015 11-12 აგვისტო, ,,ტრაგიკული 37,“ როგორ დაასრულა სიცოცხლე ინტელიგენციის ნიჭიერმა წარმომადგენელმა, ავტ. ო. თურმანიძე, გვ.6

187. გაზ.ბათუმელებიN45/- გაზეთი ბათუმელებიN45.2009 25 ნოემბერი-2 დეკემბერი, ,,წერილი ციმბირიდან-რეპრესირებული ოჯახის ისტორია, ავტ. ია ფრანგიშვილი, გვ.11

188.გაზ.ბათუმელებიN23/- გაზეთი ბათუმელებიN23.2011 4-11 ივლისი, ,,იაკობ ლომჯარია“, ავტ. ლ.დუმბაძე

189. გაზ.აჭარაN44,2015/- გაზეთი აჭარაN44.2015 19-20 აპრილი,გვ.6. ,,ტრაგიკული 37,“, ავტ.ო.თურმანიძე

190.გაზ.აჭარაN65.2017- გაზეთი აჭარაN65.2017 17-19 ივნისი, გვ.7,,,აწჰესს 13 წლის გულიზარიც აშენებდა“, ავტ. რ. სურმანიძე

191. გაზ.აჭარაN62.2016- გაზეთი აჭარაN62.2016 7-8 ივნისი, ,,ტარგიკული 37,“ ავტ.ო. თურმანიძე,გვ.4

192. გაზ.აჭარა.N58.2016/- გაზეთი აჭარაN58.2016 28-30 მაისი, ,,ტრაგიკული 37,“ როგორ მუშაობდა სიკვდილის მანქანა, ავტ.ო. თურმანიძე, გვ. 5

193. გაზ.ბათუმელებიN35/- გაზეთი ბათუმელებიN35.2014 22-28 სექტემბერი, გვ.14, ,,ძნელია დაივიწყო ტკივილი, რომელშიც სახელმწიფოც მონაწილეობს და ნათესავიც, ავტ.ლ.დუმბაძე

194. გაზ.ბათუმელებიN36/- გაზეთი ბათუმელებიN36. 2014, 29 სექტებერი-5 ოქტომბერი, ,,დღესაც მეშინია იმდღეების გახსენების,“ ავტ.ლელა დუმბაძე

195. გაზ.ბათუმელებიN37/- გაზეთი ბათუმელებიN37.2014 6-12 ოქტომბერი, ,,ცხენზე შემომჯდარი ჟანდარმისა და მათრახის შესახებ,“ გვ.14, ავტ.ლ.დუმბაძე

196. გაზ.ბათუმელებიN43.-გაზეთი ბათუმელებიN43. 2014, 17-23 ნოემბერი, ,,ხუთჯერ გასამართლებული ერთი ბრალდებით,“, ავტ. ლელა დუმბაძე, გვ.14

197. გაზ.აჭარა.N138/- გაზეთი აჭარა.N138. 2016 6-7 დეკემბერი, ,,აჭარაში 1937-1938 წლების რეპრესიების მასშტაბი და სადამსჯელო ინსტრუმენტები“ ავტ. ო.თურმანიძე

198.გაზ.აჭარაN52/- გაზეთი აჭარაN52.2016 ,,ტრაგიკული 37,“ ავტ.ო. თურმანიძე

ინტერნეტ რესურსები: ელექტრონული წიგნები, სამეცნიერო პუბლიკაციები, გამოცემები

199. მატიანე,2020/ მატიანე 2020.02.19.
https://matiane.wordpress.com/2020/02/19/comrade-stalin-great-coryphaeus-of-science/- Великий Корифей Науки – Избрание Тов. Сталина Почетным Академиком. ავტორი ლევან რამიშვილი.

200.საარქივო-მოამბე,2016/-საარქივო-მოამბე,N16
archive.security.gov.ge/saarqivo%20moambe%20%2016.pdf

201. Головокружение от успехов /-
https://www.1000dokumente.de/index.html?c=dokument_ru&dokument=0007_erf&object=translation&st=&l=ru сталин.и.в. Головокружение от успехов к вопросам колхозного движения 2 марта 1930г.

202. მატიანე,2009/- https://matiane.wordpress.com/2009/08/30/communist-takeover-occupation-of-georgia/ კომუნისტური გადატრიალება და საქართველო

203.Постановление ЦК ВКП(б/ -
https://www.1000dokumente.de/index.html?c=dokument_ru&dokument=0008_ssp&object

=translation&st=&l=ru - (Постановление ЦК ВКП(б) "О перестройке литературно-художественных организаций", 23 апреля 1932 г.)

204. მატიანე,2011/- მატიანე,2011.02.24. **https://matiane.wordpress.com/2011/02/24/beria-on-georgian-writers/ (ლავრენტი ბერია ქართველ მწერლებსა და ლიტერატურაზე).**

205.სტალინი და ქართული ნაციონალიზმი,2011/- საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, სტალინის კულტის გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე, იყო თუ არა სტალინი ქართველი, მომხსენებელი ზაალ ანდრონიკაშვილი, მოდერატორი ზურაბ ქარუმიძე. 2011.29 მარტი. წარსულის რეკონსტრუქცია, ისტორიოგრაფიის როლი საბჭოთა წარსულის გააზრებაში.
http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98.pdf

206. Сталин(джугашвили)/- https://readli.net/chitat-online/?b=148880&pg=1 (სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი)

207. Горький,Речь,1934/- http://gorkiy-lit.ru/gorkiy/articles/article-270.htm (РЕЧЬ НА ПЕРВОМ ВСЕСОЮЗНОМ СЪЕЗДЕ СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ 22 АВГУСТА 1934 ГОДА).

208. **солженицин,2006/-** А. И. Солженицын. Архипелаг ГуЛаг. Том 1. - https://imwerden.de/pdf/solzhenizyn_archipelag_gulag_tom1.pdf

209. Жертвы политического террора в СССР/- http://lists.memo.ru/ - Жертвы политического террора в СССР

210. **მატიანე,2010/-** https://matiane.wordpress.com/2010/03/29/akaki-bakradze-stalin/ - აკაკი ბაქრაძე-სტალინი 2010 03.29.

211. Лысков,2016/- Лысков Дмитрий- Сталинские репрессии- https://www.litres.ru/dmitriy-lyskov/stalinskie-repressii-chernye-mify-i-fakty/chitat-onlayn/

212. Елисеев,2015/- Александр Елисеев,2015. 1937: Не верьте лжи о «сталинских репрессиях http://bookash.pro/ru/book/2201/1937-ne-verte-lzhi-o-stalinskih-repressiyah-aleksandr-eliseev

213. Сталин, И.В Доклад и заключительное слово на Пленуме ЦК ВКП(б), 3 и 5 марта 1937 г./**https://www.1000dokumente.de/index.html?c=dokument_ru&dokument=0022_sta&object=translation&st=&l=ru(** Сталин, И.В., О недостатках партийной работы и мерах по ликвидации троцкистских и иных двурушников, Доклад и заключительное слово на Пленуме ЦК ВКП(б), 3 и 5 марта 1937 г).

214. **უშიშროების არქივი** ,2015/ -უშიშროების არქივი ტ.I თბ. 2015. საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია/- პროექტის ხელმძღვანელი ომარ თუშურაშვილი, https://www.goodreads.com/book/show/36635085-1#_=_. (უშიშროების არქივი,ტ.1. საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია).

215.**карлов,2000/- масовые репрессии в 1930-е гг, автореферат дисертации, Абакан 2000г.** https://www.dissercat.com/content/massovye-repressii-v-1930-e-gg-na-materialakh-kh (Массовые репрессии в 1930-е гг.: На материалах Хакасиитема диссертации и автореферата по ВАК РФ 07.00.02, кандидат исторических наук Карлов, Сергей Владимирович).

216. **кропачев,2010:170-** Главный редактор: к.и.н., доцент С. А. Кропачев. Проблемы истории массовых политических репрессий в СССР К 70-летию Всесоюзной переписи населения 1939 года Материалы VI Международной научной конференции. Краснодар Экоинвест 2010. http://history.org.ua/LiberUA/978-5-94215-093-8/978-5-94215-093-8.pdf

217. ბენდიანიშვილი,2017/-ანა ბენდიანიშვილი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,სტალინი და ქართული ნაციონალიზმი 1930–50–იან წლებში.სამაგისტრო ნაშრომი,თბილისი 2017. https://openscience.ge/bitstream/1/956/1/MA-Thesis-Bendianishvili%20%281%29.pdf

218. საბჭოთა საქართველოს ლიდერები- https://postsovietwatch.com/2017/06/06/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94/

219. სილაგაძე,2014/ -მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ-http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/eka_silagadze.pdf -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დისერტაცია, ეკა სილაგაძე, თბ.2014

220. მებრძოლი საქართველო,1952/-ჟურნალი ,,მებრძოლი საქართველო“ პარიზი 1952წ.N1. ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/100218/1/Mebrdzoli_Saqartvelo_1952_N1.pdf

221. რეხვიაშვილი,2019/- რადიო თავისუფლება. ყველაფერი ,,25 თებერვლის“ შესახებ. ჯუმბერ რეხვიაშვილი,2019წ.24 თებერვალი. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-25-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91-/29787817.html

222.რამიშვილი,2009/-კომუნისტური გადატრიალება და საქრთველოს ოკუპაცია / ავტორი ლ. რამიშვილი https://matiane.wordpress.com/2009/08/30/communist-takeover-occupation-of-georgia/

223. https://gmas.ge/2016/სიახლეები/8102-რა ხდებოდა ბრძოლის ველზე

224. მუსლიმი თემი აჭარაში/- მუსლიმი თემი აჭარაში/ სოციალური სამართლიანობის ცენტრი.https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98_%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98_01_1551697245.pdf

225. ბრესტიზ ზავი 1918/ http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%96%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98_1918 -შოთა ვადაჭკორია

226. ხელშეკრულება,1992/- ხელშეკრულება საქრთველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0)

227. netgazeti- ბათუმელები,2015/-https://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/12728/ როგორ მოიხადეს ქალებმა ჩადრი. 22.05.2015, მანანა ქველიაშვილი

228.ქართველები უცხოეთში,ალისულთან ბოლქვაძე/ -ნიაზ ბოლქვაძე-,,ალისულთან ბოლქვაძე”. ბიოგრაფია. თბილისი 2016, http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000419/

229. სილქაძე,2020/- დიმიტრი სილაქაძე ,,რატომ წავაგეთ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი?“ / https://tabula.ge/ge/news/640608-dimitri-silakadze-ratom-cavaget-1921-clis

230.ივერია,2016/ ივერია, 12.03.2016 - http://iveria.biz/1581--.html

231. რესპუბლიკა 100/ - http://civil.ge/ka/archives/307760 -აფხაზეთის უხილავი ფრონიტი, პირველი რესპუბლიკის სპეცსამსახურების ისტორიიდან. დავით ხვადაგიანი.

232.ნიქაბაძე,2008/ - ნიქაბაძე,2008/-ნატო ნიქაბაძე, ქართველური მემკვიდრეობა https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XII/NikabadzeNato1.pdf

233. ივერია,2016/ ივერია, 10.02.2016 Iveria.biz/1554--.html

234. გამსახურდია,2021/- nation,07.21.2021-კონსტანტინე გამსახურდია:რუსული რბილი ძალა ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ ეროვნულ-ინდეპენდისტური მოძრაობა არ ღირდა. https://www.nation.ge/index.php?m=5&news_id=1474&fbclid=IwAR2ax9Am6O9SnUr6p5Nwybt6wYdJeWyZSbhNfiA1bUepHXsZUqQbiDcetvA

235. კაპიტანოვი:8/- 1989:მეხსიერების ცვლილება, ლევან კაპიტანოვი. კვლევა მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის პროექტის "1989: მცირე კვლევითი გრანტების" ფარგლებში. https://ge.boell.org/sites/default/files/levan_kapitanovis_kvleva.pdf

236.ჟორდანია,ტ1/- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები ტომი XIII საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის 24 ივნისი – 1921 წლის 18 მარტი) ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები თბილისი 2018 UDC (უაკ) 342.511 (479.22) + 929 (479.22) ს-323 ჟ-841 ISSN 1987-5576 ISBN 978-9941-27-716-0 © საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/uaxlesii/document/HASH01353af82a894748b29574f5?p.s=AdvancedFieldQuery

237. მაზნიაშვილი,1927/-გიორგი მაზნიაშვილი მოგონებანი. https://dokumen.tips/documents/-5695d51a1a28ab9b02a40e63.html

238.ბორავსკი,2006/- პოლონეთიდან დანახული საქართველო.პოლიტიკური რაკურსით, საქართველო 1917-1921 წლებში. //www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/ekonomik/document/HASH0142309073ae5ec2050b158c?p.s=TextQuery

239. გ.ბადრიძე,2020/- https://www.gfsis.org/ge/blog/view/1074 საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი თაობის პასუხისმგებლობა- გიორგი ბადრიძე, რონდელის ფონდის უფროსი მკვლევარი.

240.ხვადაგიანი,2019/- საზოგადოებრივი არქივი/- http://archive.ge/ka/blog/76 პირველი რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურები, ავტ.დავით ხვადაგიანი 2019 06.08.

241.კანონთა და განკარგულებათა კრებული1929/- https://elfiles.emis.ge/uploads/27760/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1929_N22.pdf

242. კანონთა და განკარგულებათაკრებული,1928/- https://elfiles.emis.ge/uploads/31639/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1928_N9.pdf

243. საერთაშორისო წითელი ჯვარი/- http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=5283

244. არხეიონი,2018/-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო, ჟურნალი ,,არხეიონი“,თბილისი, 2018. ოთ.თურმანიძის სტატია ,,სამეურნეო-საწარმოო კადრების,კულაკების და სხვა არასასურველი ადამიანების რეპრესიები“. http://adjara.gov.ge/uploads/Docs/e8886b65c69a4915b3e78bc4b668.pdf

245. სოციალური სამართლიანობის ცენტრი/- ისტორიული კონტექსი-აჭარის მრავალი დაბრუნება https://socialjustice.org.ge/ka/products/istoriuli-konteksti-acharis-mravali-dabruneba

246.ჯიშკარიანი, საბჭოთა წარსული/- საბჭოთა წარსული, 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიები საქართველოში. დავით ჯიშკარიანი. https://www.gfsis.org/files/my-world/30/3_artcile.pdf

247. ქადაგიძე,2020/- თამარ ქადაგიძე, ,,სტალინის დიდი ტერორი“,ყველაზე მარტივი კითხვები 1937 წელზე“ 02.11.2020 თბილისი https://jam-news.net/ge/stalinis-didi-terori-yvelaze-martivi-kitkhvebi-1937/

248. ბრძანება,1937/- ОПЕРАТИВНЫЙ ПРИКАЗ НАРОДНОГО КОМИССАРА ВНУТРЕННИХ ДЕЛ СОЮЗА С.С.Р. № 00447-об операции по репрессированию бывших кулаков, уголовников и др. антисоветских элементов. 30 июля 1937 года. http://old.memo.ru/history/document/0447.htm

249. СТАЛИНСКИЕ РАССТРЕЛЬНЫЕ СПИСКИ/- https://stalin.memo.ru/lists/list412/

250. სტალინური სიები საქართველოდან/-

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=3079

სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონული მონაცემთა ბაზა] / ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში – HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი – INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION (IDFI), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“, საქართველოში შვეიცარიის საელჩო – Embassy of Switzerland in Georgia. - 2013.

251. ოქროსცვარიძე,2011/- ნინო ოქროსცვარიძე,2011. ამირანიXXII, http://caucasology.com/amirani23/okrostsvaridze.pdf

252. აგრარული საქართველო,2014/- აგრარული საქართველოN 5(37)2014 სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. სტატიის ავტორიები: ზურაბ მიქელაძე, ასლან დევაძე. ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობა აჭარის აგრარული სექტორის განვითარებაში“-http://www.regionica.org/Journal%20-%20May%202014.pdf

253. ლიტერატურული საქართველო,N22,1937/- გაზეთი ლიტერატურული საქართველო, 1937.30სექტემბერი, N22(44) საქართველოს მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/158840/1/Literaturuli_Saqartvelo_1937_N22.pdf

254. თუმანიშვილი,2020/-დიმიტრი თუმანიშვილი ,,XX საუკუნის ქართული ხელოვნება და მისი ისტორიული კონტექსტი“, თბილისი 2020. https://rustaveli.org.ge/res/docs/097556728566b227b09627c1c6155d3ced01a1d6.pdf

255. მერმისი,2019/- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომები ,,მერმისი“. http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/PRINT-mermisi-2019-1.pdf

256. კობიაშვილი,2019/- მაია კობიაშვილი, დისერტაცია ,,პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940)“ ქართული უნივერსიტეტი.2019. http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/maiakobiashvili.pdf

257. ანჩაბაძე,2005/- გიორგი ანჩაბაძე, საქართველოს ისტორია, მოკლე ნარკვევი.თბ.2005. http://eprints.iliauni.edu.ge/1875/1/saqarTvelos_istoria.pdf

258. ფანჯიკიძე/- თეიმურაზ ფანჯიკიძე, რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. https://zdocs.tips/doc/xx-xxi-mq18ev283x1v

259. მემატიანე/- https://mematiane.ge/product-details.php?id=5068

260. ჩიქობავა,1954/- ნ.ა.ჩიქობავა ,,ბოლშევიზმის ბრძოლა პროლეტარიატის ჰეგემონიისთვის“ სადისერტაციო შრომა. https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/apr/disserations/disertacia34/chiqrobava.disertacia.pdf

261. კურტუა და სხვები,2011/- სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან ლუი პანე, ანდრეი პაჩკოვსკი,კარელ ბარტოსეკი, ჟან ლუი მარგოლენი. ,, კომუნიზმის შავი წიგნი-დანაშაულები, ტერორი, რეპრესია,“ თბ.2011. https://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/9835/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98.pdf

262. კომუნიზმის ეპოქა/- https://www.kas.de/c/document_library/get_file?uuid=fe64f9fc-306f-bb6f-2df6-6e30c4ff8ff1&groupId=269781 კონრად ადენაუერის ფონდის გამომცემლობა

263. კანონთა და განკარგულებათა კრებული,1932/- კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1932 წ.10 მაისი. https://elfiles.emis.ge/uploads/30163/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1932_N8.pdf

264. ჩვენი თაობა,1940- ჩვენი თაობა-საქართველოს საბჭოთა მწერლების ყოველთვიური გამოცემა. N11. თბ.1940. http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5899/1/chveni%20taoba11-1940.pdf

265. გურული,2011/- ვახტანგ გურული ,,ჯვარცმულის უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი(ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების ფურცლები) დოკუმენტები და მასალები 1930-1936. თბილისი 2011. https://sangu.ge/images/vguruli/7ukvd.pdf

266. მოამბე,1935/- საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მოამბე, თბ.1935წ. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319135/1/Moambe_1935_N3.pdf

267. გორგაძე,2019/- დავით გორგაძე, მოგონებები,დღიურები, ჩანაწერები. მოგზაურობა ჯოჯოხეთში.თბ.2019. VI. https://archive.gov.ge/storage/files/doc/gorgadze.pdf

268. ჩემი სამყარო,2014/- ჟურნალი ახალგაზრდობისათვის,,ჩემი სამყარო“ N4, 2014. სტატიის ავტორი რევაზ გაჩეჩილაძე. https://www.gfsis.org/files/my-world/4/USSR.pdf

269. სონღულაშვილი,2018/- ავთანდილ სონღულაშვილი, ,,საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა“ თ.2018. http://institutehist.ucoz.net/_ld/2/216_Avtandil_songul.pdf

270. რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში,2021/- რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში,2021, სტატიის ავტორები: სოფო ზვიადაძე, გიორგი სორდია.2021. https://rm.coe.int/-/1680a2e321

271. სარფი,2015/- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი-სარფი. ბათუმი 2015. https://core.ac.uk/download/pdf/78248846.pdf

272. გაზეთი ,,აჭარა“,2017/- http://gazetiajara.ge/2017/11/27/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98/ სტატია:,, ინტელიგენციისა და სასულიერო პირების რეპრესიები. 27 ნოემბერი, 2017.ავტორი, ოთარ თურმანიძე